ნესტან ლომაია

სოციალური ფსიქოლოგია

თბილისი 2015

ნესტან ლომაია

სოციალური ფსიქოლოგია

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2015

„სოციალური ფსიქოლოგიის“ ერთ-ერთი მომხიბვლელობა იმაშია, რომ ის მუდამ ცვალებადია, რადგან სოციალური ცხოვრება თავისი არსით დინამიკურია. ნაშრომი მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს როგორებიცაა „სოციალური ფსიქოლოგიის“ მნიშვნელობა თანამედროვე ეტაპზე, სხვადასხვა სოციალურ შეხედულებებს, კონცეფციებსა და მიდგომებს საზოგადოებასთან, პიროვნების ჯგუფთან მიმართებაში.

ნაშრომი გამდიდრებულია ექსპერიმენტებითა და მაგალითებით, რომლებიც აუცილებელია სოციალური ფსიქოლოგიის არსის წვდომისათვის, ანუ თეორიული ასპექტები შერწყმულია პრაქტიკულთან. ნაშრომი საინტერესო იქნება სოციოლოგიის სპეციალობის სტუდენტებისათვის, ასევე ფართო საზოგადოებისათვის, როგორც საწყისი ეტაპი რთული ფსიქო-სოციალური საკითხების ღრმა ანალიზისათვის.

სამეცნიერო რედაქტორი: **მარინა ბალიაშვილი**
ფსიქოლოგიის დოქტორი
პროფესორი.

რეცენზენტი: **ნანული ცხვედაძე**
ფიქოლოგიის დოქტორი

© ნ. ლომაია, 2015

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2015
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E–mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-22-605-2

თავი I
სოციალური ფსიქოლოგიის სათავეებთან

მეცნიერებათა განვითარებაში არის პერიოდები, როდესაც ესა თუ ის მეცნიერება, მოიცავს სხვა მეცნიერებებს, ან იმდენად იჭრება მათ სფეროში, რომ ცხადდება ყველა მეცნიერებათა საფუძვლად.

სოციოლოგიის, როგორც მეცნიერების ჩამოყალიბებისთანავე საკითხი დადგა მისი სფეროს საზღვრების დადგენის შესახებ. პირველმა სოციოლოგებმა, მარქსის, კონტის და სპენსერის სახით, განსაზღვრეს სოციოლოგიის საგანი იმაზე მითითებით, რომ იგი შეისწავლის საზოგადოებას. ფსიქოლოგია სწავლობს ცნობიერების სხვადასხვა მდგომარეობის წარმოშობას, სოციოლოგია კი სწავლობს მოვლენებს, რომლებიც განპირობებულია ცნობიერების მხოლოდ ერთი მდგომარეობით, სახელდობრ, გვარის ცნობიერებით. თუ სოციოლოგია გვარის ცნობიერებას სწავლობს, ფსიქოლოგია კი ცნობიერების სხვადასხვა მდგომარეობას, ცხადია, გვარის ცნობიერება არის ერთ-ერთი ამ მდგომარეობათაგანი. მაშასადამე, სოციოლოგია ფსიქოლოგიის ერთი მომენტია. გიდენსის აზრით, სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიის ურთიერთობების უფრო სრულად გასარკვევად აუცილებელია ფსიქიკურის გენეზისში ღრმად ჩახედვა და იმის ჩვენება, რომელია პირველადი – ფსიქოლოგიური თუ სოციალური. ფსიქოლოგიზმი სოციოლოგიაში დაკავშირებულია ისეთი ცნობილი სოციოლოგების სახელებთან, როგორებიც იყვნენ: ლესტერ უორდი, გაბრიელ ტარდი, გიდენსი, ზიმელი და სხვა. ფსიქოლოგიზმი სოციოლოგიაში გამოიწვია ფსიქოლოგიის გამოყოფამ ფილოსოფიიდან და ამასთან დაკავშირებით ფსიქოლოგიის წარმატებებმა. ისე როგორც სოციოლოგია, ფსიქოლოგიაც მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან არსებობს დამოუკიდებლად და სწორედ ამ პერიოდში ეყრება საფუძველი ფსიქოლოგიზმს სოციოლოგიაში. ფსიქოლოგისტ უორდის აზრით, ფსიქოლოგია ვერ იქნება მხოლოდ ექსპერიმენტული, მან უნდა მოახდინოს

გონების თეორიული ანალიზიც. გონების ასეთი შესწავლა კი მოასწავებს ახალ რევოლუციას, ფსიქოლოგიაში მიმართულების შეცვლას, რომელიც უკვე გვამცნობს თავისთავს და გვპირდება კიდევ უფრო დიდ მომავალს, ვიდრე გონების ექსპერიმენტული შესწავლაა.

სოციალური ფსიქოლოგიის წარმოშობისთანავე საკითხი დადგა მეცნიერებათა სისტემაში მისი ადგილის განსაზღვრის შესახებ. ეს საკითხი რთულდებოდა იმ გარემოებით, რომ სოციალური ფსიქოლოგია ორმაგი ბენების იყო. ამ საკითხის გადაწყვეტის ოთხი ალტერნატივა წარმოიშვა: 1. სოციალური ფსიქოლოგია სოციოლოგიის დარგია. 2. სოციალური ფსიქოლოგია ფსიქოლოგიის დარგია. მესამე და მეოთხე ალტერნატივა კი მკვლევარებს გაერთიანებულად აქვთ წარმოდგენილი, რადგან ემყარება საერთო მტკიცებას, რომ სოციალური ფსიქოლოგია სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიის მომიჯნავე მეცნიერებაა.

თანამედროვე დასავლურ სოციალურ ფსიქოლოგიაში საგნის გაგების ორი ფორმა არსებობს. სოციალური ფსიქოლოგიის საგნის ფართო და ვიწრო გაგება. პირველის მიხედვით, სოციალური ფსიქოლოგიის განხილვის სფეროში ექცევა ტრადიციულად სოციოლოგიის საგნად მიჩნეული პრობლემატიკა. აღნიშნული უპირველესად გამოიხატება იმაში, რომ სოციალური ფსიქოლოგია გაგებულია, როგორც მეცნიერება ურთიერთობის შესახებ. ადამიანთა ერთობის ყველა ფორმა ურთიერთობათა გზით ხორციელდება. ამიტომ ამ განსაზღვრების მიხედვით სოციალური ფსიქოლოგიის სფეროში ექცევიან სოციალური ჯგუფები, როგორიც არ უნდა იყოს მათი ხასიათი – მცირე თუ დიდი, დროებითი თუ მყარი, როგორც ორგანიზებული, ისე არაორგანიზებული ფორმები. ასევე ხორციელდება პიროვნებისა და ჯგუფების ქცევის დინამიკა. ამ თვალსაზრისის ერთ-ერთი ნათელი დასაბუთებაა კიმბალ იანგის და ლინტონ ფრიმენის წერილი „სოციალური ფსიქოლოგია და სოციოლოგია“. მათი აზრით ურთიერთქმედება და მისი ტიპები ენობრივით დაწყებული – ყველა სახის კულტურული თუ სოციალური ურთიერთქმედებით დამთავრებული, ყოველთვის იყო სოციალური ფსიქოლო-

გიისა და სოციოლოგიის განხილვის საგანი, მაგრამ თანდათან ყოველივე ეს ჯგუფების დინამიკისა და პიროვნების ქცევის თუ როლების პრობლემასთან ერთად, მოექცა სოციალურ ფსიქოლოგიაში. გამოდის, რომ სოციაულრი ფსიქოლოგია მთლიანად ითვისებს ტრადიციულად სოციოლოგიის პრობლემატიკად მიჩნეულ საკითხთა წრეს.

სოციალური ფსიქოლოგიის საგნის განსაზღვრის ერთ-ერთი სისტემური ცდა მოცემული აქვს როსს ნაშრომში „სოციალური ფსიქოლოგია". მისი განსაზღვრით, სოციალური ფსიქოლოგია სწავლობს ფსიქიკურ დონეებსა და მიმდინარეობებს, რომლებიც წარმოიშობიან ადამიანთა მასების ასოციაციების შესაბამისად. სოციალური ფსიქოლოგიის მიზანია განიხილოს გრძნობა, რწმენა, სურვილი, მოქმედება, რომლებიც გამოწვეულია ადამიანთა ურთიერთქმედებით. იმის მიუხედავად, რომ ინდივიდუალურად ყოველი პიროვნება განსხვავებულია, საზოგადოებაში მოქმედებს რაღაცნაირი ერთობა თუ ერთობის ძალა, რომელიც აერთიანებს და ამ გაერთიანებებს აქვთ ერთიანი რწმენა, მორალური იდეები, მოდა, ჩაცმულობა და სხვა. სწორედ, ამ გაერთიანების პროცესში წარმოქმნილ ახალ ვითარებებსა თუ ფსიქიკური ცხოვრების სიახლეებს სწავლობს სოციალური ფსიქოლოგია.

სოციალური ფსიქოლოგიის საგნის განსაზღვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცდა აქვს შიბუტანს. ისევე როგორც როსისთან განხილვა იწყება „სოციალური ფსიქოლოგიის ბუნებისა და სფეროს" გარკვევით, შიბუტანთანაც დასაწყისში მოცემულია ამ მეცნიერების ისტორია და კომპეტენცია. შიბუტანი აღიარებს სოციალური ფსიქოლოგიის ზრდის სიძნელეთა არსებობას. მისი აზრით, სოციალური ფსიქოლოგია ჯერ კიდევ დიდად არ განიხილავს ჯანსაღ ადამიანურ აზრს და მაინც შესაძლებლად თვლის სოციალური ფსიქოლოგიის ძირითად პრობლემათა მოხაზვას. ესაა „სოციალური კონტროლი, მოტივაცია, პიროვნებათაშორისი ურთიერთობანი და სოციალიზაცია". შიბუტანისათვის მთავარია გაარკვიოს როგორია ადამიანის ქცევა სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში, ამ კონცეფციას ინტერაქ-

ციონისტული ეწოდება. ,,ინტერაქციონისტული მიდგომისათვის დამახასიათებელია რწმენა, რომ ადამიანის ბუნება და სოციალური წესრიგი კომუნიკაციის შედეგია“. ქცევა უნდა განისაზღვროს მის ძირითად მოტივებში. ეს არაა არც გარემოს და არც გრძნობათა ორგანოების შედეგი. ქცევის მიმართულება იმ ადამიანთა ურთიერთდათმობის შედეგია, რომლებიც ერთმანეთზე არიან დამოკიდებულნი და ერთმანეთს ეგუებაიან. აქ მთავარია ადამიანის პიროვნება, რომელიც ვლინდება ქცევის თავისებურ შაბლონებში. ,,პიროვნება ყალიბდება მის გარემომცველ ადამიანებთან მუდმივ კომუნიკაციაში“. პიროვნება და მისი გარემოცვა ჯგუფის კულტურის მატარებელია. ჯგუფის კულტურა „შედგება შესაბამისი ქცევის მოდელისაგან, რომელნიც კომუნიკაციაში აღმოცენდებიან და მუდმივად მტკიცდებიან, რამდენადაც ადამიანების ცხოვრების პირობები არის ერთობლივი ურთიერთქმედება.“ შიბუტანის აზრით სოციალური ფსიქოლოგია ადამიანთა ქცევის ახსნაა ძირითადი ფუნქციონალური ერთეულებით, რომლებიც განაპირობებენ ამ ქცევას საზოგადოებაში. სოციალური ფსიქოლოგიის ამოცანაა „ახსნას, რას აკეთებენ ადამიანები ხუთი ფუნქციონალური ერთეულის თავისებურებათა გამოკვლევის გზით, ესენია – მოქმედება მნიშვნელობა, როლი, პიროვნება და ჯგუფი.“

ამ გზით ადამიანების ქცევა შეისწავლება ორგანიზებულ საზოგადოებაში და განისაზღვრება სოციალური ფსიქოლოგიის სფერო, ნაჩვენებია მისი არსება.

<u>ემპირიული კვლევის მეთოდები</u>

სოციალურ ფსიქოლოგიაში დიდი წარმატებით გამოიყენება ემპირიული (ცდისეული) კვლევა, რომელიც ადგენს სოციალური ქცევის მიზეზებს და ახდენს პროგნოზირებას. კვლევის სახეები: აღწერითი, რომლის მიზანი მოვლენის მრავალმხრივი დახასიათება, ექსპერიმენტული – მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა, კორელაციური კვლევის მიზანია – მოვლენის განჭვრეტა.

<u>აღწერითი კვლევა</u>

აღწერითი კვლევის მიზანია: მოვლენების ბუნებრივი თავისებურებისა და მათ შორის არსებული ურთიერთკავშირის შესწავლა. მკვლევარის ძირითადი ამოცანა შესასწავლი მოვლენის შესახებ მრავალფეროვანი აღწერითი სახის ინფორმაციის მოპოვებაში მდგომარეობს. აღწერითი კვლევის ერთ-ერთი ფორმა საველე გამოკვლევაა, რომელიც ინდივიდის ან ჯგუფის სიღრმისეულ ან დეტალურ შესწავლას მოითხოვს.

<u>კორელაციური კვლევა</u>

კორელაციური კვლევა – შესასწავლ მოვლენებს შორის არსებულ ურთიერთკავშირს აღწერს. როდესაც ორ მოვლენას შორის მნიშვნელობის მქონე კორელაცია დასტურდება, მაშინ ისმის კითხვა – არის კი ერთი მათგანი მეორის მიზეზი? თუ გამოვლენილი კორელაცია სხვა რაიმე მოვლენით არის გამოწვეული.

<u>ექსპერიმენტი</u>

ნებისმიერი თეორიული ვარაუდის შემოწმების საუკეთესო საშუალებას ექსპერიმენტი წარმოადგენს. მისი ჩატარების ძირითადი არსი ექსპერიმენტატორის მიერ შესასწავლი ცვლადების ფსიქიკური პროცესები, ქცევის ფორმები, ადამიანზე ზემოქმედი ვითარებების თავისებურება და ა.შ. მიზანდასახულ მანიპულირებასა და გაკონტროლებაში მდგომარეობს. ექსპერიმენტში ოპერირება ორგვარი სახის მოვლენით, კერძოდ, დამოუკიდებელი და დამოკიდებული ცვლადებით ხდება. მოვლენა, რომლის მანიპულირებას ექსპერიმენტატორი აწარმოებს, დამოუკიდებელ ცვლადად განიხილება, ხოლო მოვლენას რომელიც დამოუკიდებელი ცვლადის ზემოქმედებას განიცდის, დამუკიდებელ ცვლადს უწოდებენ. ამგვარად დამოუკიდებელი ცვლადი ისეთი მოვლენაა, რომლის ვალიდობა შეუძლია ექსპერიმენტატორს სხვადასხვა ვითარების შექმნით. რაც შეეხება დამოკიდებელ ცვლადს, მას ექსპერიმენტატორი მის მიერვე განხორციელებული მანიპულაციის შედეგის დასადგენად ზომავს.

მიზნებისა და დაგეგმარების მიხედვით, ექსპერიმენტული კვლევა მრავალფეროვანია. ექსპერიმენტის ჩატარების შემდეგ

საფეხურებს გამოყოფენ: ჰიპოთეზების წამოყენება, ცვლადების ოპერაციონალიზაცია, ექსპერიმენტული პირობების შექმნა, ცდისპირების შერჩევა, შედეგების განხილვა და მათი შეჯამება.

<u>ცვლადების კონტროლი</u>

ექსპერიმენტატორმა ცდისპირთა პიროვნული, დემოგრაფიული, სოციოეკონომიკური მაჩვენებლები უნდა გაითვალისწინოს და მოახდინოს ჯგუფში მათი თანაბარი გადანაწილება.

შედეგების განზოგადებისას მკვლევარმა მიღებული მონაცემების აღწერის საშუალებით მათ შორის გამოვლენილი მიმართებები უნდა დაახასიათოს (მონაცემების ცხრილებითა და გრაფიკებით გამოხატვა) ამის შესაძლებლობას აღწერითი სტატისტიკა იძლევა. ექსპერიმენტში მონაწილე ცდისპირთა ამონაწერების საფუძველზე, მან მიღებული შედეგების მთლიან პოპულაციაზე უნდა განაზოგადოს (დაადგინოს მონაცემებს შორის სხვაობა), რაც დასკვნითი სტატისტიკის გამოყენებით ხორციელდება. ამის შემდეგ, მკვლევარი მიღებულ შედეგებს გარკვეული თვალსაზრისით გააანალიზებს, ანუ შეაფასებს მათ სანდოობას, დასაბუთებულობას და გამოყოფს იმ პასუხგაუცემელ საკითხებსაც, რომელთა კვლევა-ძიება მომავალში უნდა განხორციელდეს.

<u>ექსპერიმენტული კვლევის ეთიკური მხარე</u>

კვლევებს ახასიათებთ თავიანთი სპეციფიკა, რაც ხშირად იწვევს სხვა ადამიანების რეალურ ცხოვრებაში ჩარევას. ზოგიერთი კვლევა სუბიექტს აყენებს ფსიქიკურ ტრამვას, რადგან ზოგჯერ კვლევისას მჟაღვნდება სუბიექტის პირადი ინფორმაცია, რამაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს მას.

სუბიექტის დაცვის გზები:

1. გამოკითხვა უნდა იყოს ანანომური;
2. სუბიექტმა ნებაყოფილობით უნდა მიიღოს მონაწილეობა კვლევაში;
3. მკვლევარი უნდა იყოს პატიოსანი სუბიექტის მიმართ;

4. ყოველი პირის შესახებ მიღებული ინფორმაცია უნდა იყოს კონფიდენციალური.

მხოლოდ ასეთი ურთიერთობები და ეთიკური ნორმების დაცვაა საწინდარი მათი წარმატებული თანამშრომლობისა.

<u>სიმბოლური ინტერაქციონიზმი</u>

სიმბოლური ინტერაქციონიზმის ფუძემდებელის ჯორჯ ჰერბერტ მიდის თეორია სამ ამოსავალ დებულებაზეა დამყარებული: 1) ადამიანები საგნების მიმართ იმ მნიშვნელობების საფუძველზე მოქმედებენ, რომლებიც ამ საგნებს მათთვის აქვთ. ეს იმას ნიშნავს, რომ სოციალური სინამდვილე იმ მნიშვნელობებისაგან შედგება, რომელსაც ადამიანები საგნებსა და მოვლენებს მიაწერენ. 2) საგანთა მნიშვნელობა იმ სოციალური ინტერაქციიდან მიიღება, რომელიც ადამიანებს შორის არსებობს 3) ეს მნიშვნელობები კი სიმბოლური ინტერპრეტაციის საგანი ხდება (ხმა, სიტყვები ჟესტები, გამომეტყველება, აღნაგობა და ა.შ.) ანუ მიდის მიხედვით ინტერაქცია სიმბოლოთა გაცვლის ფორმის სახით მიმდინარეობს. ავტორი მნიშვნელობებს იმ სიტუაციის მიხედვით, ამოწმებს და უცვლის სახეს, რომელშიც ის იმყოფება. სიმბოლური ინტერაქციის დროს ადამიანები ჟესტების ინტერპრეტირებას ახდენენ, რაც მათთვის შესაფერისი მნიშვნელობების მინიჭებას ნიშნავს. ინტერაქციის პროცესში მყოფი ადამიანები მხედველობაში იღებენ იმას, თუ რას აკეთებენ სხვები და საკუთარ ქცევას სხვათა მოქმედებების გათვალისწინებით აყალიბებენ. საზოგადოება მის წევრებს შორის ურთიერთზემოქმედების შედეგია, ოღონდ ,,საზოგადოებაში“ ამ შემთხვევაში ყოველდღიურობა, ანუ ის სინამდვილე იგულისხმება, როგორსაც მას ადამიანები აქტუალურად აღიქვამენ.

სიმბოლური – ინტერაქციონისტული პარადიგმა ამტკიცებს, რომ ადამიანები სოციალურ რეალობას ყოველდღიური ინტერაქციის მსვლელობაში ქმნიან. მაგ.: რა ხდება, როდესაც ლექციის დასრულების შემდეგ გინდათ ლექტორს შეკითხვა დაუსვათ – ჯერ ვაკვირდებით და ვეძებთ ხელსაყრელ დროს მასთან საუბრისათვის. თუ ლექტორი სტუდენტს ელაპარაკება,

მივხვდებით რომ არ უნდა შევაწუხოთ და გავჩუმდებით. როდესაც ვლაპარაკობთ, კონტროლს ვუწევთ ჩვენს საუბარს, ხმის სიმაღლეს, მანერას ანუ მთლიანად ვაკონტროლებთ ჩვენს თავს, ასევე ვიქცევით ლექტორთან მიმართებაშიც. კითხვაზე პასუხისას ლექტორი თქვენკენ გადმოიხრება, თავს გიქნევთ, იღიმის. ეს თქვენზე დადებითად მოქმედებს, ხვდებით, რომ კითხვაც დროული იყო და გეუფლებათ თავდაჯერებულობა. მაგრამ თუ ლექტორი საათს უყურებს ან გამუდმებით კარებისკენ იყურება, მაშინ ხვდებით, რომ მას ეჩქარება და ცდილობთ სწრაფად დაასრულოთ საუბარი.

ერთსა და იმავე სიმბოლოს შესაძლებელია, სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდეს. მაგ.: როდესაც დაჟინებით უყურებთ ვინმეს, რომელიც თქვენს წინ ცდილობს რიგში ჩადგომას, მაშინ გამოვხატავთ მრისხანებას. როდესაც საწინააღმდეგო სქესის ადამიანს დაჟინებით ვუყურებთ ბარში, მაშინ ჩვენი მზერა რომანტიული ინტერესის მანიშნებელია. სიმბოლური მესიჯების ინტერპრეტაცია დამოკიდებულია ადამიანის შესაძლებლობებზე, მოირგოს სხვა პიროვნების როლი. როლის მორგება ნიშნავს საკუთარი თავის დაყენებას სხვის ადგილას, იმის წარმოდგენით, თუ რას გრძნობს და ფიქრობს ის ადამიანი, და იმის გათვლით, თუ რას მოიმოქმედებს ის შემდგომ. ამგვარად, ჩვენ ვწყვეტთ ჩვენი რომელი ქმედება იქნება ყველაზე „წარმატებული“ ან რა მიგვიყვანს ყველაზე ახლოს ჩვენს მიზნებთან.

<u>როლის თეორია</u>

როლის თეორიები შემუშავებულ იქნა ამერიკელი სოციოლოგების: მიდის, მერტონის, პარსონსისა და დარენდორფის მიერ. ადამიანის ქცევას საზოგადოებაში განსაზღვრავს სოციალური სტატუსი და „სოციალური როლი“. ადამიანს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე სტატუსი, მაგრამ მხოლოდ ერთი სტატუსი არის ძირითადი, რომელიც განსაზღვრავს მის სოციალურ ქცევას. სოციოლოგიაში განიხილავენ დაწესებულ და შეძენილ სტატუსებს.

თანდაყოლილი სტატუსებია: ეროვნება, დაბადების ადგილი, სქესი და ოჯახი.

შეძენილი სტატუსებია: რექტორი, დირექტორი, სტუდენტი, იურისტი, მასწავლებელი და სხვა. დროთა განმავლობაში შეძენილი სტატუსი ცვლილებებს განიცდის. სოციალური სტატუსი განსაზღვრავს კონკრეტულ ადგილს, რომელიც უკავია ინდივიდს მოცემულ სოციალურ სისტემაში. ყოველი სტატუსი მოიცავს სხვადასხვა როლს. როლების ერთობლიობას, რომელიც სტატუსიდან გამომდინარეობს როლებრივი ნაკრები ეწოდება. პარსონსმა მოახდინა როლების სისტემატიზაცია და გამოყო ხუთი ძირითადი მახასიათებელი: 1) ემოციური – ერთი როლი ემოციური შინაარსისაა – მეორე თავისუფალი 2) მიღების წესი – ერთი დაწესებული, მეორე – მოპოვებული 3) მაშტაბები – რომლის ნაწილიც ფორმულირებულია და ზუსტად განსაზღვრული, მეორე – ნაკლულია, წაშლილია 4) ფორმალიზაცია – ქმედება მიღებული წესების შესაბამისად, მეორე თავისებური 5) მოტივაცია – კარგი მოგება, საერთო საქმის წარმატება.

სოციალური როლის განხილვა შესაძლებელია ორი ასპექტით: როლის შინაარსი და შესრულება. ამ ორ ასპექტს შორის არასოდეს არის სრული დამთხვევა, მაგრამ თითოეულ მათგანს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი ადამიანის ქცევას განსაზღვრავს საზოგადოებაში.

აღსანიშნავია, რომ ნებისმიერი როლი არ შეიძლება განვიხილოთ ქცევის მოდელად. როლის მოლოდინისა და როლის ქცევის მთავარ მაკავშირებლად გვევლინება თვით ინდივიდის ხასიათი. ეს ნიშნავს, რომ კონკრეტული ადამიანის ქცევა არ შეიძლება ჩავსვათ გარკვეულ ჩარჩოში. რადგან იგი კონკრეტულ ადამიანზეა დამოკიდებული და იმაზე, თუ როგორ გაართმევს იგი ამ როლს თავს და რა თვისებებით ინტეგრირდება სოციუმში.

ამდენად, რადგან ყოველი ადამიანი რამდენიმე როლს ასრულებს სხვადასხვა სიტუაციაში, როლებს შორის შეიძლება წარმოიშვას კონფლიქტი. სიტუაციას, როდესაც ადამიანი ეჯახება აუცილებლობას დააკმაყოფილოს ორი ან მეტი შეუსაბამო როლი და მისი ურთიერთდაპირისპირებული მოთხოვნები, რო-

ლებრივი კონფლიქტი ეწოდება.

შტაინი და ჰომანსი (1978) იკვლევდნენ როლურ კონ-ფლიქტს კოლეჯის იმ სტუდენტებში, რომლებიც მისდევდნენ სპორტს. მათ აღმოაჩინეს, რომ ხასიათის თვისებები, რომლე-ბიც დიდად ფასობს სპორცმენ მამაკაცებში: სიმტკიცე, დამოუ-კიდებლობა, ემოციური თავშეკავება და წარმატებისაკენ სწრაფვა არ შეესატყვისებოდა მათი მეგობარი ქალების მოლო-დინს. ქალებს არ მოსწონდათ მომეტებული სიმკაცრე და სხვა თვისებები, რომლებიც სპორცმენებისათვის საამაყო იყო. გო-გონებს მოსწონდათ ღრმა გრძნობები, გულახდილობა და თა-ნაგრძნობის უნარი.

ზოგჯერ თავს იჩენს კონფლიქტი ერთი და იგივე როლის სხვადასხვა ასპექტებს შორის. მაგ.: სოციალური სფეროს მუშა-კისაგან მოელიან ყურადღებას და კეთილგანწყობას, მაგრამ მათი ბიუროკრატიასთან აუცილებელი ურთიერთობა შეუძლე-ბელია სიჯიუტისა და სიმტკიცის გარეშე. ეს ურთიერთგამომ-რიცხავი მოთხოვნები იწვევენ როლურ კონფლიქტებს.

<u>ბიჰევიორიზმი</u>

ბიჰევიორიზმი XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გავლე-ნიანი მიმდინარეობაა. Behavius – ინგლისური წარმოშობისაა, რაც ქართულად ქცევას ნიშნავს. ბიჰევიორიზმის ფუძემდებ-ლად ამერიკელი მეცნიერი ჯონ უოტსონი გვევლინება. იგი ფიქრობდა, რომ ფსიქოლოგიამ ობიექტის ქცევის კვლევაზე უნდა გადაინაცვლოს, რადგან საკვლევი საგნის – ცნობიერების შესწავლის ერთადერთი გზა თვითდაკვირვებაში მდგომარე-ობს. სუბიექტური მეთოდით – სუბიექტური (ცნობიერი) მოვ-ლენები შეისწავლება, ხოლო ობიექტური მეთოდით – ობიექტუ-რი მოვლენები. ესენია ცოცხალი არსების მიერ განხორციელე-ბული ქცევები, რეაქციები, რომლებიც მისაწვდომია გარეშე დაკვირვებისათვის. ამ რეაქციებს ობიექტურად მოცემული სტიმულები იწვევენ. ყოველი ქცევა არის პასუხი რაიმე გამღი-ზიანებელზე: S-R – ასეთია ბიჰევიორიზმის ფორმულა. ბიჰევი-ორიზმი ცდილობს ზუსტად განსაზღვროს, თუ როგორი იქნება

ორგანიზმის პასუხი – რეაქცია (R) მოცემულ გამღიზიანებელ-ზე – სტიმულზე (S). ბიჰევიორიზმის ყველა ნაირსახეობისათვის მთავარია ქცევის წინასწარმეტყველება და მართვა. მიჩნეულია, რომ ადამიანის თითქმის ყველა ქცევა შეძენილია. ამიტომ, ახალი ქცევების გამომუშავების პროცესი, ანუ დასწავლა, ემპირიული კვლევის ძირითად ობიექტად გადაიქცა.

<u>გაცვლის თეორია</u>

სოციალური გაცვლის თეორეტიკოსები ჯორჯ ჰომანსი და პიტერ ბლაუ არიან. მათი აზრით, სოციალური ინტერაქცია გაცვლის პრინციპზეა დამყარებული. საუბარია როლების გაცვლაზე. გაცვლა ნაცვალგების პრინციპით იმართება. როდესაც ვინმე ჩვენთვის გაირჯება, ყურადღებას მოგვაქცევს ან რაიმეს გვაძლევს, ნაცვალგება მოითხოვს, რომ ჩვენც შესაბამისად მოვიქცეთ, გადავიხადოთ და ვაწარმოოთ ბალანსი ე.წ. სოციალური აღრიცხვის წიგნში. ის ვის მიმართაც პირველად გამოვიჩინეთ ყურადღება ვალდებულია, რომ ახლა უკვე მან გადაგვიხადოს. ამგვარად, გაცვლა ახალი სოციალური ვალდებულების შექმნით აძლიერებს სოციალურ კავშირებს. მხოლოდ საქმიანი მოლაპარაკებებით კი არ არის შემოფარგლული, არამედ ძირითადი ელემენტია ნებისმიერი სოციალური ურთიერთქმედებისას.

პიტერ ბლაუმ (1964 წ.) და ჯორჯ ჰომანსმა კვლავ აქტუალური გახადეს გ. ზიმელის ნაშრომში (1950წ) ფესვებგადგმული გაცვლის თეორია. გაცვლის პროცესები ორივე მათგანს აინტერესებდა. როგორ იგებდნენ ან აგებდნენ მსახიობები ურთიერთობებს. ბლაუ გაცვლას ხედავდა ეკონომიკური კუთხით: იმის გათვალისწინებით, შევიდნენ თუ არა ურთიერთქმედების პროცესში, და თუ შევიდნენ, როგორ გააგრძელონ. ხალხი აწონდაწონის სხვადასხვა სოციალური ქმედების ხარჯსა და მოგებას. ჰომანსი დაეყრდნო რა ფიზიოლოგიის სკოლის კონცეფციას, რომელსაც ბიჰევიორიზმი ეწოდება, თვლიდა, რომ ხალხი იმეორებს ქცევას, რომელმაც მათ წარსულში ჯილდო მოუტანა და ერიდება ისეთ ქცევას, რომლის გამოც სასჯელი დაიმსახურა.

ბლაუმაც და ჰომანსმაც წვლილი შეიტანეს რაციონალური შერჩევის თეორიაში, რომელიც განიხილავს შემდეგს: იმის გათვალისწინებით, როგორ იმოქმედონ (და მოახდინონ ურთიერთქმედება), ხალხი გაცნობიერებულად ითვლის ხარჯსა და მოგებას, ჯილდოსა და სასჯელს. ამ შეხედულებით ყველა სოციალური ქმედება „წინასწარ გააზრებულია“.

რა თქმა უნდა, ძალაუფლება ზოგიერთ ადამიანს გაცვლიდან აძლევს უფრო მეტ სარგებელს მაგ.: სამსახურში ხელმძღვანელი ქვეშევრდომებისაგან კეთილგანწყობას „მოითხოვს“. ასევე შესაძლებელია, რომ გაცვლამ შექმნას ძალაუფლება. თანამშრომლებს ერთმანეთის დახმარების იმედი აქვთ მრავალ საკითხში (მაგ. პროგრამისტი უზრუნველყოფს თანამშრომლებს ახალი კომპიუტერული პროგრამებით და ეხმარება მათ შესწავლაში) როგორც წესი ეს არის „კეთილსინდისიერი“ გაცვლა, მაგრამ ზოგიერთი თანამშრომელი მაგ. კომპიუტერში დახელოვნებული, უფრო მეტ დახმარებას უწევს სხვებს, ვიდრე თავად იღებს და ამგვარად სხვები მის ვალში არიან, რაც შეიძლება ძალაუფლებად ჩავთვალოთ.

ზიმელმა (1955 წ.) გვიჩვენა, რომ გაცვლის ქსელები ქმნის წევრების სისტემას, რაც გვეხმარება კონფლიქტების შემცირებაში. მაგ. როცა უნივერსიტეტში არსებული მთელი რიგი ფაკულტეტები ეხმარებიან ერთმანეთს, რაც გამოიხატება, რეკომენდაციების გაწევაში, თანადგომასა და აზრთა გაცვლაში, ასეთი ურთიერთობები ხელს უწყობს მეგობრობას და თბილ დამოკიდებულებას კოლეგებს შორის.

გაცვლა ყოველთვის არ არის თავისთავად ანგარებიანი მაგ. მშობლებისა და შვილების დამოკიდებულება. მშობლები თავიანთი შვილების საკეთილდღეოდ მზად არიან საკუთარი ინტერესები გაწირონ ისე, რომ შვილებისაგან არც ელოდებიან რაიმე ჯილდოს.

თავი II
სოციალიზაცია. მისი არსი და რაობა

სოციოლოგიის ძირითად ცნებასა და კატეგორიებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი სოციალიზაციის ცნებას უკავია. სოციალიზაცია ადამიანის სოციუმის წევრად გახდომას ანუ უბრალოდ ადამიანის გასაზოგადოებრიობას, საზოგადოებრივ არსებად ქცევას ნიშნავს.

კაცობრიობის სოციალური აზროვნების მთელი ისტორია ასახავს მიმდინარე პროცესებს, ადამიანის ქმედითუნარიანობას, რომელიც საზოგადოებაში ურთიერთობს სხვა ადამიანებთან თავისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. სწორედ კონკრეტული ისტორიული ტიპები და სახეობები განსაზღვრავენ ადამიანების დამახასიათებელ თვისებებს, წინააღმდეგობებს, ტენდენციებს, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას. არა მარტო ადამიანის ქმედითუნარიანობა განსაზღვრავს საზოგადოებას არამედ, მისი მოღვაწეობა საზოგადოებაში აყალიბებს ადამიანს იმ მოაზროვნე არსებად, რომელსაც ახასიათებს მეტყველება და მიზანმიმართული შემოქმედებითი მოღვაწეობა. მიუხედავად ამისა, ადამიანი პირველ რიგში გვევლინება ბიოლოგიურ არსებად, ცოცხალი ორგანიზმის განვითარების რგოლში დედამიწაზე.

სოციალიზაცია ადამიანის მიერ სოციალური ნორმების, კანონების, ქცევის წესებისა და ღირებულებათა ათვისების პროცესია, რომლის დროსაც იგი საზოგადოებაში ცხოვრებისა და სოციალური ნორმების დაცვის უნარ-ჩვევებს გამოიმუშავებს. ამდენად, სოციალიზაცია აქტიური პროცესია, რომელშიც ადამიანის ცნობიერება და ნებელობა მონაწილეობს. მსგავსი რამ ცხოველთა სამყაროში არ არსებობს, რადგანაც ცხოველის ქცევა და მოქმედება ბიოლოგიურად წინასწარ დაპროგრამებულია, ადამიანები კი გარკვეულ სოციალურ გამოცდილებას საჭიროებენ იმისათვის, რომ კულტურული ღირებულებები აითვისონ და საზოგადოებაში თავი კომფორტულად იგრძნონ. სოციალური გამოცდილება ადამიანის ჩამოყალიბების აუცილებე-

ლი პირობაა. იგი ამ გამოცდილების შეთვისების გზით ყალიბდება. ადამიანი სოციალიზაციის პროცესში სოციუმის მიერ ხანგრძლივი ისტორიული და კულტურული გამოცდილების შედეგად შემუშავებულ ნორმებს შორის გარკვეულ არჩევანს აკეთებს: ზოგ ნორმას იღებს როგორც ის არის, ზოგს კიდევ უარყოფს. ამ უარყოფის პროცესში იგი შეიძლება ახალი ღირებულებების შემქმნელადაც მოგვევლინოს. ამიტომ, სოციალიზაციის პროცესი არსებული ტრადიციული მემკვიდრეობის ათვისებასთან ერთად სიახლესაც გულისხმობს, ანუ ამ აზრით, სოციალიზაცია ნოვაციურობის ტენდენციების მატარებელიც არის.

სოციალიზაციის პროცესი თვითობის შეგრძნებასაც გულისხმობს. საკუთარ ინდივიდუალობას, „მეობას“ ანუ თანამედროვე ტერმინებით რომ ვთქვათ, იდენტობას ადამიანი სოციალურ არსებად ჩამოყალიბების პროცესში შეიგრძნობს. ამ დროს ხდება თვითობის განვითარება.

სოციალიზაციის პროცესის სოციოლოგიური ანალიზი ადამიანის განვითარების ზოგადი ტენდენციების გათვალისწინებას მოითხოვს. ამ შემთხვევაში სახეზეა ორი ძირითადი მიდგომა: პირველი – საბუნებისმეტყველო – ბიოლოგიური, რომლის ცნობილი წარმომადგენელია ჩარლზ დარვინი. მან ადამიანის განვითარება მემკვიდრეობით მიღებულ ბიოლოგიურ კანონზომიერებას დაუქვემდებარა. ხოლო, მეორე მიდგომა ამ საქმეში სოციალურ გარემოს ანიჭებს უპირატესობას და ამიტომაც იგი სოციალურ-მეცნიერულ მიდგომადაა ცნობილი (მაგ. ბ. უოლსონი და სხვები). თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბიოლოგია მთლიანად უნდა ამოვიღოთ ადამიანის განვითარების პროცესიდან, რადგან ადამიანის განვითარების პირველი საფეხური ბიოლოგიურია, მეორე საფეხური კი სოციალური. სწორედ ამიტომ ვაიგივებთ ამ ორ საფეხურს და ვამბობთ, რომ ადამიანი ბიოსოციალური არსებაა. ბუნება ამ შემთხვევაში სოციალურის არსებობის ფიზიკური საფუძველია, ამიტომაც მას თავის მნიშვნელობას არ ვუკარგავთ სოციოლოგიაში. მაგრამ, ადამიანის სოციალიზაცია ბუნებაში არ ხდება, ეს პროცესი სო-

ციუმის პრეროგატივაა. ადამიანს ადამიანად სოციალური გარემო ანუ საზოგადოება აყალიბებს.

სოციალიზაციის თეორიები (ზიგმუნდ ფროიდი)

პიროვნების ფროიდისეული თეორია ფსიქოანალიზის სახელით არის ცნობილი, რომლის მიხედვითაც, პიროვნება სამ ერთობლივად მოქმედ სისტემას შეიცავს, ესენია: იდი, ეგო და სუპერეგო. იდი („იგი“) შეიცავს ბიოლოგიურ მოთხვნილებებსა და იმპულსებს, იგი ფსიქიკური ენერგიის წყაროა. იდს ამოძრავებს ორმაგი მიზანი – აირიდოს ტკივილი და მიიღოს სიამოვნება. ამ მიზანს იდი სურვილისმიერი აღსრულებითი ანუ მოთხოვნილების დაკმაყოფილების წარმოსახვით აღწევს. ამის საპირისპიროდ, ეგო („მე“) მემკვიდრეობითი მოთხვონილებებისა და საზოგადოებრივი ნორმების ერთმანეთთან შესათავსებლად, ინდივიდის გაცნობიერებულ ძალისხმევას წარმართავს. სუპერეგო („ზე მე“) არის ადამიანის პიროვნებაში განვითარებული და შეთვისებული კულტურული ნორმები და ღირებულებები. ის სინდისის ინდიკატორია და გვიხსნის თუ რატომ არ შეიძლება მივიღოთ ის რაც გვსურს. მისი ფორმირება მაშინ იწყება, როდესაც ბავშვი მშობელთა კონტროლს გააცნობიერებს და მიხვდება, რომ საზოგადოებრივი ღირებულებების გათვალისწინება აუცილებელია.

იდი და სუპერეგო ერთმანეთთან კონფლიქტში იმყოფებიან და თუკი მისი მოგვარება ბავშვობის ასაკში ვერ მოხერხდა, იგი შემდგომში იჩენს თავს რაც ფსიქიკურ აშლილობაში გამოიხატება. მესა და ზე-მეს კონფლიქტი – იგივე საზოგადოებისა და პიროვნების კონფლიქტია. მათ შორის კომპრომისს ფროიდმა სუბლიმაცია უწოდა. იგი ადამიანის ეგოისტური მისწრაფებების სოციალურად მისაღწევად გარდაქმნას გულისხმობს. ამის მაგალითია ოჯახის შექმნა (სუბლიმირებული სექსი), სპორტი (აგრესიის სუბლიმირება ხდება).

<u>პიროვნების კოგნიტური განვითარება (ჟან პიაჟე)</u>

შვეიცარიელმა ფსიქოლოგმა ჟან პიაჟემ ადამიანური კოგნიციის შესწავლის საფუძველზე პიროვნების განვითარების თეორია შექმნა. კოგნიცია, ამ შემთხვევაში, შემეცნებით და ინტელექტუალურ შესაძლებლობებს ნიშნავს. ამის მიხედვით, პიაჟემ პიროვნების კოგნიტური განვითარების ოთხი ეტაპი გამოყო: სენსომოტორული სტადია -ამ სტადიაზე ბავშვებს არათუ თავიანთი თავის აღქმის, არამედ საკუთარი არსებობის შეგრძნებაც კი არა აქვთ. ეს ადამიანის განვითარების ის დონეა, როდესაც იგი სამყაროს მხოლოდ შეიგრძნობს. ადამიანებთან და საგნებთან ინტერაქტის შედეგად ბავშვი რწმუნდება, რომ მისი გარემომცველი საგნები მუდმივია. ამას პიაჟე საგანთა მუდმივობის კონცეფციას უწოდებს, ამის მაგალითია ის, რომ ბავშვისათვის დედის არსებობა მუდმივობაა.

წინარე ოპერარინალური სტადია – დაახლოებით 2 წლის ასაკში ბავშვები წინარე ოპერარინალურ სტადიაში გადადიან, როდესაც ისინი პირველად იწყებენ ენობრივი და სხვა სიმბოლოების გამოყენებას. ამ შემთხვევაში მათ ჯერ კიდევ არა აქვთ ზომისა და მოცულობის შესახებ წარმოდეგნა, რომელიც აბსტრაქტულ აზროვნებას საჭიროებს. ამ უნარის განვითარება კი დაახლოებით 7 წლის ასაკიდან იწყება.

კონკრეტული ოპერაციების სტადია – დაახლოებით 7 წლის ასაკიდან იწყება.

კონკრეტული ოპერაციების სტადია – დაახლოებით 7-11 წლის ასაკიდან ბავშვებში უკვე მათ გარემომცველ სინამდვილეში არსებული მიზეზობრივი კავშირების აღქმა შეინიშნება. ამ სტადიაზე ისინი მხოლოდ ერთეული სიმბოლოებით ოპერირდებიან.

ფორმალური ოპერაციების სტადია – ამ სტადიაზე ინდივიდები აბსტრაქტულად და კრიტიკულად აზროვნებენ. იგი დაახლოებით 12 წლის ასაკიდან იწყება.

პიაჟემ პიროვნების სოციალიზაციის ფროიდისაგან განსხვავებული თეორია წარმოადგინა, რომელშიც გადამწყვეტი მნიშვნელობა აზროვნებას, გონების აქტიურობასა და შემოქმედებას ენიჭება. თუმცა არც იმის თქმა შეიძლება დანამდვილე-

ბით, რომ სოციალიზაციის ამ სტადიებს ადამიანი ნებისმიერ საზოგადოებაში აუცილებლად გაივლის. ამასთან, გასაზიარებელია პიაჟეს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ადამიანი თავისი კოგნიტური, ინტელექტუალური მონაცემებით საკუთარი იდენტობის, თვითობის ფორმირების პროცესის აქტიური და არა პასიური მონაწილეა.

<u>სოციალიზაცია, დაუსრულებელი პროცესი</u>

სოციალიზაციის პროცესში მორალური აზროვნების პრიმატის შესახებ ორიგინალური მოსაზრება აქვს გამოთქმული კოგნიტური ფსიქოლოგიის წარმომადგენელს ლორენს კოლბერგს, რომლის თანახმადაც, არსებობს მორალური განვითარების სამი დონე და ექვსი საფეხური. პირველი ორი საფეხური ძირითადად გვხვდება ბავშვებთან, რომლებსაც არ გააჩნიათ „კარგისა“ და „ცუდის“ ცნებები. ბავშვი ემორჩილება წესებს, რომ არ დაისაჯოს უფროსების მიერ. მესამე საფეხურზე მყოფი ადამიანი აცნობიერებს საზოგადოების აზრს და ცდილობს მოწონება და სიყვარული დაიმსახუროს. IV საფეხურზე ადამიანი აცნობიერებს საზოგადოების ინტერესებს და მასში ცხოვრების წესებს. ამ სტადიაში ადამიანს უყალიბდება ზნეობრივი ნორმები და ცნობიერება. იგი ,,თვითონ“ შეგნებულად, გაცნობიერებულად ხელმძღვანელობს იმ პრინციპებით, რომლებიც მისთვის არის მისაღები და მოსაწონი. V საფეხურზე ადამიანი სხვადასხვა ზნეობრივ შეხედულებას შორის წინააღმდეგობას აცნობიერებს. ერთის მხრივ, ხვდება რომ წესების უმრავლესობა ფარდობითია სიტუაციებთან მიმართებაში. ხოლო, მეორეს მხრივ, ხვდება იმას, რომ არსებობს ისეთი წესები, როგორებიცაა სიცოცხლის დაცვა, გადარჩენა, რადგან იგი ფიქრობს, რომ გაითვალისწინოს მორალის უზოგადესი კანონები მაინც და შესაბამისად მოიქცეს.

VI საფეხურზე მორალი გადადის მეორე პლანზე და ადგილს უთმობს ისეთ მცნებას, როგორიცაა სინდისი. ადამიანის შინაგანი მოთხოვნილება – სინდისად წოდებული, წარმართავს მის შემდგომ საქმიანობას. ისინი საკუთარი თავისაგანაც იგივეს მოითხოვენ, რასაც სხვებისგან.

ამით კოლბერგმა მხოლოდ დააზუსტა პიაჟეს ცალკეული დებულებები, თუმცა მისი კვლევები მხოლოდ ბიჭებს შეეხებოდა. ამ ფაქტმა მის კოლეგას კეროლ გილიგანს უბიძგა სოციალიზაციის პროცესში გენდერული ფაქტორის გათვალისწინებისაკენ. ამისათვის მან ბიჭებისა და გოგონების მორალურ განვითარებას მიაქცია ყურადღება და აღმოაჩინა, რომ ორივე მათგანი ქცევისა და შეფასების სხვადასხვა სტანდარტებს იყენებს, მიზეზი კი კულტურული განპირობებულობაა.

<u>სოციალიზაცია – ბავშვობა, მოზრდილობა</u>

ბავშვების და მოზრდილების სოციალიზაცია თავისთავად განსხვავდება ერთმანეთისაგან როგორც შინაარსით, ასევე ფორმით. ბავშვობაში ხდება საზოგადოების ღირებულებათა და ნორმათა სისტემაში შესვლა. მოზრდილობაში სოციალიზაციის ძირითადი სფეროებია: ოჯახი, სამუშაო ადგილი, თანატოლები (ახლობლების წრე).

სამუშაო ადგილი, პროფესია ინდივიდმა თავად უნდა აიჩიოს და დაეუფლოს მას. პროფესიის დაუფლების შემდეგ ხდება სამსახურეობრივი დაწინაურება, დაქვეითება, სამუშაოს შეცვლა, რომელსაც თან ახლავს ახალი ურთიერთობები. ადამიანი ახალ საზოგადოებაში ადაპტაციას საჭიროებს, რაშიც მას ეხმარებიან თანამშრომლები.

<u>ოჯახი</u>

მრავალი ცვლილება ოჯახურ ცხოვრებაშიც ხდება. ადამიანებს ქორწინებისას უწევთ ისეთ როლებთან ადაპტირება, როგორიცაა მეუღლისა და მშობლის როლი. მათ უწევთ ბევრი რამის დათმობა ერთმანეთისათვის, კომპრომისზე წასვლა, რადგან ორი აბსოლუტურად განსხვავებული ადამიანი ერთიანდება. ოჯახში ცოლისა და ქმრის ურთიერთობები თავდაპირველად ძალიან რთულია, რადგან სხვადასხვა ოჯახებს სხვადასხვა ღირებულებები გააჩნიათ და ბევრი შრომაა საჭირო პრობლემების დასაძლევად. ოჯახის ღირებულებები, დამოკიდებულებები და ცხოვრების წესი პიროვნებად აყალიბებენ ბავშვებს.

ისინი ოჯახის მეშვეობით ითვისებენ საკუთარი საზოგადოების კულტურას და სოციუმის წევრებად ყალიბდებიან. ოჯახში გადაეცემათ მათ გენდერული სტერეოტიპები (ქალის საქმე და კაცის საქმე), ისტორიული ცნობიერება და სხვა.

უახლეს სოციალურ გარემოში, ახლობელთა წრეში ადამიანები ახალ როლებს ირგებენ. ახალი გარემოცვა ერთი წრიდან მეორეში გადასვლისას გვხვდება. ადამიანი ერთხელ მაინც იცვლის გარეშემყოფთ და უწევს ახალი ცხოვრების სტილთან შეგუება.

<u>ერიკ ერიკსონის ფსიქოციალური სტადიები</u>

ემოციური მომწიფება, სოციალიზაციის მსგავსად, მთელი ცხოვრების მანძილზე მიმდინარეობს, იგი მასში შემავალი კომპონენტია. ცხოვრების გრძელი თუ მოკლე დროის განმავლობაში, უფრო უკეთ შევიმეცნებთ საკუთარ თავს და აქედან გამომდინარე, უფრო ადვილად ვუმკლავდებით საკუთარ პრობლემებს. პრობლემები ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, იგი შეიცავს კონფლიქტებს, წარუმატებლობებს და ზოგადად უარყოფით ემოციებს.

ერიკ ერიკსონმა ჩამოაყალიბა ფსიქოსოციალურ ცვლილებათა თეორია, რათა აღეწერა კონფლიქტის რვა სახეობა, რაც ადამიანის გაჩენიდან მის სიბერემდე წამოიჭრება. ერიკსონის აზრით, ყოველი ადამიანი თანმიმდევრობით გადის ამ სტადიებს, რომლებიც მთავარი კონფლიქტის ანუ საკუთარი რაობის პრობლემის გარშემო იყრის თავს. ინდივიდი დადებითად ან უარყოფითად გადაჭრის მის წინაშე მდგარ პრობლემას. პრობლემის დადებითი გადაწყვეტა ნიშნავს, რომ მან რაღაც სასიკეთო გააკეთა საკუთარი თავისათვის, რითაც წარმატება მოიპოვა. უარყოფითი კი ნიშნავს, რომ მას დაემატა ახალი პრობლემა, რომლის მოსაგვარებლადაც საჭიროა ახალი ძალისხმევა. ეს კი დაღს ასვამს მის მოლოდინებს. სტადიები რომლებიც ერიკსონმა ჩამოაყალიბა მოიცავს ხუთ საფეხურს ე.ი. მე-ს განვითარებას ბავშვობიდან მოზარდობამდე, რაც შეეხება VI-VIII სტადიებს, ეს უკვე მე-ს განვითარებაა ზრდასრულ ასაკში.

- პირველი სტადია მოიცავს ნდობას ან უნდობლობას. ეს სტადია ცხოვრების პირველ წელს მოიცავს, რაც იმაში გამოი-

ხატება კმაყოფილდება თუ არა სათანადოდ ახალშობილის მოთხოვნილებები. ერთი წლის შემდეგ ბავშვი რჩება ადამიანისადმი ნდობის ან უნდობლობის განცდით.

- მეორე სტადია, რომელიც 1 წლის განმავლობაში გრძელდება, მოიცავს საკუთარი ავტონომიურობის ან საკუთარ შესაძლებლობებში დაეჭვების განცდას. იგი გულისხმობს ბავშვის თვითკონტროლთან დაკავშირებულ განცდებს. ბავშვი ტოვებს ამ სტადიას დამოუკიდებლობის განცდით. ხოლო, თუ ამ სტადიის ძირეული პრობლემა დადებითად არ გადაიჭრა, დაურწმუნებლობა, ეჭვი და სირცხვილის გრძნობა მისი ცხოვრების თანამგზავრი ხდება.
- მესამე სტადია 3-დან 5 წლის ასაკის ბავშვი გადის. წამყვანი თემაა ინიციატივის ან ბრალეულობის განცდა. ამ სტადიაზე ბავშვი ფიქრობს თვითონ მოიმოქმედოს რამე. ამ სტადიას ბავშვი ტოვებს განცდით, რომ შეუძლია მიზნის დასახვა და მიღწევა, ან ბრალეულობის განცდით, რომ მიუღებელი და მიუღწეველი განიზრახა.
- მეოთხე სტადია მოიცავს 6-10 წლის ასაკში სიმარჯვის ან არასრულფასოვნების გრძნობებს. ეს სტადია მოზარდის შრომასთან დამოკიდებულებისა და საკუთარი შრომით მიღებულ კმაყოფილების ფაზაა, რომელსაც ბავშვი ტოვებს საკუთარი შესაძლებლობების დარწმუნების განცდით ან პირიქით – არაადეკვატურობის განცდით.
- მეხუთე სტადია – 11-12 წლის ასაკი – მოიცავს საკუთარი იდენტობის ან იდენტობის აღრევას. ამ სტადიაში მთავარია იდენტობის ან საკუთარი ვინაობის განცდის ჩამოყალიბება. ამ დროს ადამიანი იძენს „მე“-ს განცდას, მკაფიო იდენტობას და სახავს მომავალი ცხოვრების ნათელ გზებს. ან პირიქით, ვერ ახერხებს ჩამოიყალიბოს საკუთარი „მე“, უჩნდება უხერხულობის შეგრძნება.
- მეექვსე სტადია – 22-35 წლის ასაკი. ამ სტადიაზე მყოფი ადამიანები ცდილობენ სხვა ადამიანებთან დაახლოებას ან პირიქით, გაურბიან საზოგადოებას და თავის თავში იკეტებიან. პირველი კატეგორიის ადამიანები ადვილად ინტეგრირდებიან

საზოგადოებაში, რადგან მათ არ უჭირთ კონტაქტი სხვა ადამიანებთან, ადვილად გამოსდით გრძნობებისა და აზრების გაზიარება. ხოლო, მეორე ტიპი – გაურბის სხვა ადამიანებთან სიახლოვეს და უბრალო, ზედაპირული ურთიერთობებით შემოიფარგლება.

- მეშვიდე სტადიაზე, 36-65 წლის ადამიანის მთავარი დანიშნულებაა ქმედითუნარიანობა ან სტაგნაცია. ადამიანი ამ ასაკში პროდუქტიულია, პირველი ტიპის ადამიანს შესწევს უნარი თავისი თავი გამოავლინოს სოციუმში და დაიმკვიდროს წამყვანი პოზიცია. მეორე ტიპის ადამიანები კი, მიჰყვებიან ცხოვრების დინებას და არ აქვთ მიზანსწრაფულობა.
- საბოლოო სტადია – 65 წლის ასაკი და ზემოთ ინტეგრირებულობას ან სასოწარკვეთილებას ეხება. პირველნი ამაყობენ განვლილი ცხოვრების გზით, ეხმარებიან შვილებს, ზრდიან შვილიშვილებს და ადვილად ეგუებიან დაბერებას. მეორე კატეგორია, რომელიც ფიქრობს რომ მისმა ცხოვრებამ ფუჭად ჩაიარა, განიცდის დაბერებას და შედარებით აგრესიულია.

<u>რესოციალიზაცია და დესოციალიზაცია</u>

მართალია სოციალიზაციას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბავშვობის ასაკში, მაგრამ სოციალური და კულტურული ღირებულებებისა და ნორმების ათვისების პროცესი მთელი სიცოცხლის მანძილზე გრძელდება. სოციალური სამყარო ათასგვარ ოინებს გვიწყობს და ყოველდღიურად ახალ-ახალ როლებს გვთავაზობს, რომელთა ათვისება ან უარყოფა ზრდასრულ ასაკში სოციალიზაციის აუცილებელი მახასიათებელია. აბა გავისხსენოთ კარგად, მანამდე უცნობი რამდენი რამის „დასწავლა“ მოახერხა თითოეულმა ჩვენგანმა?

სოციალიზაციის უკანასკნელი ტიპი, რომელიც მთლიანად ადამიანის გამოცდილებაზეა დამყარებული, ისეთ ტოტალურ ინსტიტუტებთან არის დაკავშირებული, როგორებიცაა ციხე, საპყრობილე – გარემო პირობა, რომლის დროსაც ადამიანი საზოგადოებისაგან იზოლირებულია და მისი მოქმედებები ციხის ადმინისტრაციის მიერ იმართება. თანამედროვე ამერიკელი

სოციოლოგის ირვინგ გოფმანის მიხედვით, ტოტალურ ინსტიტუტებს სამი არსებითი ნიშანი ახასიათებთ: 1) აბსოლუტურად ყველასა და ყველაფრის კონტროლი, თვით სიზმრების ჩათვლითაც კი; 2) ტოტალური ინსტიტუტის საყოფაცხოვრებო სფერო აბსოლუტურად სტანდარტიზირებულია. ტანსაცმელი, საჭმელსასმელი და სხვა ყველასათვის ერთნაირია; 3) პატიმარს სხვები კარნახობენ სად, როდის ან როგორ მოეპყრას საკუთარ თავს. ამ ინსტიტუტებს ერთი მიზანი აქვთ მოახდინონ პიროვნების რესოციალიზაცია, მკაცრი კონტროლის გზით პატიმრის პიროვნების რადიკალური შეცვლა. რესოციალიზაცია ორმაგი პროცესია. ის არსებული იდენტობის წაშლას და ახლის ჩამოყალიბებას გულისხმობს. ზოგი პატიმარი ახერხებს ამას, ზოგი კი ვერ ახერხებს და „მარადიულ ტუსაღად“ რჩება. შესაბამისად, საკითხი დგას შემდეგნაირად, ამდიდრებს კი სოციალიზაცია ჩვენს პირვნებს თუ აუკუღმართებს მას?

ახალ ცხოვრებაში სოციალიზაციის პროცესის სიძნელე კარგად უწყიან აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილებმა. მათ განცდას ალბათ კარგად გამოხატავს 1970 წელს ამერიკაში დასახლებული ლაოსელი ემიგრანტის სიტყვები, რომელიც მოულოდნელად ტრადიციული საზოგადოებიდან მაღალტექნოლოგიურ, ჰეტეროგენულ საზოგადოებაში აღმოჩნდა: „თავს ისე ვგრძნობ, როგორც საგანი, რომელიც ცეცხლში ჩაგდებისას არ იწვის და წყალში მოხვედრისას დინებას მიჰყვება“. აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილთა დიდმა ნაწილმა, სამწუხაროდ, ვერ მოახერხა სოციალიზაცია და სიცოცხლე ტრაგიკულად დაამთავრა.

სოციალურობის განცდის გაქრობას დესოციალიზაცია ჰქვია. პიროვნების დესოციალიზაცია ტოტალური ინსტიტუტების ნიშანთვისებაა. ისინი ანგრევენ პიროვნების სოციალურ მეს და ამიტომაც სოციალურად საშიშ მოვლენას წარმოადგენენ. სწორედ ამაში გამოიხატება ტოტალიტალური საზოგადოების ანტისოციალური ბუნება.

თავი III
საკუთარი მე

თითოეულ ჩვენთაგანს აქვს „მე“-ს შეგრძნება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გრძნობა იმისა, რომ გვაქვს განსაზღვრული იდენტობა, რაც განგვასხვავებს სხვა ადამიანებისა და საგნებისაგან. ინდივიდუალურობის გრძნობა შეიძლება იყოს სუსტიც და ძლიერიც, მაგრამ არა თანდაყოლილი. უფრო მეტიც – სოციალიზაციის პროცესში სხვებთან ურთიერთობისას ჩვენ აქტიურად ვავითარებთ „მე“-ს გრძნობას, ვსწავლობთ, თუ როგორ უნდა გავხდეთ კონკრეტული ჯგუფის წევრები. როგორც სოციოლოგი ჩარლზ ჰორტინ ქული ამბობს: „თვითობა და საზოგადოება განუყოფელია“

<u>სარკისებური „მე“ (ქული)</u>

საკუთარ ბავშვობაზე დაკვირვების შედეგად, ქულიმ განავითარა სარკისებული „მე“-ს თეორია. მისი აზრით, ჩვენ ვიძენთ თვითობის გრძნობას საკუთარი თავის დანახვით. ამ დროს ვაცნობიერებთ, თუ რა დამოკიდებულება აქვთ ჩვენს მიმართ და როგორ გვექცევიან, რას ფიქრობენ ჩვენზე სხვები. ამგვარად, გარშემომყოფები ასრულებენ ერთგვარი სარკის დანიშნულებას თითოეულის შეფასებისას. სარკისებური თვითობა სამი ნაწილისაგან შედგება: 1) რას ვფიქრობთ იმაზე, თუ რას ხედავენ სხვები ჩვენში; 2) ჩვენი წარმოსახვით როგორ აფასებენ ისინი იმას, რასაც ხედავენ; 3) რას განვიცდით ამ შეფასებებისა და განსჯის მიმართ.

განვიხილოთ ახალგაზრდა ბიჭის მაგალითი, რომელიც ფიქრობს, რომ მის კლასელებს იგი მიაჩნიათ ტვინიკოსად, რაც მისი აზრით „მოსაწყენთან“ და „დედიკოს ბიჭთან“ ასოცირდება. აქედან გამომდინარე, ბიჭი თავს ცუდად გრძნობს, რადგან თავს თანატოლებისაგან გარიყულად აღიქვამს. იმ შემთხვევაში კი, თუ იგივე ბიჭი ფიქრობს, რომ „ტვინიკოსთან“ მისი დაკავშირება გულისხმობს თანატოლების მისით აღტაცებას, ბიჭს უჩნდება სიამაყის გრძნობა და თვლის, რომ ის მაღლა დგას თავის თანატოლებზე.

სარკისებური „მე“ არ არის სხვა ადამიანების მოსაზრების პირდაპირი ასახვა. მათი მოქმედებებისა და სიტყვების მიხედვით გარეშემომყოფების მოსაზრების ამოცნობა, წიგნში ამოკითხული სრული აღწერისაგან საკმაოდ განსხვავდება. საკუთარი თავის გამოხატულება, რომელსაც ჩვენ სხვების მეშვეობით აღვიქვამთ, წარმოადგენს ჩვენს საკუთარ ინტერპრეტაციას, რომელიც ეფუძნება ჩვეულ მოლოდინებს, არჩევანსა და ღირებულებებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის რასაც სარკეში ვუყურებთ, ნაწილობრივ ჩვენი ქმნილებაცაა.

მიდი: თვითობა, როგორც I და Me (სუბიექტური და ობიექტური „მე“)

ქულის თანამედროვე ჯორჯ ჰერბერ მიდი იკვლევდა თვითშეგნების ნიშნებს ადრეული ბავშვობის სოციალურ ურთიერთობებში. მისი მტკიცებით, თვითობა შედგება ორი ნაწილისაგან. სუბიექტური და ობიექტური „მესგან“. სუბიექტური „მე“ არის ფიქრებისა და ქმედებების ინიციატორი. ხოლო, ობიექტური „მე“ არის ის როგორც განვიხილავთ სხვების მიერ დანახულ საკუთარ თავს.

საბავშო თამაშები ამძაფრებს განსხვავებას სუბიექტურ და ობიექტურ „მე“-ს შორის. მცირეწლოვანი ბავშვები დიდ როლს უთმობენ როლებს. ამ დროს საკუთარ წარმოსახვაში ისინი არიან ექიმები, პოლიციელები, მეხანძრეები ან გამოგონილი პერსონაჟები მაგ.: კონკია. ხშირ შემთხვევაში ბავშვები ირჩევენ იმ ადამიანების როლების შესრულებას, რომლებიც მნიშვნელოვანნი არიან მათ ცხოვრებაში. ამ ადამიანებს სოციოლოგები „მნიშვნელოვან სხვებს“ უწოდებენ. ბავშვებს განსაკუთრებით მოსწონთ ისეთი თამაშები, სადაც ისინი ასრულებნენ დედის როლს, რომელიც უვლის ბავშვებს; მამის როლს, რომელიც შენიშვნას აძლევს შვილს ცუდად მოქცევის გამო ან მასწავლებლის როლს, რომელიც გაკვეთილს უხსნის მოსწავლეებს კლასში. ამგვარი თამაშები საშუალებას აძლევს ბავშვებს, დაინახონ საკუთარი თავი სხვა ადამიანების თვალით. მიდის აზრით, ბავშვები ასაკის მატებასთან ერთად თანდათან სწავლობენ – შეასრულონ არა მარტო

„მნიშვნელოვანი სხვების“ როლი, არამედ „განზოგადებული სხვების“ როლიც. ახლა ისინი უკვე იწყებენ ფიქრს საკუთარი მოქმედებების შესახებ. სწავლობენ, რომ დახველებისას საჭიროა პირზე ხელის აფარება, არა იმიტომ, რომ რომელიმე კონკრეტულმა პირმა უთხრა მათ ამის შესახებ, არამედ იმიტომ, რომ ზოგადად ადამიანები თავიანთი მოქმედებებითა თუ სიტყვებით მიუთითებენ, რომ ეს კარგი საქციელია. ამგვარად ბავშვები თანდათანობით აფასებენ საკუთარ თავს კულტურული ნორმებისა და ღირებულებების თვალსაზრისით.

<u>მე – კონცეფცია</u>

მე – კონცეფცია არის პიროვნების რწმენები საკუთარ პიროვნულ ღირებულებებზე. მე – კონცეფცია რომ გვქონდეს უნდა გვქონდეს სელფი. **<u>სელფი</u>** ესაა ფუნდამენტური ნაწილი ყველა ადამიანისა. ჰკითხეთ ნებისმიერ დამიანს ვინ არის ის და რასაც ის ჩამოთვლისას ჩამოაყალიბებს თავის თავზე ის სელფის დამახასიათებელი თვისებები იქნება.

<u>თვითაღქმა</u>

დარილ ბემმა ჩამოაყალიბა თვითაღქმის თეორია, რომლის შინაარსი შემდგომში მდგომარეობს: ჩვენს თავზე ინფორმაციას ვიღებთ და საკუთარ თავს ვსწავლობთ ჩვენს მიერ განხორციელებული ქცევებიდან მაშინ, როცა შინაგანი დარწმუნება სუსტია. განხორციელებული ქცევების გარდა წარმოდგენითმა ქცევამაც შეიძლება მოგვაწოდოს ჩვენს თავზე ინფორმაცია და მოახდინოს ჩვენზე გავლენა. ექსპერიმენტი ჩაატარეს სპორცმენებზე კერძოდ ველოსიპედისტებზე. ერთი ჯგუფი გაავარჯიშეს შეჯიბრებამდე, მეორე ჯგუფს უთხრეს, რომ წარმოედგინათ თითქოს ველოსიპედზე ისხდნენ, ხოლო მესამე ჯგუფი საკონტროლო ჯგუფი იყო. როგორც აღმოჩნდა, მათ ვინც ავარჯიშეს და ვინც წარმოიდგინა, ბევრად მაღალი შედეგები აჩვენეს, ვიდრე საკონტროლო ჯგუფის წევრებმა. კიდევ ერთი თეორია თვითგანსხვავების თეორიაა, რომელიც ჰიგენსს (Higgens) ეკუთვნის, რომლის მიხედვითაც, ადამიანებს აქვთ სურვილი

შეადარონ არსებული თვითობა (სელფი) იდეალურს. ჰიგენსი შედარებისათვის იყენებს მხოლოდ საკუთარ თავს და ერთმანეთს ადარებს 1) იმას რაც ამჟამად არის 2) იმას როგორიც უნდა რომ იყოს. თუ ამ ორ სელფს შორის განსხვავება დიდია, ადამიანს მით უფრო ექმნება ფსიქოლოგიური დისკომფორტი. თვითაღქმა მოტივაციაზეც ახდენს გავლენას.

სელფზე დასკვნა გამოგვაქვს ჩვენი ფიქრებიდან და გრძნობებიდან. არა იმიტომ, რომ არავინ გვიცნობს ისე, როგორც ჩვენ ვიცნობთ საკუთარ თავს, არამედ იმიტომ, რომ ჩვენთვისაა ხელმისაწვდომი შინაგანი რეაქციები, ჩვენი გრძნობები და ფიქრები. თვითაღქმის თეორია თვლის, რომ ქცევიდან დასკვნის გამოტანას მხოლოდ მაშინ ვცდილობთ, როცა საკმარის ინფორმაციას ვერ ვიღებთ გრძნობებიდან და ფიქრებიდან.

სოციალური შედარება – ერთ-ერთი რესურსია, რითაც ჩვენს თავზე ვაკეთებთ დასკვნებს. ეს თეორია ლეონ ფესტინჯერს ეკუთვნის, მისი აზრით ადამიანებს აქვთ მიდრეკილება სოციალური შედარებისაკენ. ადამიანები საკუთარ თავს თავისსავე მსგავს ადამიანებს ადარებენ. მაგ. მოჭადრაკე ყოველთვის ითვალისწინებს მოწინააღმდეგის შესაძლებლობებს და შესაბამისად აფასებს მას. სხვებისა და საკუთარი თავის შეფასებები განსხვავებულია, იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ უკეთ ვიცით ჩვენი შესაძლებლობები როგორც გონებრივი ასევე ფიზიკური, სხვების კი ნაკლებადაა მისაწვდომი ჩვენთვის, აღნიშნული თავისავად გავლენას ახდენს ჩვენზე. აქედან გამომდინარე, ,,ატრიბუტიაც“ განსხვავებულია. ადამიანებისათვის დამახასიათებელია ,,ატრიბუციის ფუნდამენტური შეცდომა“, რომელიც ასე ყალიბდება: როცა ნეგატიურ მოვლენას, ქცევას ვხსნით ჩვენი ქცევების ასახსნელად ხშირად ვიყენებთ გარეგან ექსტერნალურ ატრიბუციას, ხოლო სხვების ქცევის ასახსნელად – ინტერნალურს ანუ შინაგანს. ამ შემთხვევაში მოქმედებს მოქმედ-დამკვირვებლობის ეფექტიც, როგორც დამკვირვებელი ყურადღებას ვამახვილებთ გარეგან ფაქტორებზე, ხოლო როგორც მოქმედი პირი, ყურადღების მიღმა გვრჩება გარეგანი ფაქტორები და შინაგანზე ვკონცენტრირდებით.

ადამიანები თავს ხედავენ ან წარმოიდგენენ სხვადასხვა სიტუაციებში, როლებში, აქტივობებში რაც მიანიშნებს იმაზე, რომ ჩვენ გვაქვს ბევრი სელფი. ადამიანებს განსხვავებული წარმოდგენები აქვთ სელფის რაოდენობაზე. მას ვისაც მეტი როლი აქვს და მრავალფეროვან სიტუაციებში ხვდება – მისი სელფების რაოდენობა უფრო „ფართოა“. ხოლო ადამიანს, რომელსაც ნაკლები როლები აქვს – მისი წარმოდგენები მცირე რაოდენობის სელფებს მოიცავს.

<u>თვითპრეზენტაცია</u>

თვითპრეზენტაცია ეწოდება იმ ხერხებსა და მეთოდებს, რომლებიც ჩვენს მიერ იმართება, რომლებსაც ჩვენ ვაკონტროლებთ, ვმალავთ და ვავრცელებთ. სოციოლოგ ირვინგ ჰოფმანის თეორიის მიხედვით, ყველა პირისპირ წარმოებულ ინტერაქციაში არის შთაბეჭდილების მართვის მომენტი. ყოველი ადამიანი ფიქრობს გავლენა მოახდინოს სხვა ადამიანებზე, იმგვარად, რომ კარგი შთაბეჭდილება დატოვოს მათზე. საზოგადოდ, ადამიანები ერიდებიან თავიანთი უარყოფითი მხარეების გამომჟღავნებას, რადგან ეს თავისთავად შექმნის უარყოფით შთაბეჭდილებას მათზე. ადამიანები ყოველთვის ცდილობენ დადებითი შთაბეჭდილების მოხდენას საზოგადოებაზე, რასაც შთაბეჭდილებების მართვა ეწოდება მაგ. ფიზიკური ანტურაჟი. ადამიანები შთაბეჭდილების მოხდენის მიზნით ხშირად მიმართავენ „ეშმაკობებს“, რაც გამოიხატება იმაში, რომ კაბინეტში გამოკრული აქვთ დიპლომები, სერთიფიკატები, მისაღები ოთახი თანამედროვე ავეჯითაა გაწყობილი. რაც შეეხება გარეგნობას, იგი შესაბამისობაშია დაწყებული თმის ვარცხნილობით, დამთავრებული ჩაცმის სტილით. ყველაფერი ეს კეთდება იმისათვის, რომ ადამიანები დარწმუნდნენ თავის კომპეტენციაში და დადებითი შთაბეჭდილება შეუქმნან სხვა ადამიანებს.

<u>თვითშეფასება</u>

პიროვნების ფსიქოლოგიაში დიდი ყურადღება ექცევა თვითშეფასებას, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია

პიროვნების ჩამოყალიბებაში. ყოველი ადამიანი თავისი თავის შესახებ იქმნის რაღაც წარმოდგენას, რეალურს თუ წარმოსახვითს. იცის თუ რა თვისებები გააჩნია, რა შეუძლია და რა არა. ასევე, იგი თავის თვისებებსა და უნარებს აფასებს პოზიტიური და ნეგატიური კუთხით. ეს არის ადამიანის თვითშეფასება, რომელიც არსებით გავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრებაზე, ზოგადად მის აწმყოსა და მომავალზე. ინდივიდი მოქმედებს იმ თვითშეფასების თანახმად, რაც მას გააჩნია საკუთარ თავზე. სწორედ ამიტომ მიიჩნევენ მას მნიშვნელოვან ზემოქმედებით ფაქტორად. თვითშეფასების უამრავი განმარტება არსებობს და ისინი თითქოს ავსებენ ერთმანეთს. თვითშეფასება ეს არის ადამიანის დამოკიდებულება საკუთარი შესაძლებლობებისადმი, საკუთარი პიროვნული თვისებებისა თუ გარეგნობისადმი. მეორე განმარტების თანახმად, რომელიც ზიმბარდო გერიგს ეკუთვნის: „ადამიანის თვითშეფასება წარმოადგენს „მე“-ს გენერალიზებულ შეფასებას.“ კუპერ სმიტის განმარტების თანახმად: „თვითშეფასება არის ადამიანის დამოკიდებულება საკუთარი თავისადმი, რომელიც იქმნება თანდათანობით და იძენს ჩვეულ ხასიათს. ის გამოიხატება როგორც მოწონება ან არმოწონება; ესაა ინდივიდის დარწმუნებულობის დონე საკუთარი თავის ღირებულებებსა და მნიშვნელოვნებაში. როზენბერგის აზრით კი, თვითშეფასება გამოხატავს ინდივიდის თვითპატივისცემის განცდას საკუთარი ღირებულებების შეგრძნებისადმი და პოზიტიური დამოკიდებულების განვითარების დონეს იმ ყველაფრის მიმართ, რაც შედის „მე“-ს სფეროში. ზემოთმოყვანილი მაგალითები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის თვითშეფასების მნიშვნელობის შესახებ.

თვითშეფასება შეიძლება იყოს სწორი, ობიექტური – როდესაც ადამიანს საკუთარ თავზე ადეკვატური წარმოდგენა აქვს, ანუ იგი შეესაბამება სინამდვილეს. ხშირ შემთხვევებში ადამიანებს გადაჭარბებული წარმოდენები აქვთ საკუთარ თავზე, რომელიც რეალობას არ შეეფარდება ანუ სუბიექტური. ამ შემთხვევაში თვითშეფასება არასწორია. თვითშეფასება ასევე შეიძლება იყოს დაბალი, შემცირებული რაც ადამიანს ურთუ-

ლებს სიცოცხლეს. მაგალითად, ამის ნათელი გამოხატულებაა, როდესაც ადამიანი არის ფიზიკურად ლამაზი, მაგრამ ოდნავ სიმსუქნისკენ მიდრეკილი, მას მთელი ცხოვრება აწუხებს კომპლექსი, რომ ის მსუქანია. ან, როდესაც ბავშვი კარგად სწავლობს და მშობელი მუდამ უკმაყოფილოა შედეგით, ბავშვს უჩნდება არასრულფასოვნების კომპლექსი. რა თქმა უნდა, თვითშეფასების ობიექტურად ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი მშობლებსა და ახლობლებს აკისრიათ. ძალზე მნივშნელოვანია ბავშვში ჩამოვაყალიბოთ სრულფასოვნების ობიექტური ხედვა, რადგან არასრულფასოვნების შეგრძნება აბრკოლებს პიროვნების განვითარებას და ჩამოყალიბებას.

თვითშეფასების, როგორც მაღალ ასევე დაბალ დონეს აქვს უარყოფითი მხარეები. ადამიანი, რომელსაც აქვს დაბალი თვითშეფასების დონე ნაკლებად აქტიურია, საკუთარ თავში დარწმუნებულობა და მოტივაციის დონეც იკლებს. ხოლო ადამიანს, რომელსაც მაღალი თვითშეფასების დონე აქვს და ჰგონია, რომ მუდმივად მართალია, თვითონ არასოდეს ცდება და დიდი შესაძლებლობების მქონეა, ასეთ ინდივიდები ნარცისიზმით არიან შეპყრობილები.

თვითშეფასება არის საკმაოდ მერყევი. ის არასტაბილურია დაწყებული 9 წლის ასაკიდან დამთავრებული გარდატეხის ასაკით. თვითშეფასება 20 წლის ასაკში სტაბილურობას აღწევს. ხოლო, 60 წლის ასკში კვლავ არასტაბილური ხდება.

თვითშეფასებაზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანის ცხოვრების დონე და მისი ადგილი სოციუმში, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ადამიანი, რომელიც დაუმსახურებლად ხვდება თანამდებობაზე, მისი თვითშეფასება კოლოსალურად იზრდება და ის ფიქრობს, რომ მან დაიმსახურა ეს თანამდებობა. ადამიანი წარმატების ან წარუმატებლობის მიხედვით იცვლის თვითშეფასებასაც. დაცემის შემთხვევაში ანუ წარუმატებლობისას ინდივიდი ნაკლებად მიდრეკილია იზრუნოს საკუთარი განწყობის შექმნასა და რეგულაციაზე, ამ დროს თვითშეფასებაც იკლებს.

ნებისმიერი წარუმატებლობა სტრესთან არის დაკაშვირე-

ბული და მასთან გამკლავებაც ინდივიდუალურია. სტრესი ჩვენს სელფს ძლიერ დარტყმას აყენებს და ბუნებრივია უარყოფითად მოქმედებს თვითშეფასებაზეც, რადგან იგი არის ნეგატიური უკუკავშირი. შექმნილი ნეგატიური სიტუაციები, ყოველდღიური წერუმატებლობები დიდ ზიანს აყენებს ადამიანს, განსაკუთრებით კი ის მოვლენები და პრობლემები, რომლებიც მის კონტროლს არ ექვემდებარებიან.

თვითშეფასება მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანის ცხოვრებაში, რადგან სწორედ თვითშეფასებით მოქმედებს იგი ჯგუფში, ოჯახში, კოლექტივში. სწორი, ობიექტური თვითშეფასება მისივე წარმატების საწინდარია.

თავი IV
გენდერის სოციალური კონსტრუქცია

ტერმინი „გენდერი“ მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან „გენოს“ – დაბადება, წარმოშობა, ჯიში, გვარი, შთამომავალი, სქესი. ტერმინი სქესი კი ასახავს ბიოლოგიურ განსხვავებას, რომელიც რეპროდუქციულ ფუნქციას ეხება.

ნებისმიერი საზოგადოება იყენებს გენდერს როგორც პრინციპს, რომლის მიხედვითაც არის გადანაწილებული მოვალეობები და ჯილდოები ქალისა და მამაკაცის როლებად სოციალურ ცხოვრებაში. ტანსაცმლიდან დაწყებული – კარიერის არჩევით დამთავრებული ქალები და მამაკაცები განსხვავებულნი უნდა იყვნენ.

მარგარეტ მიდი წერდა: „ბევრი თვისება თუ ყველა არა, რომელსაც ქალურს ან მამაკაცურს უწოდებენ ისევე ნაკლებად არის დაკაშვირებული სქესთან, როგორც ტანსაცმელი, მანერები ან თავსაბურავი, რასაც საზოგადოება დროის გარკვეულ მონაკვეთში ამა თუ იმ სქესს მიაწერს. გადამწყვეტ როლს აქ საზოგადოება ასრულებს.“

<u>გენდერული როლები და სტერეოტიპები</u>

გენდერული სტერეოტიპები მკაცრად დეტერმინირებულია იმ კულტურული ფესვებით, რომელშიც იმყოფება ესა თუ ის საზოგადოება, რადგან სხვადასხვა კულტურები სხვადასხვა „რაღაცეებს“ მიიჩნევენ ქალისა და მამაკაცის მახასიათებლებად. არ არსებობს კაცურის ერთი განსაზღვრება, მაგრამ ყველა საზოგადოება ასხვავებს ქალურსა და მამაკაცურს. ისტორიულად კაცები დომინირებდნენ, რადგან ფიზიკურად უფრო ძლიერები იყვნენ – ეს ბიოლოგიური განსხვავებაა. რაც უფრო დიდხანს გრძელდებოდა ეს დომინანტური მდგომარეობა, მით უფრო მეტი საშუალება ჰქონდა კაცს და უფრო იზრდებოდა არათანაბარუფლებიანობა. კაცების დომინანტურობა სოციალური სტრუქტურის შემადგენელი ნაწილი გახდა, რასაც კულტურული ნორმები და ღირებულებებიც უწყობდა ხელს.

გენდერული როლები და სტერეოტიპები აძლიერებენ ერ-

თმანეთს. სტერეოტიპები ასახავენ იმას, თუ რას უნდა აკეთებ-დნენ სხვადასხვა სქესის წარმომადგენლები. ყოველდღიური ხილვა იმისა, რომ ადამიანები ტრადიციულ საქმიანობას ეწევიან, აძლიერებს იმ აზრს, რომ გენდერული სტერეოტიპები ღირებულია. მაგ.: ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მამაკაცები უფრო ძლიერები და მებრძოლები არიან. ამიტომ, ისინი მეტწილად ძალოვან სტრუქტურებაში მუშაობენ მაგ. პოლიციაში, თავდაცვის სტრუქტურაში და ა.შ. მართლაც, პოლიციელების უმეტესობა მამაკაცები არიან. შესაბამისად გამოგვაქვს დასკვნა, რომ ჩვენი სტერეოტიპები მართებულია. რადგან, ჩვენ იშვიათად ვხედავთ ქალებსა და კაცებს არატრადიციულ როლში, ნაკლებად გვაქვს შანსი შევცვალოთ შეხედულებები. ამგვარად, ჩვენ მიგვაჩნია, რომ პოლიციელი ქალი ან უმუშევარი მამაკაცი მხოლოდ გამონაკლისის სახით გვხვდება. თუმცა იმ რეალობაში, როდესაც ქალები იწყებენ მამაკაცის საქმის შესრულებას და იგივე წარმატებით ართმევენ თავს პოლიციელის მოვალეობას, ან თუნდაც პოლიტიკაში აქტიურად ებმებიან ან სულაც ხდებიან ოჯახის მარჩენლები, ეს სტერეოტიპი სადაო ხდება. აღნიშნულს ადასტურებს თანამედროვე საქართველოში მომხდარი მაგალითიც, როდესაც მამაკაცებმა შეიტყვეს, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრი ქალი გახდა მათ დაბნეულობას საზღვარი არ ჰქონდა. მათი რეაქცია ასეთი იყო: „კაცი გაწყდა ქალი, რომ არ დაენიშნათ?“ ,,ნუთუ საქართველოში კაცი გამოილია?“ ,,რა შეუძლია ქალს?“ და ასე შემდეგ. სწორედ ეს მაგალითი მიგვანიშნებს როლებრივ კონფლიქტზე. როლების კონფლიქტი პრობლემებს წარმოშობს იმ ქალებისათვის, რომლებიც ცდილობენ დედობა და კარიერა ერთმანეთს შეუთავსონ. ის ქალები, რომლებიც წარმატებით ართმევენ თავს ორივე საქმიანობას, მაინც იშვიათად გვხვდებიან წამყვან პოზიციებზე. ამ დროს როგორია კაცის მდგომარეობა? მამობა სულაც არ ქმნის ბარიერს კარიერული წინსვლისათვის. უფრო მეტიც, მამობა ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს მისი მყარი პოზიციისათვის საზოგადოებაში. წარმატებული მამაკაცი ოჯახიანად მოიაზრება, რაც შეეხება ქალებს – ეს წინააღმდეგობრი-

ვია. ქალი, რომელიც კარიერულ წინსვლას ამჯობინებს ოჯახს და ბავშვს გარიყულად ითვლება საზოგადოებისაგან, რაც შემდგომში გაკილვის საგანი ხდება: გათხოვილიყო, ერთი ბავშვი გაეჩინა, არ იცოდა, რომ დაბერდებოდა და ასე შემდეგ. მაშინ როცა, ოჯახი კაცისათვის აუცილებელია კარიერულ წინსვლაში, ქალისათვის – იგი ხელისშემშლელი ფაქტორია.

როლების კონფლიქტის შედეგად უფრო მეტ სტრესს განიცდიან ქალები. სტრესის მთავარ წყაროს ქალებისათვის კაცები წარმოადგენენ, თუმცა არ შეიძლება ითქვას, რომ კაცები არ განიცდიან სტრესს. მათი მთავარი წყარო სტრესისა არის წარუმატებლობა: სამსახურში, ბიზნესში, პოლიტიკაში და ა.შ. გენდერული სტერეოტიპები ხელს უშლიან მამაკაცებს გამოხატონ სითბო, სიყვარული, სინაზე და თანაგრძნობა მეუღლესთან მიმართებაში. კაცები ფიქრობენ, რომ ამ კომპონენტების გამოვლენა სისუსტის მანიშნებელია, ისინი ხომ არიან ,,ძლიერნი ამა ქვეყნისა“. ალბათ ამიტომაც, ირჩევენ თავის დასამკვიდრებლად და ოჯახში უფროსობის განსამტკიცებლად სიმკაცრეს, რაც ხშირად ძალადობაში გადაიზრდება ხოლმე.

ორივე სქესის წარმომადგენლები ხშირად თანხმდებიან გენდერული როლების სტერეოტიპული მოდელის არასრულფასოვნებაზე და აქვთ ნეგატიური დამოკიდებულება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ორმხრივი უკმაყოფილებისა იგი არ იცვლება. კაცების უმრავლესობა ისევ ირჩევს ტრადიციულად მამაკაცურ საქმიანობას. ქალების უმრავლესობა ისევ უვლის ოჯახს, მეუღლესა და შვილებს, მაშინაც კი, როცა იგი მუშაობს სრული დატვირთვით.

<u>გენდერი და ფემინიზი</u>

ფემინიზმი (ფრ. Feminism ლათინური femina ქალი) არის ქალებისა და მამაკაცების უფლების გათანაბრებისათვის წარმოებული ფართო მოძრაობისა და სოციალურ-პოლიტიკური თეორიის საერთო სახელწოდება. ფემინისტური მოძრაობა მიზნად ისახავდა ქალებისათვის საარჩევნო უფლებების მოპოვებას. ფემინიზმის აღორძინება XIX საუკუნის მეორე ნახევარში ინ-

გლისში დაიწყო. მოგვიანებით კი გავრცელდა ამერიკაში, გერმანიაში და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

XX საუკუნის 70-იან წლებში წარმოიშვა საზოგადოებაში ქალთა ჩაგვრისა და დისკრიმინაციის მიზეზებისადმი სოციალურ კულტურული ანუ ე.წ. გენდერული მიდგომის ტრადიცია. ამ თეორიულ მუშაობას, როგორც დასავლეთში მიაჩნიათ, საფუძველი ჩაუყარა ფრანგმა ფილოსოფოსმა-ეგზისტენციალისტმა სიმონა დე ბოვუარმა თავის ნაშრომში „მეორე სქესი". სწორედ აქ დაისვა პირველად საკითხი კულტურაში ფემინურის – ქალურის დათრგუნვის შესახებ. მასში ნაჩვენებია, რომ საზოგადოება აკანონებს მამაკაცურს (მასკულინურს), როგორც პოზიტიურ კულტურულ ნორმას, ხოლო ქალურს (ფემინურს), როგორც ნორმიდან გადახრას.

ქეით მილეთი თავის ნაშრომში „სექსუალური პოლიტიკა" ავითარებდა ს. ბოვუარის ნააზრევს და წერდა კულტურაში ფემინურის დათრგუნვაზე, როგორც პატრიარქატის სოციალურ პოლიტიკაზე. ტერმინი „პატრიარქატი" ქეით მილეთის ნაშრომზე ბევრად უფრო ადრე მოიხსენიება, მაგრამ სწორედ მან მიანიჭა კულტურის ანალიზში ამ ტერმინს ძირითადი ცნების დატვირთვა. ქეით მილეთის გაგებით, პატრიარქატი მამათა ძალაუფლება გახლავთ: ეს არის ოჯახური იდეოლოგიური პოლიტიკური სისტემა, რომელშიც ქალური მამაკაცურს არის დამორჩილებული. ქალების დათრგუნვა მომდინარეობს არა ბიოლოგიური განსხვავებებიდან, არამედ ფემინურის, როგორც მეორადის სოციალურად დაკანონებიდან. პოლიტიკა სოციალური ძალაუფლების პარადიგმაა, რომელიც მოწოდებულია პატრიარქატის წესის შესაბამისად გააკონტროლოს ქალური სუბიექტურობა.

სოციოლოგიაში, პოლიტოლოგიასა და ისტორიაში ცნება გენდერი მუშავდება, როგორც კლასის ანალოგიური, ფუნდამენტური, მასტაბილიზირებელი პრინციპი. გენდერული პოზიციიდან სოციალურ-პოლიტიკური პროცესების ინტერპრეტაციისათვის გამოიყენება სოციოლოგიური მოდელები, რომლებითაც აიხსნება სოციალური იდენტურობის ჩამოყალიბების

პროცესი და მისი დროითი ცვლილებები, სოციალური ჯგუფების წარმოშობა და დაშლა უთანასწორობის პირობებში, გაბატონებული ჯგუფების კულტურული ჰეგემონიის დამყარება და შერყევა.

გენდერის კონცეფციაში, როგორც სოციალურად კონსტრუირებულ, სიმბოლურად ინტერპრეტირებულ, ისტორიულად ცვალებად მოდელში, აშკარად ჩანს ფრანგი „ფილოსოფოსი-პოსტმოდერნისტის“ ჟაკ დეროდას დეკონსტრუქციის თეორიის გავლენა. ტერმინი „დეკონსტრუქცია“ ნიშნავს მეტაფორების ამოცნობის პროცესს, მათი ფარული ლოგიკის გამოსახულებას, რომელიც ჩვეულებრივ არსებობს როგორც ცნებათა ბანალური ოპოზიცია (მამაკაცი-ქალი, სუბიექტი – ობიექტი, კულტურა – ბუნება და ა.შ.). ჟ. დერადი გვიჩვენებს, რომ არ არსებობს წმინდა განსხვავებები დომინაციის გარეშე, ვინაიდან ამგვარ ოპოზიციაში ერთი მხარე ყოველთვის მეორეს არის დაქვემდებარებული. ტერმინი „დეკონსტრუქცია“ აღნიშნავს ზოგადად ნებისმიერი ცნებისათვის, როგორც იდეოლოგიურად ან კულტურულად კონსტრუირებულისათვის, ფარდის ახდის და არა უბრალოდ ბუნებრივი რეალობის ასახვას (Derida 1976).

დერიდას თეორიამ დიდი გავლენა მოახდინა ფრანგული პოსტმოდერნისტული ფემინიზმის წარმომადგენლობის – ჰოლენ სისუს, იულია ქრისთევოის შეხედულებებზე. ფრანგულ ფემინიზმში გენდერის კატეგორიის ანალიზი დეკონსტრუქციის საშუალებით უფრო ეგზისტენციალური და მეტაფორული ხასიათისაა, ხოლო ამერიკულ ფემინიზმში გენდერის კატეგორია სოციალურ და მეთოდოლოგიურ ფუნქციას ასრულებს. გენდერის კონსტრუქციულ კატეგორიაში სქესი კულტურული მეტაფორა ხდება და როგორც ე. ეფი აღნიშნავს, სულისა და ბუნების ურთიერთობას გადმოსცემს. სული მამაკაცია, ბუნება -ქალი, ხოლო შეცნობა – აღმოცენდება როგორც ფლობის გარკვეული აგრესიული აქტი. პასიური ბუნება განიცდის განსხვავებულობას, გახსნას, ადამიანი მის სიღრმეებში შეაღწევს და დაიმორჩილებს. ადამიანის გაიგივება მამაკაცური სახის მქონე შეუცნობ სულთან, ბუნებისა კი – დაქვემდებარებულ მდგომარე-

ობაში მყოფ ქალთან, ყოველთვის იყო და დღესაც არის დასავ-ლეთის კულტურის მთავარი თემა.

<u>გენდერის სოციოლოგიური გაგება</u>

თანამედროვე მეცნიერებაში ტერმინი „გენდერი“ სქესის ბიოლოგიური გაგებისაგან განსხვავებით, სქესის სოციალური ფენომენისა და სოციოლოგიური დისკუსიის აღსანიშნავად იხ-მარება. სოციალურ მეცნიერებაში კი მას ერთ-ერთი ცენტრა-ლური ადგილი უჭირავს. სქესის სოციალური თეორია სქესთა შორის არსებული ტრადიციული პატრიარქალური ურთიერთო-ბების ეგალიტალური ურთიერთობებით შეცვლას ითვალისწი-ნებს და უმთავრესი პრინციპის – სქესთა თანასწორუფლებია-ნობის რეალიზაციას გულიხმობს. მთლიანობაში კი ,,გენდერი“ არის ცნება, რომელიც გულისხმობს კულტურით განპირობე-ბულ შეხედულებებს, ქალისა და მამაკაცის ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, მათ პიროვნულ თვისებებსა და ქცევებს.

სოციალური როლი არის პიროვნების საზოგადოებაში ორიენტაციის მაორგანიზებელი მექანიზმი. როდესაც ურთიერ-თქმედება „ეგოსა“ და „სხვებს“ შორის შეიძენს მეტ-ნაკლებად მაორგანიზებელ ხასიათს, ყალიბდება როლებრივი მოდელები – „სხვა“ ელოდება, რომ ინდივიდი მოიქცევა განსაზღვრული წე-სით. მოქმედების განსაზღვრული როლები ის მექანიზმებია, რომელთა მეშვეობითაც ღირებულებითი ეტალონები ინსტი-ტუციონალიზდება სოციალურ სისტემაში, ანუ შეიძენს ემპირი-ულ გამოხატულებას. სოციალური როლები ძალაუფლების და პრესტიჟის მატარებელია, ისინი სოციალური სისტემის ინტეგ-რაციას განაპირობებენ. გენდერული როლები არის კონკრეტუ-ლი საზოგადოების მიერ განსაზღვრული ქალისა და მამაკაცის ქცევის ფორმები, ნორმები და ღირებულებები. ნორმების ნაკ-რებს, რომლებიც შეიცავენ განზოგადებულ ინფორმაციას თვი-სებებზე და რომლებიც მიეწერება ორივე სქესს, ეწოდებათ სქე-სობრივი ანუ გენდერული როლები. გენდერული როლების (ქა-ლისა და მამაკაცის) განსაზღვრა სუბიექტურია და კონკრეტულ ისტორიულ ხასიათს ატარებს. თითოეულ საზოგადოებას აქვს

თავისი ჩვეულებები, ტრადიციები და ნორმები, რომლებიც სოციალურ-სქესობრივ როლებს განსაზღვრავს. დღეს გენდერული ურთიერთობები განიხილება, როგორც მამაკაცებსა და ქალებს შორის საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში არსებული ურთიერთობების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი.

გენდერული თანასწორობა ადამიანის უფლებათა განუყოფელი ნაწილია. სქესი გულისხმობს ბიოლოგიას, ადამიანის გენეტიკურ და ფიზიოლოგიურ თვისებებს, რომლებიც გვიჩვენებს მამრია იგი თუ მდედრი. გენდერული თანასწორობა გულისხმობს თანაბარ შესაძლებლობებს, უფლებებსა და პასუხისმგებლობებს ქალებისა და კაცებისათვის – პოლიტიკას, რომელიც უზრუნველყოფს თანაბარ მისაწვდომობას ეკონომიკური რესურსებისადმი, ეკონომიურ დამოკიდებულობას, მოვალეობათა განაწილებას ოჯახში, თანაბარმონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოებრივ ცხოვრებასა და სოციალურ საქმიანობაში. ჩვენ ვიბადებით კონკრეტული სქესით, მაგრამ ვსწავლობთ გენდერს ე.ი. იმას თუ რას ნიშნავს იყო კაცი ან ქალი.

<u>გენდერი ფსიქოანალიტიკურ ჭრილში</u>

ბავშვის დაბადებას თავისთავად დიდი სიხარული მოსდევს, მაგრამ უმალ იბადება კითხვაც: გოგოა თუ ბიჭი? ბიოლოგიური სქესი განაპირობებს მათ განსხვავებულობას. ოჯახი – დედა, მამა, ბებია და ბაბუაც აქტიურად ერთვებიან ბავშვისათვის გენდერული სტერეოტიპების როლის მორგებაში. ეს ნიშნავს იმ როლების მორგებას, რასაც მდედრობითი და მამრობითი როლები გულისხმობენ. პატარა ბიჭუნას თავისთავად აჩეჩებენ მანქანებს, ავტომატებს – რაც იმის მიმანიშნებელია, რომ ის უნდა გაიზარდოს ძლიერი და უშიშარი. გოგონა, ყოველთვის თოჯინასთან ასოცირდება, რაც შემდგომში გულისხმობს დედის როლის განხორციელებას. ფროიდის თვალსაზრისზე დაყრდნობით ნენსი ჩოდოროუ (1978, 1994) შეეცადა ფსიქოანალიტიკურ ჭრილში მოეძებნა ახსნა საკითხზე – ბავშვების წახალისება ანუ სტერეოტიპებზე დამორჩილება გოგონების მაგალით-

ზე, რომლებიც ითვისებენ „დედის“ როლს ჩვენს საზოგადოებაში. ჩოდოროუ ამტკიცებს, რომ „დედის“ როლის მორგება ყოველ ახალ თაობაში განპირობებულია არა ბიოლოგიური ან დასწავლილი როლით, არამედ იმ ფაქტორით, რომ დედები გაუცნობიერებლად ამყარებენ დედა-ქალიშვილის დამოკიდებულებას, რომელიც აძლიერებს ზრუნვისა და სხვების მოვლის სურვილს გოგონებში. ჩოდოროუს აზრით, გოგონებს არასოდეს უფიქრიათ „დედასთან ერთიანობის“ შეგრძნებაზე, როგორც ეს ბიჭების შემთხვევაში ხდება. მეცნიერის მტკიცებით, ბიჭების განვითარება გულისხმობს მათ გაიგივებას მისაბაძ მამაკაცთან. მამაკაცურობა იმ ყველაფრის უარყოფაა, რაც მდედრობითია. ამისგან განსხვავებით, გოგონების განვითარება არ გულისხმობს ამგვარ ფსიქოლოგიურ გამიჯვნას დედისაგან, რის შედეგადაც გოგონები უფრო მეტ კავშირს გრძნობენ სხვა ადამიანებთან, ვიდრე ეს ბიჭების შემთხვევაში ხდება. სწორედ ეს განაპირობებს გოგონების მომზადებას ოჯახის ემოციურ საყრდენად და ოჯახის წევრების მზრუნველებად. ბიჭები კი, რომლებშიც ეს საწყისი ჩახშობილია, უფრო მეტად მუშაობისთვის არიან მომზადებულნი.

განსხვავებით ჩოდორვისაგან, რომელიც ძირითადად ფროიდის თეორიას იზიარებდა, კაროლ გილიგანმა საკუთარი მოსაზრება დააფუძნა ფსიქოლოგ ლორენს კოლბერგის შრომებზე, რომელიც იზიარებდა პიაჟეს კონცეფციას მორალური განვითარების ეტაპების შესახებ. მისი აზრით, ის ადამიანები რომლებიც მსჯელობდნენ და ფიქრობდნენ უნივერსალურ ეთიკურ პრინციპეზე დაყრდნობით, უფრო განვითარებულები და პროგრესულად მოაზროვნეები არიან. ეთიკური პრინციპები ყოველთვის სწორია განურჩევლად კონტექსტისა. მაგრამ გილიგანმა დაადასტურა, რომ ეს მხოლოდ მამრობითი მოდელია. ამ თეორიამ ვერ შეძლო ამოეცნო მდედრობითობისათვის უფრო დამახასიათებელი მიდგომა, რომელიც გულისხმობს კონტექსტის გათვალისწინებასა და იმ ფაქტორს, თუ რა ზეგავლენას ახდენს ადამიანებზე ნებისმიერი ინდივიდის მორალური არჩევანი და როგორ რეაგირებენ ისინი ამ არჩევანზე. გილიგა-

ნის მიხედვით (1982-1989): მამაკეცები, რომელთა სოციალიზაციის პროცესი გულისხმობს, რომ ისინი განცალკევებით დამოუკიდებლად ვითარდებიან; ზნეობრივად აზროვნებენ აბსტრაქტული ცნებების თვალსაზრისით; თანასწორობასა და სამართლიანობას ეყრდნობიან და ქალები, რომელთა სოციალიზაციის პროცესი გულისხმობს, რომ ისინი მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ოჯახთან და მეგობრებთან; ზნეობრივ საკითხებს განიხილავენ პირადი ურთიერთობებისა და სოციალური ვალდებულებების ჭრილიდან, არ მიუთითებს იმაზე, რომ ქალები ჩამორჩებიან მამაკაცებს მორალური აზროვნების თვალსაზრისით. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ უბრალოდ ასწავლეს ყურადღება გაამახვილონ ღირებულებათა სხვადასხვა სისტემაზე. გარდა ამისა, გენდერული განსხვავებები მორალური განსჯის აბსოლუტს არ წარმოადგენს. ორივეს – კაცსაც და ქალსაც – შესწევს უნარი, იაზროვნოს აბსტრაქტული პრინციპებითაც და სოციალური ვალდებულებებითაც, მაგრამ სოციალიზაციის განსხვავებულ პროცესებს ორი სხვადასხვა სქესი სხვადასხვა მორალურ სტილამდე მიჰყავს.

ორივე მეცნიერი ჩოდოროუცა და გილიგანიც – თავიანთ შრომებში ხაზს უსვამენ გენდერულ ფაქტორს სოციალიზაციის პროცესში. ჩვენი სქესი ბავშვობის ასაკიდანვე მნიშვნელოვნად განაპირობებს იმას, თუ ვინ ვართ და როგორ ვსწავლობთ ფიქრსა და ქმედებას. სოციალიზაცია, რომელიც განსხვავდება გენდერის მიხედვით, გავლენას ახდენს არა მხოლოდ ისეთ ზედაპირულ თვისებებზე, როგორიცაა ჩაცმის სტილი ან მეტყველების მანერა, არამედ აზროვნებისა და ურთიერთობის ყველაზე ფუნდამენტურ საშუალებებზეც კი. სოციალიზაცია გულისხმობს არა მარტო კონკრეტული საზოგადოების წევრებად ჩამოყალიბებას – ბიჭებად და გოგონებად, კაცებად და ქალებად, არამედ ორივე სქესისათვის „შესაფერის“ და „მართებულ“ აზროვნებასაც.

თავი V
კონფორმულობა და საზოგადოება

ადამიანის სოციალურ ცხოვრებაში ერთ-ერთი უნიკალური მოვლენაა მის მიერ ისეთი აზრებისა და შეხედულებების შეთვისების უნარი, რომლებიც აქამდე სრულიად უცხოდ და მიუღებლად მიაჩნდა. არანაკლებ განსაცვიფრებელია, რომ მიუხედავად სხვათა (ჯგუფის საზოგადოების) მხრიდან უზარმაზარი ზეწოლისა, ინდივიდებს და ჯგუფებს შესწევთ უნარი არა მხოლოდ შეეწინააღმდეგონ მისთვის თავსმოხვეულ აზრებს, არამედ თავადვე შეიმუშაონ ახალი იდეები, დასახონ მოქმედების ახლებური გზები და მისაღები გახადონ ისინი ჯგუფის და საზოგადოებისათვის. ყველა ამ მოვლენაში ჩართულია ადამიანური ურთიერთობების ტიპი, რასაც გავლენას უწოდებენ.

სოციალურ ფსიქოლოგიაში შესწავლილია და დადგენილია მთელი რიგი პროცესები, რომელთა გამოყენებითაც შეიძლება გავლენა მოვახდინოთ სხვებზე – შევცვალოთ მათი რწმენები, ატიტუდები და ქცევები. მათ შორის განსაკუთრებით გამოიკვეთა კონფორმიზმი, დამთბობლობა და მორჩილება.

<u>კომფორმიზმი</u>

კომფორმიზმი ეწოდება მოვლენას, როცა ინდივიდი ცვლის თავის ქცევას, რწმენას ან ატიტუდს არსებული სოციალური ნორმების ზეგავლენით. ამგვარად, კონფორმიზმი განიხილება როგორც საშუალება, რომლითაც ჯგუფი ან საზოგადოება აყალიბებს თავისი წევრების აქტივობას. ეს ხორციელდება იმ ფორმალური და არაფორმალური წესებით, რომლებიც მიუთითებენ თუ რომელია სწორი (მისაღები) ქცევა. არსებობს კომფორმიზმის სოციოლოგიური გაგება, რომლის მიხედვითაც, ის საკმაოდ პოზიტიური ფენომენია. მერტონმა აღნიშნა, რომ ნებისმიერი საზოგადოება თავის ნორმალურ არსებობაში კომფორმისტული სახით არსებობს. მერტონი მდგომარეობას, როდესაც საზოგადოებაში არსებული მიზნების მიღწევა ინსტიტუციური, კანონიერი ნორმებით ხდება, საზოგადოების კონფორმისტულ მდგომარეობას უწოდებს. კომფორმისტები მეტად თუ ნაკლებად ყველა

საზოგადოებაში არიან. არც ერთი საზოგადოება არ არსებობს კონფორმისტების გარეშე. კონფორმულობას მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს, მაგრამ მათ შორის განსაკუთრებით გამოყოფენ ადამიანის ორ ბაზისურ მოთხოვნილებას. სურვილი მოსწონდე სხვებს და სურვილი იყო სწორი და მოსწონდე სხვებს – ეს არის კომფორმიზმის ნიშანი, რომელიც ემყარება ადამიანის სურვილს დააკმაყოფილოს სხვების მოლოდინები, როგორც წესი იმიტომ, რომ მოიპოვოს აღიარება. როგორ გამოვიწვიოთ სხვა ინდივიდები რომ მოვწონდეთ ჩვენ? ალბათ ესაა სოციალური ურთიერთობის ერთ-ერთი მუდმივი საზრუნავი. მოწონების სტრატეგიის ერთ-ერთი კომპონენტია მსგავსება. ადამიანები ბავშობიდან სწავლობენ, რომ მათ ირგვლივ მყოფ ადამიანებთან კომპრომისზე წასვლა, დათანხმება და მათ მსგავსად ან მათი მოლოდის შესაბამისად მოქცევა განსაზღვრავს სხვათა დამოკიდებულებას ჩვენდამი. მშობლები, მასწავლებლები, მეგობრები და ხშირად უცნობებიც კი გვასაჩუქრებენ როცა მათთან მსგავსებას ვამჟღავნებთ. ამდენად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი, რომ კონფორმულები ვართ არის მარტივი: ჩვენ ვსწავლობთ, რომ თუ ასე მოვიქცევით დავიმსახურებთ მოწონებას და აღიარებას სხვებისაგან, რაც ჩვენი სურვილის მაქსიმუმია. კომფორმულობა, რომელიც მომდინარეობს ამ წყაროდან ცნობილია როგორც ნორმატიული სოციალური გავლენა. იგი გულისხმობს საკუთარი ქცევის შეცვლას რათა მოერგოს სხვების მოლოდინებსა და სოციალურ ნორმებს.

სურვილი იყო სწორი – ანუ ინფორმაციული, სოციალური გავლენაა მთელი რიგი საკითხების მიმართ. ჩვენ არა გვაქვს საშუალება ვიცოდეთ თუ რამდენად სწორი ვართ. მაგ. როგორ შეგვიძლია დავადგინოთ თუ რამდენად ზუსტია ჩვენი განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები ან როგორ გადავწყვიტოთ როგორი სახის ტანსაცმელია მოდური და მიმზიდველი. არ არსებობს მისი საზომი ხელსაწყო ან რაღაც მზა ტესტი. მიუხედავად ამისა, ჩვენ ძლიერი სურვილი გვაქვს ვიყოთ მართებული ასეთ საკითხებში. ამ დილემის გადაწყვეტა კი საჭიროა, რათა ვუპასუხოთ მსგავს კითხვებს ან თუნდაც მოვიპოვოთ ინფორმაცია მათ

შესახებ, მივმართოთ ხალხს. ჩვენ ვიყენებთ საზოგადოების აზრს, მათ აქტივობებს როგორც დილემას საკუთარი აზრისა და მოქმედებისათვის. კომფორმულობის მეორე წყარო ცნობილია, როგორც ინფორმაციული სოციალური გავლენა, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილს. ბევრ სიტუაციაში ჩვენ ვირჩევთ აქტივობას და აზრს, რომელიც სხვების აქტივობის და აზრების მსგავსია და ამას იმიტომ ვაკეთებთ, რომ დარწმუნებული ვიყოთ ჩვენს სისწორეში. ეს ორი ფაქტორი – ძლიერი სურვილი ვიყოთ მოწონებულნი (ნორმატული სოციალური გავლენა) და ვიყოთ სწორი (ინფორმაციული სოციალური გავლენა) გვიბიძგებს კომფორმულობისკენ და არა დამოუკიდებლობისაკენ. ეს არის ჩვენი ქცევის სტანდარტული მანერა. სოციალურ იმიჯზე ზრუნვა შედეგად გვაძლევს ნორმატიულ ზეგავლენას, ხოლო სურვილი ვიყოთ სწორი, წარმოშობს ინფორმაციულ ზეგავლენას.

<u>ნორმატიული კონფორმიზმი</u>

ნორმატიული სოციალური გავლენა მაშინ ყალიბდება, როდესაც ინდივიდი იმას ეთანხმება, რაც ჯგუფის მიერაა აღიარებული და მოწონებული. ნორმატიული კონფორმიზმი ხშირად საზოგადო თანხმობას იწვევს, რაც იმას ნიშნავს, რომ გავაკეთო ან ვთქვა ისე, რომ გვჯეროდეს მისი. სოლომონ ეში პირველი ფსიქოლოგი იყო, რომელმაც ეს ფენომენი ლაბორატორიაში შეისწავლა. ლაბორატორიაში შეჰყავთ ხუთი სუბიექტი, რომელთაგან ნამდვილი სუბიექტია ერთი, დანარჩენი ექსპერიმენტატორის მითითებით მოქმედებს. მათ სვამენ მაგიდის ირგვლივ და ეუბნებიან, რომ ისინი მონაწილეობას იღებენ პერცეპციის შესწავლის ექსპერიმენტში. მათ ევალებათ ხაზების სიგრძის შეფასება. ამის შემდეგ, მათ აჩვენებენ სამ განსხვავებული სიგრძის ხაზს. ხაზები დანომრილია. აგრეთვე, აჩვენებენ ცალკე დახაზულ ერთ ხაზს – (ეტალონური ხაზი) რომელიც, შესაფასებელი სამი ხაზიდან ერთ-ერთის ტოლია და დანარჩენი ორიდან აშკარად განსხვავდება. სუბიექტებს ევალებათ მიუთითონ თუ რომელი ხაზის ტოლია ეტალონური ხაზი შესაფასებე-

ლი ხაზებიდან. უნდა მიუთითონ ხაზის ნომერზე. სუბიექტებს უნდა ეპასუხათ რიგ-რიგობით, იმისდა მიხედვით როგორც ისხდნენ. სუბიექტები კი ისე დასვეს, რომ ნამდვილ სუბიექტს უნდა ეპასუხა სხვების პასუხების მოსმენის შემდეგ. მოცემული იყო სხვადასხვა სიგრძის ხაზები და მონაწილეებს სთხოვდნენ სტანდარტული ხაზის ზომის ხაზი მოეძებნათ. ყველა მონაწილე გარდა ერთისა საიდუმლოდ გააფრთხილეს, რომ 18-დან 12 შემთხვევაში არასწორი პასუხი გაეცათ. შედეგებმა კონფორმიზმის მაღალი დონე – 76% აჩვენა. ექსპერიმენტის თითოეული მონაწილე სულ მცირე ერთ შემთხვევაში მაინც ამჟღავნებდა კონფორმიზმს. საერთო ჯამში კი ექსპერიმენტატორების საშუალოდ ერთი მესამედი ავლენდა კონფორმულობას.

ნორმატიული სოციალური გავლენა სამ კომპონენტს შეიცავს:

1. ჯგუფში ადამიანთა რაოდენობას მნიშვნელოვანი ეფექტი აქვს. მცირე ჯგუფში ინდივიდი ნაკლებ ზეგავლენას განიცდის. რაც უფრო იზრდება ჯგუფის წევრთა რაოდენობა, მით უფრო იზრდება გავლენის სფეროებიც.

2. ჯგუფის ძალა ინდივიდისათვის ჯგუფის მნიშვნელოვნებით განისაზღვრება. ზოგადად, ჯგუფის შევსება მისი სოციალური გავლენის მიხედვით ხდება.

3. შეჭიდულობა – ამა თუ იმ გავლენის დროს ჯგუფის სიმჭიდროვეს, შეკრებულობას გულისხმობს.

<u>ნორმატიული გავლენა</u>

ბარონმა და მისმა კოლეგებმა თვითმხილველთა ექსპერიმენტი გაიმეორეს. ამ შემთხვევაში ექსპერიმენტი ნორმატიულ გავლენაზე იყო ფოკუსირებული. ექსპერიმენტის ამ ვერსიაში მათ დავალება გაადვილეს და თითოეულ მონაწილეს მისცეს 5 წამი რათა სლაიდისათვის შეეხედათ. ამ შემთხვევაშიც, მონაწილეების ნაწილს მაღალი, ნაწილს კი დაბალი მოტივაცია ჰქონდა. მაგრამ შედეგი პირველი ექსპერიმენტის საპირისპირო იყო. დაბალი მოტივაციის ჯგუფის კონფორმულობა 33% იყო, მაღალი მოტივაციის ჯგუფის კონფორმულობის დონე კი 16%-მდე

დაეცა. შედეგმა აჩვენა, რომ თუ სიზუსტე ძალიან მნივშნელოვანი არ არის, უმჯობესია არასწორი პასუხები გასცე, ვიდრე გარისკო და სოციალურად „არამორწმუნე“ იყო. ეშის ექსპერიმენტის მსგავსმა ექსპერიმენტმა აღმოაჩინა, რომ მეგობრების ექვსკაციან ჯგუფში, უცხოების ექვსკაციან ჯგუფთან შედარებით კონფორმიზმის დაბალი დონე იყო. რადგან მეგობრები უკვე იცნობდნენ ერთმანეთს, სხვადასხვა სიტუაციებში ნაკლებია კონფორმიზმის გამომწვევი ნორმატიული ზეწოლა.

<u>უმცირესობის გავლენა</u>

კონფორმულობა ინდივიდს უბიძგებს ჯგუფის შესაბამისად იფიქროს და იმოქმედოს. ინდივიდებს ზოგჯერ შეუძლიათ სიტუაცია შემოაბრუნონ და მათ გარშემო ადამიანებიც შეცვალონ. აღნიშნული უმცირესობათა გავლენის სახელითაა ცნობილი. უმცირესობათა გავლენა ინფორმაციული გავლენის სპეციფიკური შემთხვევაა. უმცირესობათა გავლენა მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ადამიანებს საკუთარი ხედვის არგუმენტირებისათვის ნათელი და მყარი ფაქტების მოყვანა შეუძლიათ. თუ უმცირესობა მერყეობს და ამჟღავნებს გაუბედაობას, დაურწმუნებლობას, გავლენის შანსი მცირეა. თუმცა, თუ უმცირესობას ძლიერი, დამარწმუნებელი არგუმენტები მოჰყავს, იზრდება შანსი უმრავლესობის ქცევა და წარმოდგენები შეიცვალოს. წარმატების მეტი შანსი აქვთ უმცირესობის იმ წევრებს, რომლებიც, როგორც ექსპერტები ისე არიან მიღებულნი, აქვთ მაღალი სტატუსი ან ჯგუფისათვის წარსულში რაღაც კარგი გაუკეთებიათ. მაგ.: ისეთი გიგანტები მეცნიერებაში როგორებიც არიან: გალილეი, პასტერი და ფროიდი, აღმოჩნდნენ დიდი და ურიცხვი უმრავლესობის წინაშე, რომლებიც უარყოფდნენ მათ თეორიებსა და იდეებს, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ, მათი თვალსაზრისი თანდათანობით მიღებულ იქნა უმრავლესობის მიერ. იგივე ითქმის რეფორმისტული მცირე ჯგუფების მიმართ, რომლებიც ხშირად თავიანთი შეუპოვარი აქტივობით წარმატებებს აღწევენ ღრმად გამჯდარი ატიტუდებისა და ღირებულებების შეცვლაში. ასეთი ფაქტები გვარწმუნებენ, რომ

უმცირესობა ყოველთვის არ არის უსუსური დიდი და ერთსულოვანი უმრავლესობის წინაშე. ხშირად ისინი ახერხებენ დაძლიონ უთანხმოება და გაიტანონ თავიანთი თვალსაზრისი. კონფორმიზმის კვლევებში, საფუძველი ჩაეყარა უმცირესობის უმრავლესობაზე გავლენის კვლევებს.

ახალი მიდგომის ერთერთი დამწყები იყო ფრანგი ფსიქოლოგი სერფ მოსკვიჩი. თავის ადრინდელ ექსპერიმენტებში, მოსკვიჩმა და მისმა კოლეგებმა გამოიყენეს ეშის ტიპის კონფორმულობის პარადიგმა, იმ განსხვავებით, რომ უმრავლესობა იყო გულუბრყვილო სუბიექტი ხოლო, უმცირესობა ცრუ სუბიექტი. სუბიექტებს უჩვენებდნენ არაორაზროვან ფიზიკურ სტიმულს, სახელდობრ, ფერების სლაიდებს. ამ კვლევაში ექვს წევრიან ჯგუფს სთხოვდნენ სლაიდის ფერის შეფასებას. ფაქტიურად ყველა სლაიდი იყო ცისფერი, იცვლებოდა მხოლოდ განათების ხარისხი. საკონტროლო 6 კაციანი ჯგუფი ყველა სლაიდს უშეცდომოდ აფასებდა, როგორც ცისფერს. ექსპერიმენტულ ჯგუფში კი ორი ცრუ სუბიექტი მუდმივად ცისფერ სლაიდს აფასებდა როგორც მწვანეს. სუბიექტებს წინასწარ უთხრეს, რომ ჯგუფის წევრებს ჰქონდათ ნორმალური მხედველობა. შესაბამისად, უმცირესობის პასუხი – მწვანე, არ მიეწერებოდა მათ ფერთა სიბრმავეზე. უმცირესობის გავლენით, სუბიექტების დაახლოებით მესამედი ერთხელ მაინც მიუთითებდა, რომ ცისფერი სლაიდი იყო „მწვანე“. ექსპერიმენტის აბსოლუტურად ყველა შედეგის 8% ცისფერი სლაიდის მწვანედ შეფასება იყო ე.ი. უმცირესობის აზრს მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა უმრავლესობაზე.

წინააღმდეგ კონფორმიზმის ტრადიციული კვლევებისა, მოსკოვიჩი ვარაუდობს, რომ ჯგუფებს შორის ადგილი აქვს შეუთანხმებლობას, კონფლიქტს და რომ არსებობს სოციალური გავლენის სამი სახე, რომელიც განსაზღვრავს იმას, თუ როგორ რეაგირებენ ადამიანები სოციალურ კონფლიქტებზე.

1. კონფორმულობა – უმრავლესობის გავლენა, რომელშიც უმრავლესობა არწმუნებს უმცირესობას მიიღონ უმრავლესობის თვალსაზრისი.

2. ნორმალიზაცია – ურთიერთკომპრომისი, რომელსაც მივყავართ კონვერგეციამდე, ურთიერთდაახლოებამდე.

3. ინოვაცია – უმცირესობა ქმნის და ახდენს კონფლიქტის აქცენტუაციას, რათა დაარწმუნოს უმრავლესობა მიიღოს უმცირესობის თვალსაზრისი.

მოსკოვიჩის გამოკვლევებმა ბიძგი მისცა ახალ გამოკვლევებს სოციალური გავლენის სფეროში. მეცნიერებმა დაიწყეს იმ ფაქტების ძიება, რომლებიც განსაზღვრავენ უმცირესობის გავლენის ეფექტურობას. თავად მოსკოვიჩმა გამოიკვლია უმცირესობის ქცევისეული სტილის მნიშვნელობა. უმცირესობის ქცევის სტილი რომ გახდეს ეფექტური, უმცირესობა თავის ქცევებში უნდა იყოს კონსისტენტური და ძალის მქონე. ქცევის ასეთი სტილი უმრავლესობის მიერ განიხილება, როგორც უმცირესობის თავის პოზიციაში დარწმუნებულობის და გარკვეულობის მაჩვენებელი. შესაძლებელია კონსისტენტური უმცირესობა ნაკლებ მიმზიდველი ჩანდეს ვიდრე უმრავლესობის წევრები, მაგრამ მნიშვნელოვანია ის, რომ ჩნდება ტენდენცია ისინი აღქმულნი იქნან, როგორც უფრო კომპენტენტურები და პატიოსნები. როდესაც უმცირესობა მუდმივად დაჟინებით იცავს თავის პოზიციას, შესაძლოა უმრავლესობა დაეჭვდეს თავის თვალსაზრისზე. შესაძლოა, უმრავლესობის რომელიმე წევრმა შეცვალოს თავისი პოზიცია უმცირესობის პოზიციის სასარგებლოდ. თუ უმრავლესობის საჭირო რაოდენობა შეცვლის თავის თვალსაზრისს, უმცირესობა შეიძლება გარდაიქმნას ახალ უმრავლესობად.

კვლევები ახდენდნენ, აგრეთვე, ახალი ფაქტების იდენტიფიცირებას, რომლებიც უმცირესობის გავლენის ეფექტურობას განსაზღვრავენ. პირველი – უმცირესობა უფრო გავლენიანი იქნება თუ შეძლებს უმრავლესობის თვალსაზრისის უარყოფას; მეორე – უმცირესობა უფრო ეფექტურია, როდესაც მათი ქცევისეული სტილი ლოგიკურად კონსისტენტურია, მაგრამ არა თანმიმდევრული ე.ი. როცა უმცირესობა აღქმულია, რომ მათ აქვთ კარგად განსაზღვრული პოზიცია, მაგრამ არ აქვთ პოზიციის პრეზენტაციის ფლექსიური სტილი; მესამე – სოციალური

კონტექსტის მნიშვნელობა. მაგ.: სექსუალური კონსერვატიზმის ეპოქაში სექსუალური თავისუფლების მტკიცება ნაკლებ ეფექტურია, ვიდრე უმცირესობის მტკიცება სექსუალურ შეზღუდულობაზე. და ბოლოს, უმცირესობა უფრო ეფექტური იქნება თუ ისინი ჯგუფის უმრავლესობას დაემსგავსებიან მრავალ სხვა საკითხებში, გარდა იმ კონკრეტული ქცევისა და ატიტუდებისა, რომელსაც ეხება საკითხი. მაგ.: იმ შემთხვევაში, როცა რესპუბლიკური პარტიის ერთი წევრი ცდილობს დაარწმუნოს სხვა რესპუბლიკელები შეცვალონ თავიანთი საგარეო პოლიტიკა (ე.წ. ჯგუფის შიდა უმცირესობა), უმრავლესობა გარდა ამ ერთი საკითხისა ემსგავსება სხვა დანარჩენ ატიტუდებს რწმენებში და მეტი შანსი აქვს გავლენა მოახდინოს მასზე, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც დემოკრატიული პარტიის ერთი წევრი ცდილობს რესპუბლიკელებს შეაცვლევინოს საგარეო პოლიტიკა. მეორე შემთხევა იქნება სიტუაცია, სადაც უმცირესობა აღმოჩნდება ორმაგ უმცირესობაში (ჯგუფის გარე უმცირესობა), როგორც საერთოდ პოლიტიკური ორიენტაციით, ასევე საგარეო პოლიტიკის საკითხზე. განხილულ შემთხვევაში, რესპუბლიკელს მეტი შანსი აქვს გავლენისა, ვიდრე დემოკრატს რომელიც ორმაგ უმცირესობაშია. ამგვარად, უმცირესობა უფრო გავლენიანია, როცა მისი პოზიცია მიღებულია როგორც სერიოზული და დანახულია, რომ გამოხატავს კომპეტენტურობას და გარკვეულობას და ნაკლებად ეფექტურია, როცა დანახულია როგორც დემაგოგიური და სელფ-დაცვითი. ე.ი. ჩანს რომ ხელსაყრელ პირობებში შეთანხმებულ კონსისტენტურ უმცირესობას შეუძლია გამოიწვიოს საკმაოდ დიდი უმრავლესობის თვალსაზრისის შეცვლა.

ჯგუფის გავლენა კონფორმულობაზე

მრავალ სიტუაციაში არსებობს დაწერილი თუ დაუწერელი წესები, რომლებიც განსაზღვრავენ ჩვენს ქცევებს საზოგადოებაში. არსებობს სოციალური ნორმები, რომლებიც სახელმწიფოს მიერ არის შემუშავებული და კანონებითა და კოდექსებით განისაზღვრება. სახელმწიფო ხელმძღვანელობს კონსტიტუციით.

სწორედ ამ კანონებით ფუნქციონირებს სახელმწიფოში სოციალური ინსტიტუტუბი, რომლებიც არეგულირებენ კანონების უზრუნველყოფის საკითხებს და ჩვენს ქცევებს სოციუმში. დაწერილი კანონების გარდა არის დაუწერელი კანონებიც, რომლებიც მოქმედებენ საზოგადოებაში და მოითხოვენ შესაბამის ქცევებს. სოციალური ნორმები, მიუხედავად იმისა, არიან ისინი დაწერილი თუ დაუწერელი, ექსპლიციტური თუ იმპლიციტური იმორჩილებენ ადამიანთა უმრავლესობას. ეს ძლიერი ტენდენცია კონფორმულობისაკენ, იმოქმედო საზოგადოების მოთხოვნის შესაბამისად თუ როგორ უნდა მოიქცე ამა თუ იმ სიტუაციაში, შეიძლება მოგვეჩვენოს ხშირად უხერხულად, მაგრამ ის ადამიანებს იცავს სოციაულრი ანარქიისაგან. ასეთი კონფორმულობის გარეშე საზოგადოება წარმოუდგენელია. ამგვარად, კონფორმულობა საკმაოდ სასარგებლო ფუნქციას ასრულებს.

ჯგუფის სიდიდე და კომფორმულობა

-არსებობს ლოგიკური მოსაზრება იმის თაობაზე, რომ რაც უფრო დიდია ჯგუფი და რაც უფრო მეტი ადამიანი ამტკიცებს ერთსა და იმავე ფაქტს, იზრდება ალბათობა იმისა, რომ ჩვენც ასევე მოვიქცეთ. მაგრამ კვლევითი შედეგები მიუთითებენ, რომ კონფორმულობისაკენ გადახრა, დამორჩილების ტენდენცია იზრდება 5 კაციან ჯგუფებამდე და რის შემდეგაც, ჯგუფის წევრთა რაოდენობის ზრდა მცირე დამატებით ეფექტს იწვევს. ამის ერთ-ერთ მიზეზად მეცნიერები თვლიან იმას, რომ ჯგუფის სიდიდის ზრდა 5 წევრის ზემოთ, შეიძლება წარმოშობდეს საიდუმლო გარიგების არსებობის შესახებ ეჭვს. ე.ი. შეიძლება ჯგუფის წევრმა, რომელზედაც გავლენას ახდენს ჯგუფი, დაასკვნას, რომ მისი წევრები არ გამოხატავენ ინდივიდუალურ თვალსაზრისს.

ამ ფენომენის განსხვავებული ახსნა შემოგვთავაზა ლატენემ. მისი მოსაზრებით, სოციალური გავლენის ზრდა დამოკიდებულია ჯგუფის სიმჭიდროვეზე და ზომაზე. ჯგუფის ზომის ზრდასთან ერთად მცირდება გავლენა თითოეულ წევრზე. მაგ.: ერთ-ერთ კვლევაში უნივერსიტეტის სტუდენტებს სთხოვეს გა-

ერჩიათ ერთი სასამართლო საქმე. სანამ სტუდენტები თავიანთ განაჩენს გამოიტანდნენ, აღნიშნული საქმე განიხილა ოთხმა ცრუ სუბიექტმაც. როდესაც ცრუ სუბიექტები წარმოდგენილი იყვნენ როგორც ორი დამოუკიდებელი ჯგუფი, მათი მოქმედებები ნამდვილ სუბიექტებში მეტ კონფორმულობას იწვევდა, ვიდრე მაშინ, როცა ოთხივე ერთად წარმოდგენილი იყო როგორც ერთი ჯგუფი. ასევე, ორი სამ-სამი ინდივიდისაგან შემდგარი ჯგუფი მეტ კონფორმულობას იწვევდა, ვიდრე ექვსი ინდივიდისაგან შემდგარი ერთი ჯგუფი. ხოლო, ორ-ორი ინდივიდისაგან შემდგარი სამი ჯგუფი, გაცილებით მეტ კონფორმიზს იწვევდა.

<u>მიყოლა (დამთმობლობა)</u>

დამთმობლობა წარმოადგენს სოციალური გავლენის უფრო პირდაპირ და პიროვნულ ფორმას, როცა ინდივიდი თავის ქცევას ცვლის სხვისი მითითებით. სხვებისაგან მოთხოვნა სოციალური ცხოვრების აუცილებელ, ბაზისურ პირობას წარმოადგენს. მაგ.: მეგობრები მოითხოვენ ერთმანეთისაგან კეთილგანწყობას, მშობლები გვთხოვენ შევცვალოთ მავნე ჩვევები, პოლიტიკოსები გვთხოვენ მხარდაჭერას და ა.შ.

<u>მრავალჯერადი თხოვნა</u>

როდესაც ადამიანები ცდილობენ დაიყოლიონ თხოვნაზე სხვები, ისინი ერთჯერადი თხოვნით არ შემოიფარგლებიან. მრავალჯერადი თხოვნის მაგალითი: 1) ფეხი კარში – ანუ ჯერ მცირე თხოვნა და შემდეგ დიდი თხოვნა. ფრიდმანისა და ფრეზერის კვლევა ამ საკითხზე შემდეგნაირია: ექსპერიმენტატორები კარდაკარ დადიოდნენ და დიასახლისებს ეუბნებოდნენ, რომ მუშაობდნენ მანქანის ფრთხილად ტარების კომიტეტში და სთხოვდნენ ხელი მოეწერათ პეტიციისათვის, რომელსაც გუბერნატორს გადაუგზავნიდნენ, რათა მას ცვლილება შეეტანა კანონში ფრთხილად ტარების შესახებ. თითქმის ყველა დიასახლისი დათანხმდა თხოვნას. ცოტა ხნის შემდეგ, ექსპერიმენტატორები კვლავ მივიდნენ იმავე დიასახლისებთან და ახლებთანაც რომლებთანაც ადრე არ ყოფილან და სთხოვეს ნებართვა თავიანთ ეზოებში დაედგათ შეუხედავი ფირნიში, რომელზედაც

იქნებოდა წარწერა „მანქანა ატარეთ ფრთხილად“. ქალების 55%, რომლებსაც ადრე ჰქონდათ მოწერილი ხელი პეტიციაზე, ახლაც დათანხმდნენ, ხოლო იმათგან ვინც პირველ პეტიციას არ მოაწერეს ხელი, მხოლოდ 17% დათანხმდა. გაირკვა, რომ პირველმა თხოვნამ, გაასამკეცა უფრო დიდ თხოვნაზე დაყოლიების შესაძლებლობა. 1) ერთი მიზეზი, რის გამოც ადამიანები თხოვნაზე თანხმდებიან, არის ის, რომ ადამიანები ფიქრობენ, რომ აკეთებენ საზოგადო საქმეს, მეორე – ადამიანები პოზიტიურად არიან განწყრობილნი საერთოდ დახმარებისადმი. 2) ჯერ დიდი თხოვნა, შემდეგ კი მცირე თხოვნა – ესაა სტრატეგია. როდესაც ინდივიდი იწყებს დიდი თხოვნით, რომელსაც ჩვეულებრივ ადამიანები უარყოფენ და მას შემდეგ, რაც დიდ თხოვნას უარყოფენ, ითხოვს მცირეს – იმ კეთილგანწყობას, რისი მიღწევაც სურდა. ეს სტრატეგია ცნობილია, როგორც უარყოფა – შემდეგ – უკან დახევა. მაგ.: სტუდენტები გააჩერეს ქუჩაში და სთხოვეს ძალიან დიდი რამე, აეღოთ ვალდებულება მცირეწლოვანი დამნაშავეების წინაშე და ეკისრათ მათთვის მრჩევლობა უფასოდ, რაც მოითხოვდა 2 წლის მანძილზე კვირაში 2 საათის მათთან გატარებას. სტუდენტები არ თანხმდებოდნენ ამაზე. უარის მიღების შემდეგ, ექსპერიმენტატორები ამცირებდნენ თავიანთ თხოვნას – წაეყვანათ არასრულწლოვანი დამნაშავეები პარკში სასეირნოდ. აღმოჩნდა, რომ პირველი თხოვნაზე უარის შემდეგ, სტუდენტების 50% დათანხმდა მეორე – უფრო მცირე თხოვნას. მაშინ, როცა იმ სტუდენტებიდან, რომლებსაც პირდაპირ სთხოვეს არასრულწლოვნების ორი საათით გასეირნება, სტუდენტების მხოლოდ 17% დათანხმდა მეორე თხოვნაზე. დიდ თხოვნასთან დაკავშირებით ინდივიდი უკან იხევს, მაგრამ როცა მცირე თხოვნით მიმართავენ – თანხმდება. სწორედ ეს მცირე თხოვნა შედის განსახორციელებელ აუცილებელობაში. მან დათმო რაღაც, მაგრამ რაღაც გააკეთა. 3) წესის შეცვლა შუა თამაშში მაგ.: ერთ-ერთი ქალაქის მაცხოვრებლებს უთხრეს, რომ თუ ისინი ეკონომიურად მოიხმარდნენ ბუნებრივ აირს რომლითაც თბებოდნენ, გაზეთში გამოაქვეყნებდნენ როგორც სანიმუშო მოქალაქეებს. მართლაც გაირკვა,

რომ ოჯახებმა საგრძნობლად შეამცირეს ბუნებრივი აირის მოხმარება. შემდეგ, ამ ოჯახებს შეუთვალეს, რომ დაპირებული პუბლიკაცია არ გამოქვეყნდებოდა, მაგრამ ისინი, კვლავ განაგრძობდნენ ბუნებრივი აირის ეკონომიურად მოხმარებას ე.ი. ოჯახი მიეჯაჭვა თავის საწყის შეთანხმებას. ადამიანი ფიქრობს და პოულობს გამოსავალს შეთანხმებაში, რადგან გამოუვიდა ეკონომია, შეიძლება ასე გაგრძელება.

<u>მორჩილება</u>

მორჩილება წარმოადგენს სოციალური გავლენის ფორმას, რომელშიც ერთი ან მეტი ინდივიდი ემორჩილება სხვის ბრძანებას. იგულისხმება, რომ ინდივიდი რომელიც იძლევა ბრძანებას, ფლობს გარკვეულ ძალაუფლებას. როცა მორჩილებაზე ვსაუბრობთ ჩვეულებრივ, იგულისხმება კანონიერი ძალაუფლება.

ნებისმიერი საზოგადოება ემორჩილება ბრძანებებსა და განკარგულებების სისტემას, რომელიც მომდინარეობს კანონიერი აღმასრულებლისაგან. ადამიანები ნებით ეთანხმებიან და ემორჩილებიან წესრიგს. მაგ.: სახელმწიფო ბიუროკრატიულ სისტემაში, ნებისმიერი ორგანიზაციის სტრუქტურაში ან ძალისმიერ სტრუქტურებში. უნდა აღინიშნოს რომ ზოგიერთ შემთხვევაში, ხელმძღვანელის მოთხოვნები ინდივიდის საკუთარ რწმენებთან და ღირებულებებთან კონფლიქტშია. მაგ.: როცა მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო პოლიტიკა მცდარია და ყოველგვარ მორალს მოკლებული. მორჩილების ფენომენის ერთ-ერთი ფორმა ვლინდება იმაში, როდესაც ძალაუფლების არმქონე პირებიც ახერხებენ გამოიწვიონ დამორჩილების მაღალი დონე. განვიხილოთ მილგრემის ექსპერიმენტი. მან ექსპერიმენტი დაიწყო იმით, რომ გაზეთში განათავსა განცხადება, სადაც სთხოვდა ადამიანებს მონაწილეობა მიეღოთ ფსიქოლოგიურ კვლევებში. მსურველებს აჯგუფებდნენ ორ-ორად. მათ ეუბნებოდნენ, რომ იკვლევდნენ დასჯის გავლენას დასწავლაზე. ამიტომ, ერთ-ერთი ცდისპირი შემთხვევითი პრინციპით შეირჩეოდა როგორც მოსწავლე და მეორე როგორც მასწავლებელი. მასწავლებელს ხმამაღლა უნდა ეთქვა სიტყვების წყვილები, რომ-

ლებიც უნდა დაესრულებინა მოსწავლეს. მოსწავლის მიერ დაშვებულ ყოველ შეცდომაზე მასწავლებელს მოსწავლე უნდა დაესაჯა ელექტროშოკით. მასწავლებელს სვამდნენ ელექტროშოკის პულტის წინ, რომელსაც ჰქონდა ჩამრთველი ღილაკები და რომელზეც აღნიშნული იყო მისი სიმძლავრეები. მოსწავლეს მეორე ოთახში სვამდნენ, მკლავებს უმაგრებდნენ სკამის სახელურზე და უერთებდნენ ელექტროდებს. მათი კომუნიკაცია ხორციელდებოდა ინტერკომით. ექსპერიმენტის დაწყებამდე „მოსწავლე“ მიუთითებდა, რომ ჰქონდა სუსტი გული და იმედოვნებდა, რომ ექსპერიმენტატორი ამ ფაქტს გაითვალისწინებდა. ამის შემდეგ, ექსპერიმენტატორი გასინჯვის მიზნით მასწავლებელს ამ ხელსაწყოთი აყენებდა ელექტროშოკს, რათა წარმოდგენა ჰქონოდა თუ რა სახის ვნებას აყენებდა მოსწავლეს. სასინჯი ელექტროშოკი ძლიერი იყო. მასწავლებელს უთხრეს, რომ გამოიყენებინა საშუალო სიმძლავრის ელექტროშოკი. ექსპერიმეტის განმავლობაში მოსწავლე ხშირად უშვებდა შეცდომებს. ყოველ შეცდომაზე მასწავლებელს უნდა აღენიშნა, რომ დაშვებულია შეცდომა და უნდა დაეჭირა თითი ღილაკისათვის. ყოველ მომდევნო შეცდომაზე მასწავლებელს უნდა გამოეყენებინა მომდევნო ღილაკი ე.ი. უნდა გაეძლიერებინა ელექტროშოკი. ელექტროშოკის გაძლიერებასთან ერთად მოსწავლის რეაქცია უფრო დრამატული ხდებოდა, რაც ავტომატურად ახალი შეცდომის წყარო იყო. მოსწავლე ეუბნებოდა მასწავლებელს რომ შეეწყვიტა ექსპერიმენტი, რომ მეტი აღარ შეეძლო და ა.შ. მაგრამ ექსპერიმენტატორი ეუბნებოდა მასწავლებელს, რომ გაეგრძელებინა ექსპერიმენტი.

ექსპერიმენტში ჩართული წყვილიდან ნამდვილი სუბიექტი იყო ერთი, რომელსაც შემთხვევით „მასწავლებლის“ როლის შესრულება მოუხდა, ხოლო „მოსწავლე“ იყო ცრუ სუბიექტი. რა თქმა უნდა, ექსპერიმენტში ელექტროშოკის გამოყენება რეალურად არ ხდებოდა. მოსწავლის რეაქცია ელექტროშოკის მიღებაზე მასწავლებელს ესმოდა ინტერკომით. მოსწავლის რეაქცია კი, რომელიც მასწავლებელს ესმოდა შემდეგნაირი იყო: რეაქცია ელექტროშოკზე იწყებოდა 75 ვოლტიდან. „მასწავლე-

ბელს“ ევალებოდა ყოველ შეცდომაზე გაეძლიერებინა ელექ-ტროშოკი. იმისათვის, რომ „მასწავლებელს“ არ შეეწყვიტა ექ-სპერიმენტი, ექსპერიმენტატორი საკმაოდ ლაკონურად იყენებ-და შემდეგ ფრაზებს:

ფრაზა 1. თუ შეიძლება გააგრძელეთ;

ფრაზა 2. ექსპერიმენტის პირობები მოითხოვს, რომ გააგ-რძელოთ;

ფრაზა 3. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ გააგრძე-ლოთ;

ფრაზა 4. თქვენ არ გაქვთ სხვა არჩევანი, უნდა გააგრძე-ლოთ.

მილგრემმა ჩაატარა საინტერესო გამოკითხვა. მან გამო-კითხა ფსიქიატრები, სტუდენტები და საშუალო ფენის წარმო-მადგენლები, სულ 110 კაცი. მათ ჰკითხეს: ისინი რომ ყოფილიყ-ვნენ ექსპერიმენტში „მასწავლებლის“ როლში, რა სიმძლავრის ელექტროშოკი იქნებოდა მაქსიმალური, რომელსაც ისინი გა-მოიყენებდნენ. თითქმის ყველა მათაგნმა უპასუხა, რომ დაე-მორჩილებოდნენ ექსპერიმენტატორის მითითებას მხოლოდ 130 ვოლტის გამოყენებამდე. კითხვაზე – მათი აზრით, სხვა ,,მასწავლებლები“ მაქსიმუმ რა სიმძლავრის შოკის გამოყენე-ბამდე დაემორჩილებოდნენ ექსპერიმენტატორს – არცერთი მათგანი არ უშვებდა შესაძლებლობას, რომ სხვები გამოიყენებ-დნენ ღილაკს, რომელიც საშიშ კატეგორიაში შედიოდა. მილ-გრემის ექსპერიმენტმა გასაოცარი შედეგი აჩვენა. ექსპერიმენ-ტში მონაწილეობა ნებაყოფლობითი იყო 40 განსხვავებული პროფესიის 20-დან 50 წლამდე ასაკის მამაკაცისათვის. კვლევა-ში მონაწილეობა ანაზღაურებადი იყო. ექსპერიმენტატორები ელოდნენ, რომ ცდისპირები წინააღმდეგობას გაუწევდნენ მათ არცთუ ისე გონივრულ მოთხოვნას. მაგრამ ფაქტიურად აღ-მოჩნდა, რომ სუბიექტების 65% აგრძელებდა ექსპერიმენტს 450 ვოლტის გამოყენებამდე.

<u>მორჩილების დაძლევის გზები</u>

პირველი – ინდივიდმა, რომელიც ავტორიტეტი ძალისაგან

იღებს ბრძანებას, უნდა გააცნობიეროს ის, რომ შედეგზე თვითონაა პასუხისმგებელი. მეორე – დამორჩილების ტენდენცია მცირდება, როცა სუბიექტებს სთავაზობენ ნათელ ნიშანს, რომლის შემდეგაც დამორჩილება მიუღებელია. მესამე – ძალზე ადვილია წინააღმდეგობა გაუწიო ავტორიტეტს თუ ეჭვქვეშ დააყენებ მის კომპეტენტურობას ან ეთიკურ ნორმებს. ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, ავტორიტეტს ყველა საზოგადოება გარკვეულ პატივს მიაგებს, რაც მის მიმართ საზოგადოების ბრმა მორჩილებაში გამოიხატება. ძალიან დიდი დროა საჭირო იმისათვის, რომ ადამიანის ცნობიერებაში შეაღწიოს ან მან გააცნობიეროს, ამართლებს კი ეს ავტორიტეტი იმ ფუნქციებს რაც მნიშვნელოვანია ხალხისა და საზოგადოებისთვის.

თავი VI
ატიტუდები და ატიტუდების შეცვლა

ატიტუდები ასახავენ სამყაროს ნებისმიერი ასპექტის შეფასებას. ერთ-ერთი მიდგომის თანახმად, ატიტუდი დასწავლილი დისპოზიციაა. კლასიკური განპირობება არის სწავლის ძირითადი ფორმა, რომელშიც დასაწყისში ნეიტრალური სტიმული უპირობო სტიმულთან განმეორებითი დაწყვილების შედეგად იძენს უნარს გამოიწვიოს რეაქცია. უპირობო სტიმული ბიოლოგიურ დონეზეა ფიქსირებული და მისი შეძენა არ ხდება ინდივიდუალური გამოცდილების შედეგად. იგი უპირობოდ იწვევს პოზიტიურ ან ნეგატიურ რეაქციას. ე.ი. ატიტუდის განსაზღვრება ასე წარმოგვიდგება – ატიტუდი არის სოციალური ობიექტის პოზიტიურად ან ნეგატიურად შეფასების, მის მიმართ სიამოვნება -უსიამოვნების განცდის და სასიკეთოდ ან სამტროდ მოქმედების ტენდენციათა დროში გამძლე სისტემა.

<u>პირობითი სტიმული</u>

ეს არის თავდაპირველად ნეიტრალური სტიმული, რომელსაც უკვე შეძენილი აქვს უნარი უპირობო სტიმულთან დაწყვეტილების შედეგად გამოიწვიოს რეაქცია. სარეკლამო აგენტებსა და სხვა ადამიანებს, რომელთაც ხალხის დარწმუნება სჭირდებათ ამ პრინციპის გამოყენების მნიშვნელოვანი გამოცდილება აქვთ. ისინი ქმნიან ,,გასაყიდი“ პროდუქტისათვის საჭირო დადებით ატიტუდებს. ეს არის კარგი მეთოდი ატიტუდების ჩამოყალიბებისათვის. თავდაპირველად საჭიროა იმის ცოდნა, თუ რაზე რეაგირებს დადებითად პოტენციური აუდიტორია ანუ რა უნდა იქნას გამოყენებული უპირობო სტიმულად. თუ თქვენ აპირებთ რომელიმე ალკოჰოლურ სასმელს გაუწიოთ რეკლამა, მაშინ არ იქნებოდა ურიგო გამოგეყენებინათ ახალგაზრდა მიმზიდველი ქალი, რომელიც რაღაც კავშირში იქნებოდა სასმელთან. როგორც წესი, ასეთი რეკლამა ქმნის დადებით ატიტუდს, რომელიც არაპირდაპირი გზით ახდენს ხალხის მეხსიერებაზე ზეგავლენას, რადგან ადამიანები იწყებენ

სასმელისა და ქალის დაკავშირებას ერთმანეთთან. არაპირდაპირი გზის იდეა მდგომარეობს იმაში, რომ სწორედ ქალის ალკოჰოლურ სასმელთან კავშირი იწვევს დადებით ატიტუდს. არაპირდაპირი გზით მუშაობისას, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ეს კავშირი დამყარდა და უპირობო სტიმული -ცნობილი ადამიანი, აუცილებლად დადებით ემოციასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

არა მხოლოდ კლასიკურ განპირობებას შეუძლია ხელი შეუწყოს ატიტუდების ფორმირებას არამედ, ეს შესაძლებელია მაშინაც კი, როდესაც ჩვენ არ ვიცით რას ემსახურება სტიმული. მაგ.: ერთ ექსპერიმენტში სტუდენტებს აჩვენებდნენ ფოტოებს, რომელზეც გამოსახული იყო მათთვის უცნობი ადამიანი ყოველდღიური საქმიანობის დროს (მაგ. სასურსათო მაღაზიაში ან სახლისაკენ მიმავალი). ამ ფოტოების ჩვენებამდე, მათ ასევე უჩვენებდნენ სხვა სურათებს, რომლებიც მათში დროის მცირე მონაკვეთში იწვევდა დადებით ან უარყოფით ემოციებს. იმ ადამიანებს, რომლებშიც თავდაპირველად ნაჩვენები სურათები (მაგ. ახლად დაქორწინებული წყვილი, მხიარული ადამიანები თამაშის პროცესში) გაუცნობიერებლად იწვევდნენ დადებით რეაქციას, უცნობი ადამიანი უფრო მეტად მოსწონდათ, ვიდრე ის ადამიანები, რომლებიც თავდაპირველად იყო ნაჩვენები სურათებში. მაგ. ღია გულის ოპერაცია, გველები და სხვა გაუცნობიერებლად იწვევდა უარყოფით რეაქციას. რამდენადაც ორივე სურათის ჩვენება თითქმის ერთდროულად ხდებოდა, ცდისპირები ვერ ხვდებოდნენ სტიმულის ფუნქციას. პოზიტიურმა ფოტოებმა ხელი შეუწყვეს უცნობისადმი დადებითი ატიტუდების ჩამოყალიბებას და პირიქით, ნეგატიურმა ფოტოებმა ხელი შეუწყვეს უცნობისადმი უარყოფითი ატიტუდის ჩამოყალიბებას. ამ შედეგებზე დაყრდნობით შესაძლებელია იმის თქმა, რომ ატიტუდებზე გავლენა შესაძლოა იქონიოს გაუცნობიერებელმა პირობებმა – კლასიკური განპირობებულობა, რომელიც ჩართული ხდება სტიმულის ცნობიერი ცოდნის გარეშე.

არსებული ექსპოზიცია – როდესაც ადრე ნანახი გარკვეული სტიმული, იმის მიუხედავად, თუ რა ახსოვს ადამიანს ამის

შესახებ, აისახება ატიტუდის ფორმირებაზე. ეს არის გაუცნობიერებელი პირობების შემთხვევა. მართლაც, ალცჰაიმერით დაავადებულ პაციენტებს არ ახსოვთ ადრე ნანახი სტიმული, თუმცა ეს სტიმული გავლენას ახდენს ატიტუდის ფორმირებაზე. არის კიდევ ერთი შემთხვევა, როდესაც ჩვენ გვახსოვს ინფორმაცია, თუმცა არსებული განმეორებები ქმნის ნაცნობობის გრძნობას და აყალიბებს დადებით ატიტუდს. მუნსმა, მეკისმა და გარსია მარკესმა ეს შემთხვევა დაუკავშირეს სიმართლის ეფექტის ილუზიას. კვლევების შედეგად დადგინდა, რომ პოზიტიური ატიტუტები ვითარდება როგორც სუსტი, ისე ძლიერი არგუმენტების შედეგად მანამ, სანამ დეტალური შეტყობინებები არ იჩენს თავს. მიუხეავად იმისა, რომ რეკლამებში გამოყენებულ ამ ტექნიკას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ატიტუდების ჩამოყალიბებაზე – ამ დროს მარტივად მოსმენილი შეტყობინება მეორდება – მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ ეფექტის დაძლევა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ადამიანები მოტივირებულნი არიან და შეუძლიათ კარგად, სიღრმისეულად გადაამუშაონ შეტყობინება.

<u>ატიტუდი, როგორც სოციალური მოვლენა</u>

ფსიქოლოგები განწყობის სხვადასხვა განმარტებას გვთავაზობენ, რომლებიც მის სხვადასხვა ასპექტზე ამახვილებენ ყურადღებას. ერთ-ერთი განმარტების თანახმად, ესაა „რწმენების, განცდებისა და ქცევითი ტენდენციების შედარებით მყარი სტრუქტურა სოციალურად მნიშვნელოვანი საგნების, ჯგუფების, მოვლენებისა და სიმბოლოებისადმი“. ოლპერტის მიხედვით, ატიტუდი გამოცდილებით გამყარებული სულიერი და ნერვიული მზაობა, რომელიც მიმართულებას აძლევს და განსაზღვრავს ქცევის დინამიკას განწყობასთან დაკავშირებული საგნებისა და სიტუაციის მიმართ. დუბის აზრით „განწყობა სტიმულსა და რეაქციას შორის ჩართული ცვლადია, რომელიც ქცევის მიმართულებას განსაზღვრავს“. სხვები კი მას განმარტავენ, როგორც „ფსიქოლოგიურ ტენდენციას, რომელიც გამოიხატება განსაზღვრული ობიექტის ან გაერთიანების მიმართ

დადებითი ან უარყოფითი შეფასებით.“ განწყობა სოციალური ობიექტის დადებითი ან უარყოფითი მოქმედების მყარი სისტემაა. ატიტუდის სტრუქტურა სამი კომპონენტისაგან შედგება 1. აფექტური კომპონენტი 2. ქცევითი კომპონენტი 3) შემეცნებითი კომპონენტი. პირველ კომპონენტში მოიაზრება ინდივიდის ის განცდები და ემოციები, რომლებსაც ის განწყობის ობიექტს უკავშირებს მაგ.: „მე მეშინია ძაღლების.“ 2) ქცევითი კომპონენტში მოიაზრება – ატიტუდის გავლენით განხორციელებული ინდივიდის ქცევა განწყობის ობიექტის მიმართ, მაგ.: „როცა ძაღლს დავინახავ გავიქცევი. 3) შემეცნებითი კომპონენტი – ინდივიდის რწმენები და ცოდნა განწყობის ობიექტის მიმართ, მაგ.: „მჯერა, რომ ძაღლები საშიშები არიან.“

განწყობის შესაქმნელად საჭიროა ობიექტი და მისი შეფასება. განწყობის ობიექტად შეიძლება იქცეს ერთი ადამიანი ან სოციალური ჯგუფი, აბსტრაქტული ან კონკრეტული საგანი. მისი შეფასება შესაძლოა იყოს დადებითი ან უარყოფითი. თუ ადამიანი დადებითად აფასებს განწყობის ობიექტს, იგი მის მიმართ იმოქმედებს დადებითი მანერით, ხოლო თუ უარყოფითად აფასებს – უარყოფითი მანერით. მაგ.: მასწავლებელს მოსწონს ცაცია მოსწავლეები (აფექტური კომპონენტი). წარსული გამოცდილებიდან სჯერა, რომ ისინი კარგად სწავლობენ (შემეცნებითი კომპონენტი).

ბავშვების უმეტესობა არაერთხელ შეუქია მშობლებსა და მასწავლებლებს „სწორი ხედვისათვის“. მსგავსი შემთხვევების შედეგად, ინდივიდები სწავლობენ რომელი ატიტუდებია მისაღები და სწორი, რადგან ასეთი ატიტუდებისათვის იმსახურებენ ჯილდოს იმ ადამიანებისაგან, რომლებთანაც ახდენენ საკუთარი თავის იდენტიფიცირებას და ეთანხმებიან მათ. ატიტუდები, რომლებსაც მოჰყვება დადებითი შედეგები უფრო გაძლიერდება და განმეორდება, ვიდრე ის ატიტუდები, რომლებსაც უარყოფითი შედეგები მოჰყვა – ეს ატიტუდები სავარაუდოდ უფრო შესუსტდება და შემცირდება მათი გამოხატულება. ატიტუდების შეძენის ასეთ ფორმას ინსტრუმენტული განპირობების საფუძველზე სწავლას უწოდებენ. ინსტრუმენ-

ტული განპირობება არის სწავლის ფორმა, რომლის დროსაც სწავლა დამოკიდებულა შედეგზე, განსხვავება ხდება ჯილდოსა და დასჯას შორის. ზოგჯერ განპირობების პროცესი უფრო დახვეწილია, ჯილდო გამოიხატება ფსიქოლოგიური დათანხმებით, ბავშვის დაჯილდოვება ღიმილით, მოწონებით, ჩახუტებით ხდება სწორი შეხედულებებისათვის. განპირობების ეს ფორმა ძლიერია დაახლოებით 10 წლამდე, ამის შემდეგ თანატოლების გავლენა იზრდება. ამ დროს ბავშვები პოლიტიკურ, რელიგიურ და სოციალურ შეხედულებებს თავიანთი მშობლებისა და ოჯახის წევრების ანალოგიურად გამოხატავენ.

ადამიანმა შესაძლებელია ცნობიერად იცოდეს, რომ ის განსხვავებული ჯგუფი, რომლის წევრიც თავად არის დაჯილდოვდება ან დაისჯება გარკვეული ატიტუდის გამოხატვისათვის. ნაცვლად იმისა, რომ გავლენის შედეგად შევცვალოთ ჩვენ ატიტუდი, ჩვენ შესაძლებელია გამოვხატავდეთ ერთ ხედვას ერთ აუდიტორიასთან და სხვა ხედვას სხვა აუდიტორიასთან. საბედნიეროდ, ჩვენი ყოველი სიტყვა არ არის ჩაწერილი, რაც შესაძლებლობას გვაძლევს სხვადასხვა აუდიტორიასთან განსხვავებული აზრი გამოვთქვათ. ეს იმას ნიშნავს, რომ პოლიტიკოსებისაგან განსხვავებით ნაკლებად გვემუქრება საშიშროება პასუხი გვაგებინონ განსხვავებული ატიტუდებისათვის გამსხვავებულ აუდიტორიასთან.

ერთ-ერთი გზა, რომლითაც სოციალური ფსიქოლოგები აფასებენ იმ განფენილობას, რომლის ფარგლებშიც ადამიანები ატიტუდებს გამოხატავენ დამოკიდებულია მოსალოდნელ აუდიტორიაზე, რომელიც იცვლება იმის მიხედვით თუ ვინ შეიძლება იცოდეს მათი ატიტუდის შესახებ. მაგ.: თუ ადამიანები ეძებენ გოგონების/ქალების ან/და მამაკაცების გაერთიანებას რათა გამოხატონ განსხვავებული ატიტუდები სხვა გაერთიანებების მიმართ, ეს დამოკიდებულია იმაზე დარჩება მისი ატიტუდები კერძო საუბარში თუ გახდება საზოგადო და მისი ჯგუფის წევრები შეიტყობენ თუ არა მისი ატიტუდის შესახებ. როდესაც ადამიანი ცდილობს გახდეს რაიმე ორგანიზაციის წევრი და სჯერა, რომ სხვა ორგანიზაციის წევრები გაიგებენ მისი ატი-

ტუდების შესახებ, ის წყვეტს კომუნიკაციას სხვა ორგანიზაციებთან, რათა გამოხატოს სურვილი, რომ მხოლოდ ამ ერთ ორგანიზაციაში სურს გაწევრიანება. თუმცა, როდესაც მათ სჯერათ, რომ მათი ატიტუდები დარჩება კერძო საუბრებში, ისინი არ წყვეტენ კომუნკაციას სხვა მსგავს ორგანიზაციებთან. ამდენად, ორივე ატიტუდის ფორმირება და ატიტუდის გამოხატვა დამოკიდებულია ჯილდოზე, რომელიც წარსულში მივიღეთ და ჯილდოზე, რომელსაც მომავალში მივიღებთ გარკვეული ატიტუდების გამოხატვისათვის.

<u>კოგნიტური დისონანსი</u>

კოგნიტური დისონანსი დისკომფორტის მდგომარეობაა, როცა ადამიანი ერთდროულად განიცდის ორ წინააღმდეგობრივ „ცოდნას“ – შეხედულებას, აზრს, წარმოდგენასა და განზრახვას ერთი ობიექტისადმი. კოგნიტური დისონანსის თეორია 1957 წელს ამერიკელმა ფსიქოლოგმა ლეონ ფესტინჯერმა შეიმუშავა. სიტყვათაშეთანხმება „კოგნიტური დისონანსი“ ინგლისური ტერმინიდან მომდინარეობს „ცოდნა- შესაბამობა“.

აღნიშნული თეორია საშუალებას გვაძლევს გავაანალიზოთ ერთმანეთთან დაკავშირებული კოგნიციები (ცალკეული იდეები, რწმენები), თუ როგორ გავლენას ახდენს სუბიექტის ქცევა მისი ატიტუდების ცვლილებაზე. თეორიის თანახმად, კოგნიციები შესაბამისობაშია კონსონანსურ (შეთანხმებულ) და დისონანსურ (წინააღმდეგობრივ) დამოკიდებულებაში. დისონანსი წარმოიქმნება, როდესაც ერთი კოგნიცია ვერ შეეგუება მეორეს. დისონანსის განცდა ადამიანში იწვევს მისწრაფებას სასწრაფოდ გათავისუფლდეს მისგან. ასეთი მისწრაფება კოგნიტური კონსისტენტობის/წონასწორობის პრინციპს უკავშირდება, რომელსაც ფესტინჯერი თავისი კვლევებისას იყენებდა. წონასწორობის პრინციპი გულისხმობს ადამიანის მიდრეკილებას ნებისმიერ სიტუაციაში შეინარჩუნოს შინაგანი ჰარმონიულობა, გაწონასწორებული მდგომარეობა. როდესაც ჩნდება ერთგვარი წინააღმდეგობა ადამიანის ცოდნასა და ქცევას შორის, ირღვევა წონასწორობაც. იმისათვის, რომ ადამიანმა კვლავ მი-

აღწიოს შინაგან კოგნიტურ შეთანხმებულობას, იგი ცდილობს ეს წინააღმდეგობა როგორღაც ახსნას ან სულაც არ მიანიჭოს მას მნიშვნელობა. არსებობს რამდენიმე გზა, რომლითაც ადამიანს დისონანსის შემცირება შეუძლია:

1. შეცვალოს ქცევა და გახადოს იგი კოგნიციების შესაბამისი (ატიტუდების გავლენა ქცევაზე). ამ შემთხვევაში, დისონანსის განცდა უნდა იყოს ძალიან ძლიერი, რათა სახეცვლილი ქცევა დიდხანს შენარჩუნდეს.

2. შეცვალოს კოგნიციები, რომლებიც ეწინააღმდეგება ქცევას (ქცევის გავლენა ატიტუდებზე) შემდეგი ხერხებით:

ა) შეცვალოს კოგნიცია ისე, რომ იგი გახდეს სხვა კოგნიციის კონსონანსური;

ბ) აღიჭურვოს ახალი ინფორმაციით, რომელიც მხარს დაუჭერს დისონანსის გამომწვევ კოგნიციას;

გ) დააკანონოს დისონანსური კოგნიციის მნიშვნელობა;

დ) ჩათვალოს, რომ ერთმანეთთან დისონანსში მყოფი კოგნიციები ირელევანტურია, ანუ ერთმანეთთან დაკავშირებული არ არის.

მეტი თვალსაჩინოებისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ მაგალითი: ადამიანი ეწევა სიგარეტს, მაგრამ ამავდროულად იცის, რომ მოწევა მავნებელია ჯანმრთელობისათვის; ჩნდება დისონანსი, რომლისაგანაც თავის დაღწევა შესაძლებელია სამი გზით:

1) ქცევის შეცვლა ე.ი. სიგარეტისათვის თავის დანებება;

2) კონგიციის შეცვლა – თავის დარწმუნება, რომ სიგარეტის მავნებლობასთან დაკავშირებული დასკვნები გადაჭარბებულია და არ შეესაბამება სიმართელს;

3) მოწევის მავნებლობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ახალი ინფორმაციის იგნორირება;

კოგნიტური დისონანსის თეორიის შესამოწმებლად ერთ-ერთი პირველი ექსპერიმენტი ფესტინჯერის მოწაფემ ჯ. ბრემმა ჩაატარა. ბრემი ცდისპირებს სთხოვდა შეეფასებინათ საყოფაცხოვრებო ელექტრომოწყობილობები: ტოსტერი, ფენი და ა. შ. ამის შემდეგ, ექსპერიმენტის მონაწილეებს საშუალება ეძლე-

ოდათ მათთვის ნაჩვენები ორი ნივთიდან აერჩიათ ერთ-ერთი და კიდევ ერთხელ შეეფასებინათ ისინი. თითოეული ცდისპირი უფრო მეტად აქებდა იმ ნივთს, რომელიც აირჩია, ვიდრე იმას, რომელიც უარყო. კოგნიტური დისონანსის თეორიის ფონზე მსგავსი ქცევის მიზეზი ნათელია: რთული არჩევანის გაკეთებისას ადამიანები განიცდიან დისონანს. ასარჩევი საგნის უარყოფითი თავისებურებები დისონანსშია მისი არჩევის ფაქტთან. ხოლო, უარყოფილი საგნის დადებითი თავისებურებები დისონანსშია ამ საგნის უარყოფის ფაქტთან. დისონანსის შესამცირებლად ადამიანები ხაზს უსვამენ არჩეული საგნის პოზიტიურ მხარეებს და აკანონებენ საგნის უარყოფითი მხარის მნიშვნელობას და პირიქით, ხაზს უსვამენ უარყოფილი საგნის ნეგატიურ თავისებურებებს და აკნინებენ მისი უპირატესობების მნიშვნელობას.

კოგნიტური დისონანსის თეორიის ფარგლებში ჩატარებულ კვლევებში, რომლებიც ატიტუდების ცვლილებაზე ქცევის გავლენას სწავლობდა გამოვლინდა „არასაკმარისი დადასტურების“ ეფექტი. თუ ადამიანს არა აქვს საკუთარი ქცევის გარეგანი გამართლება – დადასტურება, ის იძულებულია მიმართოს შინაგან გამართლებას – დადასტურებას, ანუ ატიტუდის შეცვლას. აღნიშნულს არასაკმარისი დადასტურების ეფექტი ჰქვია. ატიტუდის შეცვლას, როგორც დისონანსის შემცირების მეთოდს, ადამიანი იმ შემთხვევაშიც იყენებს, როცა იმას ამტკიცებს რისიც თვითონაც არ სჯერა ან როცა, ზნეობრივი ნორმების საკუთარ თავზე წარმოდგენის საწინააღმდეგოდ იქცევა.

„არასაკმარისი დადასტურების“ ეფექტის შესწავლას მიეძღვნა ფესტინჯერისა და კარლ სმიტის მიერ 1959 წელს ჩატარებული ექსპერიმენტი. ექსპერიმენტის მონაწილეები დაახლოებით 1 საათის განმავლობაში ასრულებდნენ ორ მეტად მოსაწყენ, უაზრო და უინტერესო დავალებას. შემდეგ, ცდისპირებს (იმ ასისტენტების ნაცვლად, რომლებიც ვითომ ცუდად გახდნენ) სთხოვდნენ შემდეგი მონაწილისათვის, რომელიც ექსპერიმენტში მონაწილეობის მისაღებად კართან იდგა და თავის რიგს ელოდა, აღეწერათ შესასრულებელი სამუშაო როგორც

ძალიან საინტერესო და სასარგებლო. ამ ტყუილისათვის ცდისპირთა ერთ ნაწილს უხდიდნენ 20 დოლარს, მეორე ნაწილს კი – 1 დოლარს. ამის შემდეგ, მონაწილეებს უნდა შეეფასებინათ თუ რამდენად მოეწონათ ის დავალებები, რომლებიც ცოტა ხნის წინ შეასრულეს. რადგან ფესტინჯერმა და კარლ სმიტმა ივარაუდეს, რომ ცდისპირებისათვის ტყუილის სანაცვლოდ მიცემული 1 დოლარი არ იქნებოდა საკმარისი, ისინი შეეცადნენ შეემცირებინათ კოგნიტური დისონანსი ატიტუდის შეცვლის გზით. ე.ი. შესასრულებელი დავალება პირველი ჯგუფის მონაწილეებისათვის აღქმული იქნებოდა როგორც საინტერესო და სასიამოვნო, განსხვავებით მეორე ჯგუფის მონაწილეებისაგან. პირველი ჯგუფის მონაწილეებისათვის ტყუილის სანაცვლოდ მიღებული 20 დოლარი საკმარისი გარეგნული გამართლება აღმოჩნდებოდა, შესაბამისად მათთვის ატიტუდების შეცვლა საჭირო აღარ იქნებოდა. მეორე ჯგუფის მონაწილეები კი დავალებას შეაფასებდნენ, როგორც მართლაც უინტერესოს და მოსაწყენს. კვლევის შედეგებმა აღნიშნული ჰიპოთეზა დაადასტურა. საკმარისი გარეგანი გამართლების არქონის პირობაში მყოფმა „მატყუარა“ ცდისპირებმა მართლაც შეცვალეს დამოკიდებულება დავალებების მიმართ.

არასაკმარისი დადასტურების პირობებში განხორციელებულ ქცევაზე კოგნიტური დისონანსის გავლენა და შედეგად ატიტუდების ცვლილება მრავალი ექსპერიმენტით შემოწმდა. მაგალითისათვის განვიხილოთ არტურ კოენის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტი. მან იელსის უნივერსიტეტის სტუდენტები დაარწმუნა მონაწილეობა მიეღოთ რთული, კონტრატიტუდული ქცევის შესწავლაში. ექსპერიმენტი ტარდებოდა სტუდენტებზე, რომელთა რამდენიმე ფართომასშტაბიანი გამოსვლაც პოლიციამ სასტიკად დაარბია. სტუდენტებს, რომლებიც ღრმად დარწმუნებულები იყვნენ, რომ პოლიციამ უფლებამოსილებას გადააჭარბა, სთხოვეს დაეწერათ სტატია, რომელშიც ისინი გაამართლებდნენ და მხარს დაუჭერდნენ პოლიციის ქცევას. სანაცვლოდ სტუდენტთა ერთ ჯგუფს გადაუხადეს 10 დოლარი, მეორეს – 5; მესამეს კი – 1, ხოლო დანარჩენებს 50 ცენ-

ტი. სამუშაოს დასრულების შემდეგ სტუდენტებს სთხოვეს, შეეფასებინათ თავიანთი ატიტუდები პოლიციის ქმედების მიმართ. აღმოჩნდა, რომ რაც უფრო ნაკლები იყო გაწეული სამუშაოსათვის მიღებული გასამრჯელო, მით უფრო მეტად ცვლიდნენ ცდის პირები პოლიციის მიმართ თავიანთ ატიტუდებს ე.ი. რაც უფრო ნაკლები იყო გარეგანი გამართლება (ამ შემთხვევაში ფულად ეკვივალენტში გამოხატული) მით მეტი იყო ქცევის გავლენა (ამ შემთხვევაში პოლიციის მხარდასაჭერად დაწერილი სტატია) ატიტუდებზე.

საკმარისი ან არასაკმარისი დადასტურება შეიძლება გამოვლინდეს არა მარტო მატერიალური ფორმით, არამედ მუქარის, შექების, სხვა ადამიანისათვის სიკეთის გაკეთების შესაძლებლობის სახით. მსგავსი გარეგანი გამართლების ზემოქმედება ატიტუდებზე ნაჩვენებია ფილიპ ზიმბარდოს ერთობ „ეგზოტიკურ ექსპერიმენტში: სარეზერვო ჯარისკაცებს უთხრეს, რომ თითქოს მათი დახმარება სჭირდებოდათ ექსტრემალურ პირობებში თავის გადასარჩენად არსებული საკვების შესწავლასთან დაკავშირებით. მათ შესთავაზეს გაესინჯათ შემწვარი კალია. ჯარისკაცების ერთ ნაწილს ამის შესახებ სთხოვა გულისხმიერმა და კეთილშობილმა ოფიცერმა, მეორეს კი – მკაცრმა, არაკეთილგანწყობილმა. ჯარისკაცების კალიების ჭამასთან დაკავშირებული ატიტუდები იზრდებოდა მათ გასინჯვამდე და გასინჯვის შემდეგ. შედეგებმა დაადასტურა კვლევის ჰიპოთეზა: ჯარისკაცებს, რომლებმაც შეჭამეს კალია არაკეთილგანწყობილი ოფიცრის თხოვნით, ახალი კერძი უფრო მეტად მოეწონათ, ვიდრე იმ ჯარისკაცებს, რომლებსაც თხოვნით მიმართა კეთილშობილმა ოფიცერმა, ე.ი. როცა არსებობდა საკმარისი გარეგანი გამართლება – სასიამოვნო ოფიცრის თხოვნა, რომელსაც ჯარისკაცები პატივისცემით ეპყრობოდნენ, – ისინი თითქმის არ განიცდიდნენ კალიების მიმართ თავიანთი უარყოფითი დამოკიდებულების ცვლილების საჭიროებას. სამაგიეროდ, იმ ჯარისკაცებისათვის, რომლებმაც შეასრულეს არასასიამოვნო ოფიცრის თხოვნა, თავიანთი ქცევის გარეგანი გამართლება აშკარად არ იყო საკმარისი. იმისათვის, რომ ჯარის-

კაცებს თავიანთი ქცევა გაემართლებინათ, ისინი იცვლიდნენ ატიტუდებს ანუ კალიების მიმართ მათი დამოკიდებულება ხდებოდა უფრო დადებითი.

ამავე თემასთან დაკავშირებით საინტერესო ექსპერიმენტი ჩაატარა ასევე არონსონმა. იგი ეყრდნობოდა შემდეგ ჰიპოთეზას: თუ ადამიანს ავუკრძალეთ საყვარელი საქმის კეთება, რაც უფრო სუსტი იქნება მუქარა, მით უფრო მეტად გაუჩნდება ადამიანს ტენდენცია დააკანონოს თავისი საყვარელი საქმიანობა. როცა ადამიანი თავს იკავებს საყვარელი საქმის კეთებისაგან, იგი კოგნიტურ დისონანს განიცდის – ამ საქმიანობის სიყვარული და მისი კეთების აკრძალვა ერთმანეთთან დისონანსშია. დისონანსის შესამცირებლად ერთ-ერთი გზა არის ამ საქმიანობის მნიშვნელობის დაკნინება საკუთარ თვალში. შედეგად ჩნდება გამართლება იმისა, თუ რატომ არ აკეთებს ადამიანი საყვარელ საქმეს. აღსანიშნავია, რომ სუსტი მუქარა სუსტ თვითდარწმუნებას იწვევს. არონსონის ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ ბავშვები, რომლებმაც იცოდნენ, რომ არც თუ ისე მკაცრად დაისჯებოდნენ თუ საყვარელი სათამაშოთი ითამაშებდნენ, თავიანთ დამოკიდებულებას ამ სათამაშოს მიმართ უფრო მეტად იცვლიდნენ ანუ მათი სიყვარული ამ სათამაშოს მიმართ უფრო მეტად მცირდებოდა, ვიდრე იმ ბავშვებისა, რომლებსაც მკაცრად დასჯით ემუქრებოდნენ.

კოგნიტური დისონანსის თეორიის ფარგლებში ჩატარებულ მრავალ კვლევაში გამოვლინდა ის პირობები, რომელთა დროსაც „არასაკმარისი დადასტურების“ ეფექტი უფრო მეტი სიძლიერით ვლინდება. ეს პირობებია:

1. ქცევა სრულდება საჯაროდ;
2. ქცევას მოსდევს სავალალო შედეგები;
3. წარმოქმნილი დისონანსის გამო ზიანდება „მე – კონცეფცია“, ადამიანის თვითშეფასება;
4. ადამიანის გადაწყვეტილება – ქცევა თავისუფალია და არა იძულებითი.

მთავარი პრაქტიკული დასკვნა, რომელიც ფესტინჯერის თეორიიდან გამომდინარეობს, არის ის, რომ შესაძლებელია სუ-

ბიექტის ნებისმიერი ფსიქოლოგიური ელემენტის შეცვლა – ადამიანის კოგნიციების ეჭვქვეშ დაყენებამ, შესაძლოა გამოიწვიოს მისი ქცევის ცვლილება. ქცევის ცვლილება კი, თავის მხრივ, გამოიწვევს ადამიანის შეხედულებების ცვლილებას საკუთარ თავზე, სხვებზე თუ გარემომცველ საგნებსა და მოვლენებზე.

თავი VII
დ ე ვ ი ა ც ი ა

დევიაცია (გადახრა) არის ნებისმიერი ის ქმედება, რომელიც არღვევს საზოგადოების ან ჯგუფის კულტურის ფართოდ გაზიარებულ ზნეობრივ ღირებულებებსა და ნორმებს. ქცევა რომ დევიანტურად ჩაითვალოს, ამისათვის ის უნდა არღვევდეს სოციალურ სტანდარტებს. იქიდან გამომდინარე, რომ ზნეობრივი სტანდარტები გამუდმებით იცვლება და განსხვავებულია სხვადასხვა საზოგადოებასა და ჯგუფისათვის, დევიაციის შესახებ წარმოდგენაც ცვალებადია.

ზოგიერთ შემთხვევაში კულტურული სტანდარტები განისაზღვრება კანონით და ამიტომ დევიაცია დანაშაულებრივი ქმედებაა. თუმცა, კანონის ყველა დარღვევა როდია დევივაცია. მაგ.: ადამიანების უმეტესობა ხშირად აჭარბებს სიჩქარეს 5 ან 10 კმ/სთ-ით, მაგრამ ძალიან ცოტა განიხილავს ამ საქციელს მორალურ პრობლემად. დევიანტური ქმედება შეიძლება არ იყოს კანონსაწინააღმდეგო, მაგრამ აღიქმებოდეს როგორც არაეთიკური, ამორალური ან „ავადმყოფური“. მაგ.: პროფესორი, რომელიც თავის სტუდენტს უნიშნავს პაემანს, არ სჩადის კანონსაწინააღმდეგო ქმედებას, მაგრამ ეს საზოგადოების თვალში აღიქმება როგორც ამორალური საქციელი.

საზოგადოება მკაცრად გმობს ზოგიერთ დევიანტურ საქციელს მაგ.: სქესობრივ ძალადობას ბავშვებზე, მაგრამ ამავდროულად, შემწყნარებლობას იჩენს ისეთი საკითხის მიმართ, როგორიცაა პორნოგორაფიული გამოცემები. დევიანტური ქცევის მქონე ადამიანები, საზოგადოებაში მოიხსენიება, როგორც გიჟები, გარყვნილები და ა.შ. მაგრამ, რამდენი ადამიანი ვიცით ვისაც ახასიათებს მსუბუქი დევიანტობა, რაც გამოიხატება, მაგ.: წიგნის ბიბლიოთეკაში არ დაბრუნებაში, სამსახურეობრივი კალმის არ დაბრუნებაში, შემოსავლების დამალვაში და ა.შ. ჩვენ მათ არ ვთვლით საზოგადოებისათვის საშიშ წევრებად. მსგავსი მაგალითებით თუ ვიმსჯელებთ, აღმოვაჩენთ, რომ დევიანტურობა ძალზედ გავრცელებული ქმედება ყოფილა.

<u>დევიაციის სოციალური სტრუქტურა</u>

დევიაცია სოციალური დეფინიციის საკითხია და არსებობს მხოლოდ იმ სოციალურ ნორმებთან მიმართებაში, რომლებიც ბატონობენ გარკვეულ ადგილას, დროში, ჯგუფსა და სიტუაციაში. დევიაცია არის თვისება, რომელსაც ადამიანები მიაწერენ კონკრეტულ ქცევებს, გამომდინარე იმ ნორმებიდან, რომლებიც თვითონ დაამკვიდრეს და თვლიან რომ კარგია ან მისაღებია, ,,სწორია" საზოგადოებისათვის.

დევიაცია იცვლება არა მხოლოდ ჯგუფიდან ჯგუფში, არამედ ერთი სიტუაციიდან მეორეშიც. ჩვენს საზოგადოებაში მკვლელობა დევიანტურ ქმედებად ითლება, თუკი საქმე არ ეხება თავდაცვას ან საომარ მდგომარეობას. ამის მსგავსად, დროსთან ერთად იცვლება ნორმებიც, იცვლება დევიაციის დეფინიციებიც. იყო დრო, როცა თანაცხოვრება დაქორწინების გარეშე მკაცრად დევიანტურად ითვლებოდა. ამ საქციელის გამო ახალგაზრდა შესაძლოა სასწავლებლიდანაც კი გაერიცხათ. დღეს კი საზოგადოება თანაცხოვრებას სოციალურად მისაღებად მიიჩნევს.

დევიაციის დეფინიციის ცვლილება სოციალური ცვლილების მნიშვნელოვანი ნაწილია. ცვლილება შესაძლოა მიმდინარეობდეს ჩქარი ან ნელი ტემპით, ორგანიზებულად ან არაორგანიზებულად. თანამედროვე ეტაპზე, მნიშვნელოვნად შეიცვალა ახალგაზრდობის მიდგომა ქორწინებისადმი, შეუღლების ასაკისადმი. რამაც თავის მხრივ, შეარბილა საზოგადოების დამოკიდებულება ქორწინებამდელ სექსთან დაკავშირებით.

<u>ბიოლოგიური თეორიები</u>

ბიოლოგიური თეორიის მიხედვით, ადამიანის ქცევა ბიოლოგიური ინსტიქტების გამოხატულებას წარმოადგენს. ამიტომ, დანაშაულისა და დევიაციის კვლევისას აქცენტი მათ ბიოლოგიურ მიზეზებზე კეთდებოდა. ცნობილი იტალიელი ექიმი, ფსიქიატრი და კრიმინალისტი ჩეზარე ლომბროზე ფიქრობდა, რომ სოციალური პირობების გავლენა ბიოლოგიურ საფუძვლებთან შედარებით, კრიმინალურ ქცევაზე უმნიშვნელოა. მან ციხის ექიმად მუშაობისას დამნაშავეთა გარეგნობისა და ფიზიკური ნიშან-

თვისებების შესწავლის საფუძველზე დაასკვნა, რომ კრიმინალური ტიპების იდენდიფიცირება მთელი რიგი ანატომიური ნიშნების მიხედვითაა შესაძლებელი. ლომბროზოს აზრით, დამნაშავე ამოიცნობოდა დიდი ყურებით, თავის ქალისა და ყბების სიდიდითა და გრძელი ხელებით. ანუ დამნაშავე ადამიანი მაიმუნისმაგვარი წინაპრის მსგავსია. შესაბამისად, დანაშაულის ჩამდენი დეგენერაციითა და გონებრივი ჩამორჩენილობით გამოირჩევა, რამდენადაც ის ბიოლოგიურად განუვითარებელი დარჩა. ლომბროზომ დამნაშავის ოთხი ძირითადი ტიპი გამოყო: სულთამხუთავი, ქურდი, მოძალადე და თაღლითი.

<u>სახელდება და ძალაუფლება</u>

თითქმის ყველა ადამიანი არღვევს კანონს ხანდახან, მაგრამ მათი უმრავლესობა არ აღიქვამს თავს დევიანტად და არც სხვები ფიქრობენ ასე მის შესახებ. სახელდების თეორიის მიხედვით, რომელიც სიმბოლური ინტერაქციონიზმიდან მომდინარეობს, დევიანტად აღიარებამ შესაძლოა დიდი გავლენა იქონიოს ადამიანის სოციალურ იდენტობაზე (ბლუმერი). საზოგადოების მიერ დევიანტად მონათვლის საკითხი დამოკიდებულია არა მარტო იმაზე, თუ როგორ იქცევა კონკრეტული პირი, არამედ მის ასაკსა და სოციაულრ კლასზე.

სოციოლოგი უილიამ ჩამბლისი (1973) მისურის ერთ-ერთ სკოლაში აკვირდებოდა სახელდების პროცესს. ჩამბლისმა განასხვავა ორი სოციალური ჯგუფი „წმინდანების“ და „ხულიგნების“. ,,წმინდანად“ წოდებულები კარგად სწავლობდნენ და შეძლებული ოჯახის შვილები იყვნენ, რომლებიც შაბათ-კვირას ისე ერთობოდნენ, როგორც სურდათ. სვამდნენ, ხულიგნობდნენ, გადაჭარბებული სიჩქარით დააქროლებდნენ მანქანას და წვრილმან ქურდობასაც ეწეოდნენ. მაგრამ მათ, საზოგადოება და პოლიციაც კი პატიობდა ასეთ საქციელს. „ხულიგნებად“ წოდებული ბიჭები კი დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლები იყვნენ, სწავლით არ გამოირჩეოდნენ, დასვენების დღეებში კი ძირითადად მაღაზიებთან იყვნენ ატუზულები და ალკოჰოლურ სასმელს მიირთმევდნენ. ხშირი იყო შემთხვევები,

როდესაც ისინი ჩხუბში ებმებოდნენ და პრობლემები ექმნებოდათ პოლიციასთან. რა იყო მიზეზი იმისა, რომ „წმინდანებისა“ და „ხულიგნების“ მიმართ პოლიციას განსხვავებული პოზიცია ეკავა, რადგან „წმინდანები“ ერთხელაც კი არ დაუპატიმრებია პოლიციას. ძალაუფლება გახლდათ სწორედ ის გადამწყვეტი ფაქტორი, რამაც ეს დეფინიცია გამოიწვია. პოლიციამ იცოდა, რომ ,,წმინდანების“ მშობლები ერთ ამბავს ატეხდნენ შვილების დაპატიმრების შემთხვევაში, განსხვავებით „ხულიგნების“ მშობლებისაგან, რომელთაც ამისათვის არ ყოფნიდათ გავლენა და ძალაუფლება. ორივე ჯგუფის წარმომადგენლებმა გაამართლეს სახელობით განპირობებული მოლოდინები: „ხულიგნების“ რამდენიმე წევრი მრავალჯერ იქნა დაკავებული პოლიციის მიერ, ხოლო „წმინდანების“ წევრებმა უკან მოიტოვეს სიყმაწვილის ცელქობანი და გაუდგნენ კარიერული წინსვლის გზას.

კარლ მარქსი ამტკიცებდა, რომ მორალური ნორმები და შესაბამისად დევიანტობის დეფინიციაც, განისზღვრება ფინანსური ელიტის მცირერიცხოვანი მმართველი კლასის მიერ, რადგან ეს ნორმები ამყარებს არსებულ ეკონომიკურ წესრიგს. მარქსის მიხედვით, ნორმების დარღვევაზე საზოგადოების რეაგირების სიმწვავე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად უქმნის საფრთხეს დარღვევები გაბატონებულ ძალებს.

ამგვარად, მარქსისტული მოსაზრებების თანახმად, კანონი და სასჯელაღსრულება ასახავს მმართველი ფენის უპირველეს და უმნიშვნელოვანეს ინტერესს – ანუ მათ ინტერესს, ვისაც შეუძლია გავლენის მოხდენა კანონმდებლობაზე, პოლიციასა და სასამართლოზე.

<u>სოციოლოგიური თეორიები</u>

ფუნქციონალისტური თეორია – სოციოლოგიის კლასიკოსმა ემილ დიურკემმა გამოთქვა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც დევიაციას ოთხი ძირითადი ფუნქცია გააჩნია:

1) კულტურული ნორმებისა და ღირებულებების გამყარება. დიურკემი მიიჩნევს, რომ დევიაციასთან მიმართებაში საზო-

გადოება აყალიბებს, თუ რომელი ქცევაა მისაღები და რომელი არა. ეს იმას ნიშნავს, რომ დევიაცია ხელს უწყობს ნორმების გამყარებას.

2) დევიაციაზე რეაქცია მორალურობის საზღვრებს აზუსტებს – დევიანტის იარლიყის მიკერებით საზოგადოება ზღვარს ავლებს და მონიშნავს, თუ სად მთავრდება ნორმალურობა და სად იწყება მისგან გადახრა.

3) დევიაციაზე რეაქცია სოციალური ერთიანობის პირობა ხდება. ნორმიდან გადახრაზე ადამიანები ერთნაირად რეაგირებენ, რაც მათდა უნებურად მათი ერთიანობის პირობა ხდება. როგორც წესი, საზოგადოების წევრები ერთნაირად რეაგირებენ დევიაციაზე.

4) დევიაცია ბიძგს აძლევს სოციალურ ცვლილებებს – დევიანტები თავიანთი ქცევით საზოგადოების ნორმალურობის საზღვრების შეცვლის ტენდენციით ხასიათდებიან, ანუ ხშირად სოციალურ ცვლილებათა ბიძგის როლს ასრულებენ.

დიურკემისაგან განსხვავებით, მერტონმა აჩვენა, რომ დევიანტობის ხასიათი იმაზეა დამოკიდებული თუ რა საშუალებებს გვთავაზობს საზოგადოებრივი წესრიგი მის მიერ დაწესებული ნორმების მისაღწევად ანუ მერტონი ამბობს, რომ დევიაციის საფუძვლები საზოგადოების სტრუქტურაში დევს. მან იგი სოციალური დაძაბულობის ცნებას დაუკავშირა. სოციალური დაძაბულობა იმ ადამიანის ქცევას ახასიათებს, რომელიც ისეთ სიტუაციაში აღმოჩნდება, სადაც საზოგადოების მიერ აღიარებული ნორმები სოციალურ სინამდვილესთან კონფლიქტში მოდიან. მაგ.: თანამედროვე საზოგადოებაში ყველას მიერ მიღებული ნორმები მატერიალური წარმატების მიღწევაზე აკეთებს აქცენტს, რომლის მისაღწევადაც თვითდისციპლინა და ინტენსიური შრომაა საჭირო. შესაბამისად ადამიანები, რომლებიც ცხოვრებაში შეუპოვრად იღვწვიან წარმატებას უნდა აღწევდნენ, მიუხედავად იმისა, თუ საიდან დაიწყეს მათ ცხოვრება. მაგრამ რეალობაში ეს ასე არ არის, რადგანაც ადამიანთა გარკვეული ნაწილისათვის წარმატების მიღწევის საშუალებები შეზღუდულია. ამ შემთხვევაში, ადამიანები წარმატების მიღწევას ნებისმიერი სა-

შუალებით ცდილობენ, იქნება ეს კანონიერი თუ უკანონო. ასეთ პირობებში, დევიანტობა ეკონომიკური უთანასწორობის მეორეულ პროდუქტად იქცევა. ამგვარად მერტონის აზრით, არსებული სოციალური დაძაბულობა სხვადასხვა სახის დევიანტურ ტიპს აყალიბებს. მაგ.: კომფორმისტი ტრადიციული მიზნების მისაღწევად საზოგადოების მიერ აღიარებულ საშუალებებს იყენებს; ნოვატორი – არატრადიციულ საშუალებებს მიმართავს ტრადიციული მიზნების მისაღწევად; ხოლო, რიტუალისტი -შესაძლებელია ტრადიციულ მიზნებს არ იზიარებდეს, მაგრამ მათ მისაღწევ საშუალებებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდეს. მათგან განსხვავებით, რეტრისტიტი – (უკანდახევა) არც მიზნებს იზიარებს და არც საშუალებებს. იგი ამოვარდნილია კულტურის კონტექსტიდან (ალკოჰოლიკები, ნარკომანები, ბომჟები). მისი დევიანტობა ცხოვრების ტრადიციული სტილიდან ამოვარდნაში მდგომარეობს. ცხოვრების დაძაბულობის შედეგად განცდილ ფიასკოზე მათი რეაქცია არის ჯანყი, ბუნტი ყველასა და ყველაფრის წინააღმდეგ მიმართული.

<u>სიმბოლური ინტერაქციონიზმი: იარლიყების მიკერების თეორია</u>

სიმბოლური ინტერაქციონისტული პარადიგმა გვიხსნის, თუ როგორ განსაზღვრავენ ადამიანები ყოველდღიურ სიტუაციებში დევიაციას. მის წიაღში ჩაისახა და განვითარდა იარლიყების მიკერების თეორია, რომელიც იმ პროცესების ანალიზს ახდენს, როდესაც გარკვეულ ინდივიდებს ანუ ჯგუფებს პოზიტიურ ან ნეგატიურ თავისებურებებს, სტერეოტიპებს ან ე.წ. იარლიყებს მიაწერენ („მიაკერებენ“). ამ მიდგომამ დიდი გავლენა იქონია დევიაციის პრობლემის სოციოლოგიურ ანალიზზე. იარლიყების მიკერების თეორიის კლასიკოსი ჰოვარდ ბეკერი ამტკიცებდა, რომ მოქმედებები, თავისთავად აღებული, არც კარგია და არც ცუდი. ნორმალურობა და მისგან გადახრა სხვა არაფერია, თუ არა სოციალურად განსაზღვრული თვისებები, რაც იმას ნიშნავს, რომ დევიაცია არის არა მოქმედების თვისება, არამედ მოქმედებისათვის სხვათა მიერ მიწერილი („მიკერე-

ბული“) წესები და სანქციები. სიმბოლურმა ინტერაქციონიზმმა აჩვენა ნეგატიური იარლიყების გავლენა ადამიანთა თვითცნობიერებაზე, განსაკუთრებით დევიანტური იდენტობის, დევიანტური კარიერისა და დევიანტური სუბკულტურის განვითარებაზე. ვინ ახდენს იარლიყების მიკერებას? ამ საქმით ძირითადად დაკავებულნი არიან მოსამართლეები, მედია და პოლიცია ანუ სოციალური კონტროლის აგენტები. თუმცა ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ,,კრიმინალური კარიერის“ (ჰოფმანის მიერ შემოღებული ტერმინი) ადამიანებში დევიანტური ქცევა ჩვევაში გადადის და სტიგმის სახეს იღებს. სტიგმა – მკვეთრად გამოხატული სოციალური იარლიყი ან ფიზიკური ნიშანია, რომელიც პიროვნების ან ჯგუფის იდენტობის დევალვაციასა და დისკრედიტაციას ახდენს. დევიაციის შემთხვევაში ასეთი ნიშანი ინდივიდის კრიმინალური რეპუტაციაა. იარლიყების მიკერების თეორიას ბევრი კრიტიკოსი ჰყავს. მათ მიაჩნიათ, რომ იარლიყების მიკენების პროცესი ამ თეორიაში უკიდურესად გაზვიადებულია, რადგანაც ავტომატურ პროცესადაა მიჩნეული, რომელიც ინდივიდის პიროვნულ თვისებებს უგულებელყოფს.

<u>პირველადი და მეორეული დევიაცია</u>

ამერიკელმა სოციოლოგმა ედვინ ლამეტრმა შენიშნა, რომ გარკვეული სახის ნორმათა დარღვევა (მაგ. ლექციების გაცდენა, ალკოჰოლური სასმელების მიღება ადრეულ ასაკში, სიგარეტის მოწევა) გარშემომყოფთა მხრიდან სუსტი რეაქციებით გამოირჩევა. მსგავსი ტიპის მოქმედებას ლაბეტრმა პირველადი დევიანტობა უწოდა. მაგრამ ცნობილია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც დევიანტური მოქმედება ადამიანის ცხოვრების წესად არის ქცეული (მაგ.: როდესაც ადამიანი თავს არ ანებებს ალკოჰოლურ სასმელს მას ლოთის იარლიყს მიაკერებენ, რაც თავის მხრივ, ამ ადამიანის უფრო მეტად გაღიზიანებას იწვევს და იგი კიდევ უფრო უმატებს სმას და ცხოვრების წესად აქცევს მას). ასეთ შემთხვევაში, მეორეულ დევიანტობასთან გვაქვს საქმე.

<u>დევიაცია კონფლიქტის თეორიის მიხედვით</u>

კონფლიქტის სოციოლოგიური თეორია აჩვენებს თუ როგორ აისახება და რა გავლენას ახდენს დევიაციაზე სოციალური უთანასწორობა. ამგვარი მიდგომის მიხედვით, დევიანტად ვინმეს აღიარება ან არაღიარება იმ კატეგორიის ადამიანებზე არის დამოკიდებული, რომლებიც ძალაუფლების მფლობელები არიან. ჯერ კიდევ მარქსი ამბობდა: „კანონი მდიდართა ინტერესების დასაცავად არის შექმნილი“. ამ თეორიის მიხედვით, ნებისმიერ საზოგადოებაში ნორმები მდიდრებისა და ძალაუფლების მქონეთა ინტერესების გამომხატველნი არიან. რაც ამ ყოველივეს მოკლებულ ადამიანს დევიანტად აქცევს. კაპიტალისტურ საზოგადოებაში დევიანტის იარლიყს იმ ადამიანს მიაკერებენ, ვინც კაპიტალისტური ცხოვრების წესის წინააღმდეგ გამოდის. ამიტომ, ამგვარ საზოგადოებაში კონფლიქტი ყოველ წუთს არის მოსალოდნელი. კაპიტალისტური საზოგადოება მხოლოდ იმ ნორმების დარღვევაზე რეაგირებს, რომელიც მხოლოდ მას უქმნის საფრთხეს. ასე რომ, ნარკომანია ამერიკაში მთავარ სოციალურ პრობლემად არ განიხილებოდა მანამ, სანამ ის ღარიბებისა და ეთნიკური უმცირესობების პრობლემა იყო, მაგრამ როგორც კი ნარკომანთა რიცხვმა იმატა საშუალო კლასისა და თეთრკანიანთა შორის, იგი უმალ დიდ სოციალურ საფრთხისშემცველ მოვლენად მოინათლა და მის წინააღმდეგ ინტენსიური ღონისძიებების გატარება დაიწყო.

კონფლიქტის თეორიამ დევიაციის მიზეზად ეკონომიკური უთანასწორობა დაასახელა. თუმცა, მან სათანადოდ ვერ შეაფასა დიურკემის შეხედულება იმის შესახებ, რომ დევიაცია საზოგადოების ეკონომიკური სისტემის მიუხედავად ყველგან არსებობს.

<u>სოციაულრი კონტროლის თეორია</u>

ამერიკელმა სოციოლოგმა ტრევის ჰირშიმ სოციაულრი კონტროლის თეორია შეიმუშავა, რომლის მიხედვითაც, დევიანტური ქცევისადმი მიდრეკილება ე.წ. დევიანტური ცდუნება ყველა ადამიანშია, მაგრამ ასეთი საქციელისაგან მათ სოციუმი, გარეშემყოფთა წრე იცავს. კერძოდ, ადამიანები წარმოიდგენენ

თუ რას იფიქრებენ მათზე ოჯახის წევრები, ახლობლები და მეგობრები. მსგავსი წარმოდგენა კიდევ უფრო მძაფრდება, როდესაც ადამიანი გააცნობიერებს, რომ მის ურიგო საქციელს შეიძლება სამსახურის დაკარგვა მოჰყვეს და ა.შ. ამგვარად ხორციელდება ე.წ. სოციალური კონტროლი; მაგრამ არიან გამონაკლისებიც, რომლებიც ფიქრობენ, რომ მათ არაფერი აქვთ დასაკარგი და კანონის დამრღვევებად გვევლინებიან. ჰირშიმ სოციალური კონტროლის ოთხი ტიპი შემოგვთავაზა: 1) მიბმულობა – მყარი სოციალური კავშირები კონფორმულობის პირობა ხდება ანუ ადამიანებს არსებულ ნორმებთან მიაბამს. სუსტი კი – პირიქით, თავისუფალ სივრცეს უქმნის მათ და დევიაციისკენ უბიძგებს; 2) ერთგულება – თუ ადამიანი კანონიერი საშუალებებით საკუთარ შესაძლებლობათა რეალიზაციის ერთგულია, მაშინ ის არასოდეს იქნება დევიანტი. ისეთი ადამიანია დევიანტობისაკენ მიდრეკილი, რომელიც ნაკლებად არის დარწმუნებული წარმატების მიღწევაში; 3) ჩართულობა – ადამიანის ჩართულობა კანონიერ საქმიანობაში (სამსახურში, სწავლაში, სპორტში და სხვა) დევიანტობის წარმოშობასა და განვითარებას აფერხებს. ისინი ვინც ამგვარი საქმიანობით დაკავებულნი არ არიან და უსაქმურობენ, დიდი ალბათობით, დევიანტები გახდებიან 4) დარწმუნებულობა – მორალური და საზოგადოებრივი ნორმების მიმარ რწმენა ხელს უშლის ადამიანს დევიანტური ქცევის ჩადენაში.

ჰირშის ანალიზში დევიანტური ქცევის მანამდე არსებული ყველა მიზეზი ერთ მთლიანობაშია წარმოდგენილი. თუმცა აღმოჩნდა, რომ სინამდვილეში დევიაციას სხვადასხვა მოტივაცია აქვს. ეს შეიძლება იყოს სიძულვილი (დანაშაულის ჩადენა ვინმეს ან რაიმეს სიძულვილის გამო), რასობრივი ან ეთნიკური შუღლი ან სულაც გენდერული პრობლემები და სხვა. სოციოლოგებმა, აგრეთვე, შეისწავლეს დანაშაულის სახეები და გამოყვეს პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (მაგალითად: სხვების მიმართ ძალადობა), საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (მაგალითად, სხვისი საკუთრების ხელყოფა), ორგანიზებული დანაშაული და სხვა. შესაბამისად, საზოგადოებას

მთელი რიგი მეთოდები აქვს შემუშავებული დევიაციისა და დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად. აღნიშნული საქმისათვის არსებობს ისეთი ორგანოები, როგორებიცაა პოლიცია, სასამართლო და ციხეები. სოციოლოგებმა აქცენტი გააკეთეს სასჯელის გამამართლებელ შემდეგ ოთხ მოტივაციაზე:

- შურისძიება – სასჯელის ერთ-ერთი უძველესი ფორმაა. სასჯელი ამ შემთხვევაში ჩადენილი ამორალურობის საზღაურად არის მიჩნეული.
- დაკავება – საზოგადოებისაგან იზოლირება. ამგვარი მიდგომა თანამედროვე ეპოქისთვისაა დამახასიათებელი. ამ შემთხვევაში, ამოსავალი პრინციპია ის, რომ დევიაცია დამანგრევლად მოქმედებს საზოგადოებაზე და ამიტომაც დევიანტობის იზოლირებაა აუცილებელი.
- რეაბილიტიაცია – ეს სოციალურ მეცნიერებათა განვითარებასთან დაკავშირებული თანამედროვე სტრატეგიაა. ამ შემთხვევაში დევიანტობა განიხილება, როგორც სოციალური (მაგალითად, სიღარიბე) და პიროვნული (ფსიქიკური დაავადება და სხვა) პრობლემების შედეგი, რომელიც შეძლებისდაგვარად სარეაბილიტაციო პროცედურებს გულისხმობს.
- სოციალური დაცვა – ესეც თანამედროვე მიდგომაა, ოღონდ რეაბილიტაციასთან შედარებით უფრო მსუბუქი. თუკი საზოგადოებას არ ძალუძს ან არ უნდა დევიანტების რეაბილიტაცია და სოციალური პირობების რეფორმირება, მაშინ იწყებს ამოქმედებას სოციალური დაცვის მექანიზმები, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოებისთვისაა დამახასიათებელი.

<u>დევიაციის სოციალური ფუნქციები</u>

ზოგ შემთხვევაში დევიაცია იწვევს მჭიდროდ შეკავშირებული სოციალური სისტემის მოშლას, მაგრამ ამავე დროს, მას შეუძლია პოზიციური სოციალური ფუნქცია იტვირთოს. სოციოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი ემილ დურკჰაიმი პირველი იყო, რომელმაც ყურადღება გაამახვილა და გაანალიზა ეს ერთი შეხედვით პარადოქსული ფაქტი. ის ამტკიცებდა, რომ დევიაცია სოციალური ცხოვრების ბუნებრივი ნაწილია – „ჯანსაღი საზოგადოების განუყოფელი ნაწილი“. როგორ შეიძლება, დევი-

აცია იყოს ჯანსაღი საზოგადოების ნაწილი? მისი პასუხი ორი ნაწილისაგან შედგება: პირველი – დევიაციური ქცევის განსაზღვრებით საზოგადოება ადგენს თუ რომელი ქცევაა მისთვის მისაღები. საზღვარი მისაღებსა და მიუღებელს შორის ხშირ შემთხვევაში ძნელი დასადგენია. საზოგადოებები ჩვეულებრივ აწესებენ „ნებადართული ვარიაციების ზონას“, რომლებიც ხშირად ეხება ფართოდ მიღებულ ნორმებსაც კი. ნორმების უმეტესობა არ არის მკაფიოდ გამოხატული. მათი განსაზღვრება ხშირად არაფორმალური ხასიათისაა და ვლინდება ადამიანების ყოველდღიურ ურთიერთობებში. ნებადართულობის საზღვრების მოსინჯვისას დევიანტები საზოგადოების სხვა წევრებს „აიძულებენ, დაფიქრდნენ იმაზე, თუ რა არის ნორმალური და მართებული მათი რწმენით“.

მეორე – დევიანტურობა აერთიანებს საზოგადოების წევრებს დევიანტობის წინააღმდეგ და ამით აძლიერებს სოციალურ სოლიდარობას. მაგალითად: როდესაც მშობლები ერთიანდებიან მათ ქალაქში გახსნილი პორნომაღაზიის დახურვის მოთხოვნით ან მოქალაქეები ერთხმად უჭერენ მხარს პატიოსან პოლიტიკოსს, ისინი გაერთიანებული ძალებით ებრძვიან დევიანტობას, რომელიც წარმოდგენილია, ერთის მხრივ, იმ საქმოსნის სახით, რომელმაც გახსნა პორნომაღაზია და მეორეს მხრივ, მექრთამე პოლიტიკოსის სახით. ამ ფორმით საზოგადოების წევრები თავიანთ ენერგიას სოციალური წესრიგის გასამყარებლად იყენებენ.

დევიაცია ხელს უწყობს საზოგადოებებს გაამყარონ ესა თუ ის ნორმა, ანუ დევიაცია თამაშობს სოციალური ცვლილებების კატალიზატორის როლს. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ პროტესტი რასობრივი სეგრეგაციის წინააღმდეგ. 1955 წელს ალაბამას შტატის ქალაქ მონდგომერის მცხოვრებმა როზა პარკსმა უარი განაცხადა გადამჯდარიყო ავტობუსის იმ ნაწილში, რომლითაც ჩვეულებრივ შავკანიანები მგზავრობდნენ. ამით მან გამოამჟღავნა დევიანტური ქმედება, მაგრამ თეთრკანიანების მცდელობამ დაესაჯათ დევიანტი, ტრადიციული შედეგი ვერ გამოიღო. ამის ნაცვლად, აგორდა მოძრაობა, რომელ-

მაც სოციალური თანასწორობა მოუტანა აფრო-ამერიკელებს (მოძრაობა სამოქალაქო უფლებების მხარდასაჭერად).

თუ როგორ მოქმედებს დევიანტურობა – ამყარებს არსებულ ნორმებს თუ აჩქარებს სოციალურ ცვლილებებს – ნაწილობრივ დამოკიდებულია საზოგადოების ტიპზე. მარტივი, ტრადიციული საზოგადოება ყოველთვის კონსენსუსის მომხრეა, როდესაც საქმე ეხება იმას, თუ რამდენად მისაღებია ესა თუ ის ქმედება. დევიაციის დასჯას ხშირად მივყავართ სტატუს კვოსადმი ერთგულებამდე. რთული თანამედროვე საზოგადოება უფრო ჰეტეროგენულია და ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულ ცხოვრების წესსა და მორალურ თვალსაზრისებს შეიცავს. ამგვარ საზოგადოებაში დადგენილი არ არის მორალისა და ღირებულებების საზღვრები, ისინი მოლაპარაკებებს ექვემდებარება. დევიანტობამ შეიძლება ხშირად გამოიწვიოს სოციალური ცვლილებები და წარმოშვას ნორმების დადგენის შესახებ მოლაპარაკებების აუცილებლობა.

<u>სოციალური კონტროლი</u>

დევიაციის მსგავსად, მისი შეზღუდვის მექანიზმებიც სოციალური კონსტრუქციისაა. სოციალური კონტროლი გულისხმობს ჯგუფსა და საზოგადოებებს, რომლებიც მიმართულია მათი წევრების საქციელის რეგულირებისათვის დადგენილ ნორმებთან შესაბამისობაში. იდეალურ ვარიანტში ადამიანები თვითონვე ემორჩილებიან ამ ნორმებს. მაგრამ სოციალიზაცია არ არის სრულყოფილი პროცესი და ნორმებისადმი მორჩილება ავტომატურ ხასიათს არ ატარებს. ამას შედეგად მოჰყვება სანქციები ან გარეგანი ძალდატანება. ზოგი სანქცია არაფორმალურია, მაგ. ადამიანზე არაოფიციალური, ხშირ შემთხვევაში, უნებლიე ზეწოლა დაყოლიების მიზნით. პოზიტიური პროფორმალური სანქციები გულისხმობს ჯილდოს დამყოლობისათვის, მაგ. ღიმილს, კოცნას, მუქარას... ნეგატიური არაფორმალური სანქციები კი გულისხმობს არაფორმალურ ჯარიმებს, მაგალითად – დაცინვას.

ფორმალური სანქციები წარმოადგენს ოფიციალურ ინ-

სტიტუციონალიზებულ წახალისებას დამყოლობისათვის და დასჯას დევიანტურობისათვის. ფორმალური სანქციები საჭიროა დიდ, კომპლექსურ საზოგადოებაში, სადაც ადამიანებს ერთმანეთისაგან განსხვავებული წარმოდგენები აქვთ სწორ ქცევაზე და შესაბამისად, არაფორმალური სანქციების გავლენა სუსტია. იუსტიციის სისტემა კონტროლის სისტემის ყველაზე მნიშვნელოვანი და თვალსაჩინო, მაგრამ არა ერთადერთი, ინსტიტუცია თანამედროვე საზოგადოებაში. ბიზნესსაც აქვს გარკვეული სოციალური კონტროლის მექანიზმი: თანამშრომლები რომლებიც წარმატებით ასრულებენ კომპანიის მიერ დასახულ ამოცანებს ჯილდოვდებიან – მათ ხელფასს უმატებენ ან აწინაურებენ. ხოლო თანამშრომლები, რომლებიც არ ემორჩილებიან კომპანიაში დადგენილ წესებს ისჯებიან საყვედურებით, ზოგჯერ გათავისუფლებითაც კი. სკოლაში კარგი ყოფაქცევისა და მოსწრებისათვის იყენებენ ნიშნების, ქულებისა და სერთიფიკატების სისტემას მოსწავლეთა დაჯილდოვებისას. შესაბამისად, ისჯებიან ის მოსწავლეები, რომლებიც არ გამოირჩეოდნენ დისციპლინითა და კარგი მოსწრებით. არაოფიციალური სოციალური კონტროლი ჯერ კიდევ გარკვეულ როლს თამაშობს თანამედროვე საზოგადოებაში. მაგრამ, კონტროლის ფორმალურ მექანიზმებს მიმართავენ მაშინ, როდესაც არაფორმალური მექანიზმები ვერ ასრულებენ თავის დანიშნულებას ან წამახალისებლად მოქმედებენ დევიაციაზე.

თავი VIII
ჯგუფის შესახებ ცნება

ჯგუფი ეწოდება ადამიანთა ერთობას, რომელსაც ურთიერთობის გარკვეული სახე ახასიათებს. მისი წევრები გრძნობენ თავიანთ მიკუთვნებულობას ამ ჯგუფისადმი და სხვების მიერ ამ ჯგუფის წევრებად აღიქმებიან. ჯგუფი არის ორი ან მეტი ადამიანისაგან შემდგარი ერთობლიობა. მათ აერთიანებთ საერთო მიზნები და ამოცანები. ჯგუფი შეიძლება იყოს, პირველადი და მეორადი, ფორმალური და არაფორმალური.

<u>ჯგუფის სახეები</u>

პირველადი ჯგუფი – ჯგუფში არსებულ ურთიერთობათა ფორმის მიხედვით გამოირჩევა პირველადი ჯგუფი. ტერმინი „პირველადი ჯგუფი“ ამერიკელმა სოციოლოგმა ჩარლზ ჰორტონ კულიმ შემოიტანა. პირველადი ჯგუფი მცირე ჯგუფის განსაკუთრებული ნაირსახეობაა, რომელიც მის წევრთა უშუალო კონტაქტზეა დამყარებული. ამ ჯგუფის წევრები ჯგუფის საქმიანობაში მაღალი ემოციური ჩართულობით გამოირჩევიან. ასეთი პირველადი ჯგუფი არის ოჯახი. კული აღნიშნავდა, რომ ოჯახში მიმდინარე ურთიერთქმედებებს ყველა ცივილიზაციაში ერთგვაროვანი ხასიათი აქვს, რომ ეს ურთიერთქმედებანი იმ კავშირებიდან გამომდინარეობს, რომლის საფუძველიც სხვა წევრების წინაშე პასუხისმგებლობა, მათ მიმართ მზრუნველობა და სიყვარულია. მსგავსი ხასიათი აქვს თანატოლთა და მეზობელთა ერთობასაც.

<u>მეორეული</u> ჯგუფი გარკვეული მიზნის სარეალიზაციოდ არის შექმნილი. მასში განსაკუთრებული მნიშვნელობა ნივთობრივ კონტაქტებს ენიჭება. მეორად ჯგუფებს ქმნიან ადამიანები, რომელთა შორისაც თითქმის არ არის ემოციური დამოკიდებულება. მათი ურთიერთობა ერთიანი მიზნის მიღწევის სურვილითაა განპირობებული. ამ ჯგუფებში მთავარია არა პიროვნული თვისებები, არამედ გარკვეული ფუნქციის შესრულების უნარი. მეორად ჯგუფებში როლები მკაცრადაა განსაზღვრუ-

ლი. ჯგუფის წევრებმა ცოტა რამ იციან ერთმანეთის შესახებ. მათ შორის არ არის ემოციური ურთიერთობა, როგორც მეგობრებსა და ოჯახის წევრებს ახასიათებთ. მაგ.: საწარმოო ორგანიზაციებში ძირითადია შრომითი ურთიერთობები.

ფორმალური ჯგუფი ანუ ოფიციაულრი ჯგუფი იქმნება ოფიციალური ხელმძღვანლის მიერ საშტატო განრიგით. სტუდენტური ჯგუფი, მასწავლებელთა კოლექტივი და ა.შ. ფორმალური ჯგუფები. ასეთი ჯგუფის წევრებს შორის მყარდება საქმიანი კონტაქტები და ურთიერთობები. თუმცა, ასეთი ჯგუფის წევრებს შორის საქმიანი კონტაქტების გვერდით ადგილი აქვს ინსტრუქციით გაუთვალისწინებელ პირადულ კონტაქტებსაც. მაგ.: სიმპათია, პატივისცემა, მეგობრობა და სხვა.

არაფორმალური (არაოფიციალური) ჯგუფი აღმოცენდება ჯგუფის წევრთა სიმპათიის, შეხედულებათა საერთოობის, მრწამსის, მსოფლმხედველობის და ა.შ. მსგავსების საფუძველზე. ასეთი ჯგუფის არსებობა არაა გათვალისწინებული წესდების ან ინსტრუქციის მიხედვით. ასე ყალიბდება მეთევზეთა და მონადირეთა კავშირი, პოკერის მოთამაშეთა გუნდი, ლუდის მოყვარულთა გაერთიანება და სხვა. ასეთ ჯგუფებს აკავშირებენ და ამტკიცებენ ჯგუფის წევრთა ურთიერთსიმპათიები, რომელთა შესუსტების შემთხვევაშიც ჯგუფი დაიშლება.

ფორმალური და არაფორმალური ჯგუფების წარმატებით ფუნქციონირებისათვის მნივშენლოვანი ადგილი უკავია ფსიქოლოგიურ შეთავსებადობას ჯგუფის წევრებს შორის. ესაა ჯგუფის წევრთა თვისებების სასურველი შერწყმა, რომელიც უზრუნველყოფს საერთო საქმის წარმატებასა და პირად კმაყოფილებას. თუ ჯგუფის წევრებს შორის არსებობს ფსიქოლოგიური შეთავსებადობა, მაშინ ჯგუფის ერთი წევრის ქცევა იწვევს დადებით რეაქციებს. ხოლო, ფსიქოლოგიური შეუთავსებლობის შემთხვევაში, ჯგუფის ერთი წევრის ქცევა მეორის უარყოფით რეაქციებს იწვევს. ასეთ დროს ჯგუფის რომელიმე წევრის საჭირო, აუცილებელი და სასაგებლო ქცევა აღიქმება, როგორც არასასურველი და მტრულიც კი. ფსიქოლოგიური შეთავსების ან შეუთავსებლობის მიზეზი, შეხედულებათა ერთიანობა ან განსხვა-

ვებაა. მნიშვნელოვან როლს თამაშობს აგრეთვე ჯგუფის ცალკეულ წევრთა ხასიათის ნიშნის თავისებურებანიც.

ჯგუფის სტრუქტურა

მოწესრიგებული ურთიერთქმედება, როდესაც ადამიანთა ერთობა გახდება ჯგუფი, ყალიბდება ნორმები და როლები, რომელთა საფუძველზე ურთიერთქმედების წესრიგი დგინდება. ჯგუფის სტრუქტურა სამ ძირითად ტიპზე დაიყვანება: 1)ძალაუფლება; 2) კომუნიკაცია; 3) პიროვნებთაშორისო მიზიდულობა.

ძალაუფლების სტრუქტურები

ძალაუფლება ადამიანებს შორის არ არის თანაბრად ან შემთხვევით განაწილებული – მას იერარქული სოციალური სტრუქტურა აქვს. მისი ბუნებიდან გამომდინარე, ადამიანთა გარკვეულ ნაწილს სხვებზე მეტი ძალაუფლება აქვთ, თუმცა ზოგი სისტემა ძალაუფლების სხვებზე განაწილებით გამოირჩევა. დღეს აშშ-ის მსგავს თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებაში ძალაუფლების სტრუქტურის შესახებ სამი ძირითადი მოსაზრება არსებობს. მარქსისტები ამტკიცებენ, რომ ძალაუფლების ყველაზე მნიშვნელოვან ფორმებს კაპიტალისტთა კლასი აკონტროლებს; ელიტის მხარდაჭერის თეორეტიკოსების აზრით, შადარებით მცირე ჯგუფი იყენებს იმაზე მეტ ძალაუფლებას, ვიდრე ეკუთვნის. თუმცა, მაინც არსებობს ამ ჯგუფში გაწევრიანების გზები ძირითადად ეკონომიკური ბერკეტების ხელში ჩაგდების მეშვეობით. პლურალისტები კი ამბობენ, რომ მრავალი სხვადასხვა ჯგუფი იბრძვის ძალაუფლებისათვის და შესაბამისად აბალანსებს ერთმანეთს. კარლ მარქსი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც ყურადღება მიაქცია ძალაუფლების ეკონომიკურ საფუძვლებს. მარქსის აზრით, ადამიანები, რომლებსაც წარმოების საშუალებები ეკუთვნით, საზოგადოების დანარჩენ ნაწილს ეკონომიკური დომინანტობის მეშვეობით აკონტროლებენ.

თანამედროვე კაპიტალისტური, ინდუსტრიის განვითარების პარალელურად ძალაუფლებამ თანდათანობით გადაინაც-

ვლა ბურჟუაზიისაკენ. მოწინავე ინდუსტრიალისტები უშუალოდ არ მართავდნენ მთავრობას. სახელმწიფო მოხელეთა უმრავლესობა არისტოკრატული წარმომავლობის იყო, რომლებიც განსწავლულები იყვნენ იურისპრუდენციაში, დიპლომატიასა და სხვა სფეროებში. ისინი თავიანთ ძალაუფლებას იყენებდნენ კაპიტალისტური ელიტის მხარდასაჭერად. როდესაც ამერიკელმა მუშებმა კავშირების ჩამოყალიბება დაიწყეს, მთავრობამ მხარი დაუჭირა არა მათ, არამედ მსხვილ ბიზნეს. რადგან კაპიტალისტურ საზოგადოებაში ბურჟუაზია წარმოების საშუალებებს აკონტროლებს, ის წარმართავს არა მხოლოდ ეკონომიკურ წარმოებას, არამედ იმ ინსტიტუტების მუშაობასაც, რომლებიც გავლენას ახდენს ქვეყნის მორალურ და ინტელექტუალურ ცხოვრებაზე.

<u>ელიტის ძალაუფლება</u>

მრავალი სოციოლოგი, რომელიც ეთანხმება მოსაზრებას, რომ თანამედროვე საზოგადოებაში ძალაუფლება არათანაბრადაა გადანაწილებული, ეჭვქვეშ აყენებს მარქსიზმის თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ ეკონომიკური სტრუქტურა ელიტის ძალაუფლების უმთავრესი წყაროა. არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც საზოგადოებაში უთანასწორობის არსებობას სოციოლოგები შემდეგნაირად ხსნიან. მათი აზრით, არსებობს ვიწრო ელიტა, რომელიც მართავს და ეს არ არის კაპიტალისტთა კლასის ძალაუფლება.

იტალიელი მეცნიერები – ვილფრედო პარეტო და გაეტანო მოსკა ამტკიცებდნენ, რომ ძალთა არათანაბარი განაწილება ნებისმიერი სოციალური წყობის თანამდევია. მათი აზრით, ძალის არათანაბარი გადანაწილება პირდაპირაა დაკავშირებული საზოგადოებაში ნიჭის არათანაბარ განაწილებასთან. ნებისმიერ საზოგადოებაში მოიძებნება უფრო ჭკვიანი იურისტი, უფრო გაწაფული ქურდი ან სამეფო ოჯახის გავლენიანი წევრი.

ამერიკელი სოციოლოგი ს. რაით მილსი აღწერს, თუ როგორ ხდება ელიტა იზოლირებული და ჩაკეტილი. მისი აზრით, ამერიკული ძალაუფლებრივი ელიტა სამხედრო მაღალჩინოს-

ნების, სახელმწიფო მოხელეებისა და ბიზნესის აღმასრულებლებისაგან შედგება. ეს კოალიცია მართავს აშშ-ის და იღებს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების უმეტესობას, განსაკუთრებით ომისა და მშვიდობის შესახებ. ძალაუფლებრივი ელიტა მხარს უჭერს კაპიტალისტურ კლასს და სამაგიეროდ სარგებლობს ამ უკანასკნელის მხარდაჭერით.

<u>პლურალიზმი</u>

მიუხედავად იმისა, რომ პლურალისტური მოსაზრების მხარდამჭერი სოციოლოგები აღიარებენ, რომ ელიტა უფრო ძლევამოსილია ვიდრე არაორგანიზებული მასები, მათ მიაჩნიათ, რომ შეუძლებელია ერთი ვიწრო წრე მართავდეს მთელ აშშ-ს. ეს მეცნიერები ამტკიცებენ რომ სოციალური ძალაუფლება გაფანტულია სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებს შორის. ასეთებია მაგალითად, ნავთობის ინდუსტრია და ქვანახშირის წარმოება, საავტომობილო ქარხნები და გარემოს დამცველები, კავშირები და ბიზნეს ასოციაციები, ნავიგაციები და საჰაერო ძალები, General Motors -ი და Ford-ი. ყველა ეს ჯგუფი წარმატებით აკონტროლებს მის რესურსებს და გავლენას ახდენს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე, მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის ერთპიროვნული ლიდერი.

<u>კომუნიკაცია</u>

კომუნიკაცია ინფორმაციის მიწოდების და მისი მნიშვნელობის გაგების პროცესს ნიშნავს. გამოყოფენ კომუნიკაციის ოთხ ძირითად ფუნქციას:

1) კონტროლი – მოვალეობების გაცნობიერებას, პასუხისმგებელობის დელეგირებას ნიშნავს. თანამშრომელთა ქცევის კომუნიკაციის საშუალებით გაკონტროლება სხვადასხვა ხერხით ხორციელდება. ორგანიზაციას ძალაუფლებრივი იერარქია და ფორმალური შინაგანაწესი გააჩნია, რომელთა მიხედვითაც თანამშრომლები მოქმედებენ. მაგ.: ოფიციალური მოთხოვნის თანახმად, მუშაობასთან დაკავშირებული შეფერხების ან რაიმე უკმაყოფილების შემთხვევაში, თანამშრომელმა თავის უშუალო უფროსს უნდა მიმართოს, რაც კომუნიკაციის მაკონტროლე-

ბელ ფუნქციას გამოხატავს. ფორმალურის გარდა, არაფორმალური კომუნიკაციაც ანალოგიურ ფუნქციას ასრულებს.

2) ინფორმაციის მიწოდება – საფუძვლად ედება გადაწყვეტილების მიღებას. გარკვეული ინფორმაციის დაუფლების საშუალებით, ცალკეული მუშაკი ან შრომითი ჯგუფი მის ხელთარსებულ მონაცემებს ითვალისწინებს, მოცემულ ალტერნატივებს აფასებს და გადაწყვეტილებას ამის მიხედვით იღებს.

3) მოტივაცია – ჯგუფებს მიზნის მიღწევის მიმართულებით განაწყობს. კომუნიკაციის პროცესში თანამშრომლები იგებენ თუ რა, როდის და როგორ უნდა აკეთონ. არაეფექტური მუშაობის შემთხვევაში კი თუ ვის, რატომ და როგორ მიმართონ ვითარების გამოსასწორებლად, რაც მათი შრომითი მოტივაციის გაძლიერებას უწყობს ხელს. კონკრეტული მიზნებისა და მათი მიღწევის გზების დასახვა, განხორციელებულ ქმედებებსა და მათ შედეგს შორის კავშირის აუცილებლობა და პროდუქტიული საქმიანობის წახალისება პერსონალის მოტივაციას აძლიერებს და ეს ყველაფერი ორგანიზაციის ყველა დონეზე მომუშავე თანამშრომელს კომუნიკაციის საჭიროებას უძლიერებს.

4) ემოციურია ფონი – ურთიერთობის პროცესში თანამშრომელთა მიერ გრძნობების გამოხატვას ნიშნავს. თანამშრომელთა დიდი ნაწილისათვის შრომითი ჯგუფი, რომლის წევრიც ის არის, მისთვის ორგანიზაციაში ურთიერთობის ძირითად ასპარეზს წარმოადგენს. ადამიანთა კმაყოფილების ან მათი იმედგაცრუების გამოხატვის ძირითადი მექანიზმი შრომით ჯგუფებში მიმდინარე კომუნიკაციის პროცესი გახლავთ. ამგვარად, კომუნიკაცია თანამშრომელთა ემოციების გამოხატვას და მათი სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას უზრუნველყოფს.

<u>პიროვნებათაშორისო მიზიდულობის სტრუქტურა</u>

ჯგუფები იქმნებიან ადამიანების მიერ მოწონება-არმოწონების მიხედვით. სწორედ, ეს სიმპათიები იჩენს თავს თანამშრომელთა რეიტინგების დროს. ჯგუფში ყოველთვის აღმოჩნდება ერთი ადამიანი, რომელიც იმსახურებს უმრავლესობის

კეთილგანწყობას. ასეთი ადამიანი კომუნიკაბელურია, მას შესწევს უნარი ადვილად შევიდეს ყველასთან კონტაქტში, იყოს მათთან მეგობრულ დამოკიდებულებაში. ასეთ ადამიანს თავისთავად კომპლექსი არ აწუხებს, მშვიდი, გაწონასწორებული, გულისხმიერი და ენამოკაზმულია.

ჯგუფის დინამიკა.

ჯგუფის დინამიკაში იგულისხმება პროცესები, რომლებიც გავლენას ახდენს ჯგუფში მიმდინარე მოვლენებსა და ინტერაქციებზე, როგორებიცაა: ჯგუფურად გადაწყვეტილებების მიღება, მასში უმცირესობისა და უმრავლესობის როლი, აგრეთვე, ჯგუფის გაძღოლა და ლიდერობა.

ჯგუფის შეჭიდულობა

ადამიანების გაერთიანების ამ მახასიათებელში ჯგუფის წევრების ურთიერთმიზიდულობისა და ჯგუფისადმი ერთგულების ხარისხი იგულისხმება. შეჭიდულობის მოვლენა მთლიანად ჯგუფის და მისი ცალკეული წევრების მიზნებს შორის თავსებადობის ხარისხით არის განსაზღვრული. ჯგუფის ის წარმომადგენლები, რომლებსაც მისი მიზნები გათავისებული აქვთ და მისი წევრად ყოფნის დიდი სურვილი გააჩნიათ, შრომით ჯგუფს გარკვეული საქმიანობის განსახორციელებლად აერთიანებენ და რაზმავენ. აღსანიშნავია, რომ პირდაპირი და ერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულება კონფორმულობას და ჯგუფის შეჭიდულობას შორის ნათლად გამოვლენილი არ არის, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ პირველის დაბალი მონაცემები, ჩვეულებრივ, მეორის დაბალ მონაცემებთან არის დაკავშირებული. ისიც ანგარიშგასაწევია, რომ ჯგუფის მაღალი შეჭიდულობა მხოლოდ მაღალი კონფორმულობის დროს არ იჩენს თავს. მაგალითად, მაღალგანვითარებულ შრომით ჯგუფში მისი ერთგული წევრები საქმიანობენ, ისინი ჯგუფური მიზნების განხორციელებას ერთობლივად ესწრაფვიან, ამავე დროს, მათ შორის არსებული ინდივიდუალური განსხვავებების დამფასებლებიც არიან. ამგვარ ვითარებასთან, ძირითადად მაშინ გვაქვს

საქმე, როდესაც ჯგუფის შეჭიდულობა მისი წევრების საქმისადმი ერთგულებაზეა დაფუძნებული. გარდა ამისა, როდესაც შეჭიდული ჯგუფის წინაშე რაიმე პრობლემა დგება, მაშინ მისი წევრები ურთიერთის მიმართ არა მხოლოდ ტოლერანტობას იჩენენ, არამედ შედარებით გამოკვეთილ ანტიკონფორმულ საქციელსაც ურიგდებიან.

ზოგადად იმის თქმაც შეიძლება, რომ დიდად შეჭიდული ჯგუფი, მცირედ შეჭიდულთან შედარებით, უფრო ეფექტურად მოქმედებს, მაგრამ ეს კავშირი საკმაოდ რთული ბუნებისაა. ამიტომ მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ შეჭიდულობის თვისება ჯგუფის წარმატებისათვის ერთგვარ აუცილებლობას წარმოადგენს, ფაქტობრივად, არაფრის თქმას ნიშნავს. პირველ რიგში ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ მიზიდულობა ჯგუფის პროდუქტიულობას კიდევაც განსაზღვრავს და ამავე დროს, მისითვე არის განპირობებული. მეორე – უნდა აღინიშნოს, ამ ორ ცვლადს შორის არსებული დამოკიდებულება შრომითი ნორმებით არის დაბალანსებული.

პირველი სახის კავშირის შესახებ უნდა ითქვას, რომ შრომითი ჯგუფის წევრებს შორის ამხანაგური ურთიერთობა დაძაბულობას ამცირებს, რომელიც თანამშრომელთა ურთიერთობებში გარკვეული ხარისხით მუდამ არსებობს და ის მიზნების მიღწევისათვის ხელსაყრელ ატმოსფეროს ქმნის. ამავე დროს, შრომითი ჯგუფის მიერ დასახული მიზნების მიღწევაში წარმატება და თანამშრომელთა განცდა, რომ ისინი ეფექტურად მოქმედი ჯგუფის წევრები არიან, მათ ერთმანეთთან უფრო მეტად აახლოებს. ამდენად, საქმიანობაში წარმატება ჯგუფის შეჭიდულობის გაზრდის არსებით ფაქტორად გვევლინება. უფრო მნიშვნელოვანი გახლავთ მეორე კავშირის გააზრება. კერძოდ, საკუთარი ღირებულებების მიმართ თანამშრომლები დიდ ერთგულებას მაშინ ამჟღავნებენ, როდესაც ჯგუფი რეალურად შეჭიდულია.

<u>ლიდერობა</u>

ლიდერობა დასახულ მიზანთა მიღწევის მიმართულებით ჯგუფზე ზემოქმედების პროცესია, ხოლო ის ვინც ამას ახორ-

ციელებს, ლიდერის როლში გვევლინება. ადამიანის ლიდერად ჩამოყალიბება, როგორც ფორმალური (თანამდებობაზე დანიშვნა) ასევე, არაფორმალური (თანამდებობაზე დანიშვნის გარეშე) გზით შეიძლება მოხდეს. ლიდერი ჯგუფის ხელმძღვანელია, რომელსაც ჯგუფის ინტერესების დასაკმაყოფილებლად და დასაცავად ერთობლივი მოქმედებისათვის სხვებზე ზემოქმედების მოხდენა შეუძლია. მეორეულ ჯგუფებში ლიდერი აუცილებელია. სოციოლოგები ლიდერობის ორ ძირითად ნაირსახეობას გამოყოფენ – ინსტრუმენტალურ და ექსპრესიულ ლიდერობას. პირველი მათგანი ჯგუფის ისეთ ხელმძღვანელს წარმოადგენს, რომელიც მხოლოდ ჯგუფის მიერ დასახული მიზნების მიღწევაზეა ორიენტირებული. მსგავსი ლიდერის ყოლის შემთხვევაში წარმატების მიღწევაში ჯგუფის წევრებს ეჭვი არ ეპარებათ. ამ ტიპის ლიდერებს ცივი და უკარება ხასიათი აქვთ. მათთვის მთავარია მხოლოდ საქმე. ექსპრესიული ლიდერებისათვის უმთავრესია არა ჯგუფის მიზნების მიღწევა არამედ, ჯგუფის მთლიანობისა და ერთიანობის შენარჩუნება. ისინი ურთიერთობაში თბილი და ჰუმანურები არიან.

<u>ლიდერის პიროვნული ნიშნები</u>

ლიდერი ის პიროვნებაა, რომელსაც ჯგუფის სხვა წევრებთან შედარებით, ჯგუფის ფუნქციონირებაზე ყველაზე მძლავრი ზემოქმედების უნარი გააჩნია. ჯგუფის ეფექტური მოქმედების თვალსაზრისით, ლიდერის როლი კონკრეტული სამოქმედო მიზნების დასახვაში, მათი მიღწევის შესაბამის მოქმედებათა დაგეგმვაში და წარმართვაში მდგომარეობს. ამგვარად, ლიდერია ის ვინც ყველაზე ძლიერ ზემოქმედებას ახდენს ჯგუფის წევრებზე და მათ ქცევაზე.

პიროვნებები, რომლებიც ლიდერები ხდებიან, იმთავითვე მყარი და ნათლად გამოკვეთილი ინდივიდუალურ – სოციალური თვისებებით ხასიათდებიან. ეს მახასიათებლები გახლავთ გონებრივი განვითარების დონე, თვალთახედვისა და ინტერესების სიდიდე, მჭერმეტყველება, სქესი, ასაკი, სიმაღლე, წონა, საკუთარი თავის წარმოჩინების შესაძლებლობები, ემოციების

გამოვლენის ფორმა, ხარისხი და ა.შ. ლიდერის ფორმირებას ბუნებრივად მინიჭებული ეს კომპონენტები განაპირობებს. ჯგუფის ლიდერი ის პიროვნება ხდება, რომლის ქცევა მოცემული სიტუაციის სპეციფიკურ მოთხოვნილებებს შეესაბამება და აკმაყოფილებს. მაგ.: მეორე მსოფლიო ომის კრიზისულ ვითარებაში დიდი ბრიტანეთის ლიდერის როლი უინსტონ ჩერჩილს ერგო. საყურადღებო ფაქტია ის, რომ ომამდე და ომის შემდეგ ანუ მშვიდობიან პერიოდში ბრიტანელებს ის თავის ლიდერად არ აურჩევიათ. ინდივიდუალურმა ნიშან-თვისებებმა, რომლებიც ამ პიროვნებას გააჩნდა, იგი მხოლოდ საომარ მდგომარეობაში წარმოაჩინა წარმატებულ ლიდერად.

გასული საუკუნის 40-იან წლებში მკვლევართა ყურადღება გამახვილდა ლიდერობის სტილზე. ლიდერის ჯგუფის წევრებზე ზემოქმედების ფორმას საფუძველი კ. ლევინმა ჩაუყარა. მის ერთ-ერთ კლასიკურ გამოკვლევაში ცდისპირები (10 წლის ბიჭები) შემთხვევითი არჩევანის წესით სამ ჯგუფად დაყვეს. შრომის გაკვეთილზე მიჭები მასწავლებლის ხელმძღვანელობით გარკვეულ ნაკეთობებს ამზადებდნენ (სადღესასწაულო ცერემონიალისათვის კოსტუმების კერვა და ნიღბების კეთება). პედაგოგის მიერ მოსწავლეთა საქმიანობის წარმართვის ფორმა სხვადასხვაგვარი იყო. ერთ შემთხვევაში, საქმიანობასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს ერთპიროვნულად მასწავლებელი იღებდა (ავტორიტარული მართვის სტილი). მეორე შემთხვევაში, ის გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჯგუფის ყველა წევრს რთავდა და საბოლოო არჩევანს ჯგუფი თავად აკეთებდა (დემოკრატიული მართვის სტილი); მესამე შემთხვევაში, პედაგოგი მოზარდების საქმიანობაში თითქმის არ ერეოდა და ისინი ფაქტიურად „ბედის ანაბარა“ იყვნენ მიტოვებულნი (ლიბერალური მართვის სტილი). მონაცემებმა შემდეგი შედეგები აჩვენა: ავტორიტარული სტილით მართვის დროს ცდისპირთა საქმიანობა მაღალპროდუქტიული აღმოჩნდა, ხოლო საკუთრივ საქმიანობით მოზარდები ნაკლებად იყვნენ კმაყოფილნი. დემოკრატიული სტილით მართვის შემთხვევაში სხვა ჯგუფის წევრებთან შედარებით, მოზარდებმა საქმიანობისად-

მი მეტი დაინტერესება გამოიჩინეს, ისინი უფრო კმაყოფილებიც იყვნენ და პროდუქტიულობის ხარისხიც უკეთესი იყო. ლიბერალური მართვის სტილით წარმართულმა საქმიანობამ შედეგიც უარყოფითი გამოიღო და ცდისპირთა აშკარა უკმაყოფილებაც გამოიწვია.

ლევინის მიერ გამოყოფილი ლიდერობის ფორმებისა და სათანადო მონაცემების გათვალისწინების საფუძველზე, მისმა მიმდევრებმა მრავალმხრივი კვლევა-ძიება ჩაატარეს. კერძოდ, მრეწველობის სფეროში პრაქტიკული საქმიანობის პროცესში რა მიზეზები არსებობს ლიდერობისათვის? პასუხი შემდეგია: ჯგუფის ფუნქციონირების ეფექტურობას ის შესაბამისობა განაპირობებს, რომელიც ხელქვეითებთან ლიდერის ურთიერთობასა და მოცემული ვითარების ოპტიმალურ კავშირს გამოხატავს. ამ მიდგომის გამზიარებელთა აზრით, ლიდერობის ორი ფორმა უნდა გამოიყოს. საქმიანობაზე ორიენტირებული ლიდერი, ძირითადად, დასაქმებულთა შრომითი საქმიანობის დაგეგმვას, ორგანიზებას, ხელმძღვანელობასა და გაკონტროლებას ცდილობს. ამ შემთხვევაში საკითხი ლიდერის მიერ თავისი თანამდებობრივი მოვალეობის შესრულებას ეხება. საქმეზე ორიენტირებული ლიდერი ხელქვეითების მიმართ გულახდილობის, პატივისცემის, მზრუნველობისა და ნდობის გამოვლენას ანიჭებს უპირატესობას. ამგვარი ფორმის ლიდერის მოქმედება, რასაკვირველია, ხელქვეითებთან მისი „ძმაკაცური“ დამოკიდებულების არსებობას სრულიადაც არ ნიშნავს. ამ შემთხვევაში, ლიდერის მიერ ჯგუფის წევრების მიზნებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინებასთან, გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში მათ აქტიურ ჩართვასა და მჭიდრო კომუნიკაციასთან გვაქვს საქმე.

ამგვარად, ლიდერობის სიტუაციურ კონცეფციას თვით ლიდერის საქმიანობის ქმედითობის პროგნოზირების პრეტენზია გააჩნია. ამ თვალსაზრისის თანახმად, საქმეზე ორიენტირებული ლიდერი მეტად ეფექტიანად მაშინ მოქმედებს, როდესაც შრომითი ვითარება მისთვის ან ძალზე ხელსაყრელია ან პირიქით – საკმაოდ არახელსაყრელი. რაც შეეხება ურთიერთობებ-

ზე ორიენტირებულ ლიდერს, მისი მოქმედება მეტად ეფექტიანია საშუალო დონის ხელსაყრელ სამუშაო სიტუაციაში.

ლიდერის შესახებ არაერთი საინტერესო თეორია არსებობს. მაგალითად, ლიდერის ქარიზმატული კონცეფცია მიიჩნევს, რომ ლიდერი სპეციფიკური სალიდერო უნარებით გამორჩეული პიროვნება უნდა იყოს და არა ნებისმიერი ადამიანი. პირველი ვინც გააანალიზა ქარიზმატული ლიდერის ნიშან-თვისებები, გახლდათ გერმანელი სოციოლოგი მაქს ვებერი. მან ეს ტერმინი იმ ლიდერთა მიმართ გამოიყენა, რომლებმაც თვითონ წამოსწიეს საკუთარი თავი ლიდერებად. უმძიმეს მდგომარეობაში მყოფ გარემოცვას სჯერა, რომ სწორედ ასეთი ლიდერი გადაუჭრის მათ ურთულეს სოციალურ თუ პოლიტიკურ პრობლემებს. ვებერი განიხილავდა ქარიზმატულ ლიდერს, როგორც სპონტანურ და კრეატიულ ადამიანს, რომელსაც შეუძლია გარემოცვაზე რეაგირების მოხდენა და შთაგონება იმისა, რომ მიზნის მიღწევას სჭირდება თავგანაწირვა და დაუღალავი შრომა. ქარიზმატული ლიდერი თავის მიმდევრებს აწვდის ინფორმაციას და ახლებურ ხედვას – პირდება ნათელ მომავალს, უსიტყვო მორჩილებისა და გამოჩენილი ერთგულებისათვის. „ქარიზმის“ ნიშან-თვისება აუცილებელია ყველა ლიდერისათვის, რადგან საბოლოო ჯამში, სწორედ ქარიზმატულობა განაპირობებს წინსვლას. ქარიზმატულობა ყველაზე მეტად პოლიტიკაში მოღვაწე ლიდერს ესაჭიროება, რადგან მსოფლიო ცივილიზაცია იცნობს ამგვარ პიროვნებებს, რომლებმაც დიდი კვალი დატოვეს პოლიტიკაში. მაგ. ლინკოლნი, რუზველტი და კენედი. ქარიზმატულობა მათი წარმატების საწინდარი იყო, რადაგნ მათში ჭარბობდა მიზნის მიღწევისა და ძალაუფლების მოტივები.

<u>ბიუროკრატია</u>

ბიუროკრატიის არსებობა დამახასიათებელია ბევრი საზოგადოებისა და პერიოდისათვის, მაგრამ უფრო აქტუალური მისი შესწავლა თანამედროვე ეპოქაში გახდა შესაძლებელი. ბიუროკრატიული სტრუქტურა წყვეტს სამ ძირითად პრობლემას:

1) როგორ მოვახდინოთ დიდი ჯგუფის ორგანიზებულობა საერთო მიზნის მისაღწევად; 2) როგორ მოვახდინოთ მრავალმხრივი დავალებების კოორდინირება და 3) როგორ ვმართოთ პოლიტიკური კონფლიქტი ან ბრძოლა ძალაუფლებისათვის.

გერმანელი სოციოლოგი მაქს ვებერი იყო პირველი, რომელმაც განმარტა ბიუროკრატია. ბიუროკრატია ორგანიზაციის ეფექტური მართვა და ორგანიზაციული საკითხების ზუსტად გადაწყვეტის საშუალებაა. იგი მართვის სტილით ჩინოვნიკურ აპარატთან ასოცირდება და უარყოფით შეფერილობას იძენს. ვებერმა იდეალური ბიუროკრატიული ორგანიზაციის შემდეგი ნიშნები გამოყო, ესენია:

1. სპეციალიზაცია: ბიუროკრატიებში ორგანიზაციის მთავარი საქმე არის სამუშაოს მკაცრად განაწილება. კარგად მომზადებული კადრების მიერ საქმის მაღალ დონეზე შესრულება.

2. თანამდებობრივი იერარქია: ბიუროკრატიული ორგანიზაცია თანამშრომელთა ვერტიკალური თანამდებობრივი წესრიგით ხასიათდება, სადაც სუბორდინაცია მკაცრად უნდა იყოს განსაზღვრული.

3. მკაფიოდ განსაზღვრული და დადგენილი წესების სისტემა: ქმედებები და ურთიერთობები იმართება კარგად ჩამოყალიბებული წესებით. ამიტომ, პერსონალმა ზუსტად იცის რა მოეთხოვებათ მათ ამ წესების მიხედვით.

4. მიუკერძოებლობა: ვებერი მიიჩნევს, რომ ემოციები ხელს უშლის ეფექტურობას და მაშასადამე, არანაირი ადგილი არა აქვს ბიუროკრატიაში. აქ პიროვნებაზე მეტად ბიუროკრატიული წესები განსაზღვრავენ გადაწყვეტილებების მიღებას.

5. დაჯილდოვება დამსახურების მიხედვით: ბიუროკრატიაში სხვადასხვა თანამდებობებზე მყოფი ხალხის დაჯილდოვება ხდება კვალიფიკაციის მიხედვითა და განათლების დონით – სტანდარტული კრიტერიუმებით. დაწინაურება ხდება შესრულებული სამუშაოს ხარისხის მიხედვით, როდესაც ხელმძღვანელი პირი თავის ნათესავებსა და ახლობლებს აწინაურებს ეს ხელს უშლის ორგანიზაციის წარმატებას. თუ კვალიფიცირებული კადრები იკავებენ თანამდებობას და „ახლობლობის“ პრინ-

ციპი გამორიცხულია, თანამშრომლებში ვისაც მუშაობისა და შესაბამისად, დაწინაურების სურვილი აქვთ, იმატებს ძალისხმევა.

6. ფორმალური წერილობითი კომუნიკაცია: ბიუროკრატიის აუცილებელი პირობაა, სადაც არა ადამიანები არამედ ქაღალდები იგულისხმება. ურთიერთობა ადამიანებს შორის ფორმალიზებულ ოფიციალურ სახეს ატარებს.

7. ვებერის მიხედვით იდეალური ბიუროკრატია ადამიანის ყოველ ნაბიჯს მიზანმიმართულად არეგულირებს. თუმცა, რეალურად ადამიანები საკმაოდ კრეატიულები არიან ბიუროკრატიულ შაბლონთან მიმართებაში. ასეთ შემთხვევაში ბიუროკრატიის არაფორმალურ ასპექტებთან გვაქვს საქმე. ბიუროკრატიას ახასიათებს გაუცხოება. ვებერის აზრით ფორმალური ინსტიტუტები ადამიანს განუწყვეტლივ მოძრავი მექანიზმის უბრალო ჭანჭიკად აქცევს. კლასიკოსი დარწმუნებული იყო, რომ ბიუროკრატიული აპარატი ადამიანთა სასიკეთოდ არის შექმნილი და არა საზიანოდ. თუმცა, ბიუროკრატიამ პიროვნულობა შეინირა მსხვერპლად.

ჯგუფის გავლენა საქმიანობის ეფექტურობაზე

სოციალურ-ფსიქოლოგიურმა კვლევებმა აჩვენა, რომ ადამიანი მაშინ მოქმედებს უკეთ, როცა ის სხვას ეჯიბრება. ოლპორტის მიერ ჩატარებულმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ ადამიანები სხვადასხვა შინაარსის დავალებებს არა ცალ-ცალკე ოთახებში, არამედ ერთ საერთო ოთახში ყოფნის დროს უკეთ ასრულებენ. არა მხოლოდ შეჯიბრი და კონკურენცია, არამედ სხვა ადამიანის უბრალოდ დასწრებაც კი, მიღებული დავალების წარმატებით შესრულების საწინდარია. ამ მოვლენას სოციალურ ფასილიტაციას (ხელის შეწყობა) უწოდებენ. სოციალური ფასილიტაცია სხვათა თანდასწრების გამო ადამიანის მიერ დავალების შესრულების გაუმჯობესებას ნიშნავს.

მომდევნო ემპირიულმა კვლევამ საქმიანობის ეფექტურობაზე ჯგუფის გავლენის არა მხოლოდ დადებითი, არამედ უარყოფითი შედეგებიც გამოავლინა. ამ უკანასკნელს სოციალური

ხელისშემშლელი მოვლენა უწოდეს. ერთ-ერთმა მეცნიერმა წამოაყენა დებულება, რომლის მიხედვითაც, გარეშე ადამიანის დასწრება საქმიანობის ეფექტურობას ყოველთვის არ ზრდის, პირიქით ზოგ შემთხვევაში – აუარესებს. მსგავსად ამინდის პროგნოზის შესახებ განცხადებისა, როდესაც გამოცხადებულია კარგი ამინდი, მაგრამ შეიძლება თოვლი მოვიდეს. დადგენილია, რომ სოციალური ფასილიტაციის კავშირი საქმიანობის ეფექტურობასთან გარკვეული ფაქტორებით არის გაშუალებული. ამ სფეროში ჩატარებული მრავალრიცხოვანი კვლევების შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ადამიანის მოქმედების გაუმჯობესება შედარებით მარტივი დავალებების დროს ხდება; საწინააღმდეგო ვითარებასთან გვაქვს საქმე, როდესაც ადამიანი შედარებით რთულ დავალებებს ასრულებს. გარდა ამისა, სხვათა თანდასწრება ადამიანის მიერ შედარებით კარგად ათვისებულ ანუ დასწავლილ დავალებათა შესრულებაზე დადებითად მოქმედებს. ხოლო, ნაკლებად ან ცუდად დასწავლილ დავალებათა შესრულებაზე, ის უარყოფით გავლენას ახდენს.

სოციალური ფასილიტაციასა და საქმიანობის ეფექტურობას შორის არსებული კავშირის ახსნის დროს შეიძლება ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის ცნობილ პრინციპს დავეყრდნოთ, რომლის თანახმადაც, დომინირებული რეაქცია ადამიანში მიმდინარე აგზნებას უფრო მეტად აძლიერებს. გაზრდილი აგზნება მარტივი ამოცანების გადაჭრას აუმჯობესებს, რომლის დროსაც, სწორი ამოხსნა დომინირებული რეაქციის როლში გამოდის. მაგალითად, მარტივი ანაგრამები.

ადამიანები ,,ამოცანებს“ ადვილად ხსნიან, როდესაც ისინი აგზნებულნი არიან. რთული ანაგრამების შემთხვევაში, რომელშიც სწორი პასუხები უშუალოდ, თავისთავად არ გამომდინარეობენ, აგზნებადობა არასწორ რეაქციებს იწვევს. აღნიშნული პრინციპების თანახმად, სავარაუდოა, რომ სხვათა თანდასწრება აღაგზნებს ადამიანს ან მის დაძაბულ მდგომარეობას აძლიერებს. აუდიტორიის წინაშე გამოსვლა ადამიანთა უმრავლესობაში მღელვარების და დაძაბულობის განცდას იწვევს. თუ

სოციალური დაძაბულობის განცდა დომინირებულ რეაქციებს აძლიერებს, მაშინ მან ადამიანის მიერ მარტივი დავალების შესრულებას ხელი უნდა შეუწყოს. ხოლო, იგივე მდგომარეობა რთული დავალებების შესრულებისათვის ხელისშემშლელი უნდა იყოს.

<u>უმცირესობის გავლენა</u>

XX საუკუნის 70-იან წლებამდე სოციაულრი გავლენის შესახებ ფსიქოლოგიური ლიტერატურის ყურადღების ცენტრში იყო მხოლოდ უმრავლესობის მიერ უმცირესობაზე გავლენა და უმრავლესობის უნარი, მოეხდინა ზეწოლა კონფორმულობის მიმართულებით. ამ კვლევების საფუძველზე გამოვლინდა, რომ კონფორმულობის მიზეზი იყო აზრი იმის შესახებ, რომ უმცირესობა დამოკიდებულია უმრავლესობაზე ან ინფორმაციის ვერიფიკაციის ან ფსიქოლოგიური მხარდაჭერისათვის. შემდგომში ფრანგმა მეცნიერმა მოსკოვიჩმა და მისმა თანამშრომლებმა გამოიკვლიეს, რა პირობებში შეეძლო უმცირესობას გავლენა მოეხდინა უმრავლესობაზე და დაასკვნეს: გავლენის მიზეზი არ შეიძლება იყოს ის, რომ უმრავლესობა დამოკიდებულია უმცირესობაზე, რადგან უმცირესობას არ გააჩნია ისეთი თვისებები, რაც განაპირობებს კონფორმიზს.

დამოკიდებულების, როგორც გავლენის ფაქტორის, ალტერნატივად წამოყენებული იქნა უმცირესობის ქცევის სტილი. ეს გულისხმობს, რომ უმცირესობას შეუძლია ჰქონდეს გავლენა თუ ის აიძულებს უმრავლესობას მიიჩნიოს, რომ უმცირესობას კარგად განსაზღვრული აქვს თავისი პოზიცია და უკან არ დაიხევს. ასეთი პერსპექტივიდან მოიძებნა ახსნა უმცირესობის გავლენისა ატრიბუტულ ჭრილში, როდესაც გადამწყვეტია უმცირესობის ხატი, რომელიც წარმოიშობა მისი ქცევის სტილიდან. გამოკვლეულ იქნა ფაქტორები, რომელმაც დახვეწა ქცევის სტილის ორიგინალური კონცეფცია – ქცევის სტილი, რომელიც ვლინდება როგორც ქცევის ნიმუში ან როგორც სიახლე.

უმცირესობის გავლენის შესწავლაში გამოიკვეთა შიდაჯგუფური უმცირესობის განსხვავებული ეფექტი. მრავალი ექ-

სპერიმენტი მოწმობს, რომ შიდაჯგუფური უმცირესობა უფრო გავლენიანია ვიდრე ჯგუფგარე უმცირესობა.

პეჩელეს მიაჩნია, რომ უმცირესობის გავლენას ხელს უწყობს ნორმების შეფასება. მან დაადგინა, რომ მაგ.: როდესაც მემორანდუმში გაიმარჯვა ქალების მოძრაობამ, ადამიანები ადვილად ემორჩილებოდნენ პროფემინისტური უმცირესობის გავლენას ვიდრე ანტიფემინისტურს.

რიგი გამოკვლევების საფუძველზე დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს, რომ უმცირესობას შეუძლია შეცვალოს უმრავლესობის ატიტუდები და რწმენები, როცა იგი იცავს ალტერნატიულ შეხედულებებს.

ტერნერის მიხედვით, გავლენის წყაროს წევრობის კატეგორია არა მხოლოდ განსაზღვრავს თანხმობის შედეგებს და განუსაზღვრელობის რედუქციის მეთოდებს არამედ, გავლენას ახდენს ინდივიდის იდენტურობასა და თვითაღქმაზე.

ფსიქოლოგიური კვლევა და ჩვეულებრივი ჯანსაღი აზრიც გვეუბნება, რომ ადამიანს საკუთარი თავის მიმართ აქვს უფრო დადებითი ვიდრე უარყოფითი განწყობა. ამიტომ, როცა საკუთარი ჯგუფი პიროვნებისათვის საინტერესო საკითხის შესახებ იყოფა უმრავლესობად და უმცირესობად, ინდივიდს უნარჩუნდება ჯგუფშიგა უმცირესობის მიმართ დადებითი განწყობა. განსაკუთრებით მაშინ, თუ მას გარკვეული არჩევანი აქვს ჯგუფშიგა და ჯგუფგარე უმცირესობის პოზიციებს შორის. დაპირისპირებები თავისი და სხვა ჯგუფის მიმართ, მაშინაც კი შეიძლება თავისი ჯგუფის სასარგებლოდ წყდებოდეს, როცა საკუთარი ჯგუფის უმცირესობის მიმართ ინდივიდს უარყოფითი განწყობა აქვს. ყველამ ვიცით ცხოვრებისეული თუ ისტორიული მაგალითები, რომ როცა ჯგუფს ემუქრება საშიშროება, გარეთა ჯგუფის წინააღმდეგ საკუთარი ჯგუფის ისეთი წევრებიც კი ერთიანდებიან, რომლებიც ერთმანეთის მიმართ მტრულად იყვნენ განწყობილნი. თუმცა, იშვიათად გვაქვს მაგალითები, როცა ინდივიდი უერთდება გარე ჯგუფს. ასეთ შემთხვევაში, მას უსათუოდ უწევს საკუთარი თვითშეფასების შეცვლა. მის პიროვნებაში ხდება მტკივნეული პროცესი გადაფასების, ხე-

ლახლა კატეგორიზაციის, „მე“ კონცეფციის რღვევის და ა.შ. ეს კი ფსიქოლოგიურად ძალიან ძნელი პროცესია და ხშირად ადამიანი, როგორც პიროვნება ნადგურდება. ამიტომ, ჩვეულებრივი ადამიანისათვის ფსიქოლოგიური თვალსაზრისით უფრო სასარგებლოა შეინარჩუნოს საკუთარი ჯგუფისადმი დადებითი განწყობა, როცა ჯგუფში უმცირესობის გავლენა თითქმის ყოველთვის ჯგუფგარე „უმცირესობის“ გავლენაზე მეტია. არ გამოვრიცხავთ ისეთ შემთხვევებს, როცა გარკვეული საკითხის გადაჭრაში წამყვანია ეგო-ჩართულობა. ასეთ დროს, პიროვნებამ შეიძლება დაკარგოს კიდეც ჯგუფი, თუ იგი მას ეწინააღმდეგება და ვერ მოახერხებს მის გადარწმუნებას თავისი პოზიციის სასარგებლოდ.

საზოგადოდ კი ჯგუფშიდა უმცირესობის მეტი გავლენა ჯგუფგარე უმცირესობასთან შედარებით, განპირობებულია საკუთარი ჯგუფისადმი პიროვნების დადებითი განწყობებით, რაც ეთანხმება და ხსნის სოციალური იდენტიფიკაციის მოქმედების ფსიქოლოგიურ მექანიზმს.

თავი IX
აგრესია

აგრესია ადამიანის ანტისოციალური ქცევის უკიდურეს ფორმას წარმოადგენს. სხვისი გაღიზიანება, ცემა და ომი ადამიანის აგრესიული მოქმედების მაგალითებია. ამჟამად, ჩვენ მძიმე დროში ვცხოვრობთ, სადაც სამყარო ჯერ კიდევ გაჯერებულია ომებით, ტერორიზმით, მკვლელობებით, ადამიანების გატაცებით, ბავშვების დასჯით და ა.შ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ აგრესია ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. თუნდაც, ავიცილოთ აგრესიის ზემოთ ჩამოთვლილი ფორმები, ჩვენ აგრესიას მაინც განვიცდით სხვა კონტექსტში, რომელიც მართლაც ადამიანის ბუნებრივ მდგომარეობას წარმოადგენს. იშვიათია ადამიანი, რომელსაც არ განუცდია კრიტიკა, დაცინვა, არ მიუღია შენიშვნა ან არ დაუკარგავს მოთმინება სხვისგან გაღიზიანებულს. აგრესია თითქოს ჩვენი ცხოვრების თანხვედრი მდგომარეობაა, რადგან XXI საუკუნე გამოირჩევა სოციალურ და ეთნიკურ საფუძველზე აღმოცენებული ლოკალური ომებით, ადამიანთა შორის სასტიკი სიძულვილის და ფიზიკური განადგურების შემაშფოთებელი ფაქტებით. აგრესიაში სხვისთვის ზიანის ან ტკივილის მიყენების განზრახვით განხორციელებული, ადამიანის ფიზიკური ან სიტყვიერი ქცევა იგულისხმება.

თუ გადავხედავთ კაცობრიობის ისტორიას, რაც ამავე დროს, ცივილიზაციის განვითარების ისტორიას წარმოადენს დავინახავთ, რომ ის მუდმივი ომებისა და წინააღმდეგობების ისტორიაა, სადაც ადამიანთა ერთი ჯგუფი დაუნდობლად ანადგურებდა ადამიანთა მეორე ჯგუფს. მართალია, ომებს შორის იყო მშვიდობიანი წლები, იქმნებოდა ცივილიზაციის შედევრები, მაგრამ მიუხედავად ასეთი ბედნიერი წუთებისა, საერთო ჯამში ადამიანები საკმაოდ აგრესიულები იყვნენ. მიუთითებენ, რომ ადამიანები – ცხოველთა სამყაროში განვითარების უმაღლეს დონეზე მყოფი ცხოველები არიან და განსაკუთრებით გამოირჩევიან თავიანთი აგრესიულობით. თითქმის არცერთი სახეობა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ასე თანმიმდევრულად

არ ხოცავს თავისივე მოდგმას, როგორც ამას აკეთებს ადამიანი. ყოველივე ზემოთჩამოთვლილი მიზეზების გამო, მეცნიერები დიდ ინტერესს იჩენენ აგრესიის ფენომენის მიმართ.

ადამიანი გარკვეული მიზნის მისაღწევად თავდაჯერებულ, ენერგიულ და მიზანმიმართულ ქმედებას განახორციელებს, რაც მიუთითებს, რომ იგი არის შეუპოვარი და უშიშარი. ადამიანი, როდესაც ვინმესათვის ტკივილის მიყენების მიზნით გააზრებულად რაიმე ცუდს მოიმოქმედებს, მაშინ საქმე გვაქვს აგრესიასთან ე.ი. საქმე გვაქვს აგრესიული ქცევის განსხვავებულ ხარისხებთან. ექსპერიმენტულ ვითარებაში აგრესიის დონე სხვისთვის მიყენებული ზიანის ხარისხით ვლინდება, რომელსაც ცდისპირი „დასასჯელ“ სუბიექტს აყენებს. გამოყოფენ აგრესიის ორ სახეს: მტრული აგრესია და ინსტრუმენტული აგრესია. მტრულია აგრესია, რომელიც ადამიანის განრისხების გრძნობით არის განპირობებული, მისი ერთადერთი მიზანი სხვისთვის ზიანის მიყენება გახლავთ. ინსტრუმენტული აგრესიის შემთხვევაში, ადამიანი ან ჯგუფი ადამიანებისა, რაიმე მიზნის მისაღწევად აგრესიას მიმართავს, რომელიც ამ უკანასკნელის განხორციელების საშუალებას წარმოადგენს. მაგალითად, პოლიტიკოსები, რომლებიც ნებისმიერ ომს გარკვეული მიზნის მიღწევით ამართლებენ.

<u>თანდაყოლილი აგრესია</u>

ფსიქოანალიზის დამაარსებელი ზ. ფროიდი თვლიდა, რომ ადამიანის აგრესიის მიზეზს ინდივიდის სიკვდილისაკენ ანუ დესტრუქციისაკენ მიმართული ლტოლვა წარმოადენს. იგი ფიქრობდა, რომ აგრესიული ენერგია რაიმე ფორმით აუცილებლად უნდა გამოვლინდეს. საწინააღმდეგო შემთხვევაში, ის თანდათანობით დაგროვდება და ავადმყოფობის მიზეზი გახდება. ხოლო, თუ აგრესიაში არ გამოვლინდა, მაშინ ის ფიზიკური აფეთქების მსგავსად ფსიქიკის დანგრევას გამოიწვევს. ფროიდი თვლის, რომ საზოგადოების ძირითადი ფუნქცია, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ამ ადამიანური ინსტიქტების რეგულირება მოახდინოს, მისი დამანგრეველი ძალა სოციალურად

სასარგებლო მოქმედების მიმართულებით წარმართოს. ფროიდი თვლის, რომ ადამიანის ქცევის რეგულირებაში აგრესია არა მხოლოდ უარყოფით, არამედ დადებით როლსაც თამაშობს. ადამიანმა მასში დაგროვილი აგრესია, რომ არ გამოავლინოს, მაშინ მასში დაძაბულობა გაიზრდება, დაგროვილი ენერგია გამოსვლის ძიებას დაიწყებს, რაც უკიდურეს ძალადობაში შეიძლება აისახოს ან ადამიანის ფსიქიკური დაავადების სიმპტომებად მოგვევლინოს. აგრესიის განმუხტვის მრავალი ხერხი არსებობს. მაგ.: სპორტული შეჯიბრება (ფეხბურთი, ჰოკეი, რაგბი და სხვა); მეორე ხერხი – ადამიანის მიერ დაგროვილი ენერგიის არადესტრუქციული ფორმით დახარჯვაა, მაგ.: წარმოსახვით – თუ როგორ სცემს იგი ვინმეს; მესამე კი – პირდაპირი აგრესიული ქცევის განხორციელებაა, როდესაც ადამიანი ვინმეს ლანძღავს და იგი მას უშვერი სიტყვებით მიმართავს, ეუბნება ათასგვარ სისაძაგლეს.

<u>შეძენილი აგრესია</u>

ადამიანის აგრესია ცხოველებისაგან განსხვავებით, თავისი არსით გამოცდილების ანუ დასწავლის შედეგს წარმოადგენს. საზოგადოდ კი ადამიანის აგრესია ადამიანის თანდაყოლილი ან შეძენილი მახასიათებლების ურთიერთქმედების რთულ კომპლექსად უნდა მივიჩნიოთ. ადამიანთა თანდაყოლილი რეაქციების სტრუქტურა ძალზე მოქნილია და დროთა განმავლობაში ის არსებით მოდიფიკაციას განიცდის. სწორედ ამიტომ, აგრესიული ქცევების გამოვლენის მიხედვით სხვადასხვა კულტურის წარმომადგენილები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან. მაგ.: დღესაც არსებობს პირველყოფილი ტომები, სადაც ცხოვრობენ თანამშრომლობისა და მეგობრობის სულისკვეთებით და ადამიანებს შორის აგრესიის გამოვლინება იშვიათობას წარმოადენს. რაც შეეხება ინდუსტრიულად ყველაზე განვითარებულ ქვეყნებს, ისინი სამხედრო ბიუჯეტის სიდიდის გამო პირდაპირ წელში წყდებიან, ამ ქვეყნებში ადამიანთა ხოცვა-ჟლეტა ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება.

დეფინიციით სოციალური ფსიქოლოგია შეისწავლის ადა-

მიანის სოციალურ აქტიობას, რაც ერთი ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის მეორე ადამიანზე ან ადამიანთა ჯგუფზე გავლენას გულისხმობს. აგრესიის უკიდურესი ფორმა – თავისივე მოდგმის ინდივიდის ფიზიკური განადგურება, შეიძლება განვიხილოთ როგორ სოციალური გავლენა. ამგვარად, აგრესიის შესწავლა სოციალური ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია. სოციალური ფსიქოლოგია ცდილობს გაიგოს აგრესიის ბუნება. არის თუ არა აგრესია ადამიანის თანდაყოლილი თავისებურება თუ იგი სოციალური ფაქტორების ბრალია, რომლებიც ზემოქმედებენ ადამიანზე უარყოფითად, რაც შემდგომში გამოიხატება აგრესიის სხვადასხვა ფორმებში.

<u>აგრესიის დეფინიცია</u>

საღი აზრის დონეზე თითქოსდა ნათელია თუ რა იგულისხმება აგრესიის ცნებაში, მაგრამ ცნების დონეზე დეფინიცია არც თუ იოლი აღმოჩნდა. თვით ტერმინი – აგრესია მრავალ განსხვავებულ მნიშვნელობას აერთიანებს. აგრესიად ითვლება მანიაკის მიერ ჩადენილი მკვლელობებიც და კალათბურთელის მიერ განხორციელებული თამაშის სტილიც. მეუღლის უყურადღებობის გამო გაბუტული ქმრის ჩუმი პროტესტიც პასიურ აგრესიად ითვლება. აგრესიის გაგება აგრესიის ცნებამ უნდა მოიცვას. აგრესიის ყველა ამ განსახვავებული ფორმის განმარტება მნიშვნელოვანია, ყველდღიურ რეალობაში მის წარმოსაჩენად. პირველ რიგში, კალათბურთელის თამაშის აგრესიული სტილის განსხვავება – დესტრუქციული აქტიობისაგან. ანუ საჭირო გახდა, სხვისთვის ზიანის მომტანი აქტიობის გამიჯვნა აქტიობისაგან, რომელსაც სხვისთვის ზიანი არ მოაქვს. ამ მიზნით ბიჰევიორისტული ორიენტაციის ფსიქოლოგიურმა თეორიებმა შემოგვთავაზეს შემდეგი დეფინიცია – აგრესიული ქცევა, რომელიც ვნებას აყენებს ან მიაყენებს სხვას. ამ დეფინიციის უპირატესობაა ის, რომ ქცევა თვითონ განსაზღვრავს გარკვეულ აქტიობას, არის თუ არა იგი აგრესიული. საჭიროა უბრალოდ იმის დადგენა იყო თუ არა აქტიობა ვნების მომტანი. თუ აქტიობა იწვევს ან გამოიწვევს ტკივილს ან რაიმე სახის ზიანს, ის აგრესიულია. თუ ინ-

დივიდი არ ცდილობს ვნება მიაყენოს სხვას და უნებლიედ ზიანი მიაყენა მას, ის არ განიხილება როგორც აგრესია. განსაზღვრა იმისა, არის თუ არა აქტიობა აგრესიული, არ არის დამოკიდებული მხოლოდ დაკვირვებად ქცევაზე. ამიტომ აგრესიის დეფინიცია მიღებულია, როგორც სხვისი ქცევა ან გააზრება სხვა ქცევისა, რომელიც ვნებას მიაყენებს სხვებს.

<u>აგრესიის წყაროები</u>

დგება საკითხი იმის თაობაზე, თუ რატომაა ადამიანი აგრესიული, რატომ შეუძლია ადამიანს იყოს ასეთი სასტიკი თავისივე მოდგმის მიმართ? ეს პრობლემა ყოველთვის იყო და არის ადამიანების განსჯის საგანი. აღნიშნულთან დაკავშირებით გამოითქვა მრავალი მოსაზრება, ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგოც კი და ამ აზრთა სხვადვსხვაობაში, მაინც მოხერხდა ამხსნელი თეორიების კლასიფიკაცია. გამოიყო აგრესიულობის სამი ბაზისური წყარო: 1. შინაგანი დეტერმინანტები 2. გარეგანი პირობებით აღძრული მოთხოვნილება და 3. არსებულ სოციალურ პირობას, ,,პლიუს“ ადრინდელი შეძენილი გამოცდილება.

<u>აგრესია, როგორც შინაგანი ტენდენცია</u>

ფსიქოლოგები, ფიზიოლოგები, ეთნოლოგები და ფილოსოფოსები დიდი ხანია დაობენ იმაზე, აგრესიულობა არის თანდაყოლილი ფენომენი თუ შეძენილია გამოცდილებით. კამათი დღესაც გრძელდება. საკითხი დგას შემდეგნაირად: ადამიანი, თავისი ბუნებით, არის კეთილი თუ ბოროტი. ჯერ კიდევ ჟან ჟაკ რუსო თვლიდა, რომ ადამიანები თავისი ბუნებრივი მდგომარეობით კეთილები არიან, მაგრამ საზოგადოება თავისი აკრძალვებით თავს ახვევს მათ აგრესიას და ცოდვებს. ამის საწინააღმდეგოდ ჩამოყალიბდა თეორიები, სადაც უხეშობა და აგრესიულობა ადამიანის ბუნებრივ მდგომარეობადაა მიჩნეული, ხოლო საზოგადოება თავისი კანონებით და წესებით ახდენს ადამიანის ინსტიქტური აგრესიულობის მოთოკვას, მის სუბლიმირებას. ასეთ ცნობილ ინსტიქტ-თეორიას წარმოადგენს ფროიდის ფსიქოანალიზური თეორია.

ფროიდის აზრით, ადამიანის საფუძვლებში დევს ორი ბაზისური ინსტინქტი, ეროსი და თანატოსი – სიცოცხლის და სიკვდილის ინსტინქტი. მისი აზრით, აგრესიულობის საფუძვლები სიკვდილის ინსტინქტში უნდა ვეძებოთ. როცა სიკვდილის ინსტიქტი მიმართულია შიგნით, ის ვლინდება თვით-დასჯის, თვით-დარღვევის ფორმით, რომლის უკიდურესი გამოხატულება თვითმკვლელობაა. როცა ეროსის გავლენით სიკვდილის ინსტიქტი მიმართულია გარეთ, ის ვლინდება სხვებისადმი მტრობის, სხვათა მკვლელობის ფორმით. ფროიდს მიაჩნდა, რომ აგრესიის ენერგია, რაღაც ფორმით უნდა გამოვლინდეს. ანუ უნდა მოხდეს მისი გადატვირთვა, წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება მისი დაგროვება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მთელი რიგი ფსიქიკური დარღვევები. ამიტომ, მის თეორიას აგრესიის „ჰიდრავლიკურ თეორიას“ უწოდებენ, რომელიც დახურულ ქვაბში დულილის მსგავსად მოქმედებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ აგრესიას არ მიეცა გამოვლინების საშუალება, იგი ადრე თუ გვიან აფეთქთდება.

ლეონარდ ბერკოვიჩს – ადამიანური აგრესიის წამყვან სპეციალისტს მიაჩნდა, რომ ადამიანი არსებითად იმით განსხვავდება არაადამიანური არსებისაგან, რომ ადამიანის აგრესიაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს დასწავლა. მისი აზრით, ადამიანურ დონეზე აგრესია წარმოადგენს თანდაყოლილი მიდრეკილებების და დასწავლილი რეაქციების ურთიერთქმედების რთულ ფუნქციას.

<u>აგრესია, როგორც შეძენილი ფორმა</u>

სოციალური დასწავლის თეორიის წარმომადგენლები ბანდურა, ბერკოვიჩი და სხვები, ქცევის აგრესიულ ფორმებს განიხილავენ, როგორც ქცევის შეძენილ ფორმებს, რომელთა დასწავლა ხდება ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა რამის დასწავლა. აგრესიის ბუნების სრულყოფისათვის საჭიროა გვქონდეს ინფორმაცია სამ ბაზისურ საკითხზე: 1) მანერა, რომელშიც ასეთი ქცევაა შეძენილი; 2) ჯილდო და დასჯა, რომელიც მოქმედებს მის შესრულებაზე; 3) სოციალური და გარემოსეული ფაქტორე-

ბი, რომლებიც გავლენას ახდენენ მოცემულ კონტექსტში მის შესრულებაზე. სოციალური დასწავლის თეორია აგრესიის საფუძვლად არ განიხილავს ერთ ფაქტს ან ფაქტორების მცირე რაოდენობას. დასწავლის თვალსაზრისი უშვებს, რომ აგრესიული ქცევის საფუძველს წარმოადგენს ფაქტორების მთელი წყება და ამ ფაქტორებს შორის რთული ურთიერთობა, კერძოდ: აგრესიის წარსული გამოცდილება (რა აგრესიული ქცევაა წარსულში შეძენილი? რა არის დასწავლილი ასეთი ქცევების გამოყენების შესახებ?); მიმდინარე პირობები, რომლებიც განაპირობებენ აგრესიის როგორც წახალისებას, ასევე დასჯას. მრავალი სოციალური, კოგნიტურ და გარემოსეულ ცვლადებს აქვთ ტენდენცია, როგორც აგრესიის აღძვრისა ისე შეკავებისა (მაგ. ფრუსტრაცია, სხვების მიერ აგრესიული ქცევის ექსპოზიცია, აგრესორის მიმდინარე გუნება-განწყობილება და მისი აღძვრის დონე).

აგრესიის სოციალური და სიტუაციური დეტერმინანტები

აგრესია მომდინარეობს სოციალური და სიტუაციური ფაქტორებიდან, რომლებიც განსაზღვრავენ აგრესორის მიერ მსხვერპლის არჩევას.

1. **ფრუსტრაცია –** ამ თეორიის თანახმად, აგრესია მომდინარეობს ფრუსტრაციიდან და აგრესიის ყოველი აქტი არის ფრუსტრაციის შედეგი. ფრუსტრაცია ყოველთვის არ იწვევს აგრესიას იგი დამოკიდებულია ორ პირობაზე: ფრუსტრაციის ინტენსივობაზე და აღქმულ კანონიერებაზე.

2. **პირდაპირი პროვოკაცია –** ანუ, როცა აგრესია ბადებს აგრესიას. დაკვირვებებიდან ჩანს, რომ ინდივიდები ხშირად რეაგირებენ და საკმაოდ ძლიერადაც, მსუბუქ დაცინვაზე ან სხვების ქცევაზე, რომელსაც აღიქვამენ, როგორც გარკვეული დონის თავდასხმას. ამ დროს ადგილი აქვს პროცესის ესკალაციას და ხდება უფრო და უფრო ძლიერი პროვოკაციების სწრაფი ურთიერთგაცვლა ორივე მხარისათვის საშიში შედეგებით.

ძალადობის ფილმების ყურება და აგრესია

ბოლო პერიოდში სერიოზული მსჯელობის საგანი გახდა კინო-ფილმებსა და ტელე ეკრანებზე მოჭარბებული ძალადო-

ბის შემცველი ფილმების ჩვენება. ფსიქოლოგების უამრავი კვლევა მიეძღვნა საკითხს, თუ რა კავშირია ტელეეკრანებზე ძალადობის შემცველი ფილმების ხშირი ექსპოზიციასა და მაყურებლის აგრესიულობის დონეს შორის. მაგ.: ბავშვები, რომლებმაც ნახეს ძალადობის შემცველი ფილმები ავლენდნენ გაცილებით მეტ აგრესიას, ვიდრე ის ბავშვები, რომლებმაც ნახეს გასართობი ფილმი.

<u>აღძვრის დონე და აგრესია</u>

ფსიქოლოგიაში არსებობს მოსაზრება, რომ აღძვრის დონის ამაღლება იწვევს მიმდინარე ქცევის გაძლიერებას, ანუ ინდივიდი ფიზიოლოგიურად აღძრულია აგრესიისაკენ. მაგ.: კონკრეტულ შეჯიბრებაში მონაწილეობა, ფიზიკური დატვირთვა, თუნდაც გარკვეული მუსიკის მოსმენა, ხელს უწყობს აგრესიის დონის ამაღლებას. ერთადერთი ახსნა ამ ეფექტისა, რომელიც მიღებულია სოციალური ფსიქოლოგების მიერ ცნობილია, როგორც აგრესიის ტრანსფერის თეორია (ზილლმენნი). თეორია ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ფიზიოლოგიური აღძვრა გრძელდება დროში. შედეგად, აღძვრის გარკვეული ნაწილი შეიძლება დროში გამძლე აღმოჩნდეს, როცა ინდივიდი ერთი სიტუაციიდან მეორეში გადადის. მაგ. სტუდენტი, რომელიც აღძრულია მისი აზრით გამოცდაზე ნაწილობრივი მარცხით, შეიძლება გააგრძელოს მსუბუქად აღძრულად ყოფნა, რამდენიმე წუთის შემდეგაც, როცა ის ურთიერთქმედებას იწყებს მეგობრებთან ან ნაცნობებთან. ასეთმა ნარჩენმა აღძვრამ შეიძლება გამოიწვიოს მისი შემდგომი ემოციონალური განცდების გაძლიერება, თანაც ისეთი განცდებისაც კი, რომელსაც არავითარი კაშვირი არა აქვს აღძვრის საწყის მიზეზთან. ასე მაგალითად, თუ მეგობარი მის მიმართ გააკეთებს შენიშვნას, მან შეიძლება ამ პროვოკაციაზე რეაგირება მოახდინოს უფრო მწვავედ ვიდრე, მისი რეაქცია იქნებოდა თუ არ იარსებებდა ნარჩენი, ახალ სიტუაციაში გადატანილი აღძვრა.

<u>სექსუალური აღძვრა და აგრესია</u>

თუკი აღძვრა, რომელიც მომდინარეობს იმგვარი წყაროდან, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს აგრესიასთან (მაგ.: ფიზიკური ვარჯიში, კონკურენცია) ზრდის აგრესიის დონეს, მაშინ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სუქსუალურ აღძვრასაც იგივე ეფექტი ექნება. ფროიდი ვარაუდობდა, რომ სურვილი ატკინო სხვას ან მიიღო ტკივილი სხვისგან, სექსუალური ურთიერთობის ნორმალური მდგომარეობაა. ფრომი თვლის, რომ ნებისმიერი ძლიერი ემოცია – ატკინო სხვას, სხვისგან ტკივილის მიღების სურვილის ჩათვლით – შეიძლება შერეული იყოს სექსუალურ სურვილთან.

კვლევები აჩვენებენ, რომ სექსუალური აღძვრის სუსტი დონე, როგორიცაა აღძვრა გამოწვეული საწინააღმდეგო სქესის მიმზიდველი წევრის შიშველი ან ნახევრად შიშველი სურათის ექსპოზიციით, ამცირებს აგრესიას, იმ ინდივიდის მიმართ, რომელიც ახდენს პროვოცირებას. ამასთან აღმოჩნდა, რომ სექსუალური აღძვრის მაღალი დონე, გამოწვეული ეროტიკული პასაჟის კითხვით ან აშკარა სასიყვარულო სცენის ყურებით, ფაქტიურად ზრდის აგრესიის დონეს. ამრიგად სექსუალური აღძვრის სუსტი დონე ამცირებს აგრესიულობას, ხოლო აღძვრის მაღალი დონე, აგრესიას ზრდის. ეროტიკული სტიმულის ექსპოზიცია იძლევა ორ ეფექტს: პირველი, ის ინდივიდში ზრდის აღძვრის დონეს და მეორე, ეროტიკული სტიმული გავლენას ახდენს ინდივიდის მიმდინარე აფექტურ მდგომარეობაზე, მის პოზიტიურ ან ნეგატიურ გრძნობებზე. სექსუალური აღძვრა ხელს უწყობს აგრესიის შეკავებას და იგი დამოკიდებულია ამ ეფექტის ნიმუშზე. რადგან სუსტი ეროტიკული სტიმული წარმოშობს აღძვრის სუსტ დონეს და რადგან ამ დროს ადამიანების უმეტესობა განიცდის სიამოვნებას, არ არის გასაოცარი, რომ ამ დროს ადამიანს აქვს ტენდენცია შეამციროს აგრესია. ამის საწინააღმდეგოდ, ეროტიკის უფრო გამოკვეთილი ფორმა წარმოშობს აღძვრის უფრო მაღალ დონეს, განწყვილებულს ნეგატიურ გრძნობასთან, რის შედეგადაც ეროტიკამ შეიძლება გაზარდოს აგრესია.

<u>კათარზისი</u>

კატარზისის იდეას საფუძველი ჩაუყარა არისტოტელემ, ბერძნული ტრაგედიების გავლენით, როცა ამ ტრაგედიების მიზნებზე საუბრობდა. ტრაგედიის მაყურებელი განიცდის მთელ რიგ ემოციებს. მაგ.: როცა ტრაგედიის გმირი საფრთხის წინაშეა, მიუხედავად იმისა, რომ მაყურებელს არაფერი ემუქრება, ის მაინც განიცდის შიშს. რა თქმა უნდა ეს შიში არ მოქმედებს მის ქცევაზე და ისინი არ გარბიან დარბაზიდან, მაგრამ მაყურებელი შიშს გამოხატავს პიესის გმირის აქტიობით. არისტოტელეს აზრით, ემოციის ასეთი აღძვრა და გამოხატვა შედეგად იძლევა ემოციის განტვირთვას ანუ კეთერზისს. არისტოტელე ამ ეფექტში გულისხმობდა იმას, რომ შემდგომში მაყურებელს ნაკლებად ექნება ტენდენცია განიცადოს ემოცია.

კათარზისის ფროიდისეული კონცეფცია რამდენიმედმე განსხვავებულია, იგი ხაზს უსვამს გრძნობის ექსპრესიის მნიშვნელობას. მისი აზრით, გარკვეული იმპულსის გამოხატვა (ექსპრესია) ამცირებს მის სიძლიერეს. მაგ.: თუ ინდივიდი გაბრაზებულია, აგრესიული აქტიობა ამცირებს გაბრაზებას. კათარზისის ყველაზე ეფექტური საშუალებაა ინდივიდმა თვითონ გამოხატოს ეს იმპულსი, მაგრამ გრძნობის სიძლიერის შემცირება მის არაპირდაპირ გამოხატვასაც შეუძლია. აღმოჩნდა, რომ თუ ფრუსტრაციის წყაროზე სხვა პირი განახორციელებს აგრესიულ თავდასხმას, ეს შემცველი აგრესიაც ამცირებს გაბრაზებას. ამგვარად აგრესიის ყოველი გამოხატვა (პირდაპირი, გადანაცვლებული ან შემცვლელი) იწვევს გარკვეულ კათარზისს. ე.ი. კათარზისი გულისხმობს იმას, რომ გამოვლენილ აგრესიას ტენდენცია აქვს შეამციროს მომდევნო აგრესია. მრავალ სიტუაციაში კათარზისი შესაძლოა ასეც მოქმედებს. აგრესიული ქცევის განხორციელება ან ფრუსტრაციის წყაროს დასჯილად ხილვა, ინდივიდში ამცირებს აგრესიულ გრძნობას და შესაბამისად ნაკლებად ექნება გაბრაზება ან ტენდენცია ვნება მიაყენოს სხვას.

<u>სქესი და აგრესია</u>

მნიშვნელოვანია განვიხილოთ თუ რა დამოკიდებულება

აქვთ აგრესიასთან ქალებსა და მამაკაცებს. ეგლი და სტეფფენი, კვლევების შედეგად მივიდნენ დასკვნამდე, რომ მამაკაცები, ქალებთან შედარებით მართლაც მეტ აგრესიულობას ავლენენ, მაგრამ ეს განსხვავება გამოკვეთილი იყო, როცა კვლევა ეხებოდა ფიზიკურ აგრესიულობას. მკვლევარებმა ქალისა და მამაკაცის აგრესიულობის დონეს შორის განსხვავება, ვერ აღმოაჩინეს, როცა ვერბალურ თავდასხმაზე ჩატარდა ექსპერიმენტი. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ეს განპირობებულია კულტურით, რწმენით და გენდერული როლის სპეციფიკურობით.

<u>აგრესიის ინდივიდუალური დეტერმინანტები</u>

ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან იმით თუ რამდენად აქვთ აგრესიულობის ტენდენცია. ზოგში აგრესიულობა მაღალი ხარისხით აღინიშნება, ზოგთან კი აგრესიულობა ნაკლებად ვლინდება. სოციალურ ფსიქოლოგიაში, მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა იმ საკითხმა და კვლევებმა თუ რა ახდენს გავლენას ადამიანზე იყოს ან არ იყოს აგრესიული. მათ გამოსავლენად ჩატარებულმა კვლევებმა, რომლებიც გათვლილი იყო პიროვნების ქცევისეულ ნიმუშებზე და სქესზე შემდეგი შედეგი აჩვენა. ექსპერიმენტის ობიექტად აღებულ იქნა ა და გ ტიპის ადამიანი.

ტიპი ა-ს ქცევისეული ნიმუშები: ა-ს აქვს გულ-სისხლძარღვთა სისტემის დარღვევის საკმაოდ მაღალი რისკი, ასეთი ინდივიდების ძირითადი მახასიათებლებია: უკიდურესი კონკრეტულობა, (მას ყოველთვის და ყველა სიტუაციაში სურს მოგება), გადაჭარბებული სიჩქარე (ისინი მუდამ სისწრაფეში არიან და ჩქარი სიარულით ხასიათდებიან). ერთდროულად ისახავენ რამდენიმე მიზანს, ამიტომ მუდამ დროის დეფიციტს განიცდიან. აქვთ მტრობის და აგრესიის მაღალი დონე. ამიტომ, ცხადია ეს ტიპი ასოცირებულია ღია აგრესიულობასთან. შეჯიბრის სიტუაციაში ის აგრესიულია. ბ-ტიპის ადამიანი, არის უფრო მშვიდი, ნელი მოსიარულე, მოდუნებული. ესე იგი ა და ბ ტიპის ადამიანები აბსოლუტურად განსხვავებული პიროვნებები არიან.

<u>აგრესიის არიდება და კონტროლი</u>

გაბრაზებულობა – აგრესიის გამოხატვა ამცირებს გაბრაზებას და ინდივიდს ნაკლებად აგრესიულს ხდის. მეორე მხრივ, გამოხატულ აგრესიას აქვს ტენდენცია ასწავლოს ინდივიდს იმოქმედოს აგრესიულად და საერთოდ ზრდის ალბათობას მომდევნო შემთხვევისათვის იყოს აგრესიული ე.ი. თუ ინდივიდი არ არის გაბრაზებული, ანუ დომინანტურია – დასწავლის ეფექტი. აგრესიულობის ტენდენცია იზრდება თუ ინდივიდი გაბრაზებულია, ჩვეულებრივ დომინირებულია კათარზისის ეფექტი და აგრესიულობა მცირდება. ამგვარად კათარზისის ჰიპოთეზის თანახმად, როდესაც ინდივიდი გაბრაზებულია და განახორციელებს ძლიერ მაგრამ არა ზიანის მომტან ქცევას, შედეგი შეიძლება იყოს: 1) აღძვრის დონის შემცირება 2) ღია აგრესიული ქცევის ტენდენციის შემცირება. აგრესიის ასარიდებლად მის საკონტროლო თეზისებს წარმოადგენს შემდეგი საკითხები: ა) კინო და ტელეფილმები, სადაც მოჭარბებულია ძალადობის სცენები. ბ) თავდასხმა უსულო ობიექტზე.

<u>აგრესიის შემცირების სხვა საშუალებები</u>

XXI საუკუნე დიდი დაძაბულობის, ბრძოლების, შინაგანი მღელვარების, არასტაბილიზაციის და ადამიანისათვის დიდი სტრესების საუკუნეა. აქედან გამომდინარე, ისმის კითხვა, როგორ დავიცვათ ადამიანი ყოველივე ზემოთჩამოთვლილი ფაქტორებისაგან? ფსიქოლოგები მუდმივად მუშაობენ თუ როგორ მოახდინონ აგრესიის მინიმუმამდე დაყვანა.

<u>დასჯა, როგორც აგრესიის შემაკევებელი</u>

ადამიანი ყოველთვის იყენებდა დასჯას, როგორც აგრესიის შემაკავებელ საშუალებას. საკმაოდ მძიმე სასჯელი იყო გამოყენებული ისეთი მძიმე დანაშაულებისათვის, როგორიცაა მკვლელობა, გაუპატიურება და ა.შ. მაგრამ ისმის კითხვა, რამდენად ეფექტური საშუალებაა ამ შემთხვევაში დასჯა? რა თქმა უნდა გარკვეული გაგებით ის ეფექტურია. თუ ინდივიდი საზოგადოებისათვის მძიმე დანაშაულს ჩადის და ის ამის გამო ისჯე-

ბა სიკვდილით ან ციხეში უვადო პატიმრობით ან სულაც ვადიანი პატიმრობით, რასაკვირველია იგი მსგავს საქციელს მომავალში ვეღარ გაიმეორებს. მაგრამ არის კი დასჯა აგრესიის შემაკავებელი? ამ შემთხვევაში მკვლევარები და მეცნიერები თანხმდებიან, რომ თუ დასჯას გონივრულად გამოვიყენებთ, მაშინ დასჯა შეიძლება იყოს მომავალი ძალადობის ეფექტური შემაკავებელი. დასჯას შეუძლია გავლენა მოახდინოს ქცევაზე, თუ ის განხორციელდება გარკვეულ პირობებში: 1) დასჯა – არასასურველ ქცევას აუცილებლად უნდა მოსდევდეს დაუყოვნებლივ დასჯა. 2) სიმკაცრე – დასჯა ადამიანისათვის უნდა იყოს საკმაო სიძლიერის 3) მაღალი ალბათობა – დასჯა უნდა მოსდევდეს ინდივიდის ყველა არასასურველ ქცევას.

ინდივიდზე ძლიერ გავლენას ახდენს სხვისი ქცევის შედეგების შეფესება და ყურება. თუ ინდივიდი მოწმეა იმის, რომ სხვა ინდივიდი ჯილდოვდება გარკვეული ქცევისათვის, ტენდენცია თვითონ განახორციელოს ანალოგიურ ქცევა, იზრდება. თუ ინდივიდი ხედავს როგორ დაისაჯა სხვა გარკვეული ქცევისათვის, ის თავს შეიკავებს განახორციელოს მსგავსი ქმედება (ბანდურა). ამდენად არსებობს საფუძველი მტკიცებისათვის, რომ თუ პოტენციური აგრესორი მოწმეა დასჯისა, რომელსაც იღებს დანაშაულის ჩამდენი, ის თავს შეიკავებს თვითონ განახორციელოს მსგავსი ქცევა.

<u>აგრესიის გადამდებობა და დეინდივიდუაცია</u>

მიბაძვითი აგრესიის თავისებურ ფორმას წარმოადგენს აგრესიის გადამდებობა (ინფექცია), რაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს კრიმინალურ თუ ბრბოს ქცევაში. ფრანგი სოციოლოგი ტარდი ძალადობის გადამდეგ ბუნებაზე აღნიშნავდა, იმ ფაქტზე დარდნობით, რომ ეფექტური კრიმინალის განხორციელების შესახებ ცნობას – მოჰყვება მისი მიბაძვის მთელი ტალღა. აგრესიულობის გადამდებობის მაგალითად განიხილება, აგრეთვე ბრბოს ქცევა. ზიმბარდომ ამ ფენომენს დეინდივიდუაცია უწოდა და ივარაუდა მისი გამომწვევი ფაქტორების არსებობა, როგორებიცაა – ანონიმურობა, პასუხისმგებლობის დიფუზია, ჯგუფის

სიდიდე, ქცევის ხასიათი, ხმაური და დაღლილობა. მაგ.: ომებში ძალადობის განსაკუთრებით მკაცრი ფორმების გამოყენებისას ინდივიდები დეინდივიდუაციის ისეთ საშუალებებს იყენებდნენ როგორიცაა ნიღბები, სახის და სხეულის შეღებვა, სპეციალური ტანსაცმელი. ეს ზემოთჩამოთვლილი ფაქტორები, რომ ნამდვილად იწვევენ დეინდივიდუაციას დასტურდება კვლევებით. ექსპერიმენტში, გამოყენებულ იქნა დასწავლის პროცედურა, სადაც ხდებოდა ელექტროშოკის გამოყენება. იმისათვის, რომ ექსპერიმენტულ სიტუაციაში გამოეწვიათ დეინდივიდუაცია, სუბიექტებს არ მიმართავდნენ სახელებით. სუბიექტებს ეუბნებოდნენ, რომ ექსპერიმენტატორისათვის არ იქნებოდა ცნობილი თუ რა ინტენსივობის ელექტროშოკი იქნებოდა გამოყენებული, რომ თავიანთ „მსხვერპლს“ არასოდეს შეხვდებოდნენ. „მსხვერპლის“ მდგომარეობაზე მთელ პასუხისმგებლობას თავისთავზე იღებდა ექსპერიმენტატორი. ოთახი, სადაც ტარდებოდა ექსპერიმენტი სუსტად იყო განათებული. ხოლო, ექსპერიმენტულ სიტუაციაში სადაც არ იყო განზრახული დეინდივიდუალიზაციის გამოწვევა, სუბიექტებს მიმართავდნენ სახელებით, მათ მკერდზეც ჰქონდათ ნიშანი საკუთარი სახელებით. ექსპერიმენტატორი ამჟღავნებდა ინტერესს თუ რა სიძლიერის ელექტროშოკს გამოიყენებდა სუბიექტი, ამასთან სუბიექტებს ეუბნებოდნენ, რომ ექსპერიმენტის დამთავრების შემდეგ ისინი შეხვდებოდნენ თავიანთ მსხვერპლს და რომ მსხვერპლის კეთილდღეობაზე პასუხისმგებლობა დაეკისრებოდათ სუბიექტებს. ოთახი კარგად იყო განათებული. აღმოჩნდა, რომ დეინდივიდუაციის გამომწვევ ექსპერიმენტულ სიტუაციაში სუბიექტები იყენებდნენ გაცილებით ძლიერ ელექტროშოკს, ნაკლებ კონტროლს უწევდნენ იმპულსებს და უგულებელყოფდნენ მსხვერპლის, ექსპერიმენტატორის და ჯგუფის სხვა წევრების რეაქციებს.

მკვლევარები მიუთითებენ, რომ დეინდივიდუაციას ჩვეულებრივ თან ახლავს დეჰუმანიზაცია. აღმოჩნდა, რომ როცა ადამიანები ამა თუ იმ მიზეზით ახორციელებენ აგრესიულ ქცევას სხვის მიმართ, ისინი იწყებენ თავიანთი მსხვერპლის დეჰუ-

მანიზირებას იმით, რომ აგრესიის ობიექტს მიაწერენ განსხვავებულ ღირებულებებს და რწმენებს.

<u>აგრესიის სამიზნე</u>

ჩვენდა სამწუხაროდ, რეალობაში აგრესიის გამოვლინება ჯერ კიდევ მრავლადაა ოჯახში. ჩვენ გვასწავლიდნენ, რომ ოჯახი არის ყველაზე უფრო ახლოს მდგომი ინსტიტუტი ადამიანისათვის, სადაც სიმყუდროვე, პატივისცემა, სიყვარული და მხარდაჭერა უნდა ვეძიოთ. სამწუხაროდ, სინამდვილეში ყველა ოჯახზე ასე ვერ ვიტყვით, რადგან ოჯახი კონფლიქტებისა და ძალადობის წყაროდ არის ქცეული.

<u>ძალადობა ოჯახში</u>

ოჯახი ერთ-ერთი უდიდესი ღირებულებაა ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათაგან, რომლებიც კაცობრიობამ შექმნა თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განვითარების მანძილზე. ამგვარად, ოჯახის ცნება შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ – ოჯახი არის მცირე მოცულობის სოციალურ-ფსიქოლოგიური ჯგუფი, რომლის წევრებს ერთმანეთთან აკავშირებს საქორწინო ან ნათესაური კავშირი, ერთიანი ყოფიერება და ურთიერთმორალური პასუხისმგებლობა, რომელიც განპირობებულია საზოგადოების მოთხოვნილებით. ამ განსაზღვრებიდან ჩანს, რომ ოჯახისათვის დამახასიათებელია ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული ურთიერთდამოკიდებულება: საქორწინო (ცოლსა და ქმარს შორის) და ნათესაური (მშობლებს, შვილებს, ნათესავებს შორის). ასეთი უნიკალური განმარტების შემდეგ ძნელია ისაუბრო ოჯახურ ძალადობაზე ანუ იმაზე თუ როგორ უპირისპირდებიან ერთმანეთს ოჯახის წევრები და როგორ გადაიზრდება ის ძალადობაში. რა შეიძლება იყოს ამის გამომწვევი მიზეზი ან მიზეზები: 1) ადამიანები ოჯახურ ურთიერთობაში დიდ ემოციებს დებენ. შედეგად, შემდგომ ხდება ემოციების ესკალაცია და პატარა უთანხმოებები დიდ უსიამოვნებაში გადაიზრდება. 2) მეორე მიზეზი ძალაუფლების განაწილებაა. როგორც წესი, ქმარი უფრო დიდი და ძლიერია

ცოლზე. ხოლო, ორივე მშობელი უფრო დიდი და ძლიერია, ვიდრე მათი შვილი. ოჯახის წევრები ხშირად ფიზიკური აგრესიით ცდილობენ ოჯახური ურთიერთობების გაკონტროლებას 3) მესამე მიზეზი კულტურულია. მაგ.: ამერიკელები ხშირად ამართლებენ ფიზიკურ ძალადობას სპორტში, კინოსა და სატელევიზიო პროგრამებში. ფაქტია, რომ ძალადობა ამერიკელებისათვის უფრო მისაღებია, ვიდრე ბევრი სხვა საზოგადოებისათვის. ბევრი ამერიკელი დღესაც ფიქრობს, რომ ნორმალურია, როცა ძმები ჩხუბობენ, ქმარი მოთმინებას კარგავს და ცოლს ურტყამს, მშობლები შვილს ფიზიკურად სჯიან. 4) მეოთხე მიზეზი – „მკვიდრი“ ოჯახები იზოლირებულად ცხოვრობენ. იქ მომხდარი ოჯახური ძალადობა ნაკლებად ჩანს და ნაკლებად არის სოციალური კონტროლის საგანი. თანაც ამერიკელების მიერ აღიარებული პირადი ცხოვრების დაცვის უფლების კულტურული ღირებულება არ აძლევს საშუალებას ხელისუფლების წარმომადგენლებს, ჩაერიონ ოჯახურ ცხოვრებაში. ძალადობა ღრმა კვალს ტოვებს ადამიანის ცხოვრებაში, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე გაყვება მას უსიამოვნოდ.

<u>ბავშვებზე ძალადობა</u>

ამ ძალადობას ძალიან დიდი ხნის ისტორია აქვს, რადგან მშობლები ყოველთვის სჯიდნენ ბავშვებს ჩადენილი დანაშაულისათვის. დასჯის სხვადასხვა ფორმები არსებობს, მაგ.: ბავშვის კარგად გაწკეპვლის წინააღმდეგი თითქმის არც ერთი მშობელი არ არის, რადგან ფიქრობენ, რომ ეს აუცილებელი პირობაა დისციპლინირებისათვის. მაგრამ სამწუხაროდ, დიდია პროცენტული შემცველობა იმისა რომ ბავშვებს მხოლოდ „გაწკეპვლას“ არ აკმარებენ. ბავშვის ფიზიკური დასჯის შედეგად ვხედავთ სილურჯეებს, თავის ტრამვებს, მოტეხილობებს და დამწვრობასაც კი. ხშირად ადგილი აქვს ბავშვის „მალულ“ დასჯასაც, რაც ბავშვის მიმართ უდიერ მოპყრობაში გამოიხატება. სამწუხაროდ, ხშირია ბავშვებისათვის უარის თქმა ადეკვატურ კვებაზე, ჩაცმაზე, თაშესაფარზე, სამედიცინო დახმარებასა და ყურადღების მიქცევაზე.

სოციოლოგების რიჩარდ გელისა და მურეი შტრაუსის მიხედვით, ბავშვის ტიპიური მოძალადე არის ახალგაზრდა მარტოხელა მშობელი, რომელიც ქორწინებაში იმყოფება 10 წელზე ნაკლები პერიოდით და შვილი კი – 18 წლამდე ასაკში გაუჩნდა. ასეთ ადამიანს, როგორც წესი, ფინანსური პრობელემები აქვს, სტრესულ მდგომარეობაშია (განქორწინებით ან ოჯახის წევრების გარდაცვალებით გამოწვეული) და ცოტა მეგობარი ან ნათესავი ჰყავს. ხშირად ასეთი მშობლები თვითონ იყვნენ თავის დროზე ძალადობის მსხვერპლნი.

ის ბავშვები, რომლებსაც უდიერად ექცევიან, ხშირად გონებრივად ჩამორჩებიან თავის თანატოლებს და დეპრესიის ან თვითმკვლელობის რისკის ჯგუფში ხვდებიან. ასეთი ბავშვების უმეტესი ნაწილი ჰიპერაქტიულია. მათი ქმედება აგრესიულია და ვერ სარგებლობენ პოპულარობით თანატოლებში. რაც შეეხება მოზარდებს, ისინი მიდრეკილნი არიან ნარკომანიისაკენ, ალკოჰოლური სასმელებისადმი და თვითონ ხდებიან მოძალადეები.

<u>ძალადობა მეუღლეზე</u>

მაიკლ ჯონსონი განასხვავებს ორი ტიპის ძალადობას ცოლ-ქმარს შორის. პირველი ხშირია და იგი თავს იჩენს სპონტანურად, როცა ცოლ-ქმრის კამათი სერიოზულ ძალადობის აქტში გადადის. ძალადობის ასეთ ტიპს „ჩვეულებრივი“ ცოლ-ქმრული ჩხუბი ეწოდება.

მეორე ტიპის ძალადობას, რომელიც ნაკლებად გავრცელებულია, მაგრამ ბევრად უფრო სერიოზულია, ადგილი აქვს მაშინ, როცა ქმარი ცდილობს ძალის დემონსტრირებას და ამგვარად ცოლზე კონტროლის დამყარებას მიუხედავად იმისა, დამთმობია ცოლი თუ არა. ასეთ ძალადობას ჯონსონი „პატრიარქალურ ძალადობას“ უწოდებს, რადგან მას ფესვები პატრიარქალურ ტრადიციებში აქვს გამდგარი. შედეგად ცოლები მუდმივ ტერორში არიან, მიუხედავად იმისა რომ ცემას შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს კვირაში ერთხელ მაინც, ასეთი ძალადობის შედეგები ხანგრძლივად და ბევრად ღრმად აისახება მსხვერპლზე.

კვლევების შედეგად ირკვევა, რომ დაახლოებით 1,4 მილიონი ქალი, ანუ ყოველ ათასში – ოცდაათი, ძალადობის მსხვერპლია. ტიპიური მოძალადე ქმარი არის ახალგაზრდა, ქორწინებაში იმყოფება არა უმეტეს 10 წლისა, უმუშევარია ან არა აქვს მუდმივი სამუშაო. მან უნდა ითამაშოს ოჯახის უფროსის და შემომტანის როლი და ამით დომინირებდეს ცოლ-შვილზე, მაგრამ ვინაიდან სათანადო ფინანსური და ეკონომიკური რესურსები არ გააჩნია, ამას ფიზიკური ძალის გამოყენებით ცდილობს.

ზოგი მკვლევარი ქმრის მიერ ცოლის ცემას, სტატუსის შეუთავსებლობის ფაქტორს უკავშირებს, რაც ნიშნავს უფსკრულს მამაკაცის რეალურ როლსა და იმ როლს შორის, რომელიც სურს, რომ ჰქონდეს ოჯახში. სტატუსის შეუთავსებლობას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ნებისმიერ სოციალურ ფენაში. კაცს, რომელსაც უნივერსიტეტის დიპლომი აქვს და ტაქსის მძღოლობა უწევს, შესაძლოა სტატუსის შეუთავსებლობა აწუხებდეს. იგივე შეიძლება დაემართოს მამაკაცს, რომლის ცოლი უფრო მეტს გამოიმუშავებს ან ბევრად უფრო სტაბილური სამსახური აქვს. სტატუსის გაურკვევლობასაც შეიძლება მოჰყვეს ძალადობა. ერთ-ერთი კვლევის თანახმად, იმ ტიპის მოძალადე კაცების რაოდენობა, რომლებიც თავის პარტნიორებს სცემენ, თანამცხოვრებთა შორის უფრო მეტია, ვიდრე ოფიციალურ ქმრებს შორის.

ცოლზე ძალადობის მიზეზები მაინც კულტურაშია (ოკუნი). საკუთარი თავის დომინირების ტრადიცია ყოველთვის კარნახობდა მამაკაცს, რომ ოჯახში უფროსი ის უნდა იყოს, და მართლაც, დასავლური კულტურა ტრადიციულად სწორედ იმაზე მიუთითებდა, რომ ქმრები ძალადობას მიმართავენ „ცოლის ადგილზე დაყენების“ მიზნით. ღალატის გამო ცოლის მკვლელობის შემთხვევაში კანონი, როგორც წესი, მამაკაცის მხარეზეა, უფრო მეტიც, ხშირად საზოგადოებისაგან მამაკაცები შექებასაც კი იმსახურებენ ასეთი საქციელისათვის. მაგალითად, სიმპსონი თავისი ყოფილი ცოლის ნიკოლის მკვლელობისათვის გაასამართლეს. სიმპსონი, ცოლს ხშირად სცემდა და ნიკოლიც ხშირად მიმართავდა პოლიციას დასახმარებლად. პროკურორე-

ბი ამტკიცებდნენ, რომ სწორედ ეს იყო მიზეზი მკვლელობის, მაგრამ სასამართლო არ დაეთანხმა აღნიშნულ მოსაზრებას. საქმის მსვლელობისას გაირკვა, რომ სამართალდამცავები, ფაქტობრივად, არ რეაგირებდნენ სიმპსონის წინააღმდეგ ცოლის საჩივრებზე.

ოჯახური ძალადობა დიდი ტრაგედიაა, რომელიც ზოგჯერ მსხვერპლით მთავრდება. საჭიროა მკაცრი სანქციების გატარება მოძალადეების წინააღმდეგ, ასევე თავშესაფრები და კონსულტაციები ძალადობის მსხვერპლთათვის, რაც სამწუხაროდ, მხოლოდ მომავლის პერსპექტივებს უკავშირდება.

თავი X
ჯგუფთაშორისო ურთიერთობები

კაცობრიობის ისტორიაში მრავალი სხვადასხვა კულტურის ადამიანი უკავშირდებოდა ერთმანეთს სავაჭრო კავშირების, მიგრაციის, კოლონიზაციის და დაპყრობების შედეგად. ზოგ შემთხვევაში ისინი ამბობენ, რომ მათი განსხვავება განპირობებულია მაგალითად, რასით, ეთნიკურობით ან ეროვნულობითა და რელიგიით. რადგან ამ ურთიერთობებში საკმაოდ ბევრი ხალხი მონაწილეობს და ამავე დროს, ცალკეული ინდივიდების მისწრაფებები შენარჩუნებულია, ძალაუფლება გადამწყვეტი ფაქტორი გახდა. როდესაც ერთ ჯგუფს გააჩნია უფრო მეტი ძალა, ვიდრე მეორე ჯგუფს, რასა და ეთნიკურობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც კოლონიზაციის, გადაადგილების, დამონების და ხანდახან განადგურების რაციონალიზაცია. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ერთ ჯგუფს შეუძლია უკარნახოს საკუთარი პირობები მეორე ჯგუფს და ამ უკანასკნელმა ამ პირობების მიხედვით უნდა იცხოვროს და შეზღუდოს თავისი შესაძლებლობები ან კიდევ, მოსთხოვოს დაქვემდებარებულ ჯგუფს უგულებელყოს საკუთარი ტრადიციები. მაგრამ ამავე დროს, რასა და ეთნიკურობა შეიძლება გახდეს წინააღმდეგობის გაწევის, აჯანყების, ორმხრივი ტოლერანტობისა და პატივისცემის მოთხოვნის საფუძველი.

სოციალური ფსიქოლოგიის მნიშვნელოვანი თემა – ჯგუფთაშორისო ურთიერთობები – ცრურწმენების, სტერეოტიპების და დისკრიმინაციის წარმომავლობას უკავშირდება.

<u>ცრურწმენა</u> (Prejudice) წინასწარდასწავლილი დამოკიდებულებაა სამიზნე ობიექტის მიმართ, რომელიც მოიცავს ნეგატიურ გრძნობებს (არამოწონება ან შიში) და ნეგატიურ შეხედულებებს (სტერეოტიპებს), რომლებიც ამართლებენ არსებულ დამოკიდებულებებს და ქცევით განზრახვებს – აცილებულ, გაკონტროლებულ, დომინირებულ ან განადგურებულ იქნენ ისინი, რომლებიც მოცემულ სამიზნე ჯგუფს განეკუთვნებოდნენ. მაგალითად, ნაცისტები, რომლებიც კანონებსაც კი

ქმნიდნენ, რათა განემტკიცებინათ თავიანთი ცრურწმენები, რომ ებრაელები დაბალი დონის ადამიანები იყვნენ და რომ ისინი, არიული კულტურის დაღუპვამდე მიყვანას ცდილობდნენ. მცდარი შეხედულება კვალიფიცირდება როგორც ცრურწმენა, თუ ის ეწინააღმდეგება ცვლილებას, მისი სიმცდარის ნათელი მტკიცებულებების არსებობის მიუხედავად. მაგ.: ადამიანები ავლენენ ცრურწმენებს, როდესაც ამტკიცებენ, რომ აფრო-ამერიკელები ყველანი ზარმაცები არიან, მიუხედავად იმისა, რომ მათი აფრო-ამერიკელი კოლეგები დაუღალავად შრომებენ. ცრურწმენები გარკვეული ფილტრის როლს ასრულებენ, რომელიც ყოველთვის მიჯნავს ადამიანებს სხვა ადამიანებისაგან და მათ სამიზნე ჯგუფში ათავსებს ერთხელ განხორციელებული კატეგორიზაციის შესაბამისად. ერთ-ერთი სამწუხარო ჭეშმარიტება, რომელიც ცრურწმენების შესწავლამ გამოავლინა, ის სიმარტივეა, რომლითაც ადამიანები შეიძლება უარყოფითად განაწყონ უცხო ადამიანისადმი.

სოციალური კატეგორიზაცია (Social categorization) არის პროცესი, რომლითაც ადამიანები საკუთარი სოციალური გარემოს ორგანიზებას ახდენენ, მიაკუთვნებენ რა ადამიანებს საკუთარ და სხვათა ჯგუფებს.

კატეგორიზაციის ყველაზე მარტივი და ყოვლისმომცველი ფორმაა ინდივიდის მიერ იმის განსაზღვრა, თუ ვინ არის მისი მსგავსი და ვინ – არა. კატეგორიზაციის ეს ფორმა სათავეს იღებს დაპირისპირებიდან, „მე არა მე-ს წინააღმდეგ“ ორიენტაციამდე „ჩვენ ისინი-ს წინააღმდეგ“. ადამიანები სოციალურ სამყაროს ორ ნაწილად ყოფენ: შიდა ჯგუფებად (In-groups) – ჯგუფები, რომლებთანაც ადამიანი საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ახდენს და გარე ჯგუფებად (Out-groups) – ჯგუფებად, რომლებთანაც ადამიანები იდენტიფიკაციას არ ახდენენ. ამ კოგნიტური განსხვავებების შედეგია შიდაჯგუფური მიკერძოება – საკუთარი ჯგუფის გადაფასება სხვასთან შედარებით. ადამიანები, რომლებიც განიხილებიან როგორც გარეჯგუფის წევრები, უფრო ხშირად ხდებიან მტრული. ოდნავი შესამჩნევი მინიშნებაც კი საკმარია, რომ გამოწვეულ იქნეს ტენდენციუ-

რობა და ცრურწმენის ჩამოყალიბება მათ მიმართ, რომლებიც გარეჯგუფს მიეკუთვნებიან.

<u>შემთხვევით არჩეული ნიშანი იწვევს ჯგუფის სოლიდა-რობას</u>

ჰოლანდიაში ჩატარებული ექსპერიმენტების სიაში ცდის-პირები, შემთხვევითად დაყვეს ორ ჯგუფად: მწვანეებად და ლურჯებად. ცდისპირებს, იმის მიხედვით, თუ რომელ ჯგუფს მიაკუთვნეს, დაურიგეს მწვანე ან ლურჯი კალმები და სთხოვეს ეწერათ, შესაბამისად, მწვანე ან ლურჯ ქაღალდებზე. ექსპერი-მენტატორები ჯგუფის წევრებს მიმართავდნენ მათი ჯგუფის ფერის შესაბამისი ფერის სახელით, მიუხედავად იმისა, რომ ფერის მიხედვით განსაზღვრულ კატეგორიებს არავითარი ფა-რული ფსიქოლოგიური მნიშვნელობა არ გააჩნდა და ჯგუფის წევრების შერჩევაც სრულიად შემთხვევით მოხდა, ისინი საკუ-თარ ჯგუფს უფრო დადებითად აფასებდნენ, ვიდრე მეორეს. მეტიც, მხოლოდ და მხოლოდ ფერთა განსხვავებაზე დაფუძნე-ბული ეს შიდაჯგუფური მიკერძოება მანამდეც კი გამოვლინდა, სანამ ცდისპირები ექსპერიმენტული დავალებების შესრულე-ბას დაიწყებდნენ. ის რამაც თავი იჩინა თუნდაც ამ „ფერების“ ექსპერიმენტში, სოციალური კატეგორიზაციის სწრაფ გამოვ-ლინებას წარმოადგენს.

მრავალი ექსპერიმენტი ჩატარდა იმ შედეგების შესასწავ-ლად, რომელიც ისეთ მინიმალურ ჯგუფებს ჰქონდათ, როგო-რიც „მწვანეების“ და „ლურჯების“ შემთხვევაში იყო. განსხვა-ვებული ჯგუფების წევრები ძალიან ხშირად ურთიერთობას იწ-ყენებდნენ, როგორც უცხოები, მაგრამ თითქმის მაშინვე ავ-ლენდნენ გასაოცარ ერთსულოვნებას -სწამდათ, რომ მათი ში-დაჯგუფის წევრები ყველაზე სასიამოვნო და კარგად მომუშავე ხალხია. როდესაც რესურსების განაწილების დრო დგება, ადა-მიანები ყველაფერს აკეთებენ, რათა არაფერი უწილადონ გარე ჯგუფის წევრებს. ასეთი შედეგები თავს იჩენს იმის მიუხედა-ვად, რომ შიდა და გარე ჯგუფის ზოგიერთ წევრს შესაძლოა კარგი ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან. თუ კარგად და-

ვაკვირდებით, ჩვენ დავინახავთ, თუ როგორ ხორციელდება ცრურწმენები რეალურ ცხოვრებაში. ცრურწმენებმა ადვილად შეიძლება მიგვიყვანოს რასიზმამდე (Racism) – ადამიანის დისკრიმინაციის ფორმამდე, რომელიც დაფუძნებულია კანის ფერზე ან ეთნიკურ წარმოშობაზე და სექსიზმამდე (sexism) – ადამიანის დისკრიმინაციის ფორმამდე, რომელიც დაფუძნებულია სქესობრივ ნიშანზე. „ჩვენ“ და „ისინი“-ს განსხვავების საწყისი ტენდენციები ხშირად მაშინ ძლიერდება, როდესაც ჩნდება შთაბეჭდილება, რომ რესურსები შეზღუდულია და ის შესაძლოა მხოლოდ ერთ ჯგუფს ერგოს. ფაქტობრივად ადამიანი, რომელსაც ახასიათებს ცრურწმენებისადმი დაქვემდებარებულობის მაღალი ხარისხი, უფრო მეტად მსჯელობს იმის შესახებ, ადამიანებიდან თუ ვინ რომელ კატეგორიას ეკუთვნის.

<u>სტერეოტიპების ეფექტები</u>

ვინაიდან სტერეოტიპები ასე ძლიერად ერთვებიან მოლოდინებში, ისინი ხშირად უწყობენ ხელს იმ სიტუაციების წარმოქმნას, როდესაც ადამიანები თვითონ აგებენ საკუთარ სოციალურ რეალობას. გასათვალისწინებელია ის თუ რა როლს ასრულებენ სტერეოტიპები იმ შეფასებით მსჯელობებში, რომლებიც სოციალურ გარემოში რაიმეს „არსებობას“ ეხება. ადამიანები „მონაცემების ნაკლებობის“ საკუთარი სტერეოტიპებიდან გამომდინარე ინფორმაციით შევსების ტენდენციით ხასიათდებიან. მაგალითად, „მე არ ვაპირებ პირმშოსთან ერთად მანქანაში ჩაჯდომას“, ,,აზიელები საშინელი მძღოლები არიან“. ასევე ადამიანებს შეუძლიათ (არა აქვს მნიშვნელობა იციან თუ არა) სტერეოტიპული ინფორმაციის ქცევითი დადასტურებისათვის გამოყენება. მაგ.: თუ თქვენ ასაბუთებთ, რომ ებრაელები ცუდი მეგობრები არიან, თქვენ არასოდეს მისცემთ მათ შესაძლებლობას, რომ საწინააღმდეგო დაგიმტკიცონ. ამაზე უარესი ისაა, რომ გაიმყარებენ თუ არა საკუთარ მოსაზრებებს, ადამიანები აღარაფრად აგდებენ, მათი სტერეოტიპებისათვის შეუსაბამო სხვების მოსაზრებებს.

არაპოპულარული სტერეოტიპი – შეუსაბამო ინფორმაცია

რა ხდება ადამიანში მაშინ, როდესაც იღებთ ინფორმაციას, რომლის ნაწილიც ამყარებს თქვენს შეხედულებებს, მეორე ნაწილი კი ეწინააღმდეგება მას. ერთ-ერთ კვლევაში ექსპერიმენტატორებმა სტუდენტები დაყვეს ორ ჯგუფად – ჰომოსექსუალიზმის მიმართ ძლიერი და სუსტი ცრურწმენების ჯგუფებად. ამის შემდეგ, თითოეული სტუდენტი თანმიმდევრობით კითხულობდა ორ მეცნირულ ნაშრომს ჰომოსექსუალიზმის შესახებ. ერთ ნაშრომში მოცემული იყო სტერეოტიპის შესაბამისი დასკვნა, რომ ჰომოსექსუალიზმი უნდა შეფასდეს სქესთაშორის ქცევებთან მიმართებაში, მეორეში კი – სტერეოტიპის საწინააღმდეგო დასკვნა, რომ ჰომოსექსუალიზმი არ უნდა იქნეს შეფასებული სქესთაშორის ქცევებთან მიმართებაში. როდესაც ორივე ჯგუფის სტუდენტები აფასებდნენ ორივე ნაშრომის მეცნიერულ დონეს, მათ მაღალი შეფასება მისცეს შესაბამისად იმ ნაშრომს, რომელიც ემთხვეოდა მათ შეხედულებას. მაგ.: ძლიერი ცრურწმენების მქონე ცდისპირებმა, მეტი მეცნიერული ღირსება მიაწერეს იმ ნაშრომს, რომელიც განამტკიცებდა სქესთაშორის სტერეოტიპს. მეტიც, ამ ორი ნაშრომის წაკითხვის შემდეგ, რომლებიც ფაქტობრივად, მხოლოდ აბალანსებდნენ ერთმანეთს, სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ მათ განუმტკიცდათ საკუთარი აზრის სისწორის რწმენა.

ეს ექსპერიმენტი გვიჩვენებს, რომ მხოლოდ ინფორმაცია არ ამცირებს ცრურწმენებს. ადამიანებს გააჩნიათ მიდრეკილება, მნიშვნელობა არ მიანიჭონ იმ ინფორმაციას, რომელიც ეწინააღმდეგება მათ მთავარ სტერეოტიპებს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ დღეს თანამედროვე ეპოქაში ვცხოვრობთ და ვფლობთ უამრავ ინფორმაციას – ინტერნეტის, ტელე-რადიო მაუწყებლობის, მობილურის მეშვეობით და ვაკვირდებით მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს ეს არ ნიშნავს საზოგადოების გათავისუფლებას სტერეოტიპული ცრურწმენებისაგან. პირიქით, ზოგჯერ იქმნება სიტუაცია, როცა გარკვეულ ინფორმაციას გაუანალიზებლად, დაუფიქრებლად ვეთანხმებით ან არ ვეთანხმებით და ამით ვქმნით ახალ სტერეოტიპებს.

ცრურწმენების შექმნა ადვილია, მაგრამ მათი დაძლევა ძალზე რთული, ამიტომ ვფიქრობთ, რომ მისი დაძლევისათვს სოციალურ ფსიქოლოგიას შესწევს უნარი წინააღმდეგობა გაუწიოს საზოგადოებაში არსებულ ცრურწმენებსა და სტერეოტიპებს.

<u>ცრურწმენების დაძლევა</u>

სოციალურ ფსიქოლოგიაში ერთ-ერთმა კლასიკურმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ „ჩვენ“ ჯგუფის დაპირისპირებამ „ისინი“ ჯგუფთან, შესაძლოა სერიოზულ მტრობამდე მიგვიყვანოს. 1954 წლის ზაფხულში ჩატარდა ექსპერიმენტული კვლევა, რომელიც მიუხედავად დროისა არ კარგავს თავის აქტუალობას. ავტორი ამ კვლევისა გახლდათ მუზაფერ შერიფი, რომელიც თავის კოლეგებთან ერთად ატარებდა ექსპერიმენტს. მათ ჯგუფი გაყვეს ორ ნაწილად, დაყოფილი ბიჭები ოკლაჰომის შტატის სახელმწიფო პარკში წაიყვანეს. ჯგუფებს, პირობითად, „არწივები“ და „ჩხაკუნები“ უწოდეს. თითოეული ჯგუფი თვითონ თვლიდა თავის თავს უფროსად. ისინი დაეხეტებოდნენ, ცურავდნენ, საჭმელს ამზადებდნენ და ერთი კვირის განმავლობაში არაფერი იცოდნენ მეორე ჯგუფის არსებობის შესახებ. ჯგუფებმა ერთმანეთი ბეისბოლში, ფეხბურთსა და ბაგირის გადაწევაში შეჯიბრების დროს გაიცნეს. ასეთ დასაწყისს ორ ჯგუფს შორის გამძვინვარებული მეტოქეობა მოჰყვა. დაწვეს ერთმანეთის ალმები, დაარბიეს და გაძარცვეს საცხორვებელი კოტეჯები და საკვების გამო ნამდვილი ბრძოლა გააჩაღეს. როგორ უნდა შემცირებულიყო მტრობა და მოგვარებულიყო პროცესი.

ექსპერიმენტატორებმა სცადეს პროპაგანდისტული ხერხი – ერთ ჯგუფს უქებდნენ მეორეს. ამან არ გაჭრა. ამის შემდეგ შეეცადნენ ჯგუფისათვის ისეთი გარემო შეექმნათ, რომელიც გამორიცხავდა შეჯიბრს. არც ამან იმოქმედა. მტრობა მაშინაც გრძელდებოდა, როდესაც ჯგუფები ერთად უყურებდნენ ფილმს. ბოლოს, მკვლევარებმა ერთი რამ მოიფიქრეს. მათ უნდა შეექმნათ ისეთი პრობლემები, რომელთა გადაწყვეტაც შესაძლებელი იქნებოდა საერთო მიზნების დასახვითა და თანამშრომლობითი აქტივობით. მაგ.: მკვლევარებმა შექმნეს ისეთი

სიტუაცია, რომელშიც ბიჭებს ხრამიდან საკვებით სავსე ტვირთი უნდა ამოეთრიათ. საერთო ამოცანების წყალობით მტრობა გაქრა და ფაქტობრივად, ისინი საუკეთესო მეგობრებად იქცნენ „ჯგუფების საზღვრების“ დარღვევის გარეშე.

ამ ექსპერიმენტმა დაადასტურა კონტაქტი (Coaact hipothesis) მტრულ ჯგუფებს შორის. პირდაპირი კონტაქტი ამცირებს ცრურწმენებს. ბიჭებს ერთად ყოფნის გარდა სხვა არაფერი სურდათ და პირიქით, ექსპერიმენტმა ისიც აჩვენა, რომ ცრურწმენების დასაძლევად წახალისებულ უნდა იქნეს ადამიანების ერთმანეთზე დამოკიდებულება და საერთო მიზნები. მოგვიანებით, სოციალურმა ფსიქოლოგმა ელიოტ არონსონმა და მისმა კოლეგებმა (1978) შეადგინეს პროგრამა, რომელიც ემყარებოდა აღწერილი ექსპერიმენტის შედეგებს და მიზნად ისახავდა ტეხასსა და კალიფორნიაში ახლად ჩამოყალიბებულ სკოლებში ცრურწმენების აღმოფხვრას. მათ შექმნეს ისეთი სასწავლო პროგრამები, რომლის პირობებშიც მეხუთე კლასის მოსწავლეები სწავლის პროცესში ერთმანეთზე იყვნენ დამოკიდებულნი და ნაკლებად ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს სასწავლო მასალის ათვისებაში. სტრატეგიაში, რომელიც „ასაწყობი სურათების“ (jigsaw classrooms) მეთოდის სახელითაა ცნრობილი, თითოეულ ბავშვს მოსამზადებლად ეძლევა მთელი მასალის ნაწილი, რომელიც შემდგომ მან ჯგუფის დანარჩენ წევრებს უნდა გააცნოს. წარმატება ფასდება მთელი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი პრეზენტაციის ხარისხზე დაყრდნობით. ამდენად, მნიშვნელოვანი და ფასეულია ჯგუფის თითოეული წევრის წვლილი. ასეთი ასაწყობი სურათების მეთოდით მომუშავე კლასებში რასობრივი კონფლიქტები შემცირდა, ვინაიდან მანამდე ურთიერთდაპირსიპირებული თეთრკანიანი, ლათინოსი და ზანგი სტუდენტები, ერთად იყვნენ საერთო მიზნებით გაერთიანებულ ჯგუფებში.

განვიხილოთ ერთი ახალგაზრდა ყმაწვილის – კარლოსის შემთხვევა. კარლოსს იგნორირებას უკეთებდნენ იმის გამო, რომ მისი მშობლიური ენა არ იყო ინგლისური. მას დაევალა ჯგუფში, რომელიც ჯოზეფ პულიტცერის პრემიის მოპოვებას ცდილობდა, განსაკუთრებული როლის შესრულება. გუნდის

სხვა წევრებს უნდა მოეფიქრებინათ, როგორ მიეწოდებინათ მისთვის ინფორმაცია, რომლის პრეზენტაციაც უნდა მოეხდინა მას შემდგომ. თანაგუნდელების მოთმინებისა და გამამხნევებელი შენიშვნების საპასუხოდ, კარლოსს მათ მიმართ თბილი გრძნობები გაუჩნდა და ისიც გაარკვია, რომ პრემიის მოპოვების ამბავი ნამდვილი არ იყო. მან სათანდოდ შეაფასა, როგორც საკუთარი თავი, ისე – თანაგუნდელები. კარლოსმა, სწავლა შემდგომ გააგრძელა ჰარვარდის უნივერსიტეტში, ამ წარმატებული ნაბიჯის მიზეზი კი გახლდათ ის წინაპირობა, რაზედაც ზემოთ ვისაუბრეთ. შესაბამისად, ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთო მიზნების განხორციელების აუცილებლობას.

თომას პეტიგიუმ შეისწავლა დაახლოებით 4000 ადამიანის მონაცემები საფრანგეთში, ნიდერლანდებში, ინგლისსა და ყოფილ დასავლეთ გერმანიაში, რათა გადაემოწმებინა შერიფის და მისი კოლეგების მიერ აღწერილი კვლევებით მიღებული შედეგები, განსაკუთრებით კი – კონტაქტის ჰიპოთეზა, რომელსაც ცრურწმენების შემცირებამდე მივყავართ. ყველა ქვეყანაში ცდისპირებს სთხოვეს განესაზღვრათ თავიანთი დამოკიდებულება გარკვეული ეროვნული უმცირესობების მიმართ (მაგ. ინგლისელებს ეკითხებოდნენ ინდიელების შესახებ, ხოლო გერმანელებს – თურქების შესახებ). მათ, აგრეთვე სთხოვდნენ მიეწოდებინათ ინფორმაცია იმ ადამიანებთან კონტაქტების ტიპის შესახებ, რომლებიც სხვა ერებს, რასებს, რელიგიებს, კულტურებს ან სოციალურ კლასებს ეკუთვნოდნენ; ჰყავდათ თუ არა მათ საერთო მეგობრები, მეზობლები, თანამშრომლები. კვლევის შედეგები საკმაოდ დრამატული აღმოჩნდა. როდესაც ადამიანები ამ გარეჯგუფების წევრებს ახასიათებდნენ, როგორც მეგობრებს, ისინი ცრურწმენების შედარებით დაბალ დონეს ავლენდნენ.

კულტურათაშორისი (კროს-კულტურული) მონაცემების გათვალისწინებით, ამ კვლევიდან ძალზე მნიშვნელოვანი დასკვნა გამომდინარეობს: გარე ჯგუფის წევრთან მეგობრობას ცრურწმენების გაქრობამდე მივყავართ.

სოციალური ფსიქოლოგია არ იზიარებს იმ აზრს, რომ ცრურწმენების სტერეოტიპული ტენდენციები, ერთი ხელის

მოსმით შეიძლება მოისპოს, აღმოიფხვრას და განადგურდეს. საჭიროა, ამ მიმართულებით, თანმიმდევრული ნაბიჯები იქნას გადადგმული. თითოეული ჩვენგანი, თუ კარგად დააკვირდება ცრურწმენების სტერეოტიპული კვლევების შედეგებს და ჩვენც მიმოვიხედავთ ირგვლივ, შეგვიძლია დასკვნის გაკეთება. ნუ ვიქნებით ცრურწმენების მონები, კარგად გავაანალიზოთ სიტუაცია და შემოვიფარგვლოთ გაანალიზებული და გაცნობიერებული ფაქტებით. იგივე მოვუწოდეთ სხვებსაც. აღნიშნული, ოდნავ მაინც შეამცირებს ცრურწმენების გავრცელებას საზოგადოებაში.

<u>შეჯამება</u>

ცრურწმენებთან დაკავშირებული სავალალო რეალობა ისაა, რომ ძალზე მინიმალური მანიშნებელიც კი საკმარისია მავნე ტენდენციების ჩამოყალიბებისათვის, რადგან საზოგადოება ისეა მოწყობილი, რომ ის ცუდს ძალიან მალე ითვისებს. კვლევებიდან გამომდინარე ვნახეთ, რომ სოციალური კატეგორიზაცია სწრაფად კრავს უცხო ადამიანებს მჭიდრო შემაკავშირებელ ჯგუფებად, რომლებიც შიდა ჯგუფების წევრებს უფრო პოზიტიურად აღიქვამენ, ვიდრე გარე ჯგუფების წევრებს. სტერეოტიპები ზღუდავენ ადამიანის მიერ „რეალობის“ განცდას. შერიფის ექსპერიმენტმა დაგვანახა, რომ ცრურწმენები შეიძლება შემცირდეს იმ პროგრამებით, რომლებიც ხელს უწყობენ საერთო მიზნის მიღწევას, ანუ განსხვავებული ჯგუფების წევრთა დამეგობრება, ცრურწმენების შემცირებას იწვევს.

<u>კოლონიალიზმი</u>

სოციოლოგმა რობერტ ბლაუნერმა გამოთქვა მოსაზრება, იმის შესახებ, რომ შავკანიანთა ყოფნა ამერიკაში კოლონიალიზმის სახეობაა. ისმის კითხვა რა არის კოლონიალიზმი და რა იგულისხმება მის სახეობებში. კოლონიალიზმი ნიშნავს უცხო ძალების მიერ გარკვეული ტერიტორიის მიტაცებას, მასზე დასახლებას და ადგილობრივ მოსახლეობაზე პოლიტიკური და სოციალური უპირატესობის თანდათანობით მოპოვებას. ევრო-

პული კოლონიალიზმი, რომელიც მეთოთხმეტე საუკუნეში დაიწყო, არის ამ მოვლენების პირველი მაგალითი ისტორიაში. ევროპელები მართავდნენ სამხრეთის ნახევარსაც. ელიტა დროს შესანიშნავად ატარებდა, ადგილობრივი მოსახლეობის შრომის ხარჯზე. ტრადიციული პოლიტიკური სისტემები, მიწების ათვისება, წარმოების მეთოდები და ადგილობრივი კულტურის სხვა ელემენტები იკრძალებოდა ან ევროპელების მოთხოვნებს ერგებოდა. ადგილობრივი მოსახლეობის ძალზე მცირე ნაწილს შეეძლო ემუშავა ჯარისკაცად.

<u>ასიმილაცია და აკულტურაცია</u>

ინტეგრირებულ საზოგადოებაში ინტერაქცია სხვადასხვა რასობრივ და ეთნიკურ ჯგუფებს შორის ხშირია და ჩვეულებრივ მეგობრული, თუმცა, ეს მოსაზრება ყოველთვის არ ნიშნავს ყველა ჯგუფის თანასწორობას. შესაძლებელია რამდენიმე ფორმის არსებობა: ზოგიერთ საზოგადოებაში, სხვადასხვა ეთნიკური და რასობრივი ჯგუფის წევრები ერთმანეთში თავისუფლად ირევიან და ასევე აერთიანებენ თავიანთ ჩვეულებებსა და ღირებულებებს. მათ შორის ხშირია შერეული ქორწინება, რის შედეგადაც იბადება სრულიად ახალი კულტურა, ასიმილაცია.

<u>ასიმილაცია</u> აღწერს უმცირესობის ჯგუფის გაერთიანებას დომინანტი ჯგუფის კულტურისა და სოციალურ ცხოვრებაში ისე, რომ უმცირესობის წარმომადგენლები თანდათანობით კარგავენ თავიანთ, როგორც სხვა კულტურის წარმომადგენლების სახეს. ასიმილაციის მომხრეები აცხადებენ, რომ უმცირესობები, უნდა დაექვემდებარონ გაბატონებული უმრავლესობის კულტურას.

სოციოლოგი რობერტ ე. პარკი და მისი კოლეგები ასიმილაციას ეტაპობრივ პროცესად მიიჩნევდნენ. პირველ ეტაპზე ახალმოსულები, რომლებიც არ იცნობენ დომინანტ კულტურას, იბრძვიან საკუთარი ადგილის დასამკვიდრებლად. მათ შეუძლიათ მხოლოდ ის დაისაკუთრონ, რაც არავის სჭირდება – უნაყოფო ნიადაგი, არაპრესტიჟული სამუშაო და საშინელი საცხოვრებელი პირობები. მსგავსად ამისა, ახალი ემიგრანტები ხში-

რად ცდილობენ მოიძიონ ისეთი ადგილები, სადაც თავს კარგად იგრძნობენ. მეორე ეტაპზე, ისინი, უფრო სწორედ, უკვე მათი შვილები და შვილიშვილები იწყებენ დომინანტი ჯგუფის ენისა და კულტურის ათვისებას, ბრძოლას არსებობისათვის, მაღალანაზღაურებადი და პრესტიჟული სამსახურისათვის, უკეთესი საცხოვრებელი პირობებისათვის. ეს არის სასტიკი ბრძოლა, მაგრამ თანდათანობით ეთნიკური ჯგუფის უფრო მეტი წევრი მიიწევს წინ უკეთესი ცხოვრებისაკენ და ამ გზაზე თანდათანობით კარგავს საკუთარი კულტურის ნაშთებს. ამ ეტაპზე უკვე ხდება ქორწინება სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლებს შორის და ასიმილაცია დასრულებულია. მაგრამ ყველა ჯგუფს არ ეძლევა საშუალება ასიმილირდეს დომინანტ ჯგუფთან, რისი ნათელი მაგალითიცაა აფრო-ამერიკელების შემთხვევა და ყველა ჯგუფს არ სურს მონაწილეობა მიიღოს ასიმილაციის პროცესში. ლათინური და აზიური წარმოშობის ამერიკელები, ისევე როგორც მკვიდრი ამერიკელები, აქტიურად იბრძვიან საკუთარი კულტურისა და ტრადიციების შესანარჩუნებლად.

<u>აკულტურაცია</u> არის ერთი კულტურის წარმომადგენლის მიერ მეორე კულტურის ათვისების პროცესი. უცხო კულტურის გადმოღება შეიძლება განხორციელდეს სრული სახით, სელექტურად ანდა სრულად იქნეს უარყოფილი. აკულტურაციის ცნება პირველად გამოიყენა უ. ჰოუზმა. კულტურა-დონორისა და კულტურა-რეციპიენტის ურთიერთობა სამ სახეს იღებს: სრული მიღება, ადაპტაცია (ნაწილობრივი მიღება) და უკურეაქცია (სრული მიუღებლობა).

ადამიანი სხვა კულტურის აღქმისას ამოდის დაშვებიდან, რომ მისი კულტურა არის სამყაროს ნორმალური ხედვა. მათი მსოფლმხედველობა არის მათი სათვალე, რის მეშვეობითაც იგი ხედავს სამყაროს. მისგან ყოველი გადახრა არასწორი, არანორმალური და არაზნეობრივია. ეს ცხადყოფს რამდენად რთულია აკულტურაციის პროცესი.

აკულტურაცია შეიძლება განვიხილოთ როგორც კულტურული კომუნიკაცია ინდივიდუალურ დონეზე. ორი კულტურის

წარმომადგენელთა ურთიერთობა და ურთიერთგაგება. ორივე ადამიანი ამოდის იმ პოზიციიდან, რომ მათი შეხედულებები სწორი და ნორმალურია.

უნდა განვასხვავოთ სოციალური და კულტურული ქცევის ცნება. კულტურულია ის ქცევა, რომელიც მიღებულია კულტურაში, როგორც ნორმალური. სოციალური ქცევა უფრო ფართო ცნებაა, რომელიც მისაღებია საზოგადოებაში თავისი კულტურული პარამეტრებით. ყოველი ქცევის საზრისის გაგება მოითხოვს იმ კულტურული კონტექსტის გაგებას, რომელშიც იგი ხდება. მაგალითად, ინდივიდუალისტური კულტურა (ამერიკული) მოითხოვს მოკლედ საუბარს. წინადადება უნდა იყოს ნათლად და მკაფიოდ გამოთქმული. მასზე მაშინვე მიიღებენ კონტრარგუმენტებს და თხოულობს საპასუხო არგუმენტაციას. კოლექტივისტურ კულტურებში, ყურადღება ექცევა ინფორმაციის გადაცემისას მის კონტექსტს, თუ ვისთან და რა პირობებში ხდება კომუნიკაცია. მათ მეტყველებას ახასიათებს არაკონკრეტულობა და სიმრავლე ალბათური გამოთქმებისა. ისინი არ იტყვიან პირდაპირ ჰოს ან არას, არამედ „ალბათ, შესაძლებელია“ (იაპონელები), ეს ართულებს ამგვარ კულტურასთან კომუნიკაციას. გერმანელი და აზიელი ბიზნესმენების პირველი შეხვედრისას, აზიელი მათ ჩუქნიდა საჩუქარს. ამას გერმანელი აღიქვამდა, როგორც ქრთამს. აზიელებისათვის კი ეს იყო ნიშანი იმისა, რომ საქმიანი ურთიერთობა უნდა ემყარებოდეს პიროვნულ ურთიერთობებს. ამიტომ, იგი ცდილობს თავიდანვე ჩამოაყალიბოს კარგი ადამიანური ურთიერთობა. საქმიანი ქცევის დასავლური მოდელი მკაცრი და კატეგორიულია. იგი გამორიცხავს გამონაკლისს. განსხვავებულია დროის განაწილებაც, რომლის მაჩყვენებელიც არის ის, თუ როგორ მიმართავენ ადამიანები ერთმანეთს და როგორი მნიშვნელოვანია მათთვის საქმე და როგორია მათი საზოგადოებრივი მდგომარეობა. ამ მსჯელობიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ უნივერსალურად სწორი ქცევა არ არსებრობს, ყოველი ქცევა გარკვეული კულტურის გამოხატულების შედეგია.

<u>განწყობა, დისკრიმინაცია და რასიზმი</u>

უმცირესობათა ჯგუფებისათვის დაწესებული ფორმალური შეზღუდვების მოხსნა არ ნიშნავს, რომ მათ ავტომატურად ეძლევათ შესაძლებლობა მიიღონ სამუშაოები, განათლება და სხვა შესაძლებლობები და რომ მათ, ამ შეზღუდვის მოხსნის შემდეგ პატივისცემით მოეპყრობიან. დისკრიმინაცია შესაძლებელია ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არაოფიციალურად გრძელდებოდეს, მაშინაც კი, როდესაც სეგრეგაცია ოფიციალურად არის აკრძალული. ადამიანების განწყობა კანონების შემოღებასა და გაუქმებასთან ერთად არ იცვლება.

განწყობა არის ჩამოყალიბებული მოსაზრება ადამიანთა კატეგორიის შესახებ, მაგალითად, რასობრივი ან ეთნიკური ჯგუფების შესახებ, რომელიც ეფუძნება მისი წევრების რეალურ ან წარმოსახვით მახასიათებლებს (განწყობა შეიძლება იყოს დადებითი, ასევე უარყოფითი, მაგრამ თავად ტერმინს უფრო ხშირად უარყოფითი კონტექსტი აქვს). განწყობა არის წინასწარი განსჯა, რომელიც საპირისპირო სამხილის არსებობის პარალელურად დომინირებს. ამის მაგალითია, ადამიანების მოსაზრება იმის შესახებ, რომ კონკრეტული ჯგუფის ყველა წევრს ერთნაირი თვისება აქვს, როდესაც ისინი ჯგუფის წევრებს ინდივიდებად ვერ აღიქვამენ და როდესაც ისინი უგულებელყოფენ იმ მტკიცებულებას, რომელიც მათ განწყობას აბათილებს. განწყობას მძლავრი გავლენა აქვს ადამიანების ქმედებებზე, რადგანაც იგი აყალიბებს არა მარტო მათ ემოციურ რეაქციას, არამედ განსჯასაც.

განწყობა არ არის მხოლოდ ინდივიდუალური დამოკიდებულება. ის კულტურული ნორმაცაა. ამერიკელ ბავშვებს მაგალითად, რასობრივი განწყობა უყალიბდებათ მშობლების საუბრების მოსმენის დროს ან ტელევიზორის ყურებისას. ხშირად, ,განწყრობას ხანგრძლივი ეფექტი აქვს, რადაგან არათანაბარ პირობებში კონტაქტის გარდა (როგორიცაა მსახურისა და ბატონის დამოკიდებულება) ადამიანებს არ უწევთ მეორე ჯგუფთან კონტაქტი. იშვიათი და არათანაბარი კონტაქტები ხშირად ახანგრძლივებს და ხელს უწყობს სტერეოტიპების ჩამოყალიბე-

ბას. სტერეოტიპი ნიშნავს ფიქსირებულ, გამარტივებულ, დამახინჯებულ კულტურულ განზოგადებას, რომელიც დაკავშირებულია სოციალურ ჯგუფებსა და კატეგორიებთან და აგრეთვე მათ წევრებთან.

განწყობამ შეიძლება საფუძველი ჩაუყაროს ერთი და იგივე ქმედების ძალზედ განსხვავებულ შეფასებას, იქიდან გამომდინარე, თუ ვის ვაფასებთ – ჩვენსავე ჯგუფის წევრს თუ იმ ჯგუფის წევრს, რომლის მიმართაც გაგვაჩნია კონკრეტული განწყობა. მაგ.: მუშაობდა თუ არა ლინკოლნი გვიან ღამემდე? ეს იმის მაჩვენებელია, რომ იგი გამოირჩეოდა შრომისმოყვარეობით, მიზანდასახულობითა და თავდაჭერილობით. მას სურდა მოეხდინა მთელი თავისი შესაძლებლობების რეალიზაცია. მუშაობენ თუ არა იაპონელები და ებრაელები ასევე გვიან ღამემდე? თუ ეს ასეა ეს მხოლოდ და მხოლოდ მათ მიერ ამერიკული სტანდარტების განადგურებასა და მათ უბადრუკ აზროვნებაზე მიუთითებს, რომელიც აიძულებს მათ დაბალ ხელფასებზე იმუშაონ და თანაც საშინელ პირობებში. არის თუ არა ერთი დომინანტი ჯგუფის წევრი გონიერი, მშრომელი და წინდახედული, მაშინ როდესაც მეორე, არადომინანტი ჯგუფის წევრი – ხარბი, ძუნწი და მეწვრილმანეა? პირველი ეიბის მთელი დამსახურება იმაშია, რომ იგი დომინანტი ჯგუფის წევრია და აქედან გამომდინარე, გონიერი და ბრძენია. ხოლო, იმავე საქციელისათვის მეორე ჯგუფის ეიბი – ეშმაკია და ჭკვიანი (რობერტ მერტონი).

<u>დისკრიმინაცია</u> აღნიშნავს იმ მნიშვნელოვან სოციალურ გადაწყვეტილებებს ადამიანებთან მიმართებაში, რომლებიც განპირობებულია ამ ადამიანების სავარაუდო რასობრივი ან ეთნიკური იდენტობებით. განწყობა წარმოადგენს კულტურულად გამყარებულ მოსაზრებებს, ხოლო დისკრიმინაცია – ამ მოსაზრებებზე დაფუძნებულ სოციალურ ქმედებებს.

განწყობა და დისკრიმინაცია ხშირად წარმოადგენს იმ წინასწარმეტყველების ნაწილს, რომელიც მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ ადამიანებს ამისი სჯერათ. კოლონიზატორები მიიჩნევდნენ, რომ შავკანიანი აფრიკელები მათზე ქვემოთ ე.ი. დაბლა

დგანან რასობრივად და ამიტომ მათ უარს ეუბნებოდნენ განათლებაზე, ნორმალურ სამუშაოებზე, კეთილმოწყობილ სახლებსა და ჩვეულებრივ პატივისცემაზეც კი. განწყობისა და დისკრიმინაციის შედეგად, სამხრეთ აფრიკაში შავკანიანების უმეტესობა იყო გაუნათლებელი, ასრულებდნენ მძიმე სამუშაოს, ცხოვრობდნენ კეთილმოუწყობელ სახლებსა და სიღატაკეში. ცხოვრების ეს დაბალი სტანდარტები აძლიერებდა რწმენას იმისა, რომ შავკანიანი ამერიკელები არასრულფასოვნები იყვნენ. ასე ახდენდა გავლენას ეს მცდარი წარმოდგენა (რასობრივი არასრულფასოვნების) ქცევაზე (შესაძლებლობის არარსებობა), რომელიც, თავის მხრივ, ადასტურებდა, რომ ეს წარმოდგენა სიმართლეს შეესაბამებოდა.

განწყობის ყველაზე უკიდურესი გამოვლინებაა რასიზმი. ეს არის წარმოდგენა იმის შესახებ, რომ რასა ან ეთნიკური ჯგუფი შეიძლება იყოს ბუნებრივად აღმატებული ან არასრულფასოვანი. რასისტები მიიჩნევენ, რომ სიჭკვიანე, ზნეობა და სხვა მნიშვნელოვანი თვისებები თანდაყოლილია და შესაბამისად უცვლელი. კოლონიალურ პერიოდში, რასობრივი იდეოლოგია წარმოადგენდა დაპყრობების, დამორჩილების, ექსპლოატაციისა და ევროპელების მიერ ადგილობრივ მოსახლეობაზე სასტიკი დამოკიდებულების საყრდენს. რასობრივი იდეოლოგია ასევე წარმოადგენდა, როგორც ოფიციალური სეგრეგაციის, ასევე არაოფიციალური დისკრიმინაციის გამამართლებელ საშუალებას. და ბოლოს, რასობრივი იდეოლოგია წარმოადგენს მკვეთრი დაყოფისა და საზოგადოებაში საზღვრების გავლების კიდევ ერთ საფუძველს. ადამიანი არის თეთრკანიანი ან შავკანიანი ან არიელი ან სხვა რასას მიეკუთვნება.

თეთრკანიანი ამერიკელები ხშირად ფიქრობენ, რომ რასიზმი ინდივიდუალური ფენომენია, რომელიც წარმოდგენილია რადიკალური თეთრკანიანი რასისტების ფრთის სიძულვილით აღსავსე იდეებითა და მათი ძალადობრივი სოციალური ქმედებების მთელი წყებით. აფრო-ამერიკელები კი, რასიზმს აღიქვამენ უფრო, როგორც ამერიკული საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ნაწილს, რომელიც ისე მჭიდროდაა დაკავშირებული

ტრადიციებთან, რომ წინასწარგანზრახული დისკრიმინაციის არარსებობის შემთხვევაშიც კი აგრძელებს მოქმედებას. არაგანზრახულ დისკრიმინაციას ხშირად ინსტიტუციურ რასიზმსაც უწოდებენ. მაგალითად, მძიმე პერიოდის დროს, მრავალი დამქირავებელი (სამთავრობო მოხელეების ჩათვლით) მიხვდა „ბოლოს აყვანილი, პირველი დათხოვნის“ პრინციპს, რაც გულისხმობდა ნაკლები სამუშაო გამოცდილების მქონე პერსონალის დათხოვნას. ეს ერთი შეხედვით, მიუკერძოებელი პრინციპი დისრიმინაციას უწევს აფრო-ამერიკელებს, რომლებმაც ვერ დააგროვეს სამუშაო გამოცდილება, გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ მათ წარსულში არ ჰქონდათ მუშაობის უფლება.

განწყობა და სტერეოტიპები არ არის მხოლოდ ელიტისათვის დამახასიათებელი. დაქვემდებარებულ ჯგუფებსაც გააჩნიათ საკუთარი განწყობები, ხშირად სხვა დაქვემდებარებულ ჯგუფებთან და იმ ჯგუფებთან მიმართებაში, რომლებმაც შეძლეს თავი დაეღწიათ დაქვემდებარებულობის სტატუსისათვის. აფრო-ამერიკელების განწყობა ებრაელების მიმართ ამის ერთ-ერთი მაგალითია. კორნელ ჟესტი (1994) ამბობს, რომ შავი ანტისემიტიზმი ეფუძნება სამ წარმოდგენას: პირველი – შავკანიანები მიიჩნევენ, რომ ებრაელები სარგებლობენ ყველა იმ პრივილეგიით, რაც მინიჭებული აქვთ თეთრკანიანებს ამერიკულ საზოგადოებაში და აქედან გამომდინარე, წვლილი შეაქვთ რასობრივ უთანასწორობაში; მეორე – მრავალ შავკანიანს უფრო დადებითი მოლოდინი გააჩნია ებრაელების მიმართ, ვიდრე თეთრკანიანთა სხვა ჯგუფების მიმართ. თუ გავითვალისწინებთ დევნისა და განადგურების ფაქტორს, ისინი მიიჩნევენ, რომ ორივე ჯგუფი „ბუნებრივი მოკავშირეები“ უნდა იყვნენ. როდესაც კონსერვატორი ებრაელები ეწინააღმდეგებიან დადებით დისკრიმინაციას, შავკანიანები ორმაგად იმედგაცრუებულები რჩებიან; მესამე – „შავკანიანთა ანტისემიტიზმი“ წარმოადგენს ერთი არაპრივილეგირებული ჯგუფის მიერ შურისა და წყენის ერთ-ერთ გამოხატულებას, მეორე არაპრივილეგირებული ჯგუფის მიმართ, რომელმაც თავი დააღწია ამ სტატუსს ამერიკულ საზოგადოებაში. ებრაელები იმ ეთნიკურ ჯგუფებს

განეკუთვნებიან, რომლებიც სულ უფრო და უფრო მიიწევენ წინ და იკავებენ პოზიციებს აკადემიებში, ჟურნალისტიკაში, გასართობ ბიზნესსა და სხვა წარმატებულ საქმიანობებში. იმის მაგივრად, რომ ეს წარმატება ებრაელთა შრომისმოყვარეობას და მისწრაფებებს მიაწერონ, მრავალი შავკანიანი მიიჩნევს, რომ ებრაელთა ეს აღმავლობა კლანურობის და ფავორიტიზმის შედეგია. გარდა ამისა, მასმედიის საშუალებები აჭარბებენ შავ-კანიანთა ანტისემიტიზმის დონეს და სათანადოდ არ აშუქებენ თეთრკანიანთა ანტისემიტიზმს, გადააქვთ რა ყურადღება შავ-კანიანებისა და ებრაელების მიმართ ინსტიტუციონალიზებული დისკრიმინაციისაკენ.

თავი XI
ჯგუფთაშორისო ურთიერთობები თანამედროვე ეტაპზე

<u>რასისა და ეთნიკურობის ცნება</u>

ერთ-ერთი პირველი, რაც თვალში გვხვდება, როდესაც ადამიანს ვუყურებთ (სქესის გარდა) არის მისი რასა რაც საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ თუ ვინ არის ეს ადამიანი. როდესაც ვხვდებით პირს, რომელიც შერეული რასისაა ან მიეკუთვნება ჩვენთვის უცნობ რასობრივ-ეთნიკურ კატეგორიას, ჩვენ მყისვე ვიბნევით. ისეთი ფრაზები, როგორიცაა „რა საინტერესოა, არ ჰგევხარ ინდიელს“ ან „სულაც არ იქცევი შავკანიანივით“, ამხელს იმ პრეკონცეფციებს, რომელიც განსაზღვრავს თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს ან იქცეოდეს მკვიდრი ამერიკელი ან აფრო-ამერიკელი.

ადამიანების სხვადასხვა რასებად დაყოფის იდეა მეცხრამეტე საუკუნეში იღებს სათავეს. ამ იდეის თანახმად, რასები წარმოადგენს ევოლუციის ხის სხვადასხვა განშტოებებს, სადაც ზოგიერთი მათგანი (განსაკუთრებით კი ევროპელი წარმოშობის თეთრკანიანები) ბუნებრივად აღემატება სხვებს. **<u>რასა,</u>** ჯიშის მსგავსად, არის ფიქსირებული, ობიექტური, ბიოლოგიური კატეგორია. უკვე მეოცე საუკუნეში, მეცნიერებმა გადაწყვიტეს რასებად დაეყოთ მთელი კაცობრიობა, თუმცა, ხშირად ვერ თანხმდებოდნენ თითოეული რასისათვის დამახასიათებელ ნიშანთა რაოდენობაზე და ყოველთვის აწყდებოდნენ გამაღიზიანებელ „გამონაკლისებს“.

რასობრივი კლასიფიკაციის პრობლემამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა შეერთებულ შტატებში, სადაც დემოკრატიული იდეების პარალელურად მონობაც არსებობდა. მრავალ შტატში მოქმედებდა კანონი, რომელიც კრძალავდა შერეული რასის წარმომადგენლების ქორწინებას და შთამომავლობის ყოლას (ზოგიერთი მათგანი 1960 წლამდეც გრძელდებოდა). მაგრამ ამავე დროს, საიდუმლოს არ წარმოადგენდა ის, რომ მრავალი მონათმფლობელი ეტრფოდა შავკანიან ქალებს და

მათგან შვილებიც ჰყავდათ. როგორ შეეძლო სასამართლოს გადაეწყვიტა ვინ იყო შავკანიანი? საყოველთაო პასუხი ასეთი იყო – ნებისმიერი პირი, რომელსაც ერთი რომელიმე წინაპარი მაინც ჰყავდა აფრო-ამერიკელი (დევისი. 1993). სამხრეთში ეს განსაზღვრება „ერთი წვეთის კანონით“ იყო ცნობილი, რაც იმას ნიშნავდა, რომ სისხლის ერთი წვეთი განსაზღვრავდა ადამიანის შავკანიანობას. ყველაფერმა ამან, ბიოლოგიურად სრულიად აბსურდული დასკვნა გამოიწვია: გამოდიოდა, რომ შავკანიანი პირის შვილთაშვილი უპირობოდ ითვლებოდა შავკანიანად და ამავე დროს იმისათვის, რომ ადამიანი თეთრკანიანად ეცნოთ, შვიდი თაობის თეთრკანიანი წინაპრებიც კი არ კმაროდა. არ არსებობდა შუალედური გამოსავალი, ადამიანი ან თეთრკანიანი უნდა ყოფილიყო ან შავკანიანი.

თანამედროვე გენეტიკა ადასტურებს, რომ ადამიანების დაყოფას რასებად სამეცნიერო მნიშვნელობა არ გააჩნია. ბიოლოგიური განსხვავება ადამიანების ერთ ჯგუფებს შორის უფრო დიდია, ვიდრე განსხვავებები ჯგუფებს შორის. ადამიანები განსხვავდებიან ზომის, ფერის და აგებულების მიხედვით. ყველა ჯგუფში არსებობს გამხდარი და ჭარბი წონის მქონე ადამიანი, ისევე როგორც განსხვავებულია სისხლის ჯგუფი. ის, რაც განასხვავებს ერთ მოსახლეობას მეორისაგან, არის კონკრეტული ნიშნებისა და გენების მქონე ადამიანთა პროპორცია. აქედან გამომდინარე, ადამიანის ჯიშებს შორის ვარიაცია წარმოადგენს გრადაციისა და არა ადამიანების კონკრეტული ჯგუფისათვის დამახასიათებელ მკაფიო გენეტიკური საზღვრების შედეგს.

იდეას რასების განსხვავებულობის შესახებ, იყენებენ პოლიტიკოსები პირადი თავისუფლების, სამოქალაქო უფლებების, განათლების, კეთილმოწყობის, სამართლისა და ჩვეულებრივი პატივისცემის შეზღუდვის მიზნით. 250 წელზე მეტია შეერთებულ შტატებში დომინირებდა „რასობრივი დიქტატი“, შავკანიანები სისტემატიურად იდევნებოდნენ პოლიტიკიდან და სხვა სოციალური ინსტიტუტებიდან. ცვლილებების მიუხედავად, ეს მემკვიდრეობა ჯერ კიდევ ახდენს გავლენას თანამედროვე სოციალურ სტრუქტურაზე.

რასა, სოციალურ იდენტობასაც წარმოადგენს, რომელსაც თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებენ, როგორც თეთრკანიანები, ასევე შავკანიანებიც. გარკვეულწილად მონობამ შექმნა „შავკანიანის“ ან აფრო-ამერიკელის კატეგორია იმით, რომ აშანტესა და ოვიმბუნდუს, იურუბასა და ბანკოგოს ერთსა და იმავედ მოიაზრებოდა და შესაბამისად ეპყრობოდა. წლების განმავლობაში ეს ჯგუფები ერთმანეთს (და აგრეთვე თეთრკანიან ამერიკელებსაც) შეერწყა. ისინი ქმნიდნენ ახალ კულტურულ სტილსა და იდენტობას საკუთარი ამერიკული გამოცდილებიდან და აფრიკული ფესვებიდან, ისინი თანდათანობით ყალიბდებოდნენ ახალ ადამიანებად, როგორც ფიზიკური, ასევე კულტურული თვალსაზრისით. იდენტობა, რომელიც იძულებითა და ზიზღით ყალიბდებოდა, დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში სიამაყისა და ერთგულების, პოლიტიკური მობილიზაციისა და კულტურული მიღწევების საფუძვლად გადაიქცა.

დღეს, ადამიანებს შეიძლება ღალატი დასწამონ თუ საკუთარ აფრო-ამერიკულ წარმოშობას პირველ ადგილზე არ დააყენებენ. შავკანიანი ამერიკელები, რომლებიც სოციალიზდებიან, ხვდებიან ან ცოლად ირთავენ თეთრკანიანებს, თუ უფრო ძლიერს არა, ზუსტად იგივე წინააღმდეგობას აწყდებიან, როგორსაც ის თეთრკანიანი ამერიკელები, რომლებსაც სხვადასხვა რასის მეგობრები ან პარტნიორები ჰყავთ. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი, რატომაც უჭირთ თეთრკანიან სტუდენტებს, გაუგონ შავკანიან თანატოლებს. თეთრკანიანი სტუდენტები „რასობრივ პრობლემას“ ხშირად ფერის შესაცნობად მოიაზრებენ, ხოლო ამ პრობლემის გადაჭრის გზად „დალტონიზმი“ (დაავადება, როდესაც ადამიანი ფერებს ვერ არჩევს) ესახებათ. უმეტესობა მიიჩნევს, რომ რასობრივი დაყოფა ამერიკის ისტორიის ნაწილია, რომელიც ამერიკამ უნდა დაივიწყოს (და გარკვეული დოზით ასეც არის). შავკანიანი სტუდენტები ხშირად განიხილავენ „რასობრივ პრობლემას“, როგორც ძალთა გადანაწილების საკითხს, რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს არა მარტო ამერიკის ისტორიაში, არამედ მათ ყოველდღიურ გამოცდილებაშიც.

სოციოლოგიური თვალსაზრისიდან რომ დავასკვნათ, რასა

აღნიშნავს ადამიანების იმ კატეგორიას, რომლებიც საკუთარ თავს აღიქვამენ, როგორც განსხვავებულებს თანდაყოლილი ბიოლოგიური თვისებებით და სხვების მიერაც ასევე აღიქმებიან. **<u>რასა</u>** წარმოადგენს სოციალურ და კულტურულ კატეგორას, იმ სოციალური ქმედების ნაყოფს, რომელმაც შექმნა პოლიტიკური და ეკონომიკური უთანასწორობა და დაამკვიდრა კულტურული კატეგორიები. მიუხედავად იმისა, რომ რასობრივ განსხვავებებს ბიოლოგიური მნიშვნელობა არ გააჩნია, მრავალი ადამიანი მიიჩნევს, რომ ეს მაინც მნიშვნელოვანია.

<u>ეთნიკური ჯგუფი</u>

ეთნიკური ჯგუფი შედგება იმ ადამიანებისაგან, რომლებიც აღიქვამენ საკუთარ თავს და ასევე აღიქმებიან სხვების მიერ საერთო ისტორიისა და ისეთი კულტურული მახასიათებელების განმზიარებლებად, როგორიცაა ენა, რელიგია, ოჯახური ტრადიციები და საკვები. მაგ.: ლათინური წარმოშობის ადამიანები შეიძლება იყვნენ შავკანიანები, თეთრკანიანები და წითელკანიანები. ის რაც აერთიანებს ამ ადამიანებს, არის კულტურა (რომელიც არ ითვალისწინებს კანის ფერის მნიშვნელობას). ტერმინი ეთნიკური ჯგუფი აღწერს კონკრეტულ ქვეყანაში მცხოვრებ ქვეჯგუფს, მაგ. პოლონური წარმოშობის ამერიკელები, ფრანგული წარმოშობის კანადელები და ევროპული წარმოშობის ებრაელები. სოციოლოგი ჯონ ბელტონ რიდი (1994) ამტკიცებს, რომ „სამხრეთელი“ ამერიკაში წარმოადგენს ეთნიკურ ჯგუფს, გამომდინარე სამხრეთელების კულტურული თავისებურებებიდან, რაც განასხვავებს მათ დანარჩენი ამერიკელებისაგან. ის, თუ რამდენად იზიარებენ ერთი ეთნიკური ჯგუფის წევრი საერთო კულტურულ მახასიათებლებს, ნაკლებად მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ მათი რწმენით ისინი „განსხვავებულები“ არიან. ეთნიკურობა, ისევე როგორც რასა, სოციალური იარლიყია.

როგორ განისაზღვრება ადამიანების ჯგუფი, რასობრივად თუ ეთნიკურად სუბიექტურია. გერმანიაში და აღმოსავლეთ ევროპაში ებრაელები განსხვავებულ რასად მიიჩნევიან. ჰოლო-

კასტის დროს „ერთი წვეთის კანონის“ მიხედვით ადგენდნენ, ვინ იყო ებრაელი და შესაბამისად, ვინ უნდა წასულიყო სიკვდილის ბანაკებში. დღეს, შეერთებულ შტატებაში ებრაელები შესაძლოა მოიაზრებოდნენ ეთნიკურ ჯგუფად ან განსხვავებული რელიგიის მიმდევრებად. ანგლო-ამერიკელები ხშირად მოიაზრებენ ლათინური წარმოშობისა და მკვიდრ ამერიკელებს სხვა რასად. ხოლო ლათინური წარმოშობის ამერიკელები ფიქრობენ, რომ ისინი სხვადასხვა ეთნიკური და ეროვნული ჯგუფების წევრები არიან (მექსიკელები, კუბელები, პუერტო რიკოელები, ჰონდურასელები). შესაბამისად, ინდიელებიც ფიქრობენ, რომ სნუს, ჩეროკის, ჰორის წევრები არიან.

ეთნიკურობა მნიშვნელოვანია ამერიკელებისთვის. ამ ქვეყანაში ცხოვრების წლების მიუხედავად, ძალზედ ცოტა ადამიანი მოიხსენებს საკუთარ თავს მხოლოდ „ამერიკელად“. ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის აღწერის ანკეტა მოიცავს მრავალ ვარიანტს. ანკეტის მიზანია, ზუსტად დაადგინოს გამოკითხულთა იდენტობა. პასუხი შეიძლება იყოს „ამერიკელი“ ან „არ ვიცი“. 1990 წელს გამოკითხულთა მხოლოდ ექვსმა პროცენტმა მონიშნა „ამერიკელი“. ევროპელი წარმოშობის ამერიკელებისათვის, ეთნიკური იდენტობა მოქნილია, ნებაყოფილობითი და სიმბოლური. თეთრკანიანებს შეუძლიათ, ამოირჩიონ ერთ-ერთი მშობლის ან ბებია-ბაბუის იდენტობა, დაამტკიცონ სხვადასხვა ეთნიკურობა სხვადასხვა სიტუაციაში (აქედან გამომდინარეობს გამოთქმა, (წმინდა პატრიკის დღეს ყველა ირლანდიელია) ან გადაინაცვლონ ერთი იდენტობიდან მეორეში ცხოვრების სხვადასხვა მომენტში. აფრიკული, ლათინური, აზიური წარმოშობისა და მკვიდრი ამერიკელებისათვის ეთნიკური იდენტობა მხოლოდ პირადი არჩევანის საკითხი არ არის. ეს ეთნიკური იარლიყები წარმოადგენს სხვების მიერ მიწერილ სტატუსს, რაც ხშირად დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად განსხვავებულია გარეგნობა თეთრკანიანთა სტანდარტებისაგან.

<u>გენოციდი</u>

გენოციდი ეროვნული, რასობრივი, რელიგიური ან ეთნი-

კური ჯგუფის განადგურებისაკენ მიმართული სისტემატური, მიზანმიმართული მცდელობაა. ეს ტერმინი 1944 წელს შექმნა რიჩარდ ლომკინმა, რომელმაც ასე დაახასიათა ჰოლოკოსტი (ნაცისტურ ბანაკებში 6 მილიონი ებრაელის განადგურება), თუმცა არსებობს ამ მოვლენის უძველესი წინამორბედები. ჩრდილო აფრიკის უძველესი ქალაქის – კართაგენის განადგურება რომის მიერ (ჰანიბალის მიერ რომის დაპყრობის ცნობილი, მაგრამ წარუმატებელი მცდელობის შესახებ) ერთი მაგალითია ადრეული ისტორიიდან. რომაელებმა არა მარტო დაიპყრეს და გაანადგურეს ქალაქი და მისი შენობები, მათ მიწაზე მარილიც კი მოაყარეს, რომ ველარავის ეცხოვრა იქ.

გენოციდი უმთავრესად ხდება ერთი კონკრეტული ერის მიერ განცდილი ეკონომიკური კრიზისის და/ან სამხედრო დამარცხების შედეგად (დიუარე 1944). ეროვნული თვითშეფასების გრძნობის აღდგენის მიზნით, ლიდერი კითხულობს: „ვინ გვიღალატა ჩვენ?“ პასუხად სავარაუდოდ მიუთითებენ უმცირესობათა ჯგუფზე, რომელთა რელიგიაც ეწინააღმდეგება უმრავლესობის რელიგიურ მრწამსს და რომლებსაც გააჩნიათ კავშირები შედარებით ძლიერ გარე მტერთან. გენოციდის მიზანია „გაწმინდოს“ ერი მის წიაღში მცხოვრები მტრებისგან. უმცირესობის ჯგუფი ხდება არა მხოლოდ განტევების ვაცი, არამედ ზვარაკად შეწირული.

თანამედროვე გენოციდის პირველი მსხვერპლნი სომხები არიან. ქრისტიანული სომხეთი ოტომანების იმპერიის ქვეშევრდომი იყო, რომელთა სულთნები საუკუნეების განმავლობაში იჩენდნენ შემწყნარებლობას კულტურული და რელიგიური მრავალფეროვნების მიმართ. 1900 წელს, ოტომანთა იმპერიის სათავეში მოვიდა ახალგაზრდა თაობა, რომლებიც მგზნებარე ნაციონალიზმით გამოირჩეოდნენ. 1915 წელს, რუსეთის იმპერიის მიერ თურქეთის დამარცხებისას, თურქეთის მთავრობამ ბრძანება გასცა, მომხდარიყო მთელი სომხური მოსახლეობის დეპორტაცია. ვინც საცხოვრებლებში სიკვდილს გადაურჩა, ფეხით გაუყვა გზას მთების გაღმა, საკვებისა და წყლის გარეშე. ამ პერიოდში ერთ მილიონზე მეტი სომეხი დაიღუპა.

ჰოლოკოსტი ორ ფაზად მიმდინარეობდა. პირველ ფაზაში (1933-1940), მოხდა ებრაელების იზოლაცია და მათ აეკრძალათ ქრისტიანებზე ქორწინება. ებრაელებს ჩამოართვეს გერმანიის მოქალაქეობა, აუკრძალეს პროფესიების დაუფლება და მოახდინეს მათი ქონების კონფისკაცია.

მეორე ფაზაში (1941-1945), იძულებითი მიგრაციის პოლიტიკა ერთ-ერთი დამღუპრველი ძალა აღმოჩნდა. მეორე მსოფლიო ომმა არა მხოლოდ არაპრაქტიკული გახადა დეპორტაციები, არამედ საშუალება მისცა ექსტრემისტ ნაცისტებს ესარგებლათ საგანგებო მდგომარეობით და ფარულად ემოქმედათ. გერმანიის მიერ ოკუპირებულ ქვეყნებში ებრაელებს თავს უყრიდნენ, აგზავნიდნენ ბუხენვალდში, დახაუში და სხვა საკონცენტრაციო ბანაკებში. დანიშნულების ადგილზე მისვლისთანავე, ზოგიერთ მათგანს იმწამსვე „საშხაპეში“ მიერეკებოდნენ, რომელიც გაზის კამერისა და კრემატორიუმის კომბინაციას წარმოადგენდა. დანარჩენებს, ცოცხალმკვდარ მდგომარეობაში მყოფებს, აიძულებდნენ მონაწილეობა მიეღოთ ერთმანეთის განადგურებაში. მაგ.: ათხრევინებდნენ ჯგუფურ საფლავებს და აყრევინებდნენ საკუთარი თანამოძმეების ცხედრებს. არსებობს ტყვეების სასტიკ სამედიცინო ექსპერიმენტებში გამოყენების მრავალი ფაქტი. ექვსი მილიონი კაცი, ქალი და ბავშვი დაიღუპა ჰოლოკოსტის შედეგად.

ჰოლოკოსტი, გახლავთ ბოროტების გამორჩეულად თანამედროვე ფორმა. იგი დამოკიდებულია ისეთ თანამედროვე ინსტიტუტებზე, როგორიცაა ნაციონალიზმი (რწმენა იმისა, რომ ერთი ეთნიკური ან კულტურული ჯგუფისადმი კუთვნილება იძლევა ყველა პოლიტიკურ უფლებას), თანამედროვე ტექნოლოგიები (რკინიგზა, გაზის კამერები) და ბიუროკრატიული ორგანიზაციები. ბიუროკრატიული ორგანიზაციები ცვლის ტექნიკურ ეფექტურობას მორალური პასუხისმგებლობის თვალსაზრისით: მაღალჩინოსან ოფიციალურ პირებს, რომლებიც პოლიტიკას ქმნიან არ სჭირდებათ, რომ შედეგების მოწმეები გახდნენ, ისევე როგორც ხელქვეითს არ სჭირდება გაიგოს, თუ რას ფიქრობს მისი უფროსი. ნაკლებად ექსტრემალურ სი-

ტუაციებშიც კი, ბიუროკრატია იწვევს სოციალური ქმედების დეჰუმანიზაციას. ჰოლოკოსტი ცვლის ბრბოს მძვინვარებას ბიუროკრატიით, კოლექტიური რისხვით, რომელსაც თან ახლავს ხელისუფლებისადმი მორჩილება. ებრაელთა განადგურება გაუხმაურებლად მოხდა – ის არ სარგებლობდა ხალხის მხარდაჭერით. გერმანელმა ხალხმა უბრალოდ, პროტესტის გარეშე მიიღო ეს გადაწყვეტილება, ისევე როგორც ალიანსის ლიდერებმა, რომლებმაც იცოდნენ ამ ტრაგედიის შესახებ, მაგრამ არ გაუხმაურებიათ სასიკვდილო ბანაკების არსებობა თავისი ქვეყნის მოსახლეობისათვის.

ჰოლოკოსტი თანამედროვე გენოციდის ერთ-ერთი მაგალითი არაა. ამ ფორმას მოჰყვა ბოსნიელი მუსლიმების წინააღმდეგ წამოწყებული „ეთნიკური წმენდა“ ყოფილ იუგოსლავიაში, 1990-იან წლებში.

ამჟამად, გენოციდი შეიძლება მსოფლიო და ლოკალური ომების, აგრეთვე კონფლიქტების შედეგად მოხდეს. ფსიქოლოგიური კუთხით, გენოციდი – განსხვავებული ცხოვრების წესისადმი, სამყაროს განსხვავებული ხედვისადმი უკიდურესი შეუწყნარებლობაა, ფიზიკური განადგურების ჩათვლით. ამგვარი შეუწყნარებლობის მიღმა იმალება შინაგანი კონფლიქტი, არასრულფასოვნების განცდა, რაც „სხვების“ მიმართ აგრესიით კონპენსირდება.

<u>სეგრეგაცია</u>

სეგრეგაცია წარმოადგენს რასობრივი ან ეთნიკური ჯგუფების იძულებით განცალკევებას. იგი ინსტიტუციონალიზირებული დისკრიმინაციის ფორმაა, რომელიც სოციალური სტრუქტურის ნაწილს წარმოადგენს. სეგრეგირებულ საზოგადოებაში, დასაშვებია მხოლოდ უმნიშვნელო კონტაქტი დომინანტ ჯგუფსა და რასობრივი ან ეთნიკური უმცირესობის ჯგუფებს შორის. ტიპიურ სეგრეგირებულ საზოგადოებაში, უმცირესობის წევრებს არ შეუძლიათ იცხოვრონ იმ უბნებში, იარონ იმ სკოლებში, იყვნენ იმ კლუბების წევრები და ისარგებლონ იმ საზოგადოებრივი დაწესებულებებით (სასტუმროები, რესტორ-

ნები, ტუალეტები, პლიაჟები), სადაც ცხოვრობენ, დადიან, სტუმრობენ და რითაც სარგებლობენ დომინანტი ჯგუფის წარმომადგენლები. სეგრეგაციონისტებს ეშინიათ შერეული ქორწინებისა. სეგრეგაცია, ფაქტობრივად, წარმოადგენს „ელიტის“ სიწმინდის შენარჩუნების სტრატეგიას.

შეერთებულ შტატებში, სეგრეგაცია გამართლებული იყო „განცალკევებული მაგრამ თანასწორი“-ის პრინციპით. მაგ.: შავკანიანებს განათლების მიღების იგივე უფლება ჰქონდათ, როგორც თეთრკანიანებს, მაგრამ ეს არ ნიშნავდა იმას, რომ მათ იგივე სკოლებში შეეძლოთ სიარული, სადაც თეთრკანიანები სწავლობდნენ.

ტოლერანტობა

ტოლერანტობის პრობლემატიკა განსხვავებულთა სამყაროში აღმოცენდება. ეთნიკური ტოლერანტობა სხვა ეთნიკური კულტურის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების არარსებობაა, უფრო ზუსტად კი სხვა კულტურის დადებითი აღქმა, საკუთარი კულტურის პოზიტიური შეფასების შენარჩუნებასთან ერთად. ანუ ტოლერანტობა სრულიადაც არ არის ასიმილაცია ანუ საკუთარ კულტურაზე უარის თქმა.

ტოლერანტობა – სხვისი აზრისადმი, ცხოვრების წესის, ტრადიციების, ქცევის მიმართ შემწყნარებლობა – ერთ-ერთი ძირითადი დემოკრატიული პრინციპია, რომელიც გარკვეულ კავშირშია პლურალიზმის, სოციალური თავისუფლებისა და ადამიანის უფლებათა კონცეფციასთან. ტოლერანტობაში არ იგულისხმება „ძმობა“ და „მეგობრობა“, არც „თმენა“ და „შეგუება“. ტოლერანტობა განსხვავებათა თავისუფალი მიმღებლობის განწყობაა და შეიძლება პიროვნების თვისებაც იყოს თუ გარემო, რომელშიც ის აღიზარდა განსხვავებული ეროვნების ადამიანებთან თანაცხოვრებას გულისხმობდა და კულტურაში ამგვარი მრავალფეროვნების მიმართ მიმღებლობითი განწყობა სუფევდა.

ამჟამად, პრაქტიკულად ყველა ქვეყანა მრავალეთნიკური და პოლიკულტურულია. პოლიკულტურულ საზოგადოებებს განეკუთვნება ისეთი სახელმწიფოები, რომლებშიც არსებობს

ორზე მეტი ეთნიკური ჯგუფი და ეს ჯგუფები გარკვეული რიცხოვნების მქონეა. არ აქვს მნიშვნელობა რამდენი ხანია რაც სახლობენ მოცემულ ტერიტორიაზე, მკვიდრია თუ მოსული – ყველა მათგანი ამ სახელმწიფოს თანასწორუფლებიანი მოქალაქეა. ამგვარ პოლიკულტურულ სახელმწიფოთა საკმაოდ ხანგრძლივი მშვიდობიანი ისტორიის მიუხედავად, ხშირად იქმნება ეთნიკური დაძაბულობის და კონფლიქტის ვითარებები.

<u>სახელმწიფო და ეროვნება</u>

თანამედროვე საზოგადოების მკვეთრი განმასხვავებელი თვისებაა იმ კომპლექსური ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების არსებობა, რომლებიც იყენებენ ძალაუფლებას. იგულისხმება სასამართლოები, პოლიციის განყოფილებები, მარეგულირებელი სააგენტოები, აღმასრულებელი თანამდებობები (პრეზიდენტის, გუბერნატორის) და სამხედრო ორგანიზაციები. ყველა სპეციალიზებული ინსტიტუტი და ორგანიზაცია ქმნის სახელმწიფოს. სახელმწიფოს აქვს ლეგიტიმური ძალის გამოყენების მონოპოლია კონკრეტულ ტერიტორიაზე. ადამიანებს, რომლებიც ცდილობენ მათ ხელთ არსებული ძალის გამოყენებას ამ კონკრეტული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, კრიმინალებს, ტერორისტებსა და რევოლუციონერებს უწოდებენ.

სახელმწიფოს ცნება, არ იგივდება ხელისუფლების ცნებასთან. სახელმწიფო არის ყველაზე სპეციალიზებული ორგანიზაციისა და ინსტიტუტის ერთობლიობა, რომელსაც აქვს ძალა კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში. ხოლო, ხელისუფლება არის არჩევითი ან არა არჩევითი. ხელისუფლება არის ოფიციალური პირების ერთობლიობა, რომლებიც წარმართავენ სახელმწიფოს კურსს დროის რომელიმე პერიოდში. აქედან გამომდინარე, ადამიანები შეიძლება იყვნენ სახელმწიფოს ერთგულნი მაშინაც კი, როდესაც ისინი უკმაყოფილოები არიან ამჟამინდელი მთავრობით.

ერი გულისხმობს კულტურულ კავშირებს, რომელიც წარმოშობს საერთო იდენტობის გრძნობას ადამიანთა ჯგუფებში, რომლებსაც უკავიათ კონკრეტული გეოგრაფიული ტერიტორია (ან ცდილობენ მის დაკავებას). სახელმწიფო არის სოცია-

ლური სტრუქტურა, ხოლო ერი არის კულტურული ფენომენი ე.ი. ერი ეს არის იმ ადამიანთა ერთობლიობა, რომელთა საერთო იდენტობა ფსიქოლოგიურ საზღვრებს და პოლიტიკურ ერთობებს ქმნის.

ადამიანები ყოველთვის ცხოვრობდნენ ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფში მათ აერთიანებთ საერთო ენა და რწმენები ანუ საერთო კულტურა. „ხალხის“ იდეა უძველესია თუმცა, ადამიანების მიერ ერთ „ხალხად“ აღქმის ფაქტი ყოველთვის არ გულისხმობს მათ მიერ კონკრეტული ტერიტორიის ფლობას ან დამოუკიდებელ მმართველობას.

ეროვნება არ არის „ბოძებული“, ის სოციალური კონსტრუქციაა. ეროვნება უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ეთნოსი და უახლოვდება ერის გაგებას; ანუ ეროვნება შეიძლება პიროვნების მოქალაქეობას, ეთნიკურ წარმომავლობას, სახელმწიფოებრიობას, ენას და სხვა ფაქტორებს აღნიშნავდეს და მოიცავდეს.

<u>ეთნიკური კონფლიქტები</u>

საზოგადოებაში სოციალური ცვლილებების საფუძველია სოციალური კონფლიქტი. კონფლიქტი საზოგადოების ნორმალური მდგომარეობაა და გარკვეულ ასპექტში იგი დადებითი მომენტია. ეს განაპირობებს სოციალური ცვლილებების მუდმივობას და გარდაუვლობას. მეტიც, იგი საზოგადოებრივი პროგრესის საფუძველია. მარქსის თეორიის მიხედვით, საზოგადოება არის დიალექტიკური ბუნების მქონე. საზოგადოების სტრუქტურის ორი ძირითადი ელემენტია – საწარმოო ძალები და წარმოებითი ურთიერთობები. საზოგადოება ამ ორი ელემენტის შესაბამისობაშია. მათ შორის საწარმოო ძალები უფრო აქტიური ელემენტია. იგი განიცდის სწრაფ ცვლილებას და როდესაც წარმოებითი ურთიერთობები აფერხებენ საწარმოო ძალების განვითარებას, მაშინ მათ შორის წარმოიშობა კონფლიქტი. ეს კონფლიქტი არის საზოგადოების განვითარების საფუძველი.

ამერიკელი სოციოლოგი ლ. კოზერი სოციალურ კონფლიქტს განსაზღვრავს, როგორც „ბრძოლას ღირებულებითი ან სტატუსური, პრივილეგიებისათვის, ძალაუფლებისა და დე-

ფიციტური რესურსებისათვის, სადაც დაპირისპირებულ მხარეთა მიზანია არა მხოლოდ მათი ხელში ჩაგდება, არამედ მოწინააღმდეგის ჩამოცილება და ნეიტრალიზება“. კონფლიქტი, მისი აზრით, სოციალური ურთიერთქმედების უმნიშვნელოვანესი ელემენტია, ყოველი საზოგადოება პოტენციურად მაინც შეიცავს კონფლიქტს.

რაც შეეხება ეთნოშორისო კონფლიქტს, მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ თითოეული ეთნოსი თვლის, რომ თავისი კულტურის თვითმყოფადობისა და სულიერი ერთობის დაცვას მხოლოდ საკუთარი სახელმწიფოს შექმნის შემთხვევაში შეძლებს. ტერმინი „ეთნოშორისი კონფლიქტი“ მკვეთრად განსხვავდება „ერებს შორის კონფლიქტისაგან“, რომელიც სახელმწიფოთაშორის კონფლიქტს გულისხმობს. ეთნოსს თვითგადარჩენა, თავისი ღირებულებებისა და ტრადიციების დაცვა, ტერიტორიული მოთხოვნები ამოძრავებს. ამაშია მისი ძალა. ასეთი მოთხოვნილების ჩახშობა შეუძლებელია თუ თავად ეთნოსს არ გაანადგურებენ და ამაშივე არის მისი ტრაგედიაც. რადგან იდეა, „თითოეულ ეთნოსს – თითო სახელმწიფო“ – წმინდა უტოპიაა. დღეისდღეობით დააახლოებით 194 სუვერენული და 10-მდე დე-ფაქტო სახელმწიფოა. ეთნოსები კი დაახლოებით 1000-მდეა. ეთნოსები, რომლებიც რაოდენობით მილიონი და მეტია დაახლოებით 267-ია და შეიძლება ლოგიკური იყოს, რომ სახელმწიფო რაოდენობაც ამ ციფრზე შეჩერდეს. მაგრამ, როგორ შეიძლება ეთნოსს, რომელმაც რიცხობრივად ვერ მიაღწია მილიონამდე (მაგ. 700000 ათასი აფხაზი) აუხსნა, რომ მას არ ეკუთვნის სახელმწიფო. ფორმალური უფლებები და რეალობა ჩიხში აქვს მოქცეული მრავალ ეთნოსს. მითუმეტეს დღეს, როცა ისტორიული ფაქტორიც ნაკლებ როლს თამაშობს არგუმენტირების თვალსაზრისით.

ბუნებრივი შერჩევის გზით ძლიერი არის მართალი, მაშასადამე ის იღებს სახელმწიფოს ჩამოყალიბების შესაძლებლობას. მაგრამ ძალა – ფარდობითი ცნებაა და დროთა განმავლობაში იცვლება. დასუსტებული სახელმწიფო კონტროლს კარგავს რეგიონულ სტრუქტურაზე. ამ უკანასკნელთ კი შანსი ეძლევათ დამოუ-

კიდებლობა იგემონ. ისტორიულად ეს პროცესი ტალღისებური ეფექტით ვითარება. დღეს არსებული სახელმწიფოებიდან, XIX საუკუნის ბოლოს მხოლოდ 60 არსებობდა, დანარჩენებმა დამოუკიდებლობა ერთბაშად მოიპოვეს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, დაინგრა კოლონიური სისტემა. აფრიკის, აზიის და ლათინოამერიკის ეთნონაციონალურმა ჯგუფებმა მოიპოვეს დამოუკიდებლობა. თითქმის, აღარ დარჩა თავისუფალი ტერიტორიები. მსოფლიო საზოგადოებამ გაეროსა და ჰელსინკის 1975 წლის აქტში ასახა სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის, ურთიერთპატივისცემის, ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების დაურღვევლობის პრინციპები. თუმცა, არ გასულა ორი ათეული წელიც კი, რომ მსოფლიო ახალი ეთნო-ნაციონალური ჯგუფის სუვერენიზაციის ტალღამ შეარყია. საბჭოთა კავშირი დაიყო 15 დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. დიდი ბრძოლებისა და სისხლისღვრის შედეგად ყველა იუგოსლაური რესპუბლიკა დაიშალა ცალკე სახელმწიფოებად. დაიშალა ჩეხოსლოვაკია, გაერთიანდა გერმანია. ამ ფენომენს ეთნიკურ რენესანსს ან თანამედროვეობის ეთნიკურ პარადოქსს უწოდებენ. საქმე იმაშია, რომ წარსულში ფორმირებული თითქმის ყველა დოქტრინა და იდეოლოგია (ლიბერალურიც და რადიკალურიც) დარწმუნებული იყო, რომ ეროვნებათშორისი უთანხმოება, მითუმეტეს, ბარბაროსულ ფორმებში ეკონომიკისა და კულტურის ინტერნაციონალიზაციის გავლენით თანდათანობით წარსულს მიეცემოდა. მაგრამ პროგნოზები არ გამართლდა. წარსული მოულოდნელად გახდა მომავალი და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ დღესდღეობით თითქმის ყველა სახელმწიფო ეთნიკური შემადგენლობით ერთგვარი არ არის, მაშინ პრაქტიკულად, თითოეულ მათგანს აუცილებლად ემუქრება ეთნიკური კონფლიქტები. ეთნიკური კონფლიქტების დარეგულირება და წინასწარი ღონისძიებების გატარება საყოველთაო ხელშეკრულებითა და შეთანხმებებით მშვიდობაზე, თითქმის შეუძლებელია. შეთანხმებებს დადებენ ის სახელმწიფოები, რომლებიც არსებობენ, ხოლო კონფლიქტს წარმოშობენ ის სახელმწიფოები, რომლებიც ჯერ არ არსებობენ და მომავალში უნდა წარმოიქმნან. ამ ეთნოსებისათვის ახსნა იმისა, რომ მათი მიზანი სამოქალაქო თანასწო-

რობის განვითარება უნდა იყოს, რაც უზრუნველყოფს მათი განსაკუთრებული კულტურის განვითარებას და არა საკუთარი სახელმწიფოს შექმნა, ჯერაც არავის მოუხერხებია. მათი დარწმუნება ამ საკითხთან მიმართებაში შეუძლებელია.

ეთნიკურ კონფლიქტს მიაკუთვნებენ კონფლიქტის ნებისმიერ ფორმას, როგორებიცაა, პოლიტიკური მოძრაობა, მასობრივი უწესრიგობა, სეპარატისტული გამოსვლები, სამოქალაქო ომები და ა.შ.

- ყველა ეთნიკური კონფლიტი არის კომპლექსური, რთული შემადგენლობის, რამდენადაც ეთნიკური კონფლიქტის არსი ეთნოსის მიერ საკუთარი სახელმწიფოებრიობის მოპოვებაში მდგომარეობს (თუ ასეთი მიზანი არც არის მოცემულ მომენტში დასახული, იმის გამო, რომ არ არის რეალური შესაძლებლობები, მაშინ, ასეთი კონფლიქტები აუცილებლად ხდება პოლიტიკური). მაგრამ ეს საკმარისი არ არის. იმისათვის, რომ ეთნიკური კრიზისი მომწიფდეს, ეთნოსმა თავი უნდა იგრძნოს დისკრიმინირებულად, როგორც სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით (დაბალი შემოსავლები, არაპრესტიჟული სამსახურები, დაბალი განათლების დონე), ასევე სულიერი მაჩვენებლებით, (რელიგიის შევიწროება, ენის გამოყენების შეზღუდვა, ტრადიციების და წეს-ჩვეულებების უპატივცემლობა). ასე, რომ ნებისმიერი ეთნიკური კონფლიქტი არის არა „ორი ერთში“ არამედ, სამი და ოთხი „ჩვეულებრივი“ კონფლიქტი ერთ ეთნიკურ კონფლიქტში.
- ამ ტიპის კონფლიქტი ყოველთვის გამოირჩევა ემოციურობის, ვნების, ადამიანური ბუნების ირაციონალურ მხარეთა გამოვლენის მაღალი დონით.
- მასშტაბურ ეთნიკურ კონფლიქტთა უმრავლესობას აქვს ღრმა ისტორიული ფესვები და თუ ასეთი სახეზე არ არის, კონფლიქტური მხარეები ყოველთვის ქმნიან ფსევდოისტორიულ მოვლენებს, თავისებურებებს (ენა, ყოფა, რწმენა). ეს თავისებურებები შეადგენენ ეთნოსის თითოეული წევრის ცხოვრებას, რაც უზრუნველყოფს მოძრაობის მასობრივ ხასიათს.
- ეთნიკური კონფლიქტი ატარებს „ქრონიკულ“ ხასიათს და არა აქვს საბოლოო გადაწყვეტა.

რადგან, ეთნიკური ურთიერთობები ძალზედ მოძრავია და ის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ხარისხი, რაც დამაკმაყოფილებელია ეთნოსის ამჟამინდელი თაობისათვის შეიძლება, არასაკმარისი აღმოჩნდეს მომავალი თაობებისათვის, ეთნოპოლიტიკური ურთიერთობები თავისთავად კონფლიქტოგენურია. როდესაც, ამას ემატება პოლიტიკური შეცდომები, მათი ფეთქებადი პოტენციალი გაცილებით იზრდება. ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არის უამრავი ეთნოკონფლიქტი, რაც გამოწვეულია უხეში შეცდომებითა და ხშირ შემთხვევაში, დანაშაულითაც კი. ეთნო კონფლიქტების სქემა დაახლოებით ასე გამოიყურება: დაზარალებული ეთნოსი მოითხოვს სამართლიანობის აღდგენას, მისი აღდგენის გარანტია კი საკუთარი სახელმწიფოა ამა თუ იმ ფორმით. პირველი ნიშანი ნებისმიერი სახელმწიფოსი არის ტერიტორია. ამიტომ, პოტს-საბჭოთა სივრცეში მომხდარი 23 ეთნო კონფლიქტის საფუძველი არის სწორედ ტერიტორია. გარკვეული მონაცემების მიხედვით, 1992 წლისათვის პოსტ საბჭოთა ტერიტორიაზე დაფიქსირდა 200 ეთნოტერიტორიული „კონფლიქტი“, თუმცა 1996 წლისათვის აღნიშნული პრობლემა უფრო გააქტიურდა და მათმა რიცხვმა 140 გადააჭარბა.

თავი XII
კოლექტიური ქცევა

<u>კოლექტივი</u>

კოლექტიური ქცევის ცნების გაგებისათვის, აუცილებელია ჯერ გავიგოთ და გავარკვიოთ, რა არის კოლექტივი, რა იგულისხმება და რა მოიაზრება მასში.

კოლექტივი ადამიანზე ზემოქმედია. მისი განვითარების და ქცევის მარეგულირებელ სოციალურ ფაქტორთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა მის გარემომცველ კოლექტივს ენიჭება. კოლექტივში ყოფნით და მის საქმიანობაში მონაწილეობით, ინდივიდის მოქმედება ერთიანი მთლიანის ნაწილად იქცევა, რის გამოც მისი პიროვნული თვისებები, მისი გავლენა და კოტექცია, პოზიციები, რომელიც ადამიანებს უკავიათ ამა თუ იმ საკითხის ან ვითარების მიმართ, გარკვეულწილად მათი უშუალო საზოგადოებრივი გარემოს – კოლექტივის ცხოვრებით, საქმიანობით და შესაძლებლობებით არის ზღვარდადებული.

ადამიანს, როგორც კოლექტივის წევრს, მისთვის მიჩნეული საზოგადოებრივი ფუნქციის შესრულება უხდება კოლექტივის სხვა წევრთა სოციალურ მოქმედებებთან ერთად. კოლექტივში შესული ყოველი ადამიანი, რასაკვირველია, პირადი ინტერესების, მიზნების და მოთხოვნილებების რეალიზაციისათვის იღწვის, რაც მისი ინდივიდუალური და საზოგადოებრივი მდგომარეობით აიხსნება.

კოლექტივთან ურთიერთობაში ვლინდება ადამიანთა სოციალური არსებობისა და განვითარების ზოგადი კანონზომიერება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოებას, სოციალურ გარემოს განმსაზღვრელი როლი ეკუთვნის ადამიანის განვითარებაში. მაგრამ, აუცილებელია დადგინდეს ადამიანისა და კოლექტივების მიმართების მეორე მხარეც – თუ ადამიანი საზოგადოების განმსაზღვრელ ზეგავლენას განიცდის, სამაგიეროდ, თვითონაც აქტიურად ზემოქმედებს კოლეტივზე. ხელს უწყობს კოლექტივის წარმატებას, შესაძლოა აფერხებდეს კიდევაც მას. ეს განსაკუთრებით თვალნათლივ ჩანს ხელმძღვანე-

ლი მუშაკების საქმიანობაში, რომლებიც მეტად მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებენ კოლექტივის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში. მაგ.: საწარმოს, დაწესებულების, ნებისმიერი შრომითი კოლექტივის სამეურნეო-ადმინისტრაციული პერსონალი, მენეჯერები, პროფკავშირული ან სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, იერარქიული თანამდებობის მმართველი პირები, კოლექტივების გაძღოლის, მისი ინტერესების დაცვისა და გატარების რთულ და საპატიო საქმეს განაგებენ. მათ მოქმედებას იმთავითვე უშუალო და ფართო საზოგადოებრივი რეზონანსი მოსდევს. ხელმძღვანელ პირთა საქმიან, პოლიტიკურ, მორალურ თვისებებზე დიდად არის დამოკიდებული კოლექტივის მიღწევები ან წარუმატებლობა. მათ მისაბაძ მოქალაქეობრივ შემართებას, ორგანიზატორულ ნიჭს, დაკვირვების, ანალიზისა და განზოგადების უნარს, ახლის წვდომის შესაძლებლობებსა და სწორ გადაწყვეტილებებს შეუძლია დააჩქაროს კოლექტივის წინსვლა, განუსაზღვროს მას არსებული სიძნელეებიდან გამოსვლის ეფექტური საშუალებანი. ხელმძღვანელ მუშაკებთან ერთად კარგ მაგალითს იძლევიან, აგრეთვე კოლექტივის რიგითი წევრებიც. განსაკუთრებით მოწინავენი, ნოვატორები, რომლებიც სანიმუშო ხდებიან რა სხვებისათვის, მათთან გაიგივების მისწრაფებებს აღვივებენ.

უმართებულოდ მიგვაჩნია მოსაზრება, თითქოს ადამიანი იკარგება კოლექტივში და იგი ვერ ავლენს ბოლომდე თავის თვისებებს ან შეზღუდულია კოლექტივით, რადგან იძულებულია ანგარიში გაუწიოს სოციალურ ჯგუფს. სინამდვილეში საზოგადოებრივი ჯგუფების ურთიერთობა არამც თუ არ გამორიცხავს პიროვნულ ურთიერთობებს, არამედ მოიცავს და ემყარება მას, როგორც იმანენტურ აუცილებლობას. ყოველ ადამიანს, რომელიც ურთიერთობაში, იმყოფება კოლექტივთან და მისი საშუალებით საზოგადოებასთან, თავისი გარკვეული, ზოგჯერ კი, უაღრესად მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მის ცხოვრებაში.

<u>კოლექტიური ქცევა</u>

კოლექტიური ქცევა ჯგუფის მოქმედებაა, რომელსაც წარმართავს სპონტანურად წარმოქმნილი, ემერგენტული ანუ მყი-

სიერი ნორმები და არა დიდი საზოგადოების სოციალური ნორმები. კოლექტიური ქცევა, შეიძლება უპირისპირდებოდეს საზოგადოების ნორმებს და მოქალაქეთა უმრავლესობის შეხედულებებს და მას ალტერნატიული ნორმები არეგულირებდეს. კოლექტიური ქცევა, ჩვეულებრივ ასოცირდება ნორმებთან, რომლებიც მეტწილად არ ემთხვევა საზოგადოების კონვენციურ ნორმებს, იგი ყოველთვის არ არის საზოგადოებისათვის საზიანო. პირიქით, ხშირად იგი დადებითი სოციალური და კულტურული ცვლილებების საფუძველია, ხოლო დროული ცვლილებები ძალზე მნიშვნელოვანია ნებისმიერი კულტურის არსებობისა და გადარჩენისათვის.

კოლექტიური ქცევა სამი სახისაა, ესენია: მასობრივი ქცევა, ხალხის ქცევა და სოციალური მოძრაობა.

მასობრივ ქცევას ადგილი აქვს, როდესაც ადამიანები ცალ-ცალკე, მსგავსად რეაგირებენ ერთსა და იმავე მოვლენაზე. მაგალითად: მოდა, გატაცება, პანიკა.

ხალხის მასა ერთად შეკრებილ ადამიანთა დიდი რაოდენობაა. მაგ.: ქუჩაში მიმავალი ხალხი, კინო-თეატრიდან გამოსული ხალხი, შეკრებილი ხალხი. სოციალური მოძრაობების სულისჩამდგმელი სწორედ ხალხია, ეს შეიძლება იყოს საპროტესტო აქციები, ხელისუფლების წინააღმდეგ ან სულაც მხარდამჭერი. ხალხთა მასების შეკრებას ახასიათებს ემოციები, არეულობები, პანიკა, შიში. ემოციები – აღმოცენდება, როცა ადამიანი თავს დაუცველად გრძნობს და მასზე ახორციელებენ ზეწოლას ან სულაც ირღვევა მისი უფლებები. არეულობები – როცა ადამიანები, ემოციებიდან გადადიან ფიზიკურ მოქმედებაზე. პანიკა – შეიძლება გამოწვეული იყოს მაგ. მიწისძვრით, შიშით, წყალდიდობით და ა.შ.

<u>მასობრივი ქცევა</u>

მასობრივ ქცევას ქმნის მასმედია და ადამიანიდან ადამიანზე გადაცემული ინფორმაცია. მასობრივი ქცევის ხუთი მასახიათებელი არსებობს: საზოგადოებრივი აზრი, გატაცებები, „მანიები“, მოდა და პანიკა.

საზოგადოებრივი აზრი ღირებულებებისა და შეხედულებე-

ბის ერთობლიობაა, რომელიც, მოცემულ მომენტში, საზოგადოების წევრებს აქვთ გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით. საზოგადოებრივი აზრი მუდამ განიცდის ცვალებადობას, იმის მიხედვით თუ რა საკითხებია მოცემულ მომენტში აქტუალური. საზოგადოებრივი აზრის შექმნას ხელს უწყობს, ხან უმრავლესობის გავლენა, ხან კი – უმცირესობის ინტერესები. როგორ ახდენს უმცირესობა ზეგავლენას საზოგადოებაზე? ტელევიზია, ჟურნალ-გაზეთები, ინტერნეტი, რომლებიც ამა თუ იმ საკითხის შესახებ პროპაგანდას ეწევიან, რათა ზემოქმედება მოახდინონ ხალხის მასებზე. ეს პროპაგანდა ზოგჯერ შეიძლება იყოს დეზინფორმაციის შემცველი. დეზინფორმაცია არის სწორედ ის არასწორი ინფორმაცია, რომლითაც ხორციელდება ზემოქმედება საზოგადოებაზე. ანუ მას უყალიბებს იმ შეხედულებებსა და მრწამსს, რაც მისთვის გარკვეულ მომენტში არის აუცილებელი. მაგალითად: ჰიტლერმა გერმანელი ხალხი დაარწმუნა, რომ ისინი არიან მხოლოდ წმინდა „არიელები“ და უნდა ბატონობდნენ მთელს მსოფლიოში. საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში მცირერიცხოვანი ელიტის მონაწილეობით, ადამიანთა უმრავლესობა ვერ ერკვევა საზოგადოების უმნიშვნელოვანეს საკითხებში, ამიტომ მასზე ზემოქმედება პროპაგანდით ძალზე ადვილი ხდება. არ შეიძლება იმის თქმაც, რომ საზოგადოებას სრულად იმორჩილებს პროპაგანდა, რადგან ჩვეულებრივ ხალხს ნამდვილად აქვს კონკრეტულ საკითხებზე თავისი ჩამოყალიბებული აზრი და შეხედულება. მაღალი და საშუალო სოციალური ფენებისათვის მედია საშუალებებით გავრცელებული ინფორმაცია უფრო იოლად ხელმისაწვდომია, ხოლო დაბალი სოციალური ფენისათვის – არა. სწორედ ამიტომაც წარმოიქმნა საინფორმაციო განშტოება-გაყოფა. მაღალი სტატუსის ადამიანები, თავისთავად ფლობენ მეტ ინფორმაციას პოლიტიკის საკითხებში და უფრო მეტად მონაწილეობენ პოლიტიკურ პროცესებში, ვიდრე დაბადი სოციალური სტატუსის მქონე ადამიანები.

გატაცება, „მანიები“ და მოდა

გატაცება, მანია და მოდა, ყოველი მათგანი რაიმესკენ მიმართულ ქცევაში ვლინდება. **<u>გატაცება</u>** ინტენსიურია და სპონ-

ტანური, რომლის დროსაც ადამიანს აქვს გარკვეული მიზანი, რომელსაც აფიქსირებს თავის გამოსვლაში, საუბარსა თუ დიალოგში. იგი სერიოზულ გავლენას ახდენს საზოგადოებაზე. **მანია,** არის საზოაგდოების ქცევა, რომელიც ხასიათდება საერთო ინტერესით, მაგრამ იგი ხანმოკლეა და ისეთ ზეგავლენას ვერ ახდენს საზოგადოებაზე, როგორსაც გატაცება. **მოდა,** ეს არის ადამიანის ან მთელი საზოგადოების ჩაცმის სტილი. მოდა სპეციალურ ხასიათს ატარებს იქიდან გამომდინარე, რომ იგი მუდამ ცვალებადია. თუმცა, მოდას ახასიათებს თავისი სტილი და ჩვენ ხშირად ვამბობთ: რეტროს სტილი, კლასიკური სტილი, ავანგარდული და ა.შ.

პანიკა

პანიკა სპონტანურია, იმ სიტუაციიდან გამომდინარეა, რომელშიც იმყოფება ადამიანი გარკვეულ მომენტში და ამიტომაც, იგი არის არაორგანიზებული. იგი მიმართულია არა რაღაცისკენ, არამედ გაქცევაა რაღაცისაგან. პანიკა, მაინცდამაინც ფიზიკურ გაქცევას არ გულისხმობს, იგი თავისთავში მოიცავს არაადეკვატურ ქცევას, დაბნეულობას, შიშს საშინელი მოლოდინით. ადამიანი ვერ ღებულობს გადაწყვეტილებას და გაუგებრობაშია. ეს ისტერიული მდგომარეობა გადამდებია და მასობრივ პანიკას იწვევს. პანიკის მიზეზი უამრავი შეიძლება იყოს. მაგ.: საქართველოში 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი, როდესაც მოსახლეობა მოიცვა საერთო პანიკამ, რომ რუსის ჯარები შემოვიდნენ თბილისში.

ხალხი

ტერმინს „ხალხს“ სხვადასხვა მნიშვნელობით ვიყენებთ. ხალხი არის ადამიანთა ისტორიული ერთობის ერთ-ერთი ფორმა, აღმოცენებული ეთნიკური ნიშნების – ენის, კულტურის და ა.შ. ბაზაზე. მაგრამ, ადამიანთა ერთობა სრულყოფილად მაინც არ გამოხატავს ხალხის ცნებას.

ხალხის ცნება თავისი მოცულობით, საზოგადოების ცნებასთანაც ასოცირდება. სწორედ ხალხი, ხალხის მასების ერთობლიობა და ურთიერთობა გვაძლევს საზოგადოებას. თუ არა ხალხი – ერთობლიობა ადამიანებისა, რომელთა ურთიერთობა-

ში ყალიბდება იგი – არ იარსებებდა საზოგადოება, როგორც სოციალური რეალობა. მაგრამ არც საზოგადოების და ხალხის ცნებების შინაარსია იდენტური. საზოგადოების ცნებით, უპირატესად ადამიანთა ერთობლიობის თვისობრივ მხარეს მოვიაზრებთ, მაგრამ სწორი არ იქნებოდა, ხალხის ცნების რედუქცია მის თვისობრივ ხარისხზე აგვეყვანა. სინამდვილეში ხალხისა და ხალხთა მასების ცნება როგორც რაოდენობრივ, ისე თვისობრივ მხარეებს მოიცავს. რიცხობრივ კრებადობასთან ერთად, იგი ადამიანთა სოციალურ ჯგუფებად, მათ ასაკობრივ, სქესობრივ, ეროვნულ, პროფესიულ, ტერიტორიულ და სხვა ნიშნით გაერთიანებასაც გულისხმობს.

ხალხი – საზოგადოების რეალური, კონკრეტული გამოვლინება და მატარებელია. ისტორიის სუბიექტია, მისი შემადგენელი ადამიანებისა და მათი ჯგუფების მრავალფეროვნებით, საერთო და განსხვავებული ინტერესების მოთხოვნილებებით, მისწრაფებებით, იდეალებით და ქცევებთ.

რა განაპირობებს ხალხის მასის ქცევას? უპირველეს ყოვლისა ფიზიკური მოძრაობა, რომელიც გადაადგილებასთან არის დაკავშირებული. მაგ.: ღია ცის ქვეშ ჩატარებული კონცერტი, სადაც ხალხთა მასების თავყრილობაა. ისინი კოლექტიურად გადაადგილდებიან, რათა უფრო ახლოს მივიდნენ შემსრულებლებთან და სცენასთან.

ხალხი სრულიად სხვა სახის კოლექტიური ცხოვრების ფორმაა. ჯერ განვიხილოთ შეკრებილი ხალხი ანუ აუდიტორია. შეკრებილი ხალხი შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის. მაგალითად, შემთხვევით შეკრებილი ხალხი, რომელიც შეიძლება ორი ფორმით გამოვლინდეს: როგორც დამსვენებელი ხალხი, რომელიც ეძებს გასართობს (მაგ.: ცირკი, საკონცერტო დარბაზი) და როგორც ინფორმაციის მაძიებელი ხალხი, რომელიც იკრიბება ლექციებზე, საინფორმაციო კრებებზე, გამოფენაზე, აგრეთვე მიტინგებსა და პოლიტიკურ კრებებზე.

შეკრებილი ხალხი – ეს არის გარკვეული რაოდენობის ადამიანების თავყრილობა, შეპყრობილი ერთნაირი განცდის მოლოდინით ან დაინტერესებული ერთი და იგივე საგნით. საერ-

თო დაინტერესება და განწყობათა პოლარიზაცია ერთი და იგივე საგნის ან მოვლენის გარშემო, მისი განკერძოების საფუძველია. შემდეგი ნიშანია – ერთგვარად მსგავსი რეაგირებისათვის მზაობა. განწყობათა ორიენტაციის და მოქმედებისათვის მზაობის ეს მსგავსება ხალხის გაერთიანების საფუძველია. გაერთიანების შემდეგ, მათზე ყველა ერთიდაიგივე სტიმულების (ფილმი, თეატრალური დადგმა, ლექცია ან განხილვა) გავლენით ხალხის წრეში იქმნება გარკვეული – მსგავსი ან საერთო რეაქციები, განცხადებები ან მდგრადი ორიენტაციები. ხალხი კინო, კონცერტზე ან თეატრში აცნობიერებს თავის განწყობილებას და ამ გაცნობიერებამ შეიძლება გააძლიეროს საერთო სტიმულის მოქმედებით გამოწვეული შთაბეჭდილება. ამრიგად, ხალხში შეიძლება გაჩნდეს ისეთივე მოვლენები, როგორიც ბრბოში, სახელდობრ: საერთო ემოციური დაძაბულობა და სოლიდარობის, ერთიანობის შეგრძნება. ამიტომ შეკრებილი ხალხის ზოგიერთი ნაწილი, მაგალითად თავყრილობები, კრებები, მიტინგები, შეიძლება ადვილად გადაიქცეს ექსპრესიულ ან აგრესიულ ბრბოდ. ეს ხშირად ხდება სპორტულ სანახაობათა ხილვით, მაგალითად: ხარებთან ბრძოლის დროს „ემოციური გადამდებობის“ გავლენით, ადამიანები დემოსტრაციებისა და ტერორის მომწყობ ბრბოდ იქცევა. გაფანტული ხალხი – ეს არის მხოლოდ „პოლარიზებული მასა“, ე.ი. ადამიანთა დიდი რაოდენობა, რომელთა აზროვნება და ინტერესი სტიმულებით ერთი მიმართულებითაა ორიენტირებული. ეს ადამიანები ცხოვრობენ არა „ერთმანეთის გვერდით“, არამედ „ერთმანეთის ახლოს“, მაგრამ მიუხედავად ამისა, ერთნაირად იქცევიან. ეს ერთნაირი ქცევა და შეხედულება გამოიხატება ერთნაირ ორიენტაციაში მაგ.: მოდა, ფილმის შეფასება, ზოგიერთი მუსიკოსის ან მსახიობის თაყვანისცემა. აღნიშნული ასევე შეიძლება ეხებოდეს სოციალურად მნიშვნელოვან საკითხებსაც, როგორებიცაა იდეოლოგია, რელიგია, მეცნიერება. გაფანტულ ხალხში არ იჩენს თავს ბრბოს ან თავშეყრილი ხალხის დამახასიათებელი მოვლენები, ამ დროს ისეთი მოცულობით არ ვლინდება „ემოციური გადამდებლობა“, არ ქრება რეფლექსურობა და არ ჩნდება დე-

ინდივიდუალიზაციის პროცესი. მაგრამ თუ რადიოგადაცემა ძალიან გამაღიზიანებელია, მაგალითად, როგორც განთქმული გადაცემა, რომელიც კომენტარს უკეთებდა მარსიანელების თავდასხმას ამერიკის შეერთებულ შტატებზე 30-იან წლებში (1938), ამან შეიძლება გამოიწვიოს პანიკა და მილიონობით ადამიანის გაქცევა. პოლარიზებული მასებისა და გაფანტული ხალხის ყოველგვარი სახეობა წარმოადგენს მსგავსი შეხედულებების შემუშავებისა და გარკვეული ინფორმაციის არაკრიტიკულ მიღებას, ზოგიერთ საკითხზე აზრის შექმნის ბაზას, იმისათვის მზადყოფნის ბაზას, რომ მსგავსი რეაგირება მოახდინონ იდენტურ სტიმულებზე, როგორიცაა – ხმების აყოლის და გავრცელების ფაქტები. მაშასადამე ხალხი, ყოველგვარი მოდის შექმნის, ხმების აყოლისა და გავრცელების, იდეოლოგიის მიღებისა და სოციალურ მოძრაობათა წარმოშობის ბაზას წარმოადგენს.

<u>ლებონის მასის ფსიქოლოგია</u>

მე-19 საუკუნის ბოლოს რამდენიმე ნაშრომი გამოქვეყნდა, რომელთა მიზანი ახალი სოციალური ჯგუფის – ბრბოს ანალიზის საფუძველზე კოლექტიური ფსიქოლოგიის დაფუძნება იყო. მათ შორის, ერთ-ერთი სიგელეს ნაშრომი – „დამნაშავე ბრბოა“. ეს შრომა რამდენიმე მიმართებითაა მნიშვნელოვანი. მასში გ. ტარდსა და სხვა თანამედროვე მოაზროვნეებზე დაყრდნობით, გაკეთებულია თეორიული განზოგადება, რომელშიც განიხილება ორგანიცისტულ სოციოლოგიასთან მიმართება, სოციალური ინდივიდისა და სოციალური ჯგუფის განსხვავება, ფსიქოლოგიისა და სოციოლოგიის დამოკიდებულება და მათ მიჯნაზე ახალი თეორიის – კოლექტიური ფსიქოლოგიის დასაბუთება.

ლებონი ეკუთვნის იმ მოაზროვნეთა რიცხვს, რომელთათვისაც საზოგადოებრივი ცხოვრების განმსაზღვრელია ფსიქიკა, სულიერი პროცესები, ისინი განსაზღვრავენ და ქმნიან საზოგადოებრივი ცხოვრების მთელ მრავალფეროვნებას. ლებონის მსოფლმხედველობის გასაღებია თანამედროვე სოციოლოგიის ძირითადი პრინციპი, რომ იდეები მართავენ სოციალურ სამყაროს. ლებონის აზრით, იდეები იმდენად მყარად ეუფლება

ბრბოს, რომ მას შემდეგაც, რაც განათლებული ფენები შეიცნობენ ამ იდეათა სიყალბეს, ეს იდეები კიდევ დიდხანს მართავენ ბრბობს ცნობიერებას. ერთნაირად ძნელია, როგორც ახალი იდეის დანგრევა, ისევე ძველი იდეის მოსპობა. თანამედროვე სამყაროს ტრაგედიულობას ლებონი მიაწერს თანასწორობის იდეას, რომელმაც შეარყია ძველი საზოგადოების საფუძვლები.

სოციალურ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, არსებითი მომენტი ლებონთან იმით გამოიხატება, რომ მან მიუთითა განსხვავებაზე ინდივიდსა და ჯგუფის ფსიქოლოგიებს შორის. მისი აზრით, ის რაც ინდივიდს, როგორც ინდივიდს, ახასიათებს ფსიქიკური წყობის სახით, სახეს იცვლის ჯგუფისა და უფრო დიდი სოციალური ერთობების შემთხვევაში. ამიტომ, ცალ-ცალკე ყველა ინდივიდის ფსიქიკური წყობა, რომ შევისწავლოთ, ამით ვერ ამოვწურავთ მათი ერთობის სოციალურ-ფსიქოლოგიურ კანონზომიერებას. რადგან ეს ერთობა არაა ინდივიდთა ფსიქიკური წყობის უბრალო ჯამი, იგი ინდივიდის ფსიქიკური წყობისაგან არსებითად განსხვავებულია. ყველაზე საოცარი ფაქტი, რომელსაც ვხედავთ გასულიერებულ ბრბოში შემდეგია: როგორიც არ უნდა იყვნენ ბრბოს შემადგენელი ინდივიდები, მათი ცხოვრების წესი და დასაქმება, ხასიათი და ჭკუა, მათი ბრბოდ გადაქცევა საკმარისია იმისათვის, რომ შეიქმნას კოლექტიური სულის გვარობა, რომელიც აიძულებს, გრძნობდნენ, ფიქრობდნენ და მოქმედებდნენ სრულიად სხვაგვარად, ვიდრე იფიქრებდა, იმოქმედებდა და იგრძნობდა ცალ-ცალკე ყოველი მათგანი.

ლებონის აზრით, ბრბოს შემთხვევაში ინდივიდუალური სულის ადგილს იჭერს კოლექტიური, რომელიც ბრბოსთან ერთად აღმოცენდება და აძლევს მას ორგანიზებული მასის ხასიათს. ამავე დროს, იგი სრულიად განსხვავებულ კანონზომიერებას ექვემდებარება, ვიდრე ინდივიდუალური სული. სწორედ, ამ კოლექტიური სულის კანონზომიერება გახდა ლებონისათვის ფსიქოლოგიის და სოციოლოგიის ახალი დარგის საგანი.

ლებონი უარყოფდა გარემოს როლს, მიაჩნდა, რომ ინდივიდის ფსიქიკაა ყოველივეს განმსაზღვრელი, მაგრამ სწორედ იგივე ინდივიდები, რომლებიც ჩვეულებრივ სიტუაციაში არაფ-

რით გამოირჩეოდნენ, რევოლუციურ სიტუაციაში და საერთოდ. შეცვლილ ვითარებებში განსაკუთრებულ უნარს ავლენდნენ. ამიტომ სინამდვილეს შეესაბამება დებულება, რომ დიდი პიროვნებანი ყოველთვის მაშინ გამოჩნდებიან, როდესაც მათზე მოთხოვნილებაა საზოგადოებაში და მათი ასპარეზიც ხომ, საზოგადოებრივი ცხოვრებაა გარემოს სახით. ლებონი ამტკიცებს, რომ „კოლექტიურ სულში ინდივიდთა ინდივიდუალური უნარები და მაშასადამე, მათი ინდივიდუალობა ქრება. მრავალფეროვანი იძირება ერთფეროვანში და იმარჯვებენ არაცნობიერი თვისებები“. ლებონის აზრით, ბრბოში ნიველირების ძალა იმდენად დიდია, რომ ბრბო, თუნდაც ჭკვიანი ადამიანებისაგან შედგებოდეს, მაინც მათი გადაწყვეტილება არ იქნება ჭკვიანური, რადგან კოლექტივის, მასის ინტერესი თრგუნავს ინდივიდის ინტელექტს. რამდენად იცვლება ინდივიდი ბრბოში, ამის მაჩვენებლად ლებონს მიაჩნდა ის, რომ ცალკეული ინდივიდი ბრბოს გარეშე პასუხისმგებლობის გრძნობას ექვემდებარება და გარკვეული შიში აკავებს. ბრბოში კი, იგივე ინდივიდი კარგავს ამ შემაკავებელ ძალებს. მას უჩნდება დაუძლევლობის ცნობიერება, რითაც ისეთ ინსტიქტებს ექვემდებარება, რომელთაც იზოლირებულად არასოდეს მიეცემოდა. ეს იმის შედეგია, რომ ბრბო ანონიმურია და იგი პიროვნულად პასუხს არ აგებს. ბრბოში პასუხისმგებლობის გრძნობა მთლიანად იკარგება. ლებონის აზრით, ბრბოში ინდივიდის ახალი ვითარება იმითაცაა გამოწვეული, რომ მას გადაედება სხვა ადამიანების მოქმედება. ის თითქოსდა ჰიპნოზირებულია, საკუთარ ინტერესებზე ხელს იღებს და საზოგადოებრივს ექვემდებარება, მისი ცნობიერება გადაბრუნებულია და ამიტომ მოქმედებს ისე, როგორც ყველა. ამათანაა დაკავშირებული ბრბოში პიროვნების შემდეგი ნიშანი – ის ადვილად ექვემდებარება შთაგონებას, ხოლო იზოლირებულ ვითარებაში ეს ასე არ ხდება. ინდივიდს სხვისი მოქმედება, რომ გადაედება, სწორედ ამ ადვილად შთაგონებადობის შედეგია. ისე როგორც, ჰიპნოზირების შემთხვევაში, ცნობიერი ცხოვრება, ნებელობა და განსჯა სრულიად ქრება და ჰიპნოზიური წარმართავს ადამიანის გრძნობებსა და

აზრებს, ასევეა, ეს სუბიექტი ბრბოს შემთხვევაში. ბრბო წარმართავს მის მოქმედებას. ეს ნიშნავს, რომ ინდივიდი ბრბოში ცივილიზაციის რამდენიმე საფეხურით დაბლა ეშვება. თუ იზოლირებულ მდგომარეობაში ცივილიზებული იყო, ბრბოში ის ბარბაროსია. მას აღმოაჩნდება თვითნებობის, სისასტიკის, ამბოხის და გმირობის თვისებები, რაც პირველყოფილ ადამიანს ახასიათებდა. ლებონის მოსაზრებანი საბოლოოდ ასე გამოიყურება: „ცნობიერი პიროვნების გაქრობა, არაცნობიერი პიროვნების უპირატესობა, გრძნობათა და იდეათა ერთნაირი მიმართულება, რასაც განსაზღვრავს შთაგონება, სწრაფვა. შთაგონებული იდეები მყისვე გადაიქცევიან მოქმედებად. ეს არის ძირითადი ნიშნები, რაც ახასიათებს ინდივიდს ბრბოში. მას უკვე აღარ აქვს თავისი მეობა და იქცევა ნებელობის არამქონე ავტომატად“. ბრბო გარეგანითაა განსაზღვრული და იმპულსებით წარიმართება. მას არა აქვს რეფლექსების დაოკების უნარი. ბრბო მოკლებულია წინასწარ გააზრების საშუალებას და ის ყოველთვის მომენტალურად მოქმედებს. მისი სურვილები დაუოკებელია. მისთვის აკრძალული არ არსებობს. დაბრკოლება კი არ აჩერებს, არამედ ანრისხებს და განრისხებული ყველაფერს სპობს თავის სურვილის განხორციელების გზაზე. ბრბო ადვილად დარწმუნებადია. არაცნობიერის ზღვარზე მყოფი ბრბო, განსჯას არ ექვემდებარება და არც კრიტიკას ცნობს. ბრბოს არა აქვს დაკვირვების უნარი, სულ ერთია ვისგან შედგება ის – მეცნიერებისაგან თუ უვიცთაგან, ბრბომ არ იცის, არც დაეჭვება და არც მერყეობა. ის უკიდურესობაში ვარდება – ან უსაზღვრო სიყვარული, ან უსაზღვრო სიძულვილი. ყოველივე ამას, ხელს უწყობს ბრბოს უპასუხისმგებლობა თავისი ქმედებისათვის, რაც უფრო დიდია ბრბო, მით უფრო უპასუხისმგებლოა იგი. ლებონის აზრით, ბრბოსათვის, სხვა ნიშნებთან ერთად აღსანიშნავია შეუწყნარებლობა, ავტორიტეტისადმი დაქვემდებარება და კონსერვაციულობა.

ბოლოს გვინდა აღვნიშნოთ, რომ ბრბოს გავლენა ინდივიდზე წარმავალია, თუმცა გაჩენილი განწყობილება შეიძლება დიდხანს დარჩეს. ბრბოს გამაერთიანებელი კავშირი ირღვევა

თუ ახალი სტიმულები სხვა ემოციებს წარმოშობენ. თუ დემონ-სტრაციის მომწყობ ბრბოს წყლის ჭავლს მიუშვერენ ან ცეცხლს დაუშენენ, თვითშენახვის ინსტინქტის ან შიშის გავლენით, რომლებიც ინდივიდებს უკარნახებს გაიქცნენ შეტაკების ადილიდან, ბრბო იფანტება. ბრბო შეიძლება დაიშალოს სხვა მისწრაფებების გავლენითაც. მაგალითად, როგორიცაა შიმშილი, აღელვება, იუმორის გრძნობა, რომლებიც მიმართულია სხვა მიზნებისაკენ, ვიდრე ბრბოს თავდაპირველი აგზნება.

<u>სოციალური ქმედება</u>

სოციალურ ქმედებასთან მიმართებაში მარქსმა გააკეთა ორი დასკვნა. პირველი -კლასობრივი უთანასწორობა ძირითადად ინდივიდუალური ქმედების შედეგია. ზოგი ახალი მეწარმე შეიძლება გახდეს ბიზნესმენი და ზოგი ბიზნესმენი გაკოტრდეს, მაგრამ ეს არ ცვლის სისტემას. უფრო მეტიც, კაპიტალისტები ექსპლოატაციას იმიტომ კი არ უწევენ მუშებს, რომ ისინი ცუდები არიან, არამედ იმიტომ, რომ ეს ერთადერთი გზაა მოგების მისაღებად და კაპიტალისტურ სამყაროში გადასარჩენად. ის ფაქტი, რომ კაპიტალისტები დაბალ ხელფასებს უხდიან თანამშრომლებს, განპირობებულია საზოგადოებაში მათი კლასობრივი მდგომარეობით. ამავდროულად, მუშას ოცნებაც კი არ შეუძლია, გახდეს კაპიტალისტი.

მარქსის მიხედვით, კაპიტალიზმი მოითხოვს მუშათა დიდ და კაპიტალისტთა შეზღუდულ რაოდენობას. ამიტომ, ძალიან ცოტა მუშა თუ შეძლებდა კაპიტალიზმის პირობებში სიღატაკისათვის თავის დაღწევას, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ გამდიდრდებოდა. მარქსი ურჩევდა მათ, თავი დაენებებინათ ერთმანეთს შორის კონკურენციისათვის, გაერთიანებულიყვნენ და რევოლუციის გზით შებრძოლებოდნენ კაპიტალიზმს. ამას უწოდებდა, მარქსი კლასობრივ ბრძოლას და მთელ მუშათა კლასს მოუწოდებდა, ინდივიდუალური წინააღმდეგობების ნაცვლად, ერთიანი წინააღმდეგობა გაეწიათ ამ მიუღებელი წყობილებისათვის და კაპიტალიზმი სოციალიზმით შეეცვალათ.

მარქსი გატაცებული იყო კოლექტიური ქმედებების იდე-

ით. ვებერი კი, უფრო მეტად ინდივიდების ქმედებას უჭერდა მხარს, რათა მათ შეეცვალათ თავიანთი საკუთარი ან მათი ჯგუფის ყოფა. ეს თავისთავად გულისხმობდა ინდივიდებსა და ჯგუფებს შორის კონკურენციას და შესაბამისად, ძალაუფლებასა და სტრატეგიას. ვებერს მაგალითად მოჰყავდა, თუ როგორ ქმნიან რელიგიური და ემიგრანტთა ჯგუფები ძლიერ საზოგადოებას და ერთმანეთს ეკონომიკურ დაწინაურებაში ეხმარებიან. რადგან ემიგრანტებს ინდივიდუალურად არ გააჩნიათ დიდი ძალაუფლება, ესაჭიროებათ ძალა, რომელიც მომდინარეობს კოორდინირებული სოციალური ქმედებისაგან.

სოციალური ქმედების შედეგია სოციალური მოძრაობა, რომელიც თავის თავში კოლექტიური ქცევის სხვადასხვა ფორმებს აერთიანებს. სოციალური მოძრაობები იშლება მზარდი მოლოდინების წლებში და არა მაშინ, როდესაც საქმე ძალზე ცუდადაა. მხოლოდ მაშინ, თუ ადამიანები მიიჩნევენ, რომ გარშემყოფთა ცხოვრება უმჯობესდება, მათაც უჩნდებათ პოზიციური მოლოდინები. ასეთ ვითარებაში, თუ სხვების ბედი უმჯობესდება, ხოლო მათი არა, ადამიანებს შეფარდებითი დეპრივაციის განცდა ეუფლებათ. ეს იდეა გამოთქვა პოლიტიკურმა მოაზროვნემ ალექსის დე ტოკვილმა, როდესაც საფრანგეთის რევოლუციის მიზეზებს იკვლევდა. ის თავის ანალიზში წერდა, რომ ძალადობრივი რევოლუციები იბადება მაშინ, როდესაც იმედი გამოანათებს და არა სრული უიმედობის დროს.

შეფარდებითი დეპრივაციის განცდა შეიძლება გაიზომოს უბრალო გამოკითხვის მეთოდით – რესპოდენტმა შეადაროს თავისი ბოლო 5 წლის ეკონომიკური შემოსავალი გარკვეული სოციალური ჯგუფების შემოსავალს. დეპრივაცია იწვევს პროტესტს, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება განცდილი დეპრივაციის სახეს. თუ ეს არის სტატუსის დეპრივაცია – საზოგადოებრივი მდგომარეობით უკმაყოფილება, გამოიხატება კოლექტიურ პროცესში, რომლის მიზანია ჯგუფის სტატუსის გაუმჯობესება. ხოლო თუ შეფარდებითი დეპრივაცია ეროვნულ გრძნობებს ეხება – მივიღებთ ეროვნულ დეპრივაციას და ეროვნულ მოძრაობას.

<u>რესურსთა მობილიზების თეორია</u>

სოციალური მოძრაობების შესახებ ერთ-ერთი თანამედროვე მიმდინარეობა რესურსთა მობილიზების თეორიაა, რომელიც თავის თავში მოიაზრებს საერთო მიზნის მისაღწევად ჯგუფის ინდივიდუალური წევრების მიერ რესურსების მოპოვებას და მის ორგანიზებას. ე.ი. სოციალური ჯგუფების კავშირები სხვა ჯგუფებთან, რომელიც შემდგომში წარმატების საწინდარი იქნება იმ გაგებით, რომ გარეგანი დახმარება, მათ საშუალებას მისცემს ტაქტიკის შემუშავებასა და უკეთ ორგანიზებაში.

სოციალური მოძრაობების ადრინდელ თეორიებში, ხაზგამული იყო ადამიანთა იდეოლოგიური ინტერესები და უკმაყოფილება. რესურსთა მობილიზების თეორიის თანახმად, სოციალურ მოძრაობაში მონაწილეობა ემყარება რაციონალურ მოსაზრებებს. კერძოდ, რა უფრო მეტ სარგებლობას მოუტანს ადამიანს – მოძრაობაში მონაწილეობა თუ არამონაწილეობა და მხედველობაში მიიღება ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა მისაწვდომია თუ არა მოძრაობისათვის საჭირო რესურსები.

რესურსების მობილიზების თეორია, განსხვავდება სოციალური მოძრაობების შესახებ სხვა თვალსაზრისებისაგან იმითაც, თუ რაში ხედავს იგი სოციალური მოძრაობის მიზანს, სტრატეგიას, ტაქტიკას და აგრეთვე მის კავშირს დანარჩენ საზოგადოებასთან. სოციალური მოძრაობის ადრინდელი თეორიები მოძრაობის საყრდენ ბაზად ჩაგრულ მოსახლეობას მიიჩნევდნენ, მოძრაობას სწორედ ის აწვდიდა „შრომით რეზერვს“. მობილიზაციის თეორიის თანახმად, სოციალური მოძრაობები შეიძლება ეყრდნობოდეს ან არ ეყრდნობოდეს ჩაგრულთა სოციალურ ჯგუფს. რესურსები და შრომა სხვა ჯგუფებმაც შეიძლება უზრუნველყოს.

რესურსთა მობილიზაციის თეორია დანარჩენ საზოგადოებასთან კონფრონტაციას გამორიცხავს. მეტიც, საჭიროდ მიიჩნევს საზოგადოებრივი ინსტიტუტების გამოყენებას, რათა მოხდეს მოძრაობის მხარდამჭერთა ინტეგრირება დიდ საზოგადოებაში. მნიშვნელოვან როლს იმაში, რომ მოძრაობის მიერ წა-

მოჭრილი პრობლემა ყველამ დაინახოს და გაიზიაროს, ასრულებს მასმედია.

რესურსთა მობილიზების თეორიის თანახმად, თავისთავად აღმოცენებულ სოციალურ მოძრაობებს დროთა განმავლობაში შეცვლის სოციალური მოძრაობის „პროფესიული“ ორგანიზაციები, რომლებიც ძირითადად გარედან მოზიდული დონორები იქნებიან. ამ ორგანიზაციებს ქმნიან ინტელექტუალები, რომლებსაც სურთ შეუმსუბუქონ მდგომარეობა გაჭირვებულებს, უნარშეზღუდულებს და აქვთ საშუალება თავისი წვლილი (ფულადი თანხა, დრო) შეიტანონ ორგანიზაციაში. მასმედია უზრუნველყოფს საჯაროობას, გამოინახება თანხები და გამოჩნდებიან მოქალაქეები, რომლებიც მოძრაობას დაეხმარებიან.

ბოლო დროს, აქცენტი კეთდება პოტენციურ მონაწილეთა მოლოდინებზე. ეს მოლოდინები ძირითადად ეხება მათსავით პოტენციურ მონაწილეთა რიცხვს. მოძრაობის წარმატების შანსები იზრდება, თუ მასში ბევრი ადამიანი გაერთიანდება. ადამიანი უერთდება მოძრაობას თუკი ფიქრობს, რომ მობილიზებით საზოგადოებრივი სიკეთე მიიღწევა. სწორედ ამიტომ, ხალხის მობილიზების მიზნით ნერგავენ ხოლმე აზრს, რომ მოძრაობას უკვე ბევრი ადამიანი შეუერთდა.

სოციალური მოძრაობები, საზოგადოების ცვლილების ერთ-ერთი ძირითადი წყაროა. ჩვენ თვალწინ იშლება სამოქალაქო უფლებების მოძრაობა, მოძრაობა ქალთა უფლებებისათვის, გარემოს დასაცავად და მრავალი სხვა, რასაც უკვე მოჰყვა გარკვეული ცვლილებები საზოგადოებაში, რაც იქნება სხვა, ახალი მოძრაობების საწინდარი.

სოციალურ მოძრაობათა შესწავლით მიიღწევა სოციალური ფსიქოლოგიის ძირითადი ამოცანა – ინდივიდისა და საზოგადოების განუყოფელი ერთიანობისა და ურთიერთგავლენის ახსნის აუცილებლობა.

თავი XIII
სოციალური ფსიქოლოგია და ჯანმრთელობა
დაავადების სოციალური ფორმები

მეთოთხმეტე საუკუნეში ბებონურმა ჭირმა ევროპის მოსახლეობის დიდი ნაწილი იმსხვერპლა. დაავადებამ, რომელიც ძირითადად, დაცემინებისას ჰაერში გამოყოფილი ბაქტერიებით სწრაფად ვრცელდებოდა, მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ზოგ ქალაქში მოსახლეობის თითქმის ნახევარი დაიღუპა. ფიქრობენ, რომ ამ ავადმყოფობას ევროპის მოსახლეობის დაახლოებით მესამედი შეეწირა. ეპიდემიის გამო ხალხი ერთმანეთის მიყოლებით იხოცებოდა და ხშირად დამარხვასაც ვერ ასწრებდნენ.

შუა საუკუნეებში აღნიშნული დაავადება იდუმალებით იყო მოცული. რამდენიმე საუკუნე გავიდა, სანამ დაადგენდნენ, რომ მას ბაქტერია იწვევდა, რომელსაც ვირთხები და რწყილები ავრცელებდნენ. სამედიცინო მეცნიერებამ, დაიწყო გადამდები დაავადების ბუნების შესწავლა. XVIII-XIX საუკუნეების აღმოჩენებმა დაადასტურა, რომ დაავადება შეიძლება ბაქტერიით ყოფილიყო გამოწვეული და მისი აღკვეთა ვაქცინაციით მოხერხდებოდა. ამის შემდეგ, ბევრი ბაქტერიული დაავადება ნაკლებად საშიში გახდა. ექიმებმა დაიწყეს დაავადებების თანდათანობით „დაპყრობა“ – ჩუტყვავილა, ცოფი, ტუბერკულოზი, პოლიომელიტი უკვე აღარ ითვლებოდა მომაკვდინებელ დაავადებებად. ყველამ დაიჯერა, რომ ინფექციური დაავადებების ეპიდემიები, წარსულს ჩაბარდა.

მაგრამ დღეს, „შავი სიკვდილიდან“ 600 წლის შემდეგ, ის კვლავ დაბრუნდა – ამჟამად შიდსის (შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი) სახით. თუმცა შიდსი ერთია იმ ინფექციური დაავადებების ეპიდემიებიდან, რომლებიც გასულ წლებში ხალხს უმოწყალოდ ანადგურებდა.

დავადებები არა მარტო სამედიცინო, არამედ სოციალური პრობლემაცაა. ხშირ შემთხვევაში, შესაძლებელია დაავადების თავიდან აცილება ვაქცინაციით ან მისი განკურნება ხელმისაწ-

ვდომი მედიკამენტებით ხერხდება. თუმცა საკუთარ ჯანმრთელობას ხშირად ჩვენ თვითონ არ ვაქცევთ ყურადღებას. მაგალითად, ვაქცინაციის პროგრამების დაფინანსება შემცირდა, რადგან ზოგი დაავადების თითქმის ბოლომდე აღმოფხვრამ მათი საფრთხის აღქმა შეგვინელა.

ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რამაც ინფექციური დაავადებების დაბრუნება გამოიწვია, ალბათ ამ დაავადებების მეცნიერული კვლევის მნიშვნელობის უგულებელყოფაა. დღეს ინფექციურ დაავადებებთან შედარებით მეტი ყურადღება ე.წ. „ცივილიზაციის დაავადებებს“ ეთმობა, კერძოდ – გულ-სისხლძარღვთა დაავადებებსა და სიმსივნეებს. ეს დაავადებები კაცობრიობისათვის, განსაკუთრებით კი მისი შეძლებული ნაწილისათვის, ხდება ყველაზე მეტად სიკვდილიანობის მიზეზი. ამის გამო, ამ დაავადებების კვლევისათვის მილიონობით დოლარი იხარჯება. სიმსივნური და გულ-სისხლძარღვთა დაავადებები პრესტიჟულ სფეროდ ითვლება. სამედიცინო მეცნიერულ კვლევებში, საკვლევ ლაბორატორიებსა და ექიმებზე უამრავი ფული იხარჯება. ინფექციური დაავადებების კვლევა ხშირად არ მოითხოვს ბიოქიმიურ მეცნიერულ მეთოდებს. ეს უფრო დაავადების გავრცელების მიზეზებს, მასთან დაკავშირებულ ქცევებსა და რისკის ჯგუფებს იკვლევს. მიუხედავად იმისა, რომ ეს გამოკვლევები მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ჯანდაცვისათვის, ამ სფეროში მომუშავე ეპიდემიოლოგისტებსა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტებს, მკაცრი კონკურენციის პირობებში უწევთ გამოკვლევებისათვის ხელმისაწვდომი თანხის მოპოვება.

ყოველ წელს ახალ-ახალი „შავი-ჭირი“ ჩნდება. მათი უმეტესობის შეჩერება ხერხდება, რომელიმე დაავადება დროებით მაინც კვდება ან კარანტინით იზღუდება. შეიძლება თუ არა, რომ რომელიმე მათგანი გავრცელდეს და ისევე გაანადგუროს ხალხი, როგორც ეს შუა საუკუნეების ევროპაში მოხდა? ეს კითხვა არის როგორც სამედიცინო, ისე სოციალური. შიდსის გამოკვლევასა და პრევენციისათვის ფედერალური თანხების მიღებისათვის ბრძოლამ დაადასტურა, რომ ეს ძალაუფლების საკითხია. ეს ასე-

ვე ეხება სოციალურ მოქმედებასაც. რადგან ჩვენი ქცევის შეცვლით – მაგალითად, შიდსის შემთხვევაში პრეზერვატივების გამოყენებით, შემთხვევითი სექსისა და ინტრავენური ნარკოტიკების მოხმარების შეზღუდვით, შესაძლებელია დაავადების გავრცელების შეჩერება. ხალხს, ასევე შეუძლია გავლენა მოახდინოს საზოგადოების ცნობიერების შეცვლაზე ან აიძულოს მთავრობა, რომ მან უფრო ეფექტური ზომები მიიღოს. ხალხის წარმატება, ნაწილობრივ დამოკიდებულია კულტურაზე, არა მხოლოდ იმიტომ, რომ მეცნიერული ცოდნა საზოგადოების ნაწილია, არამედ იმიტომაც, რომ კულტურული ღირებულებები და უარყოფითი განწყობა განაპირობებს ადამიანების რეაქციას ინფექციურ დაავადებებზე. მაგალითად, იმის ნაცვლად, რომ შიდსის წინააღმდეგ ბრძოლა დაეწყოთ, ადამიანებმა, ეს დაავადება მხოლოდ „გეების პრობლემად“ მიიჩნიეს და პროტესტი გამოთქვეს იმ საპრევენციო პროგრამების დაწყების გამო, რომლებსაც დაავადების გავრცელების შეჩერება შეეძლო. ჯანმრთელობა სოციალური სტრუქტურის საკითხია – ესა თუ ის დაავადება მდიდრებსა და ღარიბებზე სხვადასხვანაირად აისახება. შეძლებული ადამიანები ძალიან იშვიათად კვდებიან ბავშვობის ასაკში ბავშვებისათვის დამახასიათებელი დაავადებებით, ან უკურნებელი ქრონიკული დაავადებებითა და საწარმოო ტრამვებით. ისინი უფრო ხანდაზმული ასაკისათვის დამახასიათებელი დაავადებებით იღუპებიან. სოციალური სტრუქტურა განაპირობებს ინფექციური დაავადებების გავრცელების გზებსაც – დაავადება უფრო სწრაფად ვრცელდება მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში.

თანამედროვე ქრონიკული დაავადებები და მათი პრევენცია

დღეს ანუ თანამედროვე ეტაპზე, ინფექციური დაავადებები ჩაანაცვლა გულ-სისხლძარღვთა და კიბოს დაავადებებმა, რომლითაც უამრავი ადამიანი იღუპება. ცვლილებების უმთავრესი მიზეზი არის ის, რომ ახლა გვაქვს ანტიბიოტიკები და ინფექციური დაავადებების მკურნალობისათვის საჭირო სხვა მედიკამენტები. გარდა ამისა, საცხოვრებელი სტანდარტები და საზოგადოებრივი ჯანდაცვა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

უფრო მეტი ადამიანი მიირთმევს ჯანსაღ პროდუქტს, სვამს შედარებით სუფთა წყალსა და რძეს, ცხოვრობს ისეთ გარემოში, რომელიც მეტ-ნაკლებად თავისუფალია მწერების, ვირთხებისა და დაავადებების სხვა გადამტანებისაგან.

ადამიანებს ახლა უკვე შეუძლიათ დიდხანს იცოცხლონ და „განავითარონ“ ე.წ. „ცივილიზაციის ქრონიკული დაავადებები“ ანუ ის დაავადებები, რომლებიც განვითარებულ ქვეყნებში დაკავშირებულია თანამედროვე ცხოვრებასთან. მაგალითად, ვარჯიშის ნაკლებობა და მარილებითა და ცხიმებით მდიდარი საკვების მიღება უკავშირდება გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარებას. ამის მსგავსად, თანამედროვე კვების ფორმები და კანცეროგენების („კიბოს“ გამომწვევი ნივთიერებების) მაღალი შემცველობის საკვების ხანგრძლივად მიღება, ავთვისებიანი სიმსივნის წარმოქმნას უკავშირდება. აქედან გამომდინარე, კეთილდღეობას შესაძლებელია ჰქონდეს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შედეგები. ისმის კითხვა – რა მოხდება, თუ ეს დაავადებები ძალიან შემცირდება ან საერთოდ აღმოიფხვრება? რა მოხდება, თუ ინდუსტრიულ სამყაროში მცხოვრები ადამიანები თავს დაანებებენ თამბაქოს, მიიღებენ უფრო ჯანსაღ საკვებს, რეგულარულად ივარჯიშებენ და მოერიდებიან კანცეროგენულ ნივთიერებებს? რასაკვირველია, ამის მიუხედავად სიკვდილი მაინც იარსებებს. სტენფორდის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის პროფესორის ჯეიმს ფრაისის აზრით, თითოეული ადამიანი უფრო დიდხანს იცოცხლებს, იქნება უფრო აქტიური და სავარაუდოდ, არ გაიტანჯება ავადმყოფობისაგან სიცოცხლის უკანასკნელ წლებში. პროფესორი ამ პროცესს ავადმის დათრგუნვას უწოდებს. ავადობის დათრგუნვის მეშვეობით მოხერხდებოდა დაავადების თავიდან აცილება სიცოცხლის ბოლომდე. ადამიანებს ყველაფერი შეუძლიათ, ოღონდ მონდომება არის მთავარი ფაქტორი. თუნდაც იმით, რომ თავი დაანებონ თამბაქოს, ხშირად ივარჯიშონ, მიიღონ ნაკლები ალკოჰოლი და ცხიმებისა და მარილების ნაკლები შემცველობის საკვები. თუმცა, გარემოს დაბინძურების შემცირება უფრო კოლექტიური საქმეა. მანქანებისა და ქარ-

ხნების გამონაბოლქვი, ტოქსიკური ნარჩენები და ბირთვული რეაქტორები ძალიან ხშირად კიბოს სხვადასხვა ფორმას იწვევს. დღევანდელი ბევრი სამუშაო ადგილიც ჯანმრთელობის რისკთანაა დაკავშირებული და ადამიანს აიძულებს, ხანგრძლივი კონტაქტი ჰქონდეს სხვადასხვა კანცეროგენულ ნივთიერებებთან. გარემოს დაბინძურებისა და სიმსივნეების გამომწვევი ტოქსინების კონტროლი მოითხოვს, რომ საზოგადოება მკაცრად მიუდგეს ბიზნესის ყველა სახეს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებს ე.ი. ავადობის დათრგუნვა, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სოციალურ პოლიტიკაზე.

<u>გენდერი და ჯანმრთელობა სოციალურ ჭრილში</u>

ამერიკაში, ისევე როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, სამედიცინო სფეროში ძირითადად მამაკაცები მუშაობენ. ეს ნაწილობრივ ხსნის იმ ფაქტს, თუ რატომ ამჟღავნებს სამედიცინო კვლევები მიკერძოებას მამაკაცებისადმი. სამედიცინო გამოკვლევებისას არა მარტო იგნორირებულია ისეთი ქალური დაავადებები, როგორიცაა ოსტეოპოროზი და მკერდის კიბო, მაშინაც კი, როდესაც საქმე ორივე სქესისათვის დამახასიათებელ დაავადებებს ეხება.

ზემოაღნიშნული ფაქტორები თითოეულ ჩვენგანს აწუხებს, მაგალითად, გულის დაავადებები და ალკოჰოლიზმი, რომლებიც უმთავრესად მამაკაცების მაგალითზეა განხილული. გულ-სისხლძარღვთა დაავადებების შესახებ ჩატარებულ ორ ყველაზე დიდ და მსოფლიო მასშტაბის კვლევაში არც ერთ ქალს არ მიუღია მონაწილეობა, მაშინ როცა მასში ათასობით მამაკაცი მონაწილეობდა. შიდსის შესახებ კვლევების უმეტესობაც მხოლოდ მამაკაცებზე განხორციელდა, მიუხედავად იმისა, რომ ძირითადად ახალგაზრდა ქალებს შორის აღინიშნება დაავადების გავრცელების ტენდენციები, მისი გადაცემა და შედეგები, რომლებიც მდედრობით რეპროდუქციულ სისტემაზე განსხვავებულად მოქმედებს.

მამაკაცთა მიკერძოებულობა თავს იჩენს ხოლმე მამაკაცებისა და ქალების მკურნალობის საკითხებისადმი მიდგომაშიც –

ხშირად ხდება ქალების საჭირო ორგანოების ხელაღებით „უგულებელყოფა“. ბოლო დრომდე ქალებს, რომლებსაც არ ჰქონდათ – შესაბამისი გამოცდილება და განათლება ალტერნატიული საშუალებების კუთხით, ხშირად ურჩევდნენ, მთლიანად მოეკვეთათ მკერდი ან ამოეკვეთათ საშვილოსნო. ხოლო როდესაც მკურნალობა ან პროცედურა ეხება როგორც ქალს, ასევე მამაკაცს (მაგალითად ჩასახვის კონტროლი), პასუხისმგებლობა რატომღაც ყოველთვის ქალებს ეკისრებათ. ბევრი ქალი აპროტესტებს მამაკაცი მკურნალი ექიმების მიდგომას ფეხმძიმობისადმი, არა როგორც ნორმალური მდგომარეობისადმი, არამედ როგორც დაავადებისადმი.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ქორწინება, რომელიც პოზიტიურ გავლენას ახდენს მამაკაცთა ჯანმრთელობაზე, პრობლემას იწვევს ქალებში. ეს ნაწილობრივ დაკავშირებულია ფეხმძიმობისა და მშობიარობის თანამდევ რისკებთან, რომლებმაც საუკუნეების განმავლობაში მრავალი ქალის სიცოცხლე შეიწირა. მძიმე ორსულობისა და მშობიარობის გართულების შემთხვევები, დღესაც ხშირია განვითარებად ქვეყნებში. მეორე მხრივ, ქალს, რომელსაც არ შეუძლია ბავშვის გაჩენა, შესაძლებელია სულიერი მდგომარეობა დაუმძიმდეს, მით უმეტეს მაშინ, თუ იგი ისეთ კულტურულ გარემოში ცხოვრობს, რომელიც ქალს ძირითადად დედობით აფასებს. მსგავს საზოგადოებაში კაცებს შეუძლიათ განქორწინდნენ კიდევაც უშვილო ქალებზე და უმწეო მდგომარეობაში დატოვონ ისინი. ინდოეთში არსებობს ქმრების მიერ ცოლების დაწვის უამრავი შემთხვევა, რომელსაც ქმრები „სამზარეულოში მომხდარ უბედურ შემთხვევად“ ასაღებენ და შედეგად, კანონიც თვალს ხუჭავს. გათხოვილ ქალებს მოძალადე ქმრებისაგანაც ემუქრებათ საფრთხე. კვლევები გვიჩვენებს, რომ ხუთი ქალიდან ერთი მაინც ქმრის ან პარტნიორის ძალადობის მსხვერპლი ხდება.

1960-იანი წლების ბოლოსათვის ქალთა მოძრაობამ შეძლო საზოგადოების ყურადღება ქალთა ჯამრთელობის პრობლემებსა და მათი გადაჭრის არადამაკმაყოფილებელ საშუალებებზე გაემახვილებინა. ამ შემთხვევაში, ქვაკუთხედის ფუნქცია იტ-

ვირთა ბოსტონის ქალთა ჯანმრთელობის კოლექტივის მიერ გამოცემულმა წიგნმა „ჩვენი სხეული, ჩვენ“. ეს პოპულარული წიგნი მიზნად ისახავდა ქალებისათვის მიეწოდებინა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ძირითადი ინფორმაცია და ამით მათთვის საშუალება მიეცა თავად ეზრუნათ საკუთარ ჯანმრთელობაზე. შედეგად, მიღებული ცვლილებების ერთ-ერთი ნიშანი გახლდათ ქალი ექიმების რიცხვის ზრდა. ქალ-ექიმთა რაოდენობა, დღეისათვის 40%-ით გაიზარდა.

<u>პაციენტისა და ექიმის ურთიერთდამოკიდებულება</u>.

საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვა ადამიანის უპირველესი დანიშნულებაა. ადამიანმა მანამდე უნდა იფიქროს საკუთარ ჯანმრთელობაზე, სანამ ავად გახდება და აუცილებელი გახდება ექიმის ჩარევა. ადამიანები, რომლებიც მოწოდებულნი არიან იყვნენ ჯანმრთელნი, გარკვეულ ნაბიჯებსაც დგამენ ამ მიმართულებით. ესაა სწორი კვება, ვარჯიში და პროფილაქტიკის მიზნით იმ მედიკამენტების მოხმარება, რომელიც ხელს უწყობს მის ჯანმრთელობას. ადამიანებს, რომლებიც მისდევენ ჯანმრთელი ცხოვრების წესს, არ ეწევიან, არ სვამენ, ცოტას ჭამენ, დარბიან დილაობით ან სპორტ დარბაზში ტრენაჟორებზე ვარჯიშობენ, უხანგრძლივდებათ ჯანმრთელი სიცოცხლე. ასევე იბეჭდება ჟურნალ-გაზეთებში თვითდახმარების საშუალებები, რომელიც ადამიანს გაანათლებს მედიცინის დარგში. არის ინტერნეტ-საიტები, სადაც დაწვრილებით აღწერილია, გარკვეული წამლების მიღების აუცილებლობანი. ეს მედიკამენტები არის დამხმარე საშუალებები, რომლებიც განაპირობებს ჩვენს შემდგომ ჯანმრთელობას. ასევე ტელევიზიებში არის პოპულარული სამედიცინო გადაცემები, სადაც ექიმები და კონსულტანტები ეხმარებიან მოსახლეობას ზედაპირულად მაინც ფლობდნენ ადამიანები ინფორმაციას თავიანთი სხეულის შესახებ და წარმოდგენა ჰქონდეთ თუ რა და როგორი პროფილაქტიკა ჩაიტარონ. არსებობს ასეთი გამოთქმა „ყველაფერი ჯანმრთელობა არ არის, მაგრამ არაფერია ჯანმრთელობის გარეშე“. ეს ნიშნავს იმას, რომ თუ ადამიანი ჯანმრთელი არ არის, ანუ მას თავისი უყურადღებობით რაიმე მძიმე სენი შეეყრება, ის კარგავს ცხოვრების ინტერესს და მისთვის ყველაფერი აფ-

სურდული ხდება. სანამ ადამიანი ამ ფაზამდე მივა, საჭიროა სიფ-ხიზლე, რომელიც ექიმებთან მიგვიყვანს და ჩვენს ჯანმრთელო-ბასთან დაკავშირებულ პრობლემებს მათთან ერთად გადავ-წყვეტთ ე.ი. იწყება ურთიერთობა პაციენტსა და ექიმს შორის. ამ ურთიერთობაში მნიშვნელოვანია ორივე მხარის აზრის ჩამოყა-ლიბება – ანუ პაციენტმა ზუსტად უნდა გადმოსცეს თავისი პრობლემების შესახებ, ამომწურავი პასუხი გასცეს ექიმს, რათა ექიმმა მოახერხოს მკურნალობის სწორი წარმართვა და დასაწ-ყისშივე დაადგინოს ავადმოყოფობის გამომწვევი მიზეზი. ზოგ-ჯერ პაციენტებს შეცდომაში შეყავთ ექიმები, რადგან ისინი ვერ გადმოსცემენ ზუსტ სიმპტომებს, ექიმები კი დროში შეზღუდუ-ლები არიან. მათი შრომა მეტად ინტენსიურია, და ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათთან სწორ კომუნიკაციას, რადგან მხო-ლოდ ექიმებს შეუძლიათ სწორი დიაგნოზის დასმა და დანიშნუ-ლების მიცემა. ხშირად ხდება, რომ პაციენტები ვერ იგებენ ექიმის დანიშნულების შინაარს, რადგან ექიმები დაწვრილებით არ განუ-მარტავენ იმ მედიკამენტების აუცილებლობას, რომელიც ავად-მყოფს ესაჭიროება. ხშირად ვხვდებით ისეთ სცენებს, როცა პაცი-ენტი ითხოვს განმარტებას, რადგან იგი პასიურ როლშია ჩაყენე-ბული, მას უჭირს მოითხოვოს ახსნა-განმარტება, რადგან აღელ-ვებულმა და ავადმყოფობით დათრგუნულმა ვერ დაიმახსოვრა ზუსტად ექიმის რჩევა, ინტრუქცია. ექიმები ხშირად არ პასუხო-ბენ პაციენტების შეკითხვებს, იჩენენ უყურადღებობას, რაც იწ-ვევს პაციენტების და ექიმების ურთიერთწინააღმდეგობრივ და-მოკიდებულებას. ავადმყოფები ასრულებენ იმ ექიმის დანიშნუ-ლებებს, რომლებსაც „ავტორიტეტად“ მიიჩნევენ ანუ მან სახელი გაითქვა, როგორც კარგმა სპეციალისტმა. ავადმყოფი, როგორც წესი, ასეთი ექიმების მიმართ თავისთავად მეტი „სიმპატიით“ და მოწონებით არის განმსჭვალული. ასეთი სახელოვან ექიმებს დროთა განმავლობაში უყალიბდებათ თვითშეფასების მაღალი კრიტერიუმები, რაც შემდგომში ცუდად აისახება პაციენტებზე.

ამრიგად, რთული პროცესია პაციენტ-ექიმის ურთიერთო-ბები. მათი არასათანადო კომუნიკაცია და სხვადასხვა ხედვა განაპირობებს იმ სიტუაციას, როცა პაციენტი, გრძნობს თავის

უსუსურობას ავადმყოფობის წინაშე, ხოლო ექიმი გვევლინება (ყველა არ გვყავს მხედველობაში), როგორც მხოლოდ ბიზნესის თვალით მომზირალი პაციენტების მიმართ.

ჯანდაცვა, როგორც ბიზნესი

სამედიცინო მომსახურეობა ერთ დროს შედარებით მარტივი საქმე იყო. ექიმები საკუთარ ოფისებში მკურნალობდნენ პაციენტებს ან სახლში მიდიოდნენ მათთან და საკმაოდ მოკრძალებულ გასამრჯელოს იღებდნენ. დღეს, სამედიცინო მომსახურეობა ძალიან შეცვლილია. ექიმი ვიწრო პროფილის სპეციალისტია და არა ზოგადი პროფილის ექიმი. მისი ოფისი სავსეა ძვირადღირებული მოწყობილობებით, მაღალი კლასის კლინიკებსა და სტაციონარებში პაციენტს არაერთი ძვირადღირებული ტესტის გავლა თუ ანალიზის გაკეთება უწევს. იმატა ფასებმაც. ხშირად ავადმყოფებს არ შეუძლიათ გადაიხადონ მკურნალობისათვის საჭირო თანხა და კერძო სადაზღვევო კომპანიებისა და სახელმწიფო დახმარების იმედზე რჩებიან. სამედიცინო მომსახურების მზარდმა ფასებმა რამდენიმე ცვლილება გამოიწვია ჯანდაცვის სისტემაში – კერძო სადაზღვევო კომპანიებმა და სახელმწიფომ – ანუ მათ, ვინც იხდის მკურნალობის საზღაურს, ფინანსური ანგარიშგება სამედიცინო დაწესებულებებეს დააკისრეს.

ძირეული ცვლილებების ნიშნები ყველგან თვალსაჩინოა, მაგალითად: სადაზღვევო კომპანიებმა წამოიწყეს მართული პროგრამების განხორციელება, რაც იმას გულისხმობს, რომ მათ უფლება აქვთ განიხილონ პოლისის მფლობელის სტაციონალური მკურნალობა, როგორც მის დაწყებამდე, ასევე მკურნალობის პროცესშიც. თუ სადაზღვევო კომპანია გადაწყვეტს, რომ რომელიმე პროცედურა პაციენტისათვის არ არის აუცილებელი, მას შეუძლია უარი განაცხადოს ანაზღაურებაზე. დამსაქმებელს, რომელიც იხდის თანამშრომლების დაზღვევის თანხას, ასევე შეუძლია პოლისის მფლობელების არჩევანზე გავლენის მოხდენა. მაგ.: ზოგი მათგანი აგროვებს მონაცემებს სხვადასხვა საავადმყოფოს მიერ დაწესებული მკურნალობის საფასურის შესახებ იმ მიზნით, რომ განსაზღვრონ ძვირადღი-

რებული სამედიცინო დაწესებულებები და საკუთარ თანამშრომლებს აუკრძალონ მათი გამოყენება.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის უზრუნველყოფის მესვეურნი უარს ეუბნებიან ავადმყოფებს საჭირო მკურნალობაზე, მედიკამენტების გამოწერაზე, ადგილზე მისვლასა და მომსახურებაზე. ამგვარი ორგანიზაციები, ხშირად ხდება კრიტიკის ობიექტი, რადგან ისინი არ ანაზღაურებენ საკუთარი კლიენტების გადაუდებელი მკურნალობის ხარჯებს, რაც იძულებულს ხდის ავადმყოფებს, ,,საკუთარი ჯიბიდან" გადაიხადონ ამგვარი მკურნალობისათვის საჭირო საკმაოდ მსხვილი თანხები. საავადმყოფოები იძულებულენი არიან, იყვნენ კონკურენტუნარიანები და რაც შეიძლება მეტი გადამხდელი პაციენტი მიიზიდონ. ფინანსურად არახელსაყრელი საქმიანობა, საუბედუროდ, იმას ნიშნავს, რომ ღარიბი პაციენტებისათვის საავადმყოფოების კარი დაიხურა, განსაკუთრებით ისეთი სერვისებისათვის, როგორიცაა ტრამვის მკურნალობა.

დღეს, სამედიცინო მომსახურება ხელში აიღეს იმ ორგანიზაციებმა, რომლებიც ფინანსურ მოგებაზე მუშაობენ. ეს კორპორაციები კიდევ უფრო დიდ ჯგუფად ერთიანდებიან, რომელსაც „სამედიცინო ინდუსტრიის კომპლექსი" ეწოდება. ამ ორგანიზაციას სერიოზული გავლენა აქვს ჯანდაცვაზე. როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, „რადგან ჯანდაცვა მომგებიანი ხდება კორპორაციული კაპიტალდაბანდებისათვის, ჯანდაცვის სერვისები ისე აღიქმება, როგორც საქონელი – პროდუქტი, რომელიც უნდა იყიდო და გაყიდო ბაზარზე – ავტომობილების, ქუდების, რკინის ან ნავთობის მსგავსად. რა უფრო მომგებიანია – დანადგარების გამოშვება, თუ კონტროლი და სერვისით უზრუნველყოფა. აღნიშნული დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი უკეთ გაიყიდება.

საავადმყოფოები, არ არის ერთადერთი მომგებიანი დაწესებულებები ჯანდაცვის სფეროში. ბოლო ხანებში მომგებიან დაწესებულებებად ითვლება სამედიცინო ლაბორატორიები და კომპიუტერული ტომოგრაფიის ცენტრები. ექიმებიც სულ უფრო ხშირად უყურებენ საკუთარ პროფესიას ბიზნესის კუთხით. ისინი

მსხვილ თანხებს ხარჯავენ სამედიცინო აღჭურვილობის შესაძენად, რადგან შემდგომ, კლიენტებისათვის ძვირადღირებული ანალიზების შეთავაზება შეძლონ. საავადმყოფოების მსგავსად ექიმთა ჯგუფები აყალიბებენ ქალთა ჯანმრთელობისა და პედიატრიულ ცენტრებს და სხვა პროფილის კლინიკებს. მძაფრი კონკურენციის პირობებში დამოუკიდებელ ექიმებს ძალიან გაუჭირდებათ კონკურენცია გაუწიონ ამგვარ დაწესებულებებს.

ჯანდაცვის რეფორმისათვის საჭირო ნებისმიერი საღი რეკომენდაცია უნდა ეფუძნებოდეს იმ ფაქტის გააზრებას, რომ ჯანდაცვა ფუნქციურად ინტეგრირებული სისტემაა. მისი შემადგენელი ნაწილები მჭიდრო ურთიერთკავშირშია და ხშირ შემთხვევაში, ურთიერთდამოკიდებულია. აქედან გამომდინარე, ერთი მათგანის შეცვლა სხვა კომპონენტებში ავტომატურად გამოიწვევს ცვლილებებს. სამედიცინო ცენტრებთან არსებული საავადმყოფოები არა მხოლოდ უზრუნველყოფს მაღალი კლასის სამედიცინო მომსახურეობას, რაშიც იგულისხმება ის ტექნოლოგიური მიღწევები, რასაც ფლობს დღესდღეობით მედიცინა, არამედ იგი უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური ექიმების აუცილებლობას. მაგალითად, ნიუ-ჰოსპიტალი, სადაც მსოფლიო სტანდარტების ტექნოლოგიებია დანერგილი, ასევე ჰყავთ მაღალკვალიფიცირებული ექიმები. ნიუ-ჰოსპიტალი აგრეთვე ეწევა საგანმანათლებლო საქმიანობასაც. მასთან არსებული სასწავლო ცენტრი, უზრუნველყოფს მომავალი კადრების მომზადებას და ხელს უწყობს ახალგაზრდა და დამწყები ექიმების ზრდასა და დახელოვნებას. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ცენტრი ძვირადღირებულია და მხოლოდ ეკონომიურად მდიდარ ან საშუალო ფენაზეა გათვლილი, რადგან ჯანმრთელობის დაზღვევის თანხა არ არის საკმარისი და დიდი თანხის დამატებაა საჭირო, რომ ისარგებლო იმ „კომფორტით“, რომელიც ამ სისტემაშია. მოსახლეობის უმრავლესობას არ გააჩნია ის თანხა, რომელიც სჭირდება მთლიან სერვისს. სწორედ ამიტომ ვამბობთ, რომ საქართველოში ბევრი სამედიცინო დაწესებულება იხსნება და იგი ასოცირდება როგორც კერძო ბიზნესი და საკმაოდ მომგებიანი, სარფიანი შემოსავალი.

საავადმყოფოები ხშირად სცოდავენ და არ ღებულობენ

ავადმყოფებს, რადგან მათი დაფინანსება მწირია. არის შემთხვევები, რომლებიც უბედური შემთხვევის შედეგად დაუყოვნებლივ საჭიროებენ ქირურგიულ ჩარევას და სასწრაფო სამედიცინო დახმარებას. სამწუხაროა, მაგრამ არსებობს ბევრი ფაქტი, როცა ასეთ სიტუაციაში, კლინიკა ავადმყოფს არ იღებს ან სულაც გარკვეული თანხის გადახდამდე არ იწყებს სასწრაფო ოპერაციას და ელოდება ახლობლების აქტიურობას. ამიტომაც ვფიქრობთ, რომ ჩვენი ქვეყნისათვის აუცილებელია მის მოსახლეობას ხელი მიუწვდებოდეს სამედიცინო მომსახურებაზე ან გაიზარდოს სადაზღვევო თანხები, პენსიონერებისათის კი დაწესდეს განსაკუთრებული შეღავათები. მათ თავიანთი დამსახურებისა და გაწეული შრომის საფასურად უზრუნველყოფილი ჰქონდეთ სიბერე. სამწუხაროდ, ჯანდაცვის სისტემის ძირითადი პრობლემა სოციალურ ორგანიზებაში მდგომარეობს – ბევრ მოქალაქეს ხელი არ მიუწვდება მაღალი კლასის სამედიცინო მომსახურებაზე.

<u>სტრესი</u>

სოციალური და ფსიქოლოგიური ფაქტორები განსაზღვრავენ ადამიანის ჯანმრთელობას, ერთი მხრივ სოციუმი – ანუ საზოგადოება, რომელშიც ადამიანები ურთიერთობენ და მეორე მხრივ – ფსიქოლოგიური მომენტები, რომლებითაც ინდივიდები წარსდგებიან საზოგადოების წინაშე.

ადამიანებს გააჩნიათ სხვადასხვა ცხოვრების სტილი, რომელიც ჯანმრთელობაზე აღიბეჭდება სხვადასხვანაირად. მაგ.: ზოგიერთი ადამიანის ქცევა მისი ჯანმრთელობის საწინააღმდეგოა, რაც გამოიხატება თამბაქოს მოხმარებაში, ცხიმიანი საკვების მიღებაში, უმოძრაობაში, პირადი ჰიგიენის დარღვევაში. ყოველივე ზემოთჩამოთვლილი სტრესს აყენებს ადამიანის ორგანიზმს. მეორე მხრივ გვაქვს სოციუმი, ყოფითი პრობლემებით, ყოველდღიური მსხვილმანი თუ წვრილმანი უსიამოვნებები, სამსახურეობრივი უთანხმოებანი და სამყაროში მიმდინარე მოვლენების ობიექტური აღქმა. ყოველივე ეს იწვევს ადამიანის ორგანიზმზე სტრესის ზეგავლენას ე.ი. ადამიანი სულ მუდამ იმყოფება საზოგადოებისა და სულიერი სამყაროს სტრესის ქვეშ.

უკვე ავღნიშნეთ, რომ გარეგანი და შინაგანი ფაქტორები განსაზღვრავენ ადამიანის სტრესულ მდგომარეობას. საინტერესოა როგორია სტრესის გავლენის ფაქტორი ადამიანზე. ასეთ სიტუაციაში, ადამიანს უხშირდება პულსაცია, არტერიული წნევა მაღლა მიიწევს, ხდება ადრენალინის ჭარბი რაოდენობით გამოყოფა, რაც ხელს უწყობს სისხლში წითელი ბურთულების გამომუშავებას. შედეგად, ძვლის ტვინი გამოიმუშავებს უფრო მეტ თეთრ ბურთულაკებს, ღვიძლი კი დიდი ენერგიით გამოყოფს შაქარს. ასეთ სიტუაციას შეიძლება მოჰყვეს გულის ინფაქტი, დიაბეტი, თავის ტვინში სისხლის ჩაქცევა.

ადამიანის ორგანიზმს გააჩნია დაცვითი მექანიზმები, რომლებითაც იგი იცავს საკუთარ თავს სტრესორებისაგან. იმ ადამიანებს, რომლებსაც მუდამ აქვთ გარეგანი საფრთხეები და სტრესებით არიან აღსავსენი, თავიანთი შინაგანი სისტემები მუდამ „საბრძოლო მზადყოფნაში“ ჰყავს მოყვანილი ე.ი. სტრესორებსაც გააჩნიათ ადაპტაციის უნარი, რაც ნიშნავს, რომ ორგანიზმმა უნდა შეინარჩუნოს ან აღიდგინოს ინტეგრირებულობა და ჯანმრთელობა.

სტრესორების სინდრომებია: უმუშევრობა, სიღარიბე, უსამართლობა, ღალატი, გაუტანლობა.

<u>ბრძოლა დაავადების წინააღმდეგ</u>

სოციალური ფსიქოლოგიები დაავადების ბრძოლის ტექნიკასაც შეისწავლიან. პრაქტიკული მედიცინა – ეს არის ადამიანის ჩართვა სხვადასხვაგვარ ქცევაში, რომელიც დაეხმარება მას განკურნებაში. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, თუ რა გავლენას ახდენს სტრესორები ადამიანზე და ვისაუბრეთ მის სინდრომებზეც. ადამიანის ქცევას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მისი ჯანმრთელობისათვის. ინდივიდმა მკაცრად უნდა შეასრულოს ის რჩევა-დარიგება, რომელსაც ექიმი გასცემს. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ადამიანები არ ითვალისწინებენ ექიმთა მოთხოვნებს. მაგ.: თამბაქოსათვის თავის დანებება, წამლების დროულად მიღება, მკურნალობის კურსის ბოლომდე მიყვანა და ა.შ. ადამიანები თავს ანებებენ მკურნალობას თუ მისი კურსი ხანგრძლივია ან ძვირადღირებული მედიკამენტებია

შესაძენი, რადგან ადამიანებს სურთ, რომ მკურნალობის ეფექტი უმალ გამოჩნდეს ან უმალ განიკურნონ საბოლოოდ.

არსებობს ჯანმრთელობის შესახებ პირადი შეხედულებები, რომელთა მოდელი ინდივიდზეა დამოკიდებული. კერძოდ, თუ რა სერიოზულობით აღიქვამს ის მის დაავადებას და რა შესაბამისობაშია მისი ქცევა მის ჯანმრთელობასთან. წინაპირობა მისი ქცევისა გამომდინარეობს იქიდან, თუ რომელ სოციალურ კლასს მიეკუთვნება იგი, რა ეროვნებისაა და რომელ რეგიონს განეკუთვნება თავისი მსოფლმხედველობით. ეს წინაპირობები განმსაზღვრელია მისი ქცევისა და შეხედულებისათვის. მაგალითად, ადამიანების ნაწილს სჯერათ და სწამთ, რომ ფიზიკური ვარჯიში, სირბილი, აერობიკა, მასაჟი, საათობრივი კვება, ვეგეტარიანელობა და ა.შ. ეს ის პირობებია, რომელიც მომავალში მისი ჯანმრთელობის საწინდარია. არის ჯგუფი ადამიანებისა, რომელიც საპირისპიროდ ფიქრობს, მათთვის მთავარი ღირებულებაა კარგად კვება და დასვენება.

განსხვავებულია, აგრეთვე, ადამიანთა შეხედულებები დაავადებათა მიმართ. ნაწილი საზოგადოებისა, რომელმაც იცის თავისი დაავადების შესახებ მაგ.: კიბოს, შიდსის ან სხვა განუკურნებელი სენის შესახებ ხდება პესიმისტი, აგრესიული, გაუწონასწორებელი, მას ეზიზღება მთელი ქვეყნიერება და გაურბის ადამიანებთან ურთიერთობას. ხოლო ნაწილი ადამიანებისა პირიქით, უფრო ხშირად დადიან ექიმთან, იტარებენ გამოკვლევებს, მკაცრად იცავენ ექიმის დანიშნულებებს, ჩვეულებრივ განაგრძობენ საზოგადოებრივ საქმიანობას და კონტაქტურები არიან. ცხადია, ასეთი ადამიანები უფრო დიდხანს ცოცხლობენ და ამ სენით სულაც არ იღუპებიან. ძალზედ მნიშვნელოვანია, რა კუთხით გააცნობიერებს ადამიანი თავისი დაავადების სერიოზულობას და როგორ შეცვლის იგი თავისი ქცევის წესს.

<u>სულიერი სიჯანსაღე</u>

არსებობს გამოთქმა – „ჯანმრთელ სხეულში ჯანმრთელი სულია!“. ეს ხალხში გავრცელებული ანდაზა რომ გავარჩიოთ, უნდა დავადგინოთ ჩვენი წარმოდგენა ჯანმრთელობაზე. ზოგადად, ჯანმრთელობის საიდუმლოება ბედნიერებაშია. ისმის

კითხვა რა არის ბედნიერება? ამასთან დაკავშირებით სხვადასხვა შეხედულებები არსებობს, ერთნი ფიქრობენ, რომ ბედნიერებაა სილამაზე, გრძნობათა თავისუფლება, ეკონომიური სიძლიერე, ცხოვრებით ტკბობა. მეორენი ფიქრობენ, რომ ბედნიერება არის სტაბილურობა, საზოგადოებაში მაღალი სოციალური სტატუსი. რაც შეეხება ჯანმრთელ სულს ანუ სულიერ სიჯანსაღეს, აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ემოციურ სტაბილურობას ენიჭება, რომელიც სხვადასხვა ფორმით ვლინდება. მაგალითად, კმაყოფილება, წარმატება, მიუღწეველის მიღწევა, რომელიც დადებით ემოციებს იწვევს ადამიანში.

სამწუხაროდ, დადებითი ემოციები წარმავალ სტადიას განეკუთვნება ანუ მხიარულება, წარმატება, სასურველის მიღწევა ადამიანში მალე ნელდება. მაგრამ დაუშვათ, რომ ზემოჩამოთვლილ ფაქტორებს ჩვენს ცხოვრებაში ჰქონდეს სისტემატიური ხასიათი, მაშინ, ის კარგავს თავის შინაარსს. საპირისპიროა უარყოფითი ემოციები, რომლებიც მუდმივად არსებობს ადამიანების ცხოვრებაში. უარყოფითი უფრო მეტია, ვიდრე დადებითი. მაგალითად, წარუმატებლობა, ავადმყოფობა, სიკვდილიანობა, დავა-კამათი და ა.შ.

ვფიქრობთ, რომ სულიერი სიჯანსაღე, თვით ადამიანის შინაგანი სამყაროდან გამომდინარეობს. სულიერად ჯანსაღ ადამიანად მიგვაჩნია ინდივიდი, რომელიც ზრუნავს სხვებზე, უკონფლიქტოა, უყვარს ადამიანების დახმარება, მისთვის უცხოა შური, ღვარძლი და ბოღმა, უხარია სხვისი წარმატება და ცდილობს მხოლოდ დადებითად ილაპარაკოს ადამიანებზე.

<u>ფსიქოთერაპია</u>

სოციალურ-ფსიქოლოგიური მექანიზმები და კანონზომიერებები პრაქტიკულ ფსიქოლოგიაში, განსაკუთრებით კი, ფსიქოკონსულტაციასა და ფსიქოთერაპიაში ამჟამად ფართოდ გამოიყენება. გასული საუკუნის დასაწყისში მედიცინაში სამკურნალო ეფექტის მისაღებად ჯგუფური მკურნალობის მეთოდების გავრცელებას, ჯგუფური ფსიქოთერაპიული მეთოდების ჩამოყალიბება მოჰყვა. ამჟამად, ამგვარი მუშაობა ძალზე პოპულარულია და ის სხვადასხვა სახელწოდებითაა ცნობილი. მა-

გალითად, სატრენინგო სკოლა, აქტიური სწავლების სკოლა, პრაქტიკული ექსპერიმენტული ლაბორატორია. ძალზე ხშირად გვესმის „ტრენინგი“ ანუ „სატრენინგო ჯგუფები“. რა არის ტრენინგი და რაში სჭირდება იგი ადამიანს თუ საზოგადოებას? „ტრენინგი არის სწავლების ინტერაქტიული მეთოდი, რომლის საშუალებითაც ხდება ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენა, რაც ადამიანს ეხმარება, როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში, ასევე გარკვეული სამუშაოს შესასრულებლად.

ფსიქოთერაპია, ამჟამად ძალიან მოდური მიმართულებაა მედიცინაში. ევროპასა და აშშ-ში ფსიქოთერაპევტის გარეშე არ ხორციელდება ადამიანის ძირეული ცვლილებები საზოგადოებაში. ფსიქოთერაპია ადამიანის ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობს, რადგან მან იტვირთა მომრიგებელი მოსამართლის როლი ადამიანსა და საზოგადოებას შორის. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ადამიანი ფსიქოთერაპიაში განიხილება, არა როგორც ცალკე აღებული ინდივიდი, არამედ ინდივიდი საზოგადოებასთან მიმართებაში, რადგან ადამიანი ფსიქო-სოციალური მოვლენაა. ადამიანის პიროვნული თვისებები, განწყობები, ღირებულებები, ემოციურ-ქცევითი რეგულიაციები თუ ბავშვობაში გადატანილი ტრამვები გავლენას ახდენს მის ურთიერთქმედებაზე გარე სამყაროსთან.

ფსიქოლოგიური თერაპია, ადამიანს ეხმარება დაარეგულიროს ინდივიდის ურთიერთობა საზოგადოებასთან, რათა პიროვნებამ სრულფასოვნად იგრძნოს თავი. როცა საკითხი ეხება მხოლოდ ერთ ადამიანს აქ ინდივიდუალური მიდგომაა საჭირო. უნდა გაირკვეს მისი პრობლემა და ამ პრობლემის მიზეზი, რათა ფსიქოთერაპევტმა შეძლოს საკითხის გაიგივება და პაციენტის სწორ გზაზე დაყენება. ამისათვის არსებობს ერთი აუცილებელი პირობა, რომელიც პაციენტის აბსოლუტურ გულახდილბაში გამოიხატება. ფსიქოთერაპევტის დახმარება – თვით სახელწოდება მიგვანიშნებს ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ადამიანზე. მისი დახმარება მთლიანად ფოკუსირებულია პიროვნებაზე.

ჯგუფური ფსიქოთერაპიული მუშაობის პუნქტობრივი ანა-

ლიზი ეკუთვნის რუდესტამს, რომელმაც შვიდი მნიშვნელოვანი დასაბუთება მოუძებნა მანამდე ყურადღების გარეშე დარჩენილ ნიუანსებს, ესენია:

1. ჯგუფში მიღებული გამოცდილება ადამიანისათვის მნიშვნელოვანია, რადგან საკუთარ თავში ჩაკეტილი ადამიანი, მხოლოდ საკუთარ პრობლემაზეა ორიენტირებული, მაგრამ ჯგუფთან ურთიერთობის დროს ის ადგენს, რომ მხოლოდ მას არა აქვს პრობლემა, შეიძლება მსგავსი ან უფრო უარესი პრობლემა ჰქონდეს სხვას. ამისი გარკვევა ჯგუფში, ადამიანს საშუალებას აძლევს და სძენს მას გარკვეულობას, რომელიც მასზე ზემოქმედებს ფსიქოთერაპიული ეფექტის სახით.

2. ჯგუფი საზოგადოების შემადგენელი ნაწილია. ადამიანთა ურთიერთობები მხოლოდ ჯგუფშია შესაძლებელი, რომელიც თავისთავში მოიცავს სოციალურ გავლენას და კონფორმიზმს. ჯგუფში მონაწილე ადამიანი უკეთ აცნობიერებს საკუთარ „მე“-ს, სხვა ადამიანთა ქცევებს, ურთიერთობებს, ზოგად კანონზომიერებებს.

3. როდესაც ჯგუფში მყოფ ადამიანებს მსგავსი პრობლემები აქვთ, ეს ხელს უწყობს ადამიანს ობიექტურად შეაფასოს საკუთარი განცდები და სხვა თვალით შეხედოს სამყაროს.

4. ჯგუფური მუშაობა გადამდებია, აქ შეიძლება შენი თავი გააიგივო სხვასთან. სხვა ადამიანად გარდასახვა კი, გულისხმობს საკუთარი პრობლემის უკეთ წვდომას და მისი გადაწყვეტის ეფექტური საშუალებების მოძიებას.

5. ჯგუფში ადამიანი ეუფლება ახალ უნარებს, იძენს გამოცდილებას, სწავლობს ახალ დებულებებს, ქცევებს. ყოველივე ამ უნარების შეთვისების შემდეგ, ადამიანი ახლებურად უყურებს როგორც საკუთარ თავს, ასევე სხვა ადამიანებს.

6. ჯგუფის ჩამოყალიბებისას ადგილი აქვს ემოციურ დაძაბულობას. აქ ვლინდება, თითოეული ჯგუფის წევრის ფსიქოლოგიური პრობლემა.

7. და ბოლოს, მთავარი და მნიშვნელოვანი, რომელიც ჯგუფის ფუნქციას და მის აუცილებლობას წარმოაჩენს, ეს არის ის, რომ იგი ხელს უწყობს გულახდილობას, თვითანა-

ლიზს, თვითკრიტიკას, თვითშემეცნებას. ჯგუფში ადამიანის დამოკიდებულება საკუთარი თავისადმი იცვლება და მას უბრუნდება საკუთარი ძალებისადმი რწმენა.

ზოგადად, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ფსიქოთერაპევტის ინსტიტუტის ჩამოყალიბებას და ფუნქციონირებას, რომელიც მხოლოდ ხელს უწყობს ადამიანის ინტეგრაციას საზოგადოებაში და საკუთარი „მე“-ს გაცნობიერებას, ქცევის სტილს და ა.შ. ჩვენ ზემოთ ვახსენეთ, რომ ევროპასა და აშშ-ში ფართოდ გამოიყენება ფსიქოთერაპევტის მომსახურეობა და იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოებაში. კარგი იქნებოდა, საქართველოშიც ჩამოყალიბებულიყო ანალოგიური ფსიქოთერაპიული ინსტიტუტი, რათა ხელი შეეწყო საზოგადოებისათვის, ჯგუფისათვის, ინდივიდისათვის და მცირედით მაინც განემუხტა ის მძიმე სოციალური ფონი, რომელიც ქართული საზოგადოებისათვის არის დამახასიათებელი.

თავი XIV
გლობალიზაცია და თანამედროვეობა

ტერმინი „გლობალიზაცია“ პირველად შემოიტანა ტ. ლევიტმა 1983 წელს. მან ამ ტერმინში იგულისხმა მრავალეროვნული კორპორაციების მიერ წარმოებული პროდუქციის შერწყმა. იაპონელმა კ. ომეამ, რომელმაც გამოაქვეყნა წიგნი „მსოფლიო საზღვრების გარეშე“, ტერმინს – გლობალიზაცია სხვა დატვირთვა მოუძებნა, რომელიც გულისხმობდა მსოფლიოში მოქმედ გამათანაბრებელ ტენდენციებს. მოგვიანებით მ. უოტერსმა გლობალიზაციის განმარტება შემდეგი სახით ჩამოაყალიბა: „გლობალიზაცია არის პროცესი, რომლის მსვლელობაში იხსნება სოციალური და კულტურული სისტემების გეოგრაფიული საზღვრები და მოსახლეობა სულ უფრო და უფრო აცნობიერებს ამ საზღვრების ქრობას“.

გლობალიზაციის ცნება ასახავს მსოფლიო რეგიონებისა და ზონების, ქვეყნების, ხალხებისა და თვით ცალკეული ადამიანების ურთიერთკავშირს, ურთიერთ დამოკიდებულებასა და ურთიერთზეგავლენას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. გლობალიზაცია – ეს იმ ფაქტების კონსტანტაციაა, რომელთა მიხედვითაც ნებისმიერი ქვეყნის მდგომარეობა მნიშვნელოვნად განისაზღვრება იმით, რაც მის ფარგლებს გარეთ, საერთაშორისო სივრცეში ხდება.

გლობალიზაცია ჩვენი ცხოვრების რეალობაა. თანამედროვე თაობათა თვალწინ, მსოფლიოში მიმდინარეობს საზოგადოებრივი ცხოვრების დაჩქარებული გლობალიზაციის პროცესი.

გლობალიზაცია კარგია თუ ცუდია? ვხდებით ერთი დიდი სოფელი თუ პლანეტისა და მისი მოსახლეობის ძარცვის თვითმხილველნი? ამ საკითხზე უამრავი მოსაზრება არსებობს. ერთნი ფიქრობენ, რომ თავისუფალი ბაზარი ეკონომიკური მომავლის გასაღებია. როგორც ჩეიზ მანჰეტენ ბანკის წარმომადგენელმა, დეივიდ როკფელერმა დაახლოებით ორი ათწლეულის წინ განაცხადა, „ადამიანის ფართო ინტერესებს ყველაზე უკეთ ეკონომიკა აკმაყოფილებს, სადაც თავისუფალი საბაზრო ძა-

ლები ფლობენ სახელმწიფო საზღვრების გადალახვის უნარს“. კონკურენტულ გლობალურ ბაზარზე, ქვეყნები შეეცდებიან დახელოვდნენ იმ პროდუქციის წარმოებაში, რომელიც ყველაზე უკეთ გამოსდით (მაგალითად, იტალიაში – ღვინო, საფრანგეთი -სუნამოები). გაუმჯობესებულ წარმოებას შედეგად, ფასების დაწევა მოსდევს. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება წარმოიშვას პრობლემები, საბოლოოდ ყველა მოგებული რჩება. საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში კომუნისტური რეჟიმის დამხობა ადასტურებს, რომ მთავრობის მხრიდან კონტროლი აფერხებს ეკონომიკის განვითარებას. სხვა მოსაზრების მიხედვით, გლობალიზაცია უფრო მეტ ტკივილს აყენებს, ვიდრე ეხმარება მოსახლეობას. მათი მოსაზრებით, გლობალური კორპორაციები ზრდის მოგებას არა წარმოების ზრდის მიხედვით, არამედ ქვეყნებისა და ადამიანების ერთმანეთთან დაპირისპირებით.

მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, გლობალიზაციის წყალობით აღწევს ეკონომიკურ კეთილდღეობას, მაგრამ „უმეტესობა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ცხოვრობს იმ პრობლემებით, რომელიც გამოწვეულია უმუშევრობის მზარდი დონით, შემოსავლების შემცირებით, სამსახურებიდან მასობრივი დათხოვნით, სახელმწიფო სამსახურებში სამუშაო ადგილების შეკვეცით, გაუარესებული სამუშაო პირობებით, გარემოს განადგურებით, საკუთარ მთავრობასა და საზოგადოებაზე კონტროლის დემოკრატიული მექანიზმების დაკარგვით“ (კოსტელო).

გამოდის, რომ გლობალიზაცია არ არის ახალი პროცესი – ის დიდი ხნის წინ დაიწყო და თანამედროვე კაპიტალისტური სამყაროსათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა. მსოფლიოს ნებისმიერ დიდ ქვეყანას უკვე აღარ შეუძლია გამოეყოს გლობალურ ეკონომიკას, სადაც ყველა ქვეყანა ერთმანეთთან ვაჭრობის ქსელითაა დაკავშირებელი. მულტინაციონალური კორპორაციები ნაკლებად ითვალისწინებენ საზღვრის ფაქტორებს და უამრავი საწარმოს მეშვეობით (რომლებიც ასაქმებს ათეულობით სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებს), კიდევ უფრო ზრდის არეალს. გლობალიზაციის არსი, ამჟამად იმაში გამოიხატება,

რომ ძალაუფლების კონცენტრაცია ხდება მხოლოდ მულტინაციონალური კაპიტალისტური კორპორაციის მენეჯმენტის წრეებსა და ზოგიერთი განვითარებული ქვეყნის სახელმწიფო ელიტარულ ჯგუფებში. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ელიტას შეუძლია მოითხოვოს წილი კორპორაციების მოგებიდან (მაგალითად, შემოიღოს დაბინძურების კონტროლის სტანდარტები განსაკუთრებით, დაბალგანვითარებულ ქვეყნებში), ხშირ შემთხვევაში, მათ (სახელმწიფოებს) ისე სჭირდებათ ინვესტიციები ან ისეთი სუსტები არიან, რომ დაწესებული რეგულიაციები ყველაზე კარგ ალტერნატივად არ ითვლება.

მნიშვნელოვანია, აგრეთვე სტრუქტურის საკითხი: თანამედროვე მსოფლიო სისტემები იმგვარადაა ორგანიზებული, რომ პოლიტიკური ძალაუფლება ძირითადად, სახელმწიფოების მთავრობებშია თავმოყრილი და სწორედ, მათზეა დამოკიდებული. უბრალო მოქალაქეებისათვის დემოკრატია ნიშნავს ახალ შესაძლებლობებს, პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის გზით. მაგრამ, ეკონომიკის სტრუქტურა სულ უფრო შეესაბამება საერთაშორისო მასშტაბებს და ეფუძნება მთავრობებისა და სახელმწიფოების მიერ არაკონტროლირებად ინსტიტუტებს. ერთი შეხედვით, ამერიკულ კორპორაციებს შეუძლიათ აწარმოონ ბიზნესი მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას ისე, რომ აშშ-ის მთავრობამ ის თითქმის ვერ გააკონტროლოს. აშშ-ის კანონები გარემოს დაცვის შესახებ, არ ვრცელდება ბრაზილიაში ამაზონის ტყვეების განადგურებაზე. ბრაზილიას შეუძლია მიიღოს ზომები დაზიანების შედეგების შემცირების მიზნით, მაგრამ ის ამ დროს ძალზე მკაცრი არჩევანის წინაშე დგას; გარემოს დასაცავად მიმართულმა ღონისძიებებმა შეიძლება შეზღუდოს ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობები, რაც დემოკრატიის პირობებში შეიძლება მთავრობის დამხობით დასრულდეს. თუ ბრაზილია ან სხვა ნებისმიერი ქვეყანა შეეცდება, მეტისმეტად მკაცრად აკონტროლოს ესა თუ ის ბიზნესი, გლობალური კორპორაციები სხვა ქვეყნებში გადაიტანენ ინვესტიციებს. კაპიტალი – ბიზნესის უკან მგარი სიმდიდრე – თავისუფლად გაედინება საზღვრებზე, კომპიუტერიზაციის

პროცესისა და გლობალური ტელეკომუნკაციის დახმარებით. კაპიტალის მოძრაობა დღეში, ერთ ტრილიონ დოლარამდეც კი აღწევს. აშშ-ში ეს პროცესი „დეინვესტიციის“ თანხლებით ხორციელდება, რისი მაგალითიცაა მიჩიგანიდან ან ოჰაიოდან კომპანიების მიერ საკუთარი საქმიანობის მალაიზიაში ან მექსიკაში გადატანა. ამის შედეგად კი, უამრავი ამერიკელი რჩება სამუშაოს გარეშე და ჩნდება ეკონომიკური კრიზისის საფრთხე. წარმოების პროცესის საზღვარგარეთ გადატანამ 1979 წლის შემდეგ, აშშ-ში 43 მილიონი ადამიანი დატოვა უმუშევრად. რასაკვირველია, ამავე დროს, საერთაშორისო ბაზრისათვის გამიზნულმა წარმოებამ მრავალი ახალი სამუშაო ადგილი შექმნა აშშ-ში. თუმცა, ახლად შექმნილ სამსახურებში ხშირად ვერ ხვდებიან ის ადამიანები, რომლებმაც დაკარგეს სამსახური წარმოების საზღვარგარეთ გადატანის შედეგად. ინვესტიციების მოპოვებისათვის პაექრობისას ქვეყნებმა შეიძლება მიაღწიონ ეკონომიკურ ზრდას, მაგრამ ამის ხარჯზე ისინი ხშირად კარგავენ პოლიტიკასა და ქვეყნის კურსზე გავლენის მოხდენის ძალაუფლებას, გარემოს დაცვისა და უსაფრთხო სამუშაო პირობების კონტროლს. ინდონეზია სამუშაო ადგილებს იღებს არა მხოლოდ აშშ-სგან, არამედ აზიის მდიდარი ქვეყნებისგანაც. მაგალითად, იაპონიასა და კორეისაგან (სადაც ანაზღაურება და სახელმწიფო რეგულიაციები მნიშვნელოვნად ამცირებს კორპორაციების მოგებას). Reebok-ი და Nike-ი საკუთარ პროდუქციას მალაიზიაში აწარმოებენ. მაგრამ, ამ ქვეყნებში მინიმალური ანაზღაურება იმდენად დაბალია – 1,30 დოლარი დღეში – რომ მომუშავე ქალების 90% კვების დეფიციტს განიცდის. ქალები, რომლებიც იძულებულნი არიან დღეში 12 საათი იმუშავონ, ბარაკის ტიპის საცხოვრებლებში ცხოვრობენ, რომლის დატოვების უფლებაც მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვთ, თუ მენეჯერის წყალობით ნებართვას მიიღებენ. ინდონეზიის მთავრობა კი ცდილობს კორპორაციების კეთილგანწყობის შენარჩუნებას, რომელიც რეპრესიების მეშვეობით ახშობს დასაქმებულთა ორგანიზაციების ჩამოყალიბების მცდელობას და გაფიცვების დროს შეიარაღებული ძალების დახმარებითაც სარგებლობს.

გლობალური ეკონომიკა ფუნქციურადაა ინტეგრირებული. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის ყველას სასიკეთოდ მოქმედებს. თუმცა, ყველაფერი რაც ერთ ადგილზე ან ერთ სექტორში ხდება, დაკავშირებულია მეორე სექტორში მიმდინარე პროცესებთან. მაგალითად, ჩრდილოეთ ამერიკაში ეკონომიკურმა სტაგნაციამ შესაძლებელია აზიაში უმუშევრობის მაჩვენებელი გაზარდოს იმიტომ, რომ ასეთ შემთხვევაში, მცირდება მოთხოვნა აზიელი მუშების მიერ გამოშვებულ პროდუქტზე. როდესაც ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელები ენაცვლება ტრადიციულ სპილენძის მავთულებს ლოს-ანჯელესში, მნიშვნელოვნად იკლებს სპილენძის მავთულების ფასი, რომელიც ძირითადად, აფრიკაში იწარმოება. ფუნქციური ინტეგრაცია მახეს უგებს იმ ქვეყნებს, რომლებიც ეკონომიკის განვითარების მიზნით სხვების მაგალითს მიჰყვებიან. მაგალითად, საერთაშორისო ექსპერტებმა შესაძლოა ურჩიონ ეკონომიკური განვითარების მოსურნე ქვეყნებს, გაყიდონ მინერალები ან სოფლის მეურნეობის პროდუქტები (შაქარი ან ყავა). საერთაშორისო ექსპორტს მართლაც, შემოაქვს ქვეყნისათვის საჭირო შემოსავლები, რომელიც აუცილებელია ადგილობრივ დონეზე ფუნქციური ინსტიტუტების შენარჩუნებისათვის, მაგრამ თუ მსოფლიო ბანკი და სხვა ექსპერტები ერთსა და იმავეს ურჩევენ ბევრ სხვადასხვა ქვეყანას, ეს სავარაუდოდ, გამოიწვევს ბაზრის გადატვირთვას და აღნიშნულ პროდუქტზე ფასების დაცემასაც. ყველაზე უარესი, რაც კუბამ გადაიტანა, შეიძლება სულაც არ იყოს კასტროს რეჟიმი ან აშშ-ის მიერ გამოცხადებული ბოიკოტი კუბური პროდუქციისადმი, არამედ შაქრის ფასის დაცემა საერთაშორისო ბაზარზე.

რეგულარული წინააღმდეგობა დასაბამს აძლევს მოქმედებას. ცხადია, რომ გლობალური ეკონომიკა უბრალოდ არ „ხდება“. კორპორაციების აღმასრულებელი დირექტორები იღებენ გადაწყვეტილებებს ინვესტიციებთან დაკავშირებით და აგვარებენ პრობლემებს, რაც თანამშრომლების მიერ უკმაყოფილების გამოხატვამ შეიძლება გამოიწვიოს; ბანკირები კი ფიქრობენ, ღირს თუ არა განვითარებადი ქვეყნებისათვის სესხის მიცემა; სახელმწიფო მოხელეები ბჭობენ, თუ ვინ უნდა მიიღოს დახმარება და რა კრი-

ტერიუმებზე დაყრდნობით. ანალოგიურად, მთელს მსოფლიოში მცხოვრები ადამიანები ირჩევენ სამსახურებს; წყვეტენ რა თანხა უნდა დააბანდონ საკუთარი შვილების განათლებაში; რომელ პოლიტიკურ ლიდერს მისცენ ხმა (თუ, რასაკვირველია, მათ აქვთ არჩევანის უფლება). თუმცა, შეიძლება მოხდეს სხვაგვარადაც: მექსიკაში, კერძოდ კი ჩიაპასში, სოფლის მოსახლეობამ იარაღი აიღო და დაუპირისპირდა ფეოდალურ მთავრობას, რადგან არ მოსწონდა ის თუ როგორ უძღვებროდა მექსიკის ხელისუფლება ქვეყნის გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრაციას. მექსიკა ყოველწლიურად მილიონობით დოლარის ოდენობის საწვავს და სხვა საქონელს ყიდდა, მაგრამ მოგების დიდი ნაწილი ვიწრო ელიტარულ წრეებში ნაწილდებოდა. ელიტა კი ცდილობდა, უფრო მჭიდროდ დაეკავშირებინა მექსიკის ეკონომიკა აშშ-ის ეკონომიკასთან ნაფტა-ს მეშვეობით, რაც აჯანყებულებმა „ადგილობრივი მოსახლეობისათვის სასიკვდილო განაჩენის“ ტოლფასად მიიჩნიეს. ამავე დროს, აშშ-ში ბევრი მუშა შიშობდა, რომ მათ სამუშაო ადგილებს მექსიკელები დაიკავებდნენ.

ხანდახან მოწინააღმდეგეები იმედოვნებენ, რომ ერთიანი ძალებით შეძლებენ გლობალური ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესის შეჩენებას. თუმცა ფაქტობრივად, ამის მტკიცებულება არ არსებობს. მაგრამ კოლექტიურ მოქმედებას მაინც შეუძლია გავლენა მოახდინოს ინტეგრაციის ფორმებსა და მიმართულებებზე. „ნესტლეს“ პროდუქტების მიმართ 1980-იან წლებში გამოცხადებულმა საყოველთაო ბოიკოტმა, კომპანიის მენეჯმენტი ნელ-ნელა აიძულა შეეწყვიტა მესამე რიგის ქვეყნებში წარმატებული ხელოვნური რძის ფორმულის სარეკლამო კამპანია, სადაც ის ბუნებრივი რძის შემცვლელად იყო წარმოდგენილი. უნდა ვაღიაროთ რომ გლობალიზაცია არის ღრმად ფესვებგადგმული ტენდენცია და არ დასრულდება თანამედროვე ეკონომიკის მთელი სტრუქტურის ცვლილებების გარეშე. ამავე დროს, გლობალიზაციას შეიძლება ჰქონდეს ფორმა. საზოგადოებას ნამდვილად აქვს პოტენციალი, რომ თავად აირჩიოს ეს ფორმები და არ მიიღოს ისინი ცალსახად. მძლავრ სოციალურ მოძრაობასთან გაერთიანებული გლობა-

ლიზაცია, მხარს დაუჭერს ,,მონების“, სულ მცირე, უფრო სამართლიან და თანაბარ პირობებში ჩაყენებას. მოქალაქეთა ასეთი აქტივობის გარეშე, გლობალიზაცია სავარაუდოდ, უფრო გაამწვავებს რადიკალურ უთანასწორობას.

გლობალიზაცია არა მხოლოდ ფულისა და პროდუქტის, არამედ ინფორმაციის (სატელიტური ჩვენებებისა და ინტერნეტის დახმარებით), გლობალური დათბობის, გამონაბოლქვი აირების და ლტოლვილების ნაკადის ჩათვლით, თანამედროვე ცხოვრების აუცილებელი ნაწილია. ერი – სახელმწიფოები, ფუნქციურად დღეს უფრო მეტადაა ინტეგრირებული და გლობალური სისტემის ნაწილია, ვიდრე ოდესმე; ასე რომ, რაც ხდება ერთ ქვეყანაში ან რეგიონში, გავლენას ახდენს მეორეზე. მაგალითად, შიდსის დაავადება, რომელიც აფრიკის შორეული ადგილებიდან მთელს პლანეტაზე გავრცელდა. დღეს არც ერთი სახელმწიფო არაა დაცული ამ დაავადებისაგან, თუმცა, მთელი რიგი ქვეყნები წარმატებით უმკლავდებიან ამ ეპიდემიას, მათთან არსებული განვითარებული ჯანდაცვის საფუძველზე.

გლობალურ პროცესებში მოიაზრება აგრეთვე, გარემოს დაცვის პრობლემები ანუ ეკოლოგია, რომელიც XX საუკუნის დასასრულისა და XXI საუკუნის დასაწყისში მეტად მნიშვნელოვანი საკითხია. მან საფრთხე შეუქმნა კაცობრიობას. კლიმატური ცვლილებები, ჰაერის დაბინძურება, ოზონის ხვრელი, გლობალური დათბობა, გამუდმებული სტიქიური უბედურებები, ეთნიკური პრობლემები, რელიგიური ფანატიზმი – აი ეს არის დღევანდელი რეალობა, რომელსაც უნდა ებრძოლოს კაცობრიობა. მაგალითად, იაპონიაში მომხდარი მიწისძვრა, რომელმაც ატომური ელექტროსადგურის აფეთქება გამოიწვია. ამ პრობლემას, თავისთავად მოჰყვა ჰაერის დაბინძურება, დიდი რაოდენობით მსხვერპლი, რომელიც გასცდა იაპონიის საზღვრებს, რადგან ჰაერის მოწამვლა იწვევს მეზობელი სახელმწიფოების მოსახლეობის დაზიანებასაც. ამგვარად, ზემოთჩამოთვლილი პრობლემები, რომელიც თანამედროვეობისათვის არის დამახასიათებელი, მხოლოდ კონკრეტულ ქვეყანას არ შეეხება. იგი გლობალური პრობლემაა და აქიდან გამომდინარე,

მთელი მსოფლიოს მეცნიერები მუშაობენ, რათა ეს ზოგადსაკაცობრიო საკითხები მოაგვარონ ან პროცესი შეანელონ ისე, რომ რაც შეიძლება ნაკლებად დაზარალდეს ხალხი.

ასე თუ ისე, ვისაუბრეთ გლობალიზაციის სხვადასხვა გამოხატულებებზე, მაგრამ კულტურა სხვა ფენომენია და ძალზედ მნიშვნელოვანია გლობალიზაციის პროცესში. კულტურა, სწორედ ის სფერო გახლავთ, სადაც საზოგადოება თავიანთი თვითმყოფადობის, ადათ-წესების, ისტორიული ბედისა თუ რელიგიის მეშვეობით ცდილობდა შეენარჩუნებინა საუკუნეების მანძილზე თაობიდან თაობაზე გადმოსული ღირებულებები.

კულტურა არის ადამიანისა და ერის ინდივიდუალურობის, თვითმყოფადობის, თვითშეგნების, თვითგამოხატვის ფორმა, რომელიც რეალიზდება ცხოვრების წესში. კულტურა – ერის კულტურული და ფიზიკური თვითშენახვის სტრატეგიის გამოხატულებაა.

კულტურა წარმოადგენს არა მარტო ადამიანის სოციალიზაციის, არამედ, მისი განვითარების, ინდივიდის გონებრივი და ფიზიკური უნარებისა და მიდრეკილებების ყოველმხრივი გაშლისა და სრულყოფის მძლავრ ფაქტორსაც. ერთია ის, რომ ადამიანად იქცე კულტურულ ღირებულებათა შეთვისების გზით, და მეორე, ყოველმხრივ განავითარო ადამიანური სასიცოცხლო ძალები და შესაძლებლობები. ეს კი, მიიღწევა მხოლოდ კულტურულ გარემოში.

კულტურული რეალობა არა მარტო ადამიანს აქცევს ადამიანად, არამედ თვით საზოგადოებას აყალიბებს სამყაროს შემადგენელ განსაკუთრებულ სისტემად. ამდენად, კულტურას აქვს სამყაროს სპეციფიკურ წარმონაქმნად საზოგადოების ფორმირების ფუნქცია. კულტურის საშუალებით დასაბამი ეძლევა საზოგადოებას. ესაა ერთიანი პროცესი, სადაც კულტურა, ასევე საზოგადოება, ერთ მიმართებაში – შედეგია, ხოლო მეორე მიმართებაში – მიზეზი.

გლობალური ინტეგრაცია გავლენას კულტურაზეც ახდენს. თითქმის მთელს მსოფლიოში ხალხს სურს გაიუმჯობესოს ცხოვრება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ სურთ კულტურა გა-

დაიქცეს მულტინაციონალურ კორპორაციულ პროდუქტად, რომელიც ენაცვლება ადგილობრივ ტრადიციებსა და განსხვავებულ ეროვნულ კულტურას. ადამიანების უმეტესობას სურს, შეინარჩუნოს საკუთარი კულტურული იდენტობა და ამავე დროს, გაიუმჯობესოს ცხოვრება. მაგრამ, გლობალური ინტეგრაციის არსებული ფორმები აძნელებს ამ პროცესს. გლობალიზაცია ასევე გულისხმობს პროცესს, როდესაც მასმედიის საშუალებები მთელს მსოფლიოს დაიპყრობს და ადამიანებში ჩანერგავს დასავლური მოდის მიყოლის სურვილს (მაგალითად, გოგონები ჩაიცვამენ მინი ქვედაბოლოებს, რომლებიც შესაძლოა არ შეესაბამებოდეს ადგილობრივ ტრადიციებს), გადამუშავებული საკვების შეძენის ტენდენციას (ეს საკვები უფრო ძვირია და ნაკლებად სასარგებლო ადგილობრივ პროდუქტთან შედარებით), გასწევს თამბაქოს პროპაგანდას და ა.შ. მუსულმანური ფუნდამენტალიზმის გაძლიერება, არის გლობალური ინტეგრაციის კულტურაზე ზემოქმედების და არა მხოლოდ, თავად ტრადიციული კულტურების მოქმედების შედეგი.

კულტურული გლობალიზაციის დადებითი შედეგია ხალხებისა და საზოგადოებების გამდიდრება ერთმანეთის მიერ შექმნილი მატერიალური და სულიერი ღირებულებებით. თუმცა, კულტურული გლობალიზაცია თავის თავში მოიცავს იმის შესაძლებლობასაც, რომ იგი ზოგ შემთხვევაში, შეავიწროვებს და დაასუსტებს მცირე ხალხის ეროვნულ კულტურასა და ისტორიულ ტრადიციებს. ვახსენეთ ,,მცირე ხალხი“, რომელშიც უპირველეს ყოვლისა საქართველოს ვგულისხმობდით. როგორ შევინარჩუნოთ თვითმყოფადობა და ისტორიულობა, მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა, ეროვნულობა, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა გვიანდერძეს.

კვლავაც აუცილებელია ჩვენი ეროვნული კულტურის ფართოდ გატანა და დემონსტრირება ქვეყნის გარეთ, რაც აყვანილ უნდა იქნეს საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის მეტად მნიშვნელოვანი ასპექტის რანგშიც. ამით, საშუალება მიეცემათ მსოფლიო ხალხებს, არა მარტო ღრმად ჩაიხედონ ქართული ეროვნული კულტურის ფესვებში, არამედ პატივისცემისა და ღირსეული

დაფასების გრძნობით განეწყონ შემოქმედი ერთ-ერთი უძველესი, მაგრამ მუდამ განახლების უნარის მქონე ერისადმი.

მიუხედავად იმისა, თუ როგორ შევაფასებთ გლობალიზაციას, რა დამოკიდებულება გვექნება მისდმი, რამდენადაც ხელსაყრელად ან არახელსაყრელად მივიჩნევთ მას ამა თუ იმ ქვეყნისათვის, ყოვლად გაუმართლებელია თვით მსოფლიო ინტეგრაციული პროცესების შეუმჩნევლობა, მსოფლიო ხალხთა ეკონომიკური ურთიერთგადაჯაჭვის, მათი კულტურების ურთიერთგამდიდრების, სხვადასხვა ცივილიზაციების ურთიერთზემოქმედების ფაქტებისა და მათი დადებითი მხარეების წარმოჩინება და მით უმეტეს – უარყოფა. არ შეიძლება ზურგი შევაქციოთ იმ რეალობას, რომ გლობალიზაციის შედეგად კაცობრიობა მსოფლიო წესრიგის ფუნდამენტური შეცვლის ეპოქაში შევიდა.

აანალიზებენ რა, ქვეყნების ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალურ-კულტურული ცხოვრების მოვლენებისა და პროცესების ინტეგრაციულ კავშირებს, დასავლეთის სოციოლოგები მიუთითებენ, ერთგვაროვნების ტენდენციების ზრდაზე თანამედროვე მსოფლიოში. მათი აზრით, ეს ტენდენციები ყველაზე მძლავრად პოსტინდუსტრიული განვითარების სტადიაზე მყოფ ქვეყნებში მოქმედებს. რაც შეეხება დანარჩენ ნაწილს, აქ მათივე არცთუ უსაფუძლო ვარაუდით, ტექნიკურ-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული ცხოვრების ერთგვაროვნება და ცხოვრების წესთა მსგავსება მხოლოდ სამომავლოდ იქნება დომინანტური.

უახლესი ტექნიკა და ტექნოლოგია ადამიანური გონების ნამდვილ ტრიუმფს გამოხატავს. იგი თვალნათლივ გვიჩვენებს და გვიდასტურებს გიგანტურ პროგრესს, ადამიანის ინტელექტუალურ შესაძლებლობათა უსასრულო სივრცეში. კაცობრიობას განუმტკიცებს იმის რწმენას, რომ ოპტიმისტურად განეწყოს მომავლის მიმართ, ერთხელ და სამუდამოდ დაძლიოს წინააღმდეგობები და კოლიზიები, რომლითაც აღსავსე იყო მისი ისტორია და რაც სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ამძიმებს მის ცხოვრებას საერთო-ჰუმანური განვითარების თანამადროვე ეტაპზე.

დღეს, მატერიალური და სულიერი ღირებულებების შექ-

მნა, საწარმოო და არასაწარმოო პროცესების მართვა, ბუნებისა და საზოგადოების სიღრმისეული შემეცნებისათვის საჭირო ინფორმაციების მოპოვება, დამუშავება და გადაცემა, ადამიანთა საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურება წარმოუდგენელია უახლესი მოდერნიზებული ტექნიკისა და ტექნოლოგიების გარეშე.

თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ ყველგან, საერთო მიმართულებით, თუმცა, არათანაბარზომიერად შეცვალა ადამიანთა შრომის ხასიათი, მათი მწარმოებლური უნარის გამოყენების გზები და საშუალებანი. წარმოების მაღალგანვითარებულმა მატერიალურ-ტექნიკურმა ბაზამ, საწარმოს პროცესების ავტომატიზაციამ, გამოთვლითი ტექნიკისა და მართული მანქანების დამკვიდრებამ, კომპიუტერიზაციამ, რობოტიზაციამ და ა.შ. ყველგან რადიკალურად გარდაქმნა ადამიანის შრომითი ხასიათი და სამუშაო ფუნქციები, რომ არაფერი ვთქვათ, მათ მიერ გამოწვეულ სხვა მრავალ, იდენტურ სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებზე.

მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ინდუსტრიული განვითარების კვალობაზე, თანდათან მცირდება ადამიანთა ფიზიკური შრომის საჭიროება საწარმოო საქმიანობაში. ფიზიკური შრომა სულ უფრო მეტად ინაცვლებს მანქანებისა და მექანიზმების მართვისა და კონტროლის სფეროში, ხდება მისი ინტელექტუალიზაცია. ამის შესაბამისად, საფუძველი ეცლება არაკვალიფიციურ შრომას, მატულობს ინდივიდუალური სამუშაო ძალის მომზადების კულტურულ-ტექნიკური განვითარების დონე, ფართოვდება მისი ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული დიაპაზონი.

საყოველთაოდ იზრდება, გონებრივი შრომის როლი, მატერიალური წარმოების პროცესში. ელექტროგამომთვლელი მანქანები, მიკროპროცესორები და მძლავრი კიბერნეტიკული მოწყობილობანი ათავისუფლებს ადამიანებს არაშემოქმედებითი მონოტონური, დამქანცველი აზროვნებითი ოპერაციებისაგან და საფუძველს ქმნის გონებრივი და ფიზიკური შრომის

ელემენტების დაახლოებასა და ჰარმონიული გაერთიანებისათვის, მათ შრომით საქმიანობაში.

გლობალურ ძალთა ზემოქმედების შედეგად, ნიველირდება ინდუსტრიულად განვითარებულ საზოგადოებათა სოციალურ-სტრატიფიკაციული სტრუქტურები. მსგავსი ეკონომიკური და არაეკონომიკური ხასიათის ფაქტორები აძლიერებს მათი საზოგადოებრივი ჯგუფებისა და კლასშიდა სოციალურ-ფენობრივი სტრუქტურების იდენტიფიკაციის ტენდენციებს.

ერთიანი მსოფლიო, გლობალიზებული ტექნიკურ-ეკონომიკური და სამეურნეო-შრომითი გარემო, მთელი კატეგორიულობით აყენებს თვით ადამიანთა უნარ-მიდრეკილებების საერთო მიმართულებებით შეცვლა-განვითარების საკითხს. დედამიწის ნებისმიერ კუთხეში, ბუნებაზე ზემოქმედების თანამედროვე ტექნიკურ საშუალებათა შექმნა და გამოყენება შესაძლებელი ხდება, მხოლოდ და მხოლოდ, ერთიანი ცოდნით უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიის დაუფლებით, კომპიუტერული განათლების პირობებში და მათ საფუძველზე. ერთიან მსოფლიოს – ერთიანი ცოდნა და განათლება, ასეთია ჩვენი ეპოქის რეალობათა იმპერატიული მოთხოვნა. აქედან გამომდინარეობს, თანამედროვე ტექნიკურ-ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ სინამდვილეზე, ადამიანთა ცოდნისა და განათლების მორგების – იგივე, ზოგადი, სპეციალური და საუნივერსიტეტო განათლების ერთიანი კალაპოტით შინაარსობრივი და სტრუქტურული გარდაქმნისა და რეფორმების, ყველა ქვეყნის განათლების ეროვნული სისტემების საერთაშორისო სივრცეში ინტეგრირების საჭიროება. სწავლისა და სწავლების ოპტიმალური ეფექტიანი ფორმების საყოველთაოდ დანერგვის, საგანმანათლებლო სისტემის დაახლოების გზით, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მსოფლიოს ქვეყნების მოქალაქეთა კონკურნეტუნარიანობის ამაღლება თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული ჩვევების თვალსაზრისით.

უმაღლესი განათლების ერთიან სისტემაზე გადასვლა, გლობალიზაციის ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან პრიორიტეტულ გამოვლინებად იქცა. ამასთან, იგი შეთავსებადია ხალხთა

ენობრივ, კულტურულ-საგანმანათლებლო, რელიგიურ, ეროვნულ და სხვა განსხვავებებთან. ევროპა არის არა მარტო საერთო ვალუტა და ეკონომიკა, არამედ აგრეთვე, საერთო ცოდნა.

სულიერ ღირებულებათა გავრცელება – გლობალიზებას განსაკუთრებით ექვემდებარება ხელოვნება და მეცნიერება, ხელოვნების ქმნილებები, ისევე როგორც, მეცნიერული ცოდნა, იმთავითვე ხასიათდებოდა გეოგრაფიული და ეროვნული საზღვრებიდან გასვლის უნარიანობით.

მაგრამ სწორედ, ჩვენს ეპოქაში შეიქმნა რეალური საერთაშორისო სოციალურ-პოლიტიკური და ტექნიკური პირობები მეცნიერული ცოდნის, საბუნებისმეტყველო და ტექნიკური მეცნიერებების, ასევე ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნაწარმოებთა გლობალიზაციისათვის. შეიძლება ითქვას, რომ სულიერი ცხოვრების ამ სფეროში ყველა მნიშვნელოვანი მონაპოვარი ჭეშმარიტად გლობალიზებული ხდება კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე. ის რასაც ამ მიმართულებით აღწევს ერთი ერი, სწრაფად იქცევა სხვა ერების კუთვნილებად.

გლობალიზაცია თანამედროვე კაცობრიობის საზოგადოებრივი არსებობის წესია, რომლის ფუნდამენტურ მახასიათებლებს შეადგენს:

- მსოფლიოს ქვეყნების, ხალხების, ცივილიზაციების საყოველთაო ურთიერთკავშირი საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში.
- მსოფლიო კავშირში მყოფი მხარეებისა და სუბიექტების ინტერესების, მდგომარეობების, განვითარების დონეების ურთიერთგანპირობებულობა და ურთიერთდამოკიდებულება, არსებობა და საქმიანობა ერთმანეთის საშუალებით.
- ქვეყნებისა და ხალხების, საზოგადოების ურთიერთზემოქმედება და ურთიერთზეგავლენა ერთმანეთის ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ-კულტურულ ცხოვრებაზე, იერსახეზე.
- ადამიანთა მიერ შექმნილ მატერიალურ და სულიერ ღირებულებათა უნივერსალიზაცია და უნიფიკაცია, საერთაშორისო სტანდარტების და მოთხოვნილებების მიხედვით არსებობის ტენდენციის გაძლიერება.

- მსოფლიოს გადაქცევა ერთიან ინტეგრირებულ მთლიანობად.

ამგვარად, გლობალიზაცია შეუქცევადი პროცესია, რომელიც ჩვენ გვინდა თუ არა, მაინც არსებობს ჩვენს გვერდით და ჩვენც ძალაუნებურად მისი თანამონაწილენი ვხდებით. გლობალიზაციაში თავისთავად უნდა ვეძებოთ პოზიტიური და განვახორციელოთ ის დადებითი ქმედებები, რომელიც ჩვენი ქვეყნისათვის არის მისაღები. გლობალიზაციის პოზიტიური შედეგია არა ეროვნულ განსხვავებულობათა ქრობა, არამედ მათი პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის, ეროვნული ენების, კულტურის, სულიერების დაცვისა და განვითარების საერთაშორისო მექანიზმები. ვფიქრობთ, რომ თანამედროვე ცივილიზებული კაცობრიობა არ დაუშვებს და ვერ შეურიგდება მსოფლიოს ხალხთა ეთნიკურ და კულტურულ უსახურობას.

განმარტებათა მოკლე ლექსიკონი

ანკეტირება – კვლევის მეთოდი, რომელიც კითხვარებს ან ინტერვიუებს, ან ორივეს ერთად იყენებს იმის დასადგენად, როგორ ფიქრობენ, განიცდიან და მოქმედებენ ადამიანები

არაოფიციალური სტრუქტურა – არაოფიციალური ნორმები, განვითარებული ჯგუფის წევრებს შორის იმ პრობლემების გადასაჭრელად, რომლებიც წესებში არ არის მოცემული არასასურველი თუ არასაჭირო შრომის აღმოსაფხვრელად და ჯგუფის წევრების ინტერესების დასაცავად.

ასიმილაცია – უმცირესობების ჯგუფის შერწყმა დომინანტი ჯგუფის კულტურასა და სოციალურ ცხოვრებაში, ისე რომ უმცირესობის წარმომადგენლები თანდათან

კარგავენ თავიანთ, როგორც სხვა კულტურის წარმომადგენლების სახეს.

არაფორმალური სანქციები – არაოფიციალური ზეწოლა დამყოლობის მიღწევის მიზნით, როგორიცაა, ერთ მხრივ დაცინვა, გარიყვა, უკმაყოფილება (უარყოფითი სანქციები) და მეორე მხრივ, მოწონება, შექება (დადებითი სანქციები)

ავადობა – დაავადების ხდომილებათა მაჩვენებელი მოსახლეობაში

ავადობის დათრგუნვა – ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც ადამიანები ცხოვრობენ უფრო დიდხანს აქტიური ცხოვრებით და სიცოცხლის ბოლო წლებამდე არ შეიწუხებთ ჯამრთელობის გაუარესება

აგზნება – გამღიზიანებელზე აქტიური პასუხის გაცემის უნარი

აგრესიული ქცევა – ადამიანის მოქმედების სპეციფიკური ფორმა, რომელიც მიმართულია სხვა ადამიანისადმი ან პირთა ჯგუფისადმი ვნებისა და ზიანის მიყენების მიზნით

ადამიანი – სიცოცხლის განვითარების უმაღლესი ფორმის წარმომადგენელი, საზოგადოებრივ-სტორიული ქცევის სუბიექტი, მოაზროვნე და იარაღის მკეთებელი არსება

აფექტი – მოკლეხნიანი ბობოქარი და უკიდურესად ინტენსიური ემოცია, რომელიც არ ექვემდებარება ცნობიერის კონ-

ტროლს, რის შედეგადაც ადამიანი კარგავს საკუთარი ქცევის შეგნებული რეგულაციის უნარს და ახორციელებს მიზანშეუწონელ ქცევებს

ბრბო – ადამიანთა უსტრუქტურო თავმოყრა ერთიანი ემოციური მდგომარეობა და ყურადღების ობიექტის საერთოობის საფუძველზე ნათლად გაცნობიერებული მიზნების ერთიანობის გარეშე

ბიუროკრატია – ორგანიზებული სტრუქტურა, რომელიც ხასიათდება შრომის სპეციალიზაციითა და მისი მკაფიოდ განაწილებით, ოფიცერთა იერარქიით, დეტალურად შემუშავებული წესებით, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მიუკერძოებულობითა და დამსახურების მიხედვით დაჯილდოვებით

გლობალიზაცია – პროცესი, რომლის ძალითაც მთელი მსოფლიოს ხალხებს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირები იბმება

განწყობა (prejudice) – კატეგორიული წინასწარგანწყობა ადამიანების მიმართ (როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური), რომელიც ეფუძნება რეალურ ან წარმოსახვით მახასიათებლებს

გენოციდი – ხელისუფლების მიერ ეროვნული, რასობრივი, რელიგიური ან ეთნიკური ჯგუფის განადგურებისაკენ მიმართული სისტემური, მიზანმიმართული მცდელობა

გენდერი – მამაკაცებზე ან ქალებზე სოციუმის მიერ მიწერილი არაბიოლოგიური თვისებები

გენდერული როლები – განსხვავებული დავალებები და აქტივობები, რომელსაც საზოგადოება მიაწერს თითოეულ სქესს და განსაზღვრავს მამაკაცურობის ან ქალურობის ნიშნით

გენდერული სტერეოტიპები – ზომაზე მეტად გამარტივებული, მაგრამ მყარი იდეები, რომელიც შეეხება მამაკაცებისა და ქალების თვისებებს

დამოუკიდებელი ცვლადი – თვისება ან ფაქტორი, რომელზეც ექსპერიმენტის დროს გავლენას ახდენს ერთი ან მეტი დამოუკიდებელი ცვლადი.

დანაშაული – სახელმწიფოს მიერ კანონით მიღებული ნორმის დარღვევა

დევიაცია – ქმედება, რომელიც სოციალური ჯგუფის აზრით, არღვევს მათ ნორმებს

დევიანტური კარიერა – თანდათანობითი შერწყმა დევიანტურ ცხოვრების წესთან და დევიანტურ სუბკულტურასთან დაკავშირება

დიფერენციული ასოციაცია – პროცესი, რომლითაც ადამიანები სოციალიზდებიან ჯგუფში გაბატონებულ ქცევაში, თუ ამგვარი ქცევა დევიანტურია, დევიანტურობა კულტურულად გადაეცემა

დისკრიმინაცია – გარიყვა ან ექსპლოატაცია კონკრეტული ჯგუფის წევრების გამო. დისკრიმინაცია შეიძლება იყოს მიზანმიმართული ან ინსტიტუციური, ანუ გამოწვეული იყოს იმ სოციალური ინსტიტუტების ხანგრძლივი მოქმედებით, რომელიც არათანაბარ გავლენას ახდენს ჯგუფებზე

ეთნიკური ჯგუფი – ადამიანების ჯგუფი, რომლებიც აღიქვამენ საკუთარ თავს როგორც საერთო ისტორიისა და კულტურის მქონეებს, და ასევე აღიქმებიან სხვების მიერ

ექსპერიმენტი – კვლევის მეთოდი, როცა სუბიექტს სპეციალურად შექმნილ გარემოში აკვირდებიან. ეს საშუალებას აძლევს მკვლევარებს გააკონტროლონ ფაქტები, რომლებმაც შესაძლოა იქონიოს გავლენა შესაცვლელ ცვლადებს შორის ჰიპოტეზურ მიზეზ-შედეგობრივ კავშირზე. ექსპერიმენტის ჩატარება შესაძლებელია ლაბორატორიაში და საველე გარემოში

ექსპრესიული ლიდერობა – ლიდერობა იმისათვის, რომ ჯგუფის წევრებს შორის კარგი განწყობა და ურთიერთობები შენარჩუნდეს

ვალიდობა – ხარისხი იმისა, როგორ შეუძლია მეცნიერულ კვლევას იმის გაზომვა, რის გაზომვასაც ცდილობს

ვერბალური – სიტყვიერი

თვითშეფასება – პიროვნების მიერ საკუთარი თავის შესაძლებლობებისა და თვისებების შეფასება

ინდიკაცია – ის, რაც შესაძლოა ზუსტად გაიზომოს, როგორც უფრო რთული ცვლადის აპროქსიმაცია (მიახლოება)

ინტერვიუ – საუბარი, რომლის დროსაც მკვლევარი სხვა ადამიანს უსვამს კითხვათა სერიას ან მსჯელობს გარკვეულ თემაზე

ინსტრუმენტული ლიდერობა – ჯგუფის წევრების ხელმძღვანელობა, რათა მათ შეასრულონ სხვადასხვა დავალება

ინოვაცია – რობერტ მერტონის სტრუქტურული რღვევის თეორია, რომელიც გულისხმობს კულტურულად გამართლებული მიზნების მიღწევას დევიანტური საშუალებებით

ინტეგრაცია – დაუბრკოლებელი ინტერაცია და კონტრაქტი სხვადასხვა რასობრივ და ეთნიკურ ჯგუფებს შორის ზოგჯერ იწოდება „სოციალურ“ ინტერგრაციადაც, რათა განვახსვავოთ ფუნქციური ინტეგრაციისაგან

კლასობრივი სტრუქტურა – საზოგადოების შედარებით სტაბილურ ჯგუფებად დანაწევრება, მკვეთრად არათანასწორი რესურსებითა და ცხოვრებისეული შანსებით

კონფორმულობა – ადამიანის თვისება შეცვალოს თავისი ქცევა ან აზრი სხვა ადამიანთა გავლენის საფუძველზე

კონფორმულობა – რობერტ მერტონის სტრუქტურული რღვევის თეორიის მიხედვით, კულტურულად გამართლებული მიზნების მიღწევა კულტურულად გამართლებული საშუალებებით

კოლონიალიზმი – ერთი ერის ეკონომიკური ანექსია მეორე, უფრო ძლიერი ერის მიერ და ამ პროცესის თანამედროვე პოლიტიკური და სოციალური გაბატონება ადგილობრივ მოსახლეობაზე

კორელაცია – ორ ცვლადს შორის რეგულარული ურთიერთკავშირი

კორელაციის კოიფიციენტი – ათწილადები ნულსა და ერთს შორის, რომელიც გამოიყენება კორელაციის სიძლიერის საჩვენებლად

კოლექტივი – მაღალი დონის გაერთიანების ჯგუფი, სადაც პიროვნებათშორისო ერთიერთობანი გაშუალებულია საზო-

გადოებრივად და პიროვნულად ღირებული თანაცხოვრების შინაარსით

კონფლიქტი – პიროვნებათშორის ურთიერთობებში ინდივიდების მკვეთრად განსხვავებული ან შეუთავსებელი აზრების შეჯახება. რაც დაკავშირებულია მკვეთრ უარყოფით ემოციებთან

ლიდერი – ჯგუფის წევრი, რომელსაც აქვს უნარი ჯგუფის წევრთა თანაცხოვრებაში ითამაშოს მთავარი, ორგანიზატორული როლი და მიიღოს გადაწყვეტილება

მასტერ-სტატუსი – ერთი-ერთი სტატუსი, რომელიც ფართოდ განსაზღვრავს პიროვნების სოციალურ იდენტობას

მონაცემები – ფაქტები, სტატისტიკა, კვლევის შედეგები და დაკვირვების შედეგად მოგროვილი სხვა ინფორმაცია, რომელიც თეორიების შექმნისათვის გამოიყენება

მეთოდოლიგია – კვლევის წარმართვის პროცედურა

მეორეული ჯგუფი – არაინტიმური ჯგუფი, რომელიც ხასიათდება შეზღუდული პირისპირი ურთიერთქმედებით; ჯგუფთან თავშეკავებული ან სტატუსი პერსონალური იდენტურობით; სუსტი კეთილგანწყობილი კავშირებით ჯგუფის წევრებს შორის, შეზღუდული, მეორეული ურთიერთობებითა და არამდგრადობის ტენდენციით

მნიშვნელობა – ციფრი, რომელიც მონაცემთა სერიაში ყველაზე ხშირად ჩნდება**ჰიპოთეზა** – საცდელი დებულება, რომელიც წინასწარმეტყველებს, რა ურთიერთგავლენა ან კავშირი ექნება ორ ან მეტ ცვლადს

ნიმუში – შესასწავლი პოპულაციიდან ადამიანთა შეზღუდული რაოდენობის არჩევა მოცემული პოპულაციის წარმომადგენლებად

პანიკა – მასობრივი შიშის მდგომარეობა რეალური ან წარმოსახული საშიშროების წინაშე, როცა სუსტდება სიტუაციის რაციონალური შეფასების ნებელობითი რესურსების მობილიზაციის უნარი

პიროვნება – სისტემური თვისება, რომელსაც ინდივიდი იძენს საზოგადოებრივ-სოციალურ ურთიერთობებში და რომელიც ასახავს მის სოციალურ ხასიათს

პრესტიჟი – სოციალური შეფასება, პატივისცემა ან დაფასება, რომელიც ენიჭება ადამიანს ყველა იმ თვისებების გათვალისწინებით, რომელსაც საზოგადოება მაღალ შეფასებას აძლევს

პრესტიჟი – საზოგადოების მიერ ინდივიდის დამსახურების აღიარების ზომა

პრობლემა – არსებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე სუბიექტის მიერ კონკტერულ სიტუაციაში აღმოცენებული სიძნელეების და წინააღმდეგობების გადალახვის შესაძლებლობების გაცნობიერება

პრობლემური სიტუაცია – სიტუაცია, რომლის გადასაჭრელად ინდივიდმა ან ჯგუფმა უნდა გამოიყენოს მისთვის ახალი ქცევის ხერხები და საშუალებები

პირდაპირი ურთიერთობები – ურთიერთობები, როდესაც მხარეები პირდაპირ არ ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან, მაგრამ დაკავშირებულნი არიან პირდაპირი გზით ან საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ან მესამე მხარის საშუალებით.

პირველადი ჯგუფი – განსაკუთრებით მჭიდროდ შეკრული ჯგუფი, რომელიც ხასიათდება შემდეგი ხუთი თვისებებით: უწყვეტი პირისპირ ურთიერთქმედებით, ჯგუფთან მკაცრი პერსონალური იდენტურობით, ძლიერი კეთილგანწყობილი კავშირებით ჯგუფის წევრებს შორის, მრავალმხრივი ურთიერთობებითა და მდგრადობის ტენდენციით

პონულაცია – კვლევის დროს იმ ადამიანთა მთლიანი რაოდენობა, რომლებსაც შესასწავლი თავისებურებანი ახასიათებთ

რაოდენობრივი კვლევა – კვლევა, რომელიც მონაცემთა სტატისტიკურ ანალიზს ემყარება

რასა – ადამიანთა ჯგუფი, რომელის წევრებიც საკუთარ თავებს გენეტიკურად განსხვავებულად მიიჩნევენ (და ასევე მიიჩნევიან სხვების მიერაც)

რასიზმი – დოქტრინა, რომ რასები არიან ბიოლოგიურად აღმოცენებულნი ან არასრულფასოვანნი

როლი – იმ ქცევების, ნებისმიერი პიროვნებისაგან მოსალოდ-

ნელი დამოკიდებულების, ვალდებულებებისა და უპირატესობების ერთობლიობა, რომელიც იკავებს გარკვეულ სტატუსს

როლის აღება – საკუთარი თავის წარმოდგენა ვინმე სხვა პიროვნების როლში და ამგვარად უკეთ გაგება იმისა, რის გამოხატვას ცდილობს ის „სხვა“

სანდოობა – ერთი და იმავე ან სხვა მკვლევარის მიერ განმეორებითი კვლევის დროს მიღებული შედეგების მსგავსების ხარისხი

სანქციები – ჯილდო სოციალური ნორმების მორჩილებისათვის და დასჯა მათი დარღვევისათვის

საშუალო კლასი – სოციალური კლასი, რომელიც მოიცავს ადამიანთა იმ ჯგუფებს, რომლებიც ფლობენ შედარებით მცირე საკუთრებას, მაგრამ მათი საქმიანობა უზრუნველყოფს მათ საშუალო შემოსავლით, პრესტიჟითა და ავტორიტეტით

სიმბოლური ჟესტი – ჟესტი, რომელსაც მიღებული აქვს სიმბოლური მნიშვნელობა, გავრცელებული ერთ და იგივე კულტურის „ხალხს“ შორის

სიმპატია – ადამიანის მდგრადი დადებითი ემოციური დამოკიდებულება სხვა ადამიანისადმი

სოციალური კონტროლი – საზოგადოების მცდელობა, მართოს საკუთარი თავი, მექანიზმი, რომლითაც ხდება სოციალური ნორმების გაძლიერება და მათი პოტენციური დარღვევების აღკვეთა

სოციალური კლასი – ადამიანები, რომლებიც დგანან სოციალური კლასიფიკაციის სისტემის ერთსა და იმავე დონეზე

სოციალური მობილობა – ადამიანთა გადაადგილება ერთი სოციალური პოზიციიდან მეორეში, ზემოთ ან ქვემოთ

სტერეოტიპები – ფიქსირებული, გაბატონებული, ან დამახინჯებული განზოგადებები, რომელიც დაკავშირებულია სოციალურ ჯგუფთან და მის წევრებთან და გაზიარებულია კულტურულ კონტექსტში

სტრესი – ადამიანის ემოციური მდგომარეობა, რომელიც აღმოცენდება მრავალფეროვანი ექსტრემალური ზემოქმედების შედეგად

სეგრეგაცია – ჯგუფებს შორის კონტაქტის კანონით გათვალისწინებული ტრადიციული შეზღუდვა ან აკრძალვა რასის, ეთნიკურობის, სქესის და ასაკის კრიტერიუმებზე დაყრდნობით

სოციალიზაცია – ინდივიდის შეზრდა სოციალურ ღირებულებებში, სოციალური გამოცდილებისათვისება

სუბიექტი – ინდივიდი ან პირთა ჯგუფი, როგორც სინამდვილის შემეცნების ან გარდაქმნის წყარო და შემოქმედი

სტატუსი – პოზიცია საზოგადოებრივ წყობაში, რომელიც განსაზღვრავს ვინ ვართ ჩვენ სხვებთან მიმართებაში და რა მთავარ როლს ასრულებს სოციალური იდენტურობის ჩამოყალიბების საკითხში

სტატუსთა ნაკრები – სოციალური პოზიციების სრული სპექტრი, რომელიც აქვს ნებისმიერ ერთ პიროვნებას მოცემულ დროს

სქესობრივი ძალადობა – სამუშაო ადგილზე ზემდგომი პირის მიერ ქვეშევრდომისათვის სქესობრივ კავშირზე დათანხმების მოთხოვნა

ტრიადა – სამკაციანი ურთიერთობა ან ჯგუფი

ურთიერთობა – (გულზიარობა) – ადამიანებს შორის რთული, მრავალმხრივი ინტერპერსონალური კონტაქტების დამყარების და განვითარების პროცესი ერთიანი თანაცხოვრების მოთხოვნილების შესაბამისად

უცხო – პიროვნება სოციალურ ჯგუფში, რომელთანაც მას (მამაკაცს ან ქალს) პირადი კავშირები არ გააჩნია

ფორმალური სანქციები – სოციალურ ნორმებსა დაღირებულებებზე ოფიციალური ზეწოლა დამყოლობის მიღწევის მიზნით, რომელსაც ახორციელებს ისეთი ოფიციალური ორგანიზაციები, როგორიცაა პოლიციის დეპარტამენტი, სასამართლოები და ციხეები

ფორმალური სტრუქტურა – ოფიციალური პოზიციები, ვალდებულებები, წესები და ინსტრუქციები, რომლებიც და-

წესებულია ორგანიზაციის ხელმძღვანელთა მიერ

ფრუსტრაცია – დაძაბული ფსიქიკური მდგომარეობა (შფოთვა, სასოწარკვეთა), რომელიც აღმოცენდება მიზნის მიღწევისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გზაზე რეალური ან წარმოსახული გადაულახავი დაბრკოლების გაჩენის დროს

ფსიქიკა – მაღალორგანიზებული მატერიის, ტვინის თვისება, ფუნქცია, რომელიც მდგომარეობს სუბიექტის მიერ ობიექტური სამყაროს აქტიურად ასახვასა და გარდაქმნაში

ფსიქოთერაპია – კომპლექსური სამკურნალო სიტყვიერი ზემოქმედება ადამიანის ემოციებზე, მსჯელობებზე და თვითცნობიერებაზე სხვადასხვა ფსიქიკურ, ნერვიულ და ფსიქოსომატურ დაავადებათა დროს

ქსელი – ურთიერთობათა ქსელი იმ ადამიანებს შორის, რომლებიც ერთმანეთთან არიან დაკავშირებულნი პირდაპირი თუ არაპირდაპირი კავშირებით კომუნიკაციისა და სხვა მრავალი საშუალებით

ქცევა – ცოცხალი ორგანიზმისათვის დამახასიათებელი ურთიერთდამოკიდებულება გარემოსთან, რომელიც გაშუალებულია მათი გარეგანი და შინაგანი აქტივობით**ცვლადი** – ნებისმიერი ფაქტორი, რომელსაც ცვლადობა შეუძლია

შეთანხმებული წესი – საერთო განსაზღვრა სიტუაციისა, რომელიც აღმოჩნდება „გამოცდის“ ჩატარების შედეგად და ცვლის ამ „გამოცდისათვის“ განხორციელებულ ქმედებებს მიღებული საპასუხო რეაქციების საფუძველზე

შიდსი – შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი, მომაკვდინებელი დაავადება, რომელიც გამოწვეულია აივ-ით და გადაეცემა ორგანიზმს დაბინძურებულ სითხეებთან კონტაქტით

შიში – ემოცია, რომელიც აღმოცენდება პიროვნების ბიოლოგიური ან სოციალური საშიშროების დროს

შეძენილი სტატუსი – პიროვნების მიერ ძირითადად პერსონალური ძალისხმევით მიღწეული ნებაყოფილობითი სტატუსი.

შთაბეჭდილებების მართვა – ირვინ ჰოფმანის ტერმინი იმ ძალისხმევის განსასაზღვრავად, რასაც ხალხი ახორციელებს იმისათვის, რომ აკონტროლონ

ჩვევა – ხშირი გამეორების შედეგად ავტომატიზირებული მოქმედება, რომელიც სრულდება ცნობიერების მონაწილეობის გარეშე

წარმომავლობითი სტატუსი – ხალხისათვის სხვების მიერ მინიჭებული სტატუსი

ჯგუფური აზროვნება – ჯგუფის წევრების ტენდენცია, დაკარგონ კრიტიკული, ინდივიდუალური ფიქრის შესაძლებლობა იმ ღირებულებების გამო, რასაც ისინი ერთმანეთის მიმართ სოლიდარობას ანიჭებენ.

ცნობიერება – სინამდვილის ფსიქიკური ასახის უმაღლესი ფორმა, რომლის უნარი გააჩნია მხოლოდ ადამიანს, როგორც საზოგადოებრივ ისტორიულ არსებას

ჯგუფი – ადამიანთა სოციალური ერთობა განსაზღვრული ნიშნის მიხედვით

რეზიუმე

ნაშრომი „სოციალური-ფსიქოლოგია“ განხილულია სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიის ურთიერთმიმართების საკითხები, მათი გადაკვეთის გზები, მოყვანილია გიდენსის მოსაზრება იმის შესახებ, რომ აუცილებელია „ფსიქიკის გენეზისში ღრმად ჩახედვა იმის ჩვენება, რომელია პირველადი-ფსიქოლოგიური თუ სოციალური. სოციალური ფსიქოლოგიის მრავალი განსაზღვრება არსებობს, რომელთაგან მნიშვნელოვანი არის ერთი საერთო ხაზი „სოციალური კონტროლი, მოტივაცია, პიროვნებათშორისო ურთიერთობანი და სოციალიზაცია.

ნაშრომში საუბარია ჯ. ჰ. მიდის სიმბოლურ ინტერაქციონიზმზე, რომლის დროსაც ადამიანები ჟესტების ინტერპრეტირებას ახდენენ და საკუთარ ქცევას, საზოგადოების სხვა წევრების მოქმედებით ახორციელებენ. ასევე ლაპარაკია, როხის თეორიაზე, რომელიც შემუშავებულ იქნა მერტონის პარსონსის და დარენდორფის მიერ. განსხვავება სოციალურ როლსა და სტატუს შორის, რომელიც კონკრეტულ ადამიანზეა დამოკიდებული.

აგრეთვე განხილულია, სოციალური გაცვლის თეორეტიკოსების ჯ. ჰომანსისა და პ. ბლაუს შეხედულებები, რომ ყველა სოციალური ქმედება „წინასწარ გააზრებულია“. მათი მიდგომა ამ საკითხისადმი მაგალითებითაა გამყარებული. ასევე საუბარია ემპირიული კვლევის მეთოდებზე, ექსპერიმენტზე და მათ ზნეობრივ მხარეზე.

ნაშრომში, ლაპარაკია სოციალიზაციაზე, რომელიც ადამიანის სიცოცხლის ბოლომდე გრძელდება და რომ ადამიანს სოციუმი აქცევს ადამიანად. ასევე გაგრძელებულია აზრი სოციალიზაციის სხვადასხვა თეორიებზე და ფსიქოანალიზებზე, რომელიც ზიგმუნდ ფროიდის სახელთანაა დაკავშირებული. ასევე, გაანალიზებულია ჟან პიაჟეს კოგნიტური განვითარების თეორია.

სოციალურ ფსიქოლოგიაში ერთ-ერთ წამყვან თემას საკუთარი „მე“-ს კონცეფცია წარმოადგენს, რომელიც ქულის სახელთან არის დაკავშირებული. თვითაღქმა, თვითპრეზენტაცია, თვითშეფასება, ესაა ის ძირითადი კრიტერიუმები, რომელიც ამ თეორიებს უკავშირდება.

ნაშრომს აგრძელებს გენდერის სოციალური კონსტრუქ-

ცია, სადაც გაანალიზირებულია გენდერული როლები და სტერეოტიპები, გენდერი და ფემინიზმი, გენდერი ფსიქოანალიტიკურ ჭრილში.

ნაშრომის მთავარი საკითხი არის კონფორმულობა და საზოგადოება კონფორმულობის არსი, ნორმატიული კონფორმიზმი, ჯგუფის გავლენა კონფორმულობაზე, უმცირესობის გავლენა, ჯგუფის სიდიდე, მიყოლა, დამთმობლობა, მორჩილება და მრავალჯერადი თხოვნა..

ნაშრომში, ყურადღებას იპყრობს ატიტუდი, მისი განსაზღვრება, მისი ცვლადობა საზოგადოებაში, ქცევისა და აუცილებლობის მიხედვით. ასევე ყურადღება გამახვილებულია დევიაციაზე, მის სოციაულრ სტრუქტურაზე და იმ თეორიებზე, როგორიცაა ბიოლოგიური, სოციოლოგიური, სიმბოლური ინტერაქციონიზმი და კონფლიქტის თეორია დევიაციის მიხედვით.

ნაშრომში, გრძელდება საუბარი ჯგუფის შესახებ, მისი სტრუქტურისა და ფუნქციის ურთიერთობებზე. განმარტებულია რა არის აგრესია, რა უარყოფითობა ახასიათებს მას და როგორ ზემოქმედებს ადამიანზე. კოლექტივის თანამედროვე ცნება და მნიშვნელობა, ადამიანის ქმედითუნარიანობის საკითხებში.

ნაშრომში გატარებულია აგრეთვე აზრი სახელმწიფოებრიობის შესახებ, სადაც განხილულია ეთნიკური უმცირესობები და ეთნიკური კონფლიქტები. ასევე გაგრძელებულია ხაზი და გაკეთებულია აქცენტი ადამიანზე, როგორც სოციალურ მოვლენაზე და ფსიქოლოგიურად ჯამრთელ პიროვნებაზე, ანუ ადამიანის სულიერ სიჯანსაღეზე.

ნაშრომს ასრულებს თანამედროვეობისათვის მეტად მნიშვნელოთვანი საკითხი, როგორიცაა გლობალიზაცია. გლობალიზაცია დახასიათებულია როგორც შეუქცევადი პროცესი, რომელიც შეჭრილია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და დიდ ზეგავლენას ახდენს ადამიანზე.

ყოველი თავის განხილვისას ნაშრომი გაჯერებულია სხვადასხვა მაგალითებითა და იმ ექსპერიმენტებით, რომლებიც სხვადასხვა ცნობილს ფსიქოლოგს უკავშირება.

ნაშრომს თან ერთვის უცხო სიტყვების და ტერმინების მოკლე განმარტებითი ლექსიკონი.

РЕЗЮМЕ

В Работе «Социальная психология» рассмотрены взаимосвязанные вопросы социологии и психологии, пути их пересечения, приведены высказывания Гиденса по поводу важности глубокого изучения психического генезиса, о первичности психологического или социального. Существует много определений социальной психологии, из которых важным является одна общая линия – социальный контроль, мотивация, межличностные отношения и социализация.

В работе говорится о символическом интеракционизме Дж. Мида, во время которого люди интерпретируют жесты и собственное поведение, производят действие других членов общества. Речь также идет о теории Росса, которая была разработана Мертоном, Парсонсом и Дарендорфом. Рассмотрены различия между социальной ролью и статусом, которая зависит от конкретного человека.

Внимание уделяется взглядам теоретиков Дж. Хомансиса и П. Блауса о том, что все социальные действия « заранее осмыслены». Их отношения к этому вопросу закреплены примерами. Также проанализированы методы эмпирического исследования, эксперименты и и их нравственная сторона. Автор касается социализации, которая продолжается в течении всей жизни человека и подчеркивается мысль о том, что социум делает человека тем, кто он есть. Выносится мысль о разнообразии теорий социализации, которые связаны с именем Зигмунда Фрейда, проанализирована теория когнитивного развития Жана Пиаже.

В социальной психологии основной темой является представление концепции собственного «Я», которая связана с именем Кула. Самовосприятие, самопрезентация, самооценка – вот те основные критериумы, которые связаны с этой теорией.

Работу продолжает социальная конструкция гендера, в котором проанализированы гендерные роли и стереотипы, гендер и феминизм, гендер в психоаналитическом контексте.

Основной вопрос- это конформация и общество, суть конформации, нормативный конформизм, влияние группы, влияние меньшинства, численность группы, уступка, покорность, непрерывная просьба.

Автор останавливается на атитюде, его определении,

изменчивости в обществе, поведении. На девиации, его социальной структуре и таких теориях, как биологический, социологический, символический интеракционализм и конфликтная теория по девиации. Продолжается беседа о группах, его отношениях со структурой и функцией. Дается определение агрессии, его отрицательные свойства и влияние на человека. Современное определение коллектива и его значение, вопросы дееспособности человека.

В работе проведена мысль о государственности, где рассмотрены вопросы меньшинства и этнические конфликты, делается акцент на человеке, как социальном явлениии психологически здоровой личности, т.е. на его душевном состоянии.

В заключении в работе рассматривается такой важный аспект современости как глобализация. Глобализация рассматривается как процесс, охватывающий все сферы общественной жизни и имеющий огромное вляние на человека.

При рассмотрении каждой главы, работа подытожена разными примерами и теми экспериментами, которые связаны с разными известными учеными психологами.

SUMMARY

The work "Social Psychology" gives a clear picture of sociology and psychology relationship problems and their crossing ways. A. Giddens introduced the opinion that is necessary to "look closely into the genesis focusing on the primary psychological or social. There are various definitions of social psychology, the significant of which is one common line – "social control, motivation, interpersonal relationships and socialization."

In the work it is shown various opinions expressed by social psychology theorists. It is discussed G. H. Mead's symbolic interactionism tending to focus on people's interpretations, gestures, behaviors and actions as the members of the community. People's behaviors in interaction with others in social settings are governed by their conception of themselves. Also it is given L. D. Ross's theory focusing on biases in decision making, judgment and human inference. His theory has been developed by R. K. Merton, T. Parsons and R. Dahrendorf. It is also considered the difference between the social role and status which is depended on a particular man.

It is important to note the social exchange theorists, G. Homans and P. Blau's views that all social actions are "pre-reasoned". Their approach to this issue is strengthened by examples. It is also analyzed the empirical research methods, experiments and their moral side.

The problem of socialization is analyzed in the given work, which lasts until the end of human life, and that the society makes a person into a human. Also, it is extended the sense of socialization different theories, which is associated with the name of Sigmund Freud. It is suggested Jean Piaget's cognitive development theory.

In Social Psychology one of the leading topics is the concept of own "I", which is associated with W. F. Caul's name. Self-perception, self-presentation, self-esteem, these are the main criteria, which are connected with this theory.

The work also concentrates the reader's attention to M. Gander's social construction analyzing gender roles and stereotypes, gender and feminism, gender in a psychoanalytic perspective.

The main issue of this book is the conformism and society, the essence of conformity, normative conformism, the impact of group on conformism, minority influence, group size, compromise obedience and multiple requests.

In this work, attention is paid to the attitude, its definition, its alteration in society, according to behavior and necessity. The focus is made on the deviation, its social structure and the theories, such as the biological, social, symbolic interactionism and the theory of the conflict according to the deviation.

In this connection conversation is continued about the group, the relationships of its structure and function. It is explained what is aggression which is characterized by negativity and how it affects people and it is also pointed out the modern concept and significance of the collective connected with the problem of human capacity.

This work also aims to draw attention to the idea of statehood discussing problems of ethnic minorities and ethnic conflicts. The particular emphasis has been placed on man as a social phenomenon and psychologically healthy person, the person's spiritual health.

The work is ended with a significant issue for modern society such as globalization. Globalization is described as an irreversible process, which is penetrated into the public sector and impacts greatly on a person.

On considering different chapters the work is saturated with a variety of examples and the experiments, which are connected with different well-known researchers – psychologists.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ანთელავა ლიანა „კულტურა და გენდერი“, თბილისი, 2002 წ.
2. ბალიაშვილი მარინა სოციალური ფსიქოლოგიის დაწყებითი კურსი გამომცემლობა „მწიგნობარი“ თბილისი 2013 წ.
3. ბალიაშვილი მარინა სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები თბ. 2010წ.
4. ბალიაშვილი მარინა სოციალური განწყობის ჩამოყალიბება და პიროვნების აქტივობა „მეცნიერება“, თბილისი, 1980 წ.
5. ბერეკაშვილი ნანა „გენდერული თეორიების ანთოლოგია“, თბ. 2003 წ.
6. გომელაური მ. სოციალურ მოლოდინთა მოტივაციური მნიშვნელობის საკითხისათვის, თბილისი, 1968 წ.
7. გერიგი რ. და ზიმბარდო, ფ. ფსიქოლოგია და ცოვრება, თსუ, თბილისი 2009 წ.
8. თევზაძე გიგი ინსტიტუციური ცვლილებების სოციოლოგია თბილისი2012წ.
9. იმედაძე ირაკლი XX საუკუნის ფსიქოლოგიის ძირითადი მიმართულებები, „ენა და კულტურა“, თბილისი, 2004 წ.
10. იმედაძე ირაკლი ფსიქოლოგიის საფუძვლები თბილისი 2008წ.
11. კოდუა ედუარდ სოციოლოგიის შესავალი თბილისი 1986წ.
12. კიკნაძე თამარ, დონაძე ნათელა გენდერი-სოციალური და პოლიტიკური სწავლებანი თბილისი 2006წ.
13. ლუტიძე ბიძინა სოციოლოგია II ნაწილი, თბილისი 2004 წ.
14. ლომაია ნესტანი პიროვნების სოციოლოგია თბილისი 2012წ.
15. მაღრაძე გუგული სოციალური გავლენების ფსიქოლოგია თბილისის 2007წ.
16. ნადირაშვილი შოთა პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია, თსუ, თბილისი 1965წ.
17. ნადირაშვილი დ. ზეგავლენის ფსიქოლოგია „პარნასი“, თბილისი, 2006
18. ნადარეიშვილი ვ. დვიაცია, დაძაბულობის თეორიები და წონასწორობის განწყობისეული მოდული. საქართველოს ფსი-

ქოლოგიის მაცნე, 2008, №1, გვ. 128-138
19. რიდერი თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები 2012წ.
20. სურმანიძე ლ. ინდივიდუალისტური და კოლექტივისტური საზოგადოებები, „ნეკერი“, 2001
21. კალხუნი ქრეგ, დონალდ ლაითი, სუზენ კელერი „სოციოლოგია“ თბილისი 2008წ.
22. ქვარცხავა რევაზ სოციალური ფსიქოლოგია თბილისი 2010წ.
23. ქეცბაია კახა სოციოლოგიის შესავალი თბილისი 2011წ.
24. ქეცბაია კახა, ზაქარაია დავითი სოციოლოგიის კლასიკოსები თბილისი 2012წ.
25. ჩარკვიანი დავითი ფსიქოლოგია ინდუსტრიულ ორგანიზაციებში თბილისი 2000წ.
26. ჩარკვიანი დავითი ექსპერიმენტული სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები „ენა და კულტურა“, 2004 წ.
27. ჩხარტიშვილი შოთა აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია, თბილისი, 1974წ.
28. ჯოიევი ოთარი სოციოლოგიის საგნის ფსიქოლოგისტური გაგების კრიტიკა. ფილოსოფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. X, 1961
29. სარჯველაძე ნ, შუშანია ნ, მელიქიშვილი ლ, ბალიაშვილი მ. ტოლერანტობა მრავალეროვან საქართველოში,თბილისი, FDHR, 2009.

ЛИТЕРАТУРА

1. Андреева Г. Социалная психология М. 2005г.
2. Арутунова Л. Динамика оценочногосуждения „Мецниереба“, Тбилиси 1991г.
3. Аизер Р. За более прикладную социальную психологию и критический прагматизм в сб. „Современная зарубежная социальная психология“, Тексты, М. Из-во Моск. Университета, 1984 г.
4. Белл Даниел Грядущее постиндустриальное общество, М., 1999 г.

5. Вундт В. Проблема психологии народов, М., 1912 г.
6. Гуддекс, Социология, Москва, 1999 г.
7. Рудестам К., Групавая психотерапия, М., 1991г.
8. Зиммел Г. Проблема социологии 1989 г.
9. Зиновьев А.А. Глобальный человек, Москва 2000 г.
10. Здравомыслов А. Г. Межнациональные конфликты в постсоветском пространстве, М., 1971 г.
11. Кон И. Социологическая психология, Москва-Воронеж, 1999 г.
12. Крайг Г. И Д. Бокум, Психология развития, „Питер“, С-Петербург, 2004 г.
13. Лебон Г. Психология народов и масс, Петербург, 1896 г.
14. Маиерс, Д. Социальная психология, Санкт-петербург „Питер“, 1997 г
15. Мартан Г.П., Шуман Х., Западная глобализация, Москва, 2001 г.
16. Смелзер Н. Социология, „Фуникс, Москва, 1987 г.
17. Росс Л. И Нисбетт, Р. Человек и ситуация, „Аспект-Пресс“, Москва 1999г.
18. Реан А. Психология чаловека от рождения до смерти, „Праим“, С-Петербург, „Олма“, Москва 1983г.
19. Тард Г. Законы подражания, С-Петербург, 1892 г.
20. Тард Г. Социальные законы, С-Петербург, 1906 г.
21. Уогд Л. Психические факторы цивилизации, Москва
22. Хозин Г.С. Глобальные проблемы современности, Москва, 1998 г.
23. Хоманс Дж. Социальная поведение как обмен, в сб. „Современная зарубежная социальная психология“, Тексты, М., из-во Москв. Университета, 1984 г.
24. Шибутани Т. Социальная психология М. „Прогресс“, 1968 г.

LITERATURE

1. Mead G.H. 1934 Mind, Self and Society, Chicago, University of Chicago Press
2. Bandura, 1986. The Social Foundations of Thought and Action, Englewod Cliffs Prentice-Hale
3. Jones E.E. and Gerard H.B. 1967, Foundations of Social Psychology, New York, Willey
4. Brim OG, 1968 „Tolut Socialization“ In jot Clausen opcit

5. Deci El? 1975 Intrinsic Motivation, New York, Plenum 1897
6. Weber A. Kulturgeschichte als Kulturso, ziologie, Leider, 1968
7. Wiese L. Philisiphie und Soziologie, Erfahrung und Denken B.I. Berlin, 1959
8. Psychologie Werterchuch oler Psychologie, Leipzig, 1981
9. Wovak F. Finsterr H. Schneider K. Psychologie, Munchen, 1989
10. Wovak F. Finsterr H. Hedenreivh K. Keller J. Psychologie, Munchen, 1987
11. Gook E.P. 1985, Psichological Androgyny, New York, Pergamon press
12. Millgram, S. 1974. Obedience to Authority, New York, Harper Row.
13. Klapper J. T., 1960, The Effects of Mass Communication, Glencoe IL, The Free Press
14. Zunin L.M. and W.B. Zunin, 1972, Contact The First Four Munutes, Los Tngeles, Calih Nash
15. Cochen A.K., 1966, Deviance and Control, Engle-wood Cliffs. WJ Prentice. Hall
16. Homans G.C., 1961, Social Behavior, Its Elementary Forms, New York, Harcourt Colophon
17. Baron K. 1977, Human Aggression, New York, Plenum
18. Walker, L.E. 1979, Battered Women, New York, Harcourt Colophon
19. Hare A.P. 1979, Handbook of Small Group Research, Free Press
20. Fiedler F.E. and J.E. Garcia, 1987, New York, Willey
21. Weber M. 1947, The Theory of Social and Economic Organization, New York, Oxford University Press
22. Gordon M.M, 1964, Assimilation in American Life, New York, Oxford University Press
23. Allport G.W. 1954, The Natur of Prejudice, Reading, M.A., Addison Wesley
24. Blau P.M., 1977, Inequatity and Heterogeneity, New York, Free Press
25. Marcia J. 1980, Indentity and Adolescence, Handbook of Adolescent Psychology, New York, Willey
26. Smelther W.J. 1963, Theory of Collective Behavior, New York, Free Press
27. Lebov G. 1897, The Gzowd A. Study of Popular Mind, London, W.F. Unwin

28. Gurr T.R. 1970, Why Men Rebel, Princeton, WJ Princton University Press
29. Seligman M. 1991, Liarned Optimism, New York, Knopf
30. Wolinsky F.D. 1980, The Sociology of Heatrh, Boston, Little Brown
31. Taylor S.E. 1986, Health Psychology, New York, Random Hause
32. Allen V.L. Social Support for non-conformity (Mineo) Matison. 1974
33. Asch S.E. Social Psychology, Preutice-Hill, New York, 1952
34. Brehm J.M. and Goben A.R. Explorations in Gugnitive Dissonanse Willy, New York, 1962
35. French J.R. P.A. Formal Theory of Social Power Psychological Review, 63, 1956
36. Festinqer L.A. Theoty of Social Comparison processes Human Relation, 7, 1954
37. Paicheler G. Polarization Ofattifuds in Homodenous and heterogenous groups europen journal of social psychology, 6. 1993
38. Shachter S. Deviation rejechion and communication journal of Abnormal and Social Psychology
39. Swcond P.F. and BackmanG.W. Social Psychology, Mcgrow-Hill, New York, 1964

სარჩევი

თავი I. სოციალური ფსიქოლოგიის სათავეებთან 3
თავი II სოციალიზაცია. მისი არსი და რაობა 15
თავი III. საკუთარი მე 25
თავი IV. გენდერის სოციალური კონსტრუქცია 33
თავი V. კომფორმულობა და საზოგადოება 42
თავი VI. ატიტუდები და ატიტუდების შეცვლა 57
თავი VII. დევიაცია.....69
თავი VIII. ჯგუფის შესახებ ცნება 79
თავი IX. აგრესია 100
თავი X. ჯგუფთაშორისო ურთიერთობები.....119
თავი XI.ჯგუფთაშორისო ურთიერთობები თანამედროვე ეტაპზე 136
თავი XII. კოლექტიური ქცევა 151
თავი XIII . სოციალური ფსიქოლოგია და ჯანმრთელობა დაავადების სოციალური ფორმები 166
თავი XIV. გლობალიზაცია და თანამედროვეობა 184

განმატრებითი ლექსიკონი 198
რეზიუმე 208
Резюме 210
Summary 212
გამოყენებული ლიტერატურა.....214

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge